

საქართველოს მეგზური
I

ჯ ა კ ა ხ ე თ ი

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი

გამოცემის დაფინანსებლები:

This publication was made possible by the financial support of the:



ფონდი „ლიბერალური საზოგადოება - საქართველო“
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

გიორგი ლეჟავა
Giorgi Lezhava

წიგნი გამოსაცემად მოამზადა:

Published by:



„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
საინფორმაციო ცენტრმა“

“The Georgian Cultural Heritage Information Centre”

წინამდებარე წიგნი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი რეგიონის – ჯავახეთის ისტორიასა და სურათობრივებს შეეხება. მასში ასახულია ისტორიული ჯავახეთის (დღევანდელი ნინოწმინდის, ახალქალაქის, ნაწილობრივ ასპინძისა და ბორჯომის რაიონები) ძველთა უმეტესობა. განხილულია ამ მხარის ისტორიული თავგადასავალი საუკუნეთა მანძილზე. გამოცემაში შესული მასალა უმთავრესად 1997 წელს, “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდისა” და ფონდ “ლია საზოგადოება-საქართველოს” დაფინანსებით მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების მონაწილეობით (მათში მონაწილეობდნენ: ნ. ბაგრატიონი, დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, შ. მელიქიძე, ე. ზაზაძე, ც. ჩანჭუნაშვილი), თუც იგი წინა წლებში მიმდინარე სამუშაოს უფროს თავს. წიგნი საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვისაც.

With present book “Georgian Cultural Heritage Information Center” begins publication of the series “Georgian Guide”. It is about the history and architecture of one of the most ancient and significant regions of our country - Javakheti. It provides information about majority of the monuments located in historic Javakheti (present Ninitsminda, Akhalkalaki, some of Aspindza and Borjomi regions). History of the regions is also related. Most of the data provided in the book have been obtained through the expeditions (by N. Bagrationi, D. Berdzenishvili, I. Elizbarashvili, N. Vacheishvili, Sh. Melikidze, E. Zazadze, Ts. Chachkhunashvili) supported by the “Fund for the Preservation of Cultural Heritage of Georgia” and the “Open Society Georgia Foundation” in 1997, though it also relates about the work done earlier. The book will be interesting both for specialists and society at large.

რედაქტორი: დიმიტრი თუმანიშვილი

Editor: Dimitri Tumanishvili

ტექსტის ავტორები:
 ისტორია, ისტორიული გეოგრაფია:
 დევი ბერძენიშვილი
 ნივთიერი კულტურის ძეგლები:
 ირინე ელიზბარაშვილი,
 ნიკოლოზ ვაჩეიშვილი,
 ციციბო ჩანჭუნაშვილი
 ფოტოები:
 დევი ბერძენიშვილი,
 ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
 რუკა:
 ნინო ბაგრატიონი
 დევი ბერძენიშვილი
 მთარგმნელი:
 მარინე კენა
 დიზაინი:
 ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
 დაკამპონება:
 ანდრო კურდიანი

Text authors:
 History, Historical Geography:
 Devi Berdzenishvili
 Monuments of Material Culture:
 Irine Elizbarashvili
 Nikoloz Vacheishvili
 Titsino Chachkhunashvili
 Photos by:
 Devi Berdzenishvili
 Nikoloz Vacheishvili
 Map:
 Nino Bagrationi
 Devi Berdzenishvili
 Translator:
 Marine Kenla
 Design by:
 Nikoloz Vacheishvili
 Computer work:
 Andro Kurdiani

გამომცემლები მადლობას უხდებიან თანადგომისათვის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს, მუზეუმის დირექტორს ქ-ნ ციური ლაფაჩს, ფოკის მონასტერს, სარესტავრაციო ფირმა „არქიტექს“, ნინოწმინდის ქართული სკოლის თანამშრომლებს, სოფლების–ხოსპიისა და გოგაშენის სკოლების პედაგოგებს

The publishers are thankful to the employers of the Museum of History of Smatskhe-Javakheti, Director of the Museum - Ms. Tsiuri Lapachi, Poka monastery, Restoration firm “Architex”, Ninotsminda school employees, teachers of Khospio and Gogasheni villages.

© საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი

Georgian Cultural Heritage Information Centre

2000

წიგნის ფერადი ნაწილი და ყდა დაბეჭედა გამომცემლობა „ნეკერი“;

დაიბეჭდა გამომცემლობა „ნეკერი“, 2000

The coloured part and the cover of the book were made in Publishing House “Nekeri”;

Printed in Publishing House “Nekeri”, 2000

შესავალი

ჯავახეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და სრულიად გამორჩეული, განუყოფელი ხიზლის მქონე კუთხეა. ამ მხარეში პირველად ყოფიანსავე გვძნობ მის განსაკუთრებულ არქაულობას და მონუმენტურობას. მრავალფეროვანია და მოულოდნელად განსხვავებული მისი ლანდშაფტი: გრანდიოზული მთების ჟანგოკიდებული, უშველებელი ლოდებით მოფენილი ფერდები; ღრმა და მოძრავი კანიონები; გამწვანებული ხეობები და მნახველისათვის სრულიად მოულოდნელი ახალქალაქის ზეგნის სისწორე-სიშიშველე. ეს ყველაფერი კონტრასტულ შეგრძნებებს ბადებს, რაც გამთლიანებულია „ბიბლიურ“ და არქაულობის განცდაში.

ზეგანზე მოხვედრისას უჩვეულო განცდა გაქვს, თითქოს დედამიწის კიდებე ვართ. აქ მთის მწვერვალებს მიახლოებული, ადამიანი თავისუფლად გრძობს თავს. ეს მონუმენტური პეიზაჟი კი არ გთრგუნავს, არამედ გამაგრებს, შეუბოროკავი სუნთქვის საშუალებას იძლევა.

ზეგანზე მოგზაურობისას კიდევ ერთი ძალიან ცოცხალი, მუდამ თანმდევი გრძნობა გიპყრობს — ახლა უკვე მწვანე ფერის ნაკლებობა. მოსხლეტილ სიბრტყეზე მიმოფანტული ტბებია, თითქოს უძრავად მოედინება ფარავნისწყალი, სოფლები შორი-შორსაა გაფანტული. აქა-იქ ამოზიდული მწვერვალები ჩარჩოსავით ევლება პლატოს და მეტად უსვამს ხაზს მის სისწორე-გაშლილობას. წარმოსახვით ყოველივე ეს მთვარის პეიზაჟს მოგვაგონებს. ზეგნის კიდესთან მიახლოებისას სრულიად განსხვავებული ხედი იშლება: ახლა უკვე მწვანეში ჩაფლული, მიხვეულ-მოხვეული და მჭიდროდ დასახლებული მტკვრის ხეობა. ასეთი უჩვეულო და მრავალსახოვანია ჯავახური ლანდშაფტი. ასეთივეა მისი ზუროთმოდგრება: კონტრასტზე აგებული, მონუმენტური, მთებივით მყარი და მკვრივი — ისიც ამ საოცარი გარემოს განუყოფელი ნაწილია.

იღია ჯავახეთის მრავალრიცხოვან სიძველეთა ქრონოლოგიური დიპაზონი-უძველესი დროიდან ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე. მის ტერიტორიაზე შემორჩენილია მეგალითური კულტურის ძეგლები — მენპირები, „ციკლოპური“ გორა-ნამოსახლარები და ციხეები, შუა საუკუნეების ნასოფლარები და სიმაგრეები, ადრექრისტიანული სტელა-ქვაგვარები. უმდიდრესია ჯავახეთი ეპიგრაფიკის თვალსაზრისითაც — მისი ეკლესიების კედლებზე მრავლადაა შემორჩენილი ლაპიდარული წარწერები. უაღრესად მნიშვნელოვანია აქ არსებული მონუმენტური ფერწერის ნიმუშები. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თამარ მეფის შემორჩენილი ოთხი პორტრეტიდან ერთ-ერთი, სწორედ აქ, ვარძიამია დაცული.

ეს მხარე თავისი მძიმე და რთული გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებისდა მიუხედავად XIX საუკუნიდან მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია, თუმცა ჯავახეთი, როგორც მთლიანი კულტურულ-ისტორიული, ანდა არქიტექტურულ-ისტორიული მოვლენა სადღეისოდ ნაკლებად არის ცნობილი და გააზრებული.

აქ გავრცელებულ არქიტექტურულ ნაგებობათა კომპოზიციის თავისებურება, მშენებლობის ტექნიკა და მხატვრული გააზრება გამორჩეულ, თვითმყოფად სურათს ქმნის. მისი ზუროთმოდგრების მხატვრულ-სტილისტური სახე „ჯავახური“ სკოლის არსებობაზე მეტყველებს. ჯავახური ზუროთმოდგრების მრავალრიცხოვან ნიმუშთა შორის არის ეტაპური ნაგებობებიც, რომლებსაც განსაკუთრებული როლი აქისრათ ზოგადად ქართული ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების ისტორიაშიც.

ჯავახეთის უდიდესი ნაწილი მთიანი ზეგანია, მაღალი ქედებით მოზღუდული,

სადაც მწვერვალების სიმაღლე 2300-3000 მ-ს აღწევს. ამ მხარეში ოთხი ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერეგიონი გამოიყოფა, ესენია: ჩრდილო, ანუ ჭობარეთ-ტაბისყურისა, ახალქალაქის ვაკე ცენტრალური ქვერეგიონი, სამხრეთული, ანუ კარწახ-ფარავნისა და ნიალის ქვერეგიონი. ახალქალაქის პლატო აღმოსავლეთ-დასავლეთ დახრილობის მქონეა და მისი სიმაღლე 1200-1800 მ. ფარგლებში მერყეობს. ვაკეზე ამოზიდულ ბორცვებს შორის, ამირანის გორას 200 მ. შუფარდებითი სიმაღლე აქვს. მითიური გმირის სახელთან ტოპონიმის დაკავშირება, ხალხის წარმოდგენაში შესაძლოა გამოიწვიოს ამ გორაზე შემორჩენილმა უძველესმა ნასახლარმა.

მდინარეების კანიონებისებური ხეობების სიღრმე აქ ზოგან რამდენიმე ათეული მეტრია. უდიდესი მდინარე ფარავნისწყალი ფარავნის ტბიდან იღებს სათავეს, იერთებს შენაკადებს ორსავე მხრიდან და ხერთვისთან მტკვარს მარჯვნიდან შეერთვის. ჯავახეთი ტბების სიმრავლითა და სიდიდით ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოში; ბევრი მათგანი ახლა ვაჭაობების ვაზაზეა. კარწახის ტბას, მაგალითად, წინათ მეტი ფართობი ეჭირა და მტკვრისაკენ გასადინი ჰქონია. კლიმატური ცვლილებების გამო იგი შემცირდა, გამლამდა, დაიღუპა იხტიოფაუნა. სხვა ტბების გადაგვარებაც კლიმატის გათბობა-გამშრალეობითაა გამოწვეული. ხეობებისა და ტაფობების გვერდებზე დიდი დებეტის მქონე ცივი, მტკნარი წყაროებია. მათ შორის აღსანიშნავია ფარავნისა და საღამოს ტბათა ნაპირებთან, დღივსა და განძანთან, ბოჟანოსთან არსებული წყაროები.

ამჟამად ეს მხარე თითქმის უტყეოა. საფარველის მდელი-სტეპური ხასიათი შექმნილია ხემცენარეულობის მოსპობის შედეგად. უძველესი ტყეები აქ ფიჭვნარი და არყნალი უნდა ყოფილიყო, რომლის გაჩანაგება დაიწყებოდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოქმნა-განვითარებასთან ერთად. ახლა ფიჭვნარი შემორჩენილია მხოლოდ ჭობარეთის მთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და სამსარის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მცირე ნაკრძალის სახით, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა და ტყის საფარი დროდადრო შეცვლილა. ამაზე მიუთითებს სამსარის გამოქვაბულთა ერთი წარწერა X საუკუნისა, სადაც ნათქვამია, რომ ეკლესიის მშენებლობის დაწყებისას ეს ადგილი ტყისაგან არ ჩანდა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც (XVI ს.) დასახელებულია „ტყე-ჯავახეთის რაიონი“ — ფარავნისწყლის ჩრდილოეთი ნაწილი.

ზღვის დონიდან 1500-2000 მ. სიმაღლეზე უცივესი თვის ტემპერატურა მინუს 7-11 გრადუსია. უთბილესი თვისა კი + 14-18. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 650-700 მმ-ია; ზამთარი აქ უფრო ცივია ხოლმე, ვიდრე ამავე აბსოლუტური სიმაღლის მქონე ადგილებში კავკასიონის კალთებზე. თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 4-5 თვეა, ზაფხულში კი ივნისის შუამდეც საკმაოდ გრილია. ამიერკავკასიაში ჯავახეთს „ჰაერიტა და წყლით მდიდარი გრილი კუნძული“ უწოდეს (კარლ რიტერი).

სრული კონტრასტია მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში: აქ სიმაღლე მკვეთრად ეცემა, საგრძობლად მატულობს ტემპერატურა, არც ჭარი იცის. ეს ხეობები უმეტესად კლდოვანია და ხანმოკლე მზიანობის დროსაც კი, საკმაოდ ცხელა. ამიტომაც ჯავახური სოფლების ბაღები ამ ხეობებში გაშენებული, სადაც შესანიშნავად გამოუყენებიათ ტერასული მეურნეობა, მიწათმოქმედების ინტენსიური და მაღალგანვითარებული ფორმა. ამ ტერასებზე ძირითადად ვაზსა და ხეხილს ახარებდნენ. ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება მოსახლეობის მიდრეკილება — ზეგანზე, ხევის პირას აირჩიოს საცხოვრებელი, სადაც ერთნაირად ხელმისაწვდომი პირობებია მემინდრე, მესაქონლე და მებაღე გლეხისათვის. სწორედ ასეთ ადგილებშია ჯავახეთის

მნიშვნელოვანი პუნქტები, ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად მოწინავე: კუმურ-ლო, სარო, ხიზაბაერა, კვარმა, ხანდო, ჩუნჩხა, პრტენა, ახალქალაქი და სხვა...

XIX საუკუნეში და უფრო ადრეც ახალქალაქის პლატო იძლეოდა საშუალებას დიდი დასახლებებისათვის. ამის მიუხედავად იქ ცხოვრობდნენ შეგვეფუფულად, უკარმი-დამოდ. ყოველი სახლი ამავე დროს საქონლისა და ფრინველის სადგომიც იყო, თან სამეურნეო საწყობიც. საცხოვრებელი და სხვა სადგომები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დერეფნების რთული სისტემით. ძველი, ჯავახური საცხოვრებელი დარბაზის შესანიშნავი ნიმუში სოფ. კუმურდოშია შემორჩენილი.

მესაქონლეობას აქ გასულ საუკუნეშიც მთავარი ადგილი ეჭირა. ცხვარი, ხარკამეჩი და ძროხა თითქმის ყველგან ჰყავდათ. სექტემბრის ბოლოდან მაისამდე საქონელი ბაგურ კვებაზე იყო, მერე კი საძოვრებზე. ზემო ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაში ძველთაგანვე წესად იყო — საგადასახადო ერთეულად ჩათვალათ უღელი ხარი, ოთხი ძროხა, ოთხი სული გამწვევი საქონელი, ან ოცი ცხვარი, ზედმეტისათვის იხდიდნენ ორმაგად. ასე ხდებოდა საძოვრების რეგულირება, რომლებიც უმეტესად სოფლების სიახლოვეს იყო. საძოვრებს ჯავახეთში საერთო ფართობის 1/3 ეჭირა.

ეთნოგრაფიულად დადასტურებულია, რომ თუ ვისმე ცხვარი მრავლად ჰყავდა, აიყვანდა ხოლმე მწვემსს, რომელსაც წლიურ ჯამაგირს უხდიდა: 20 ცხვარში ერთ ბატკანს, ერთ ფუთ პურს, ერთ წყვილ ქალამანსა და ქჩა-ნაბადს. ეკლესიის მშენებლობის დროს მეცხვარე ვერძს შესწირავდა. მას კალატოზები დაკლავდნენ და შეჭამდნენ. შემდეგ ვერძს გამოაქანდაკებდნენ და ეკლესიის კედელში ჩააყოლებდნენ, რომ მეცხვარეს ცხვარი გამრავლებოდა. ცნობილია ლექსი, რომელსაც თქმულებაც ახლავს: ერეკლე მეორეს ჯავახეთზე გაუვლია ჯარით. საძოვარზე მყოფი საქონლის ყიდვა დაუპირებია ჯარის დასაპურებლად; მეჯოგეს გაყიდვაზე უარი უთქვამს, მეფესა და მთელ ჯარს გამასპინძლებია. ერეკლემ მას აზნაურობა უბოძა. მწვემსს უფიქრია, აზნაურობა რად მიხლოდა, ეს მთა მოეცა უკეთესი იქნებოდაო და მოახსენა:

„მეფეო მწვემსის ცხოვრება სუყველამ იცის მთა არის,
შეიდი ათასი ცხვარი მყავს, ექვსი ათასი თხა არის;
შეიდასი ძროხა მეწველი, ხარი-კამეჩი სხვა არის,
მე ესე სარჩო მყოფის, აზნაურობა რა არის!“

მეფე მიხვდა, რომ მწვემსი მთასაც თხოულობდა და უბრძანა მდივანს, ესეც ჩაეწერა სიგელში: „ჯავახი არას ბრიყვობსო, ეს მთაც მაგისი იყოსო“.

ჯავახეთის საძოვრებს ძველთაგანვე იყენებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობაც. ამის დასტური წყაროთა ჩვენებებია. ეს კუთხე იძენდა აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეობისათვის, რომ მაშინაც კი, როცა ეს მხარე ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები, იძულებულნი იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ... ჯავახეთში კახელ მეცხვარეებს ახლაც დიდი ფარები დაუღიოთ. თუ რამდენად ძველია ეს წესი, ჩანს აქაური ყორღანებიდან, მესაქონლე ტომების ბელადების საფლავებს რომ წარმოადგენენ. ისინი ამ საძოვრებზე იმარხებოდნენ ზოგჯერ ჯგუფურად, ზოგჯერ ცალ-ცალკე; საინტერესოა, რომ ამ ყორღანების გვერდით ქრისტიანული საფლავებიცაა—ქვაყუთები, ქვის ვერძები: ე.ი. ბარიდან ამოსული, ძველი და ახალი მესაქონლენი ერთ საძოვარზე იმარხებოდნენ.

თავისი მნიშვნელობით, მესაქონლეობის შემდეგ პირველ ადგილზე იყო ჯავახური მემინდერობა. აქ მოჰყავდათ ზორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი, სელი... XIX საუკუნეში აქაურ ქერსა და ზორბალს ყველაგან დიდი გასავალი ჰქონდა. 1731 წ. ხერთვისის ლივამი სოფლებს შეწერილი ჰქონდათ 20 ტონაზე მეტი ქერის გადასახადი. XVI საუკუნეში ხერთვისის ლივამი მოჰყავდათ 4 359 862 კგ. ზორბალი, ახალქალაქის ლივამი კი - 4 776 278 კგ.

ჯავახეთი ძველთაგანვე იყო საქართველოს პურის ბელელი, ამის დადასტურება წყაროებში გვხვდება, აჭარაში კი „ჯავახური“ - პურის, ხორბლის აღმნიშვნელია. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„ჯავახეთი მიტომ მიყვარს, რომ პური მოდის ბევრია,
ადგილიც აღარ მექნება, ორმოს ამივსებს ქერია“.

სხვაგან პურთან ერთად უკვე კალმახიცაა დასახელებული:

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა მთვარე იღვა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა“.

თევზის ასეთი სიმრავლე აქაურ ტბებსა და მდინარეებში უძველესი დროიდან იქცევდა მოსახლეობის ყურადღებას. წმ. ნინოს „ცხოვრების“ მიხედვით, IV საუკუნეში მოსულ ნინოს, პირველ ყოვლისა თევზით უმასპინძლდებოდა მწვეწმები; გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში, XVI საუკუნეში ყველა ტბა ჯავახეთში თევზის გადასახადითაა დაბეგრული; ვახუშტი ბატონიშვილიც განსაკუთრებით აღნიშნავდა ტაბაწყურის, კარწახისა და საღამოს ტბათა კალმახის იშვიათ გემოს.

ჯავახეთის მურენობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სელის ზეთის წარმოებას: გარდა ყოველდღიური მოხმარებისა (საკვები, სანათი...) ის აუცილებელი იყო საკულტო მსახურებისთვისაც; ზეთსახდელთა გელაზის ქვები, ახლაც დიდი რაოდენობით შემორჩენილია აქაურ სოფლებსა, თუ ნასახლარებში. XIX საუკუნეში ზეთის წარმოებით გამოირჩეოდნენ ახალქალაქი, ჭობარეთი, ნიალა, ზედა თმოგვი.

მურენობის სხვა დარგებს - მებოსტნეობას, მეხილეობას, მევენახეობას ნაკლები გასაქანი ჰქონდა, მაგრამ ამ პროდუქციასზე მოთხოვნილება დიდი იყო და ამიტომაც ცდილობდნენ მათ გაფართოებას. ხილის ბალებით ხერთვისის მიდამოები იყო ცნობილი.

ზეხილში გამოარჩევდნენ თუთას. ის განსაკუთრებით ქვემო ჯავახეთის მტკვრის კანიონში იყო გავრცელებული. თუთისაგან ამზადებდნენ არაყს, შირას (ტყბილი წვენი), ტყლაპს, ბაქმაზს, ფელამუშს, აელეებდნენ ჩურჩხელებს. სამკურნალოდ იყენებდნენ თუთის ხის ქერქს, ფოთოლს, ფესვებს. თუთისგან დამზადებულ პროდუქტს ცეკლიდნენ ზორბალსა და მატყლზე. ოთხწლიანი თუთის ხის მთელ მოსავალში ერთ ძროხასაც კი ამღებდნენ... ამიტომ იყო, რომ თუთის ზეს საშენ მასალად და საწვავად არ იყენებდნენ, პირიქით-ახლადღაბადებული ბავშვის სახელზე დარგავდნენ და გაახარებდნენ. ჯავახი გლეხის მურენობაში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა მეფუტკრეობას. XVI საუკუნეში ახალქალაქის ლივამი 5099 სკა

ყოფილა, ხერთვისისაში კი 4878. იქაური თაფლი ახლაც მაღალი ხარისხით გამოირჩევა...

წერილობითი წყაროებიდან, ჯავახეთის პირველი მოხსენიება ძვ. წ. 785 წელს მიეკუთვნება. ურარტუს მეფე არგიშტი I -ის წარწერაში, დაპყრობილ მხარეთა შორის დასახელებულია ზაბახა, რომელიც დაახლოებით იქვე იგულისხმება, სადაც ფეოდალური ხანის ჯავახეთი და კოლა-არტაანი. ქართული წყაროების მიხედვით, ჯავახეთი ლეგენდარულ მამამთავარს, მცხეთოსის ძე ჯავახოსს, ჰქონია ქვეყანა ფარანის ტბიდან მტკვრის სათავემდე. მასვე აუშენებია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა, იგივე ქაჯთა ქალაქი. იმავე ქვეყანას ფარნავაზის მეფობის დროს (ძვ. წ. აღ. IV-III სს.), მეფის მიერ დანიშნული ერისთავი განაგებდა, რომელიც წუნდაში იჯდა. ძველი ჯავახეთის უმჭიდროეს კავშირზე ქართლის სამეფოსთან, მუტყველებს აგრეთვე იბერიის პიტიახშების საკუთარი სახელი ჯავახ (ზევახ), რომელიც II საუკუნის არმაზის წარწერებში სამჯერაა დადასტურებული (შდრ.: კახა-კახეთი). ვახტანგ გორგასლის დროს ცნობილია წუნდის ერისთავი ნასარი.

სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ ჯავახეთი ზემო და ქვემო ნაწილებად იყოფოდა: პირველი მოიცავდა ჯავახეთს ფარანის ტბიდან მტკვრის კანიონამდე, მეორე კი - მტკვრის კანიონს, ნიალისა და ბუზმარეთის ზეგნებს. ქვემო ჯავახეთში მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს ჰქმნიდნენ მტკვრის შემდინარე ხეხები, ბუზმარეთისა და ნიალის მთიანი პლატოები. ამათ თავისი ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრები ჰქონდათ, მაგრამ ყველა ემორჩილებოდა წუნდის, შემდგომ კი თმოგვის გამგებებს...

გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს—“ზევებს“. აქ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შემკრებ აუზებს, მთა-გორებით გამოყოფილ სხვა ასეთივე, ან შშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკროქვეყნებს. ამათაც ძველთაგანვე თავისი ცენტრები გააჩნდათ. ასეთები იყო საღამოს, ხანჩალის, კარწახის, ტაბაწყურის, ფარანისა და სხვა ტბები.

VIII საუკუნეში ჯავახეთი, მთელ საქართველოსთან ერთად, არაბთა ბატონობას დაემორჩილა - IX საუკუნემდე. ამ დროიდან კი არაბებს მფლობელობაში ეცილებიან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები. სამეფო ქვეყანაა ჯავახეთი ამის შემდგომ საუკუნეებშიაც, მას მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებენ.

წუნდის, როგორც საერისთავოს ცენტრის, დაცემის შემდგომ, დაწინაურდა თმოგვის ციხე (წყაროებში პირველად იხსენიება X საუკუნეში), ახლა ის გახდა ქვემო ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრი და ჯავახეთის ერისთავიც თმოგველად იწოდებოდა. XI საუკუნეში ზემო ჯავახეთის ცენტრი ახალქალაქია, ციხე-ქალაქი, რომლის ზღუდე ვერ არ იყო დასრულებული. ახალქალაქის ერისთავიც მეფის დანიშნული მოხელე იყო. შემდგომში ჯავახეთის ნაწილი საუფლისწულოა.

XV საუკუნიდან ჯავახეთს სამცხის მთავრები - ჯაყელები დაეპატრონნენ, მაგრამ XVI საუკუნის ბოლოს მთელი სამცხე - საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს. XIX საუკუნეში დანარჩენი საქართველო რუსეთმა მიიტაცა და ოსმალეთთან მორიგი ბრძოლა წამოიწყო კავკასიაში გასაბატონებლად. 1829 წელს ადრიანოპოლის ზავის პირობებით, რუსეთმა ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოს ზოგ სხვა ნაწილთან ერთად ჯავახეთიც წაართვა. ამავე დროს, მოხდა ჯავახეთისა და სამცხიდან მაჰმადიანი მესხების გადასახლება ოსმალეთში, მათ მაგიერ კი სომხების შემოსახლება არზრუმის მხარეიდან...

ჯავახეთი თავიდანვე იმ გზასაყარზე აღმოჩნდა, რომლითაც ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში. ჯერ წმ. ნინომ გადასერა იგი ფეხით ფარაუნიდან სამცხემდე, შემდეგ კი, მირიან მეფის თხოვნით, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მოციქულებმა გადმოიარეს ეს მხარე. ლეონტი პროველის ცნობით, სწორედ მათ დაუწყიათ მშენებლობა წუნდის ეკლესიისა, სადაც ვახტანგ გორგასალმა დასვა ჯავახეთის ეპისკოპოსი. VI საუკუნეში საქართველოს ეპისკოპოსთა შორის, იხსენიება კუმურდოელი ეპისკოპოსი იოსებ და წყაროსთაველი იოანე. კუმურდოა ჯავახეთის უპირველესი საეპისკოპოსო მთელ მომდევნო საუკუნეებში, იქ დღემდეა შემორჩენილი საკათედრო ტაძრის დიდებული ნანგრევი. ჯავახეთში შენდებოდა სამეფო მონასტრები – ვარძია და ვანის ქვაბები, მაგრამ ამათ გარდა, აქ მრავლადაა სხვადასხვა მცირე მონასტერთა და ეკლესიათა ნაშთები, რომელნიც მნახველში დღესაც ალტაცებას იწვევს. სწორედ მათ შესახებაა ჩვენი გზამკვლევიც.

ჯავახეთის ნივთიერი კულტურის ძეგლები

ჩვენი ნანგრევები მაინც ღმერთებია,
ჩვენი ნანგრევები თან გაღვევენ მუნჯად,
ჩვენი ნანგრევები აისბერგებია —
მათ ზღვაში მხოლოდ მწვერვალები უჩანთ.
ირ. აბაშიძე

თბილისიდან ჯავახეთში მოხვედრა შეიძლება სამი გზით:

I. თბილისი, მანგლისი, წალკა, ნარდვენის გავლით. აქ პირველი შემხვედრი პუნქტი ამართული ქვა („თიქმა დაში“) იქნება, შემდეგ კი ფარავანი.

II. თბილისი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა, ახლქალაქი, ან ვარძია.

III. თბილისი, ხაშური, ბორჯომი, წალკერი, ბაკურიანი, ცხრაწყარო, ტაბაწყური.

სამივე გზა სამანქანოა. უადვილესი, მაგრამ უშორესია II გზა. უმოკლესია I გზა. ჩვენც ამ გზით დავიწყებთ მოგზაურობას.



1. (ტაბ. 1-2) თრიალეთიდან ჯავახეთში მიმავალ გზაზე, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის სიახლოვეს, ბორცვზე, რომელიც ოსიდიანებითაა მოფენილი და ვახუშტი ბატონიშვილი „ჭიქიანს“ უწოდებს, აღმართულია ვერტიკალურად დაყენებული უზარმაზარი ლოდი, მენძირი, რომლის სიმაღლე 3,5 მეტრია, დიამეტრი კი 3,05 მეტრი. ეს ერთიანი, დაუმუშავებელი ქვის ვეშაბი, საქართველოში წინაქრისტიანულ ეპოქაში არსებული მეგალითური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიმუშია.

2. (ტაბ. 0) თუ ჭიქიანის მენძირი წინაქრისტიანულ წარმოდგენათა აქ არსებობის დასტურია, მის სამხრეთით, სოფელ ფარავნიდან დაახლოებით 3,5 კმ-ზე აღმართული ქვაჯვარა ჩვენი უახლოესი წარსულის—ქრისტიანული ეპოქის სიძლიერის მაჩვენებელია ამ მხარეში. ზურტაკეტიდან ჯავახეთში გადმომავალ ერთ-ერთ ცენტრალურ გზაზე აღმართული, 3 მ-მდე სიმაღლისა, იგი გზის მანიშნებელიც იქნებოდა, მაღალმთიან, ზამთრობით ბუქით მოცულ, თუ ზაფხულობით ვერცელ ველებად გადაჭიმულ პორიზონტზე. ჯვარი, რომელზეც მგზავრთა შემწედ ღმრთისმშობელიცაა გამოსახული, როგორც წარწერა გვაძეცვობს, „საწყალ დათვიას“ აღუმართავს, საფიქრებელია, XII საუკუნეში. („შვილნო ღმრთისანო ქრისტეანენო საწყალი დათუაი ლოცვასა გვედივარ“).

3. (ტაბ. 3-4) აღმართული ჯვრიდან ცენტრალური ჯავახეთისაკენ თუ გამოვარძელებთ გზას, მალე, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი — ფარავნის ტბა გადაიშლება ჩვენს თვალწინ. მუქი, ხანდახან ზურმუხტისფერი, ქათქათა ტალღებით აქაფებული, თუ სარკესავით ლაპლაპა, იგი დღის სხვადასხვა დროსაც კი იცვლის ელფერს.

ტბის ირგვლივ არსებულ სოფელთაგან ფარავანი ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც მისი სახელით იწოდება ტბაც — „ტბა ფარავნისა“, დამოწმებული წმ. ნინოს ცხოვრებასა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. ეს სახელწოდება დროთა განმავლობაში „თაფარავნად“ გარდაიქმნა და გააზრებული იქნა ხალხურ ლექსში, როგორც „თაფ-ფარავანი“ („თაფარავნელი ჭაბუკი ასფარას ქალსა ჰყვარობდა“).

სწორედ აქ, ტბისკენ დაქანებულ ფერდობზე შეუენილ სოფელშია აღმართული



1-2 ფარავანი. კრილი სამხრეთით, გეგმა

ორი ეკლესია. პირველი, მთავარი, X საუკუნის მაღალი და განიერი, მოზრდილი ტაძარი, შემადგენელ ბეჭობზე დგას, შორიდანვე იოლი შესამჩნევია და მძლავრისა და მიწაზე მყარად დაბეჭენილის შთაბეჭდილებას ტოვებს. დიდ-დიდი, სწორ რიგებად დალაგებული, უზადოდ გათლილი ლოდები მისი საშენი მასალაცაა და უნაკლო „სამოსიც“, რომლის ფართო, სუფთა ზედაპირების ხაზგასასმელად, ფასადებზე მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში ჩნდება დეკორი – სარკმლის სათაურებად, დიდორნი ბალაერის ქვის მამკობად... ფასადთა ამ შკაცრი, სადა, გეომეტრიული მოხაზულობის მიღმა – მაღლა აზიდული, ოდნავ განიერი, თითქოს ნაქანდაკარი, თუ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მყარი და მკვრივი პილასტრებით, კედლის თაღებითა და პირით ჩენსკენ, უცნაურად შექმული, თითქოს საჩვენებლად ჩალაგებული ბლოკური დიდი კაპიტელებით მძლავრად დანაწევრებული ინტერიერი იმალება. ინტერიერის ამ „შეუმცდარ“, ზუსტ გეომეტრიულ მოხაზულობებში გაშეშება და სტატიკა კი არა, უსაზღვრო ენერგიულობა და „სისავსე“ შეიგრძნობა, თითქოს აქ ერთდროულად არსებობს კლდეანება და ჩამოქნილობა, დაძაბულობა და

სიმყარე, რასაც სამხრეთის ორი, კედლის თაღებს ქვემოდან „შეჯახებული“ სარკმელი ამოძირავს სიბნელიდან. კიდევ უფრო შთაბეჭდავია ეკლესიის მშენებლის – თითქოს მტკიცე ნებისყოფის, მკაცრი და შეუმცდარი ხელის ატრინის – ფასადთა სამკაული: ძარღვიანი, მკაფიო, მაგრამ გულუბრყვილოდ „იქვე მოზაზული“, წინასწარი სქემის გარეშე – ასეთება სამხრეთ-დასავლეთი სარკმლის მორთულობა, დიდი ბალაერის ქვის თორმეტი მოციქულის განმასახიერებელი ვეკართა რიგი, აღმოსავლეთი ფასადის ფანტასტიკური ცხოველი და სხვა. . .

4. (ტაბ. 5) სრულებით განსხვავებულია სოფლის მეორე, მცირე ეკლესია – ქვემოთ, ტბის პირას, მოფარებულ ადგილას მდგარი. მომცრო, ზოგჯერ წვრილ-წვრილი თლილი კვადრებით ნაგები, იგი სრულებით შეუმკობელია. ის ადგილები, რომლებიც ტრადიციულად იშობა ზოლმე (აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლები, ბალაერის ქვა), აქ შოლოდ დიდი ქვის კვადრთა ჩასმითა გამოყოფილი, მაგრამ რეალურად ისინი, „ვითომ დიდი“, სინამდვილეში იშველა, რასაც ადრე (თუნდაც ზედა ეკლესიაში) პერანგის რიგით ქვად იყენებდნენ ზოლმე. ინტერიერიც თუმც მცირეა, პილასტრ-თაღების უქონელიც, სულაც არ ტოვებს მონოლითურისა და ერთიანის შთაბეჭდილებას. აქ კონსტრუქციული ნაწილები თითქოს სხვადასხვა მხატვრული ბუნებისაა – კედლების სწორ რიგებად შეუმცდარად ერთ ღონეზე ამოყვანი ოსტატი, მათზე კარავივით „აღვამს“ წოწოლა, სხმულ კამარას, მასსა და თლილ კონქს შორის „მორჩინილ“ არეს კი ხსნარის შებლევით „აქრობს“. სხვა ელემენტებიც ვერ ეთანხმება საერთო ანსამბლს – აღმოსავლეთის ვიწრო, სწორკუთხა ღიობი, რომელიც თითქოს უპროპორციოდ „მოწეწკილია“ თლილ კვადრთა შორის, კონქშია „ავარდნილი“, მოზრდილი თაღით დასრულებული სამხრეთის ერთადერთი კარი კი აშკარად ჩაგრავს მის გვერდით „მიჩქაღულ“ სარკმელს, რომლის შიდა და გარე მოზაზულობა არც თუ ბოლომდე ემთხვევა ერთმანეთს. ეს ნიშნები კი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის მაჩვენებელია, როდესაც ქართულ საეკლესიო ზურთომოდებებაში, ერთგვარი კრიზისი იჩენს თავს.

5. (ტაბ. 6) დაახლოებით ამავე ხანის ჩანს სოფლის ცენტრში მდგარი, თუმც კი მღალაი ბალახითა და ჭინჭრით მოცული ქარვასლის ნანგრევები. აგურით, კარგად და ცუდად თლილი ქვის შერეული მასლით ნაგები კედლების ნაწილი, თავის დროზე, თლილი პერანგითა თუ ნაღესობით იქნებოდა შემოსილი. თლილი პერანგი კი, მასლის ხელმეორე გამოყენების მიზნით, საგანგებოდაა გაზიდული. შენობა ბურჯებით სამ „ნავადაა“ გაყოფილი. მათგან ცენტრალურის აქეთ-იქით გვერდითი სივრცეები დამოუკიდებელ, ბუხრებიან სადგომებად იქნებოდა გამართული. აქ ადრე არსებული ასომთავრულწარწერიანი ქვა, დიდი ხანია გამქრალია. ფარავნის ქარვასლა ამ ტიპის ნაგებობათა თითქმის ყველაზე კარგად შენარჩუნებული ნიმუშია ჩვენში. მისი ახალქალაქისა და ზურტაკეტის ქარვასლათა შორის მანძილით, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მოგზაურთა ერთი დღის სავალი მონაკვეთი.

ფარავანში შესანიშნავი წყაროა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს: „აქ არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მძღარ ფრიად ანუ დაცონილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი“.

XVI საუკუნის ბოლოს, ახალქალაქის ლივაში (მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული) შემაგალი ფარავანი უკვე ნასოფლარია, რომელსაც აქ დაჭერილი თევზისათვის შეწერილი აქვს 10000 ახჩა (თურქული ფულის ერთეული XVI ს.)

XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის მთავრობამ აქ ღუხობორები შემოასახლა და სოფელს როდიონოვკა უწოდეს.




6. (ტაბ. 7-14) გზა ტბის გაყოლებით მიემართება და თავისი ისტორიული მნიშვნელობით ძალზე ცნობილ სოფელს – ფოკას მიადგება, სადაც დღეს საქართვე-

ლოს საპატრიარქოს რეზიდენცია და მოქმედი დედათა და მამათა მონასტრებია. ამ სახელწოდების პირველი ხსენება უნდა იყოს ახ. წ. IV ს-ში, კასტორიუსის რუკაზე, სადაც არტამატ-სებასტოპოლისის გზა შემოდის ჯავახეთში და მოადგება ფოკას (Pagas), შემდეგ აბულს და ა. შ. შესაძლოა, ამავე ადგილს უნდა გულისხმობდეს წმ. ნინოს მონათხრობში ფარავნის ტბაზე ნათქვამი: „დავიძინე გარდასადინელსა მის ტბისასა“. აქ ძილში მას ჩვენებით გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც უბრძანა ქართლის მეფის მირიანის მოქცევა. საინტერესოა, რომ ვახუშტის რუკაზე ფარავნისწყლის დასაწყისში, მის მარცხნივ აღნიშნულია სოფ. გასადინი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე სოფ. ფოკა. XI საუკუნის 40-იან წლებში „მატიანე ქართლისა“ ფოკას მრავლობით რიცხვში იხსენიებს: „ლიპარიტ შერკიბნა კახნი და მოადგა ფოკათა...“ ე.ი. ფოკანი ორი სოფელი ყოფილა. მართლაც, ფარავნისწყლის მარცხნივ და მარჯვნივ არსებულ ორ ფოკას, ჩანს, ხიდი აერთიანებდა, ისევე, როგორც ახლა (შდრ. განმანი, ასევე ორი სოფელი, მოხსენიებული იმავე წყაროში). მარცხენა ნაპირის ფოკაშია ორი ძველი ნაეკლესიარი, რომელთაგან ერთი წმ. ნინოს სახელობისაა, ამიტომაც აქაა სავარაუდებელი ნინოს „გარდასადინელი“, ვახუშტისეული სოფ. გასადინი.

სოფლის ცენტრში, მჭიდრო განაშენიანების შუაგულში აღმართული ტაძარი უკეთაა შემონახული. მართალია, იგი უკამაროდ დგას, მაგრამ უმეტესი ნაწილიცა და ყველა ნიშანდობლივი დეტალიც, საბუნდევროდ, შენარჩუნებული აქვს. ისევე, როგორც ფარავნის დიდი ეკლესია, ფოკის ტაძარიც დიდი, სივრცით ღერძზე დაგრძელებული და ფართო, მძლავრი მოცულობაა. ერთმანეთზე ზუსტად მორგებული მოვარდისფერი კვადრები ერთიან, ამასთან თითქოს „გაწყვილებულ“ ზედაპირებს წარმოქმნის, რომლებზედაც კიდევ უფრო სახუნად ჩნდება მდიდრული, ღიობებთან კონცენტრირებული ჩუქურთმები, ხან წმინდად ნაკვეთი და თხელი (ბალავრის ქვა), ხან კი რელიეფური და ხორკლიანი (სამხრეთის სარკმლები) დეკორაციული მახვილები. სწორედ მათშია ჩართული ისტორიულად ძალზე ღირებული წარწერები,* საიდანაც ვგებულობთ, რომ ტაძარი 1030—40-იან წლებში, ბაგრატ IV-ის დროს აუგია იოანე ოქროპირს, ქართლის კათალიკოსს, ხუროთმოძღვარი კი მიქელ „ქართლისა ბანაქსალარი“, სავარაუდოდ - „ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი“ ყოფილა. გეგმით ეკლესია ორი წყვილი პილასტრით სამ ნაწილად იყოფა, მათზე კი ნახევარწრიული კედლის თაღებია გადაყვანილი. ინტერიერის ყოველი არქიტექტურული ნაკვეთი აქაც, ფასადთა მსგავსად, ძირიდან ბოლომდე, თანაბრად დიდრონი ქვებით იქმნება, რატომაც ამ განიერი სივრცის მომკველ არქიტექტურას, მყარ და სავსე მოცულობად განვიცდით, რომლის ენერჯიაც მსჭვალავს სიმაღლეში ატყორცნილ პილასტრ-თაღებს, რთულ პროფილირებას კაპიტელუბისას, კარის მაგვირგვინებელ უშველებელ თაღს, სიმეტრიულად მოთავსებულ სარკმელთა დიდ, „მასშტაბურ“ ღიობებს.

ტაძრის ასეთ ბუნებაში ინახება მისი ქტიტორი — იოანე ოქროპირი, რომელიც მცხეთის საკათალიკოსო მამულში ეკლესიას აშენებს — დიდებულს, გულმოდგინედ ნაგებს, მორთულს. აქვე ჩნდება მისი არქიტექტორის ბუნებაც — კლდოვანის, მყარის, არქიტექტურული ფორმის „სისხვისს“ მოყვარე.

* კარის ბალავარზე: „ქრისტე აღიღე ბაგრატ კურაპალაკი“; „ქრისტე ძეო და სიყვუაო ღმრთისაო აღიღე ოოენე ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი ორთავე მონა ცხორობათა ამენ“; კარის მარცხენა ამყოლზე: „ქ. სახელითა ღმრთისადათა მე ბაერელი ღირს ვიქმენ შენებასა წმიდასა ამის ეკლესიისა საშუქეული დაიდუა მე თანა დაემუერ კელოსანი ვიყაე ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“; სამხრ. სარკმელზე: „ქრისტე აღიღე მიქელ ქართლისა ბქსალარი“; სამხრ. კედელზე მოთავსებულ სავედრებელ წარწერებში მოხსენიებული არიან: მომწოდებელი, ხელი, მწევარი, ბაია; ეკლესიის შიგნით, სვეტზე: გაბრიელა და ელისაბედი.



3-4 ფოკა. ქრილი სამხრეთით, გეგმა

7. (ტაბ. 15-18) ფოკის მეორე ეკლესია თავად სოფელშია, მთავარი გზის ახლოს. იგი ისეა გადაკეთებული XIX საუკუნეში სომხური მოსახლეობის მიერ, რომ ახლოს მისვლაზე მასში ძველი არაფერი შეიმჩნევა. ამ უგუმბათო ნაგებობის გულმოდგინე დათვალიერებისას კი სამხრეთის ფასადზე ჩნდება პლასტიკური ჩუქურთმებით მორთული კარნიზის ქვები, ორნამენტული ნაწილები, სამხრეთ-აღმოსავლეთის თლილი კუთხე – ნაეკლესიარი, უეჭველია, ჩვენი ზუროთმოდგრების აყვავების ეპოქას, სავარაუდოდ XI-XIII საუკუნეებს შორის პერიოდს მიეკუთვნება. ძველია მის გარშემო შემორჩენილი საფლავის ქვებიც.

8. (ტაბ. 19) აქედან შეიძლება გადასვლა მარჯვენა ნაპირის ფოკაში, სადაც სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მთის თხემზე, ფოკის უძველესი ციხის ნანგრევებია გაშლილი. იგი ძლიერი, გამაგრებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის კედლის სისქე 4,2 მ-ს უტოლდება. ციხე ორ ნაწილად იყოფოდა კედლით, ორივე ნაწილში სათავსოები—ზედაში (ჩრდილოეთით) უფრო მომცრო და ინტენსიურად განლაგებული, ქვედაში (სამხრეთით) კი უფრო დიდი, მაგრამ მცირერიცხოვანი ოთახებია. სათავსოთა კვალი შეიმჩნევა ზღუდის გარეთაც, ციხის ჩრდილო კიდეში კი ვეშაბი იდგა. შუა საუკუნეებში იგი აჯვრად გადაუთლიათ, სულ ახლახან კი სომეხმა მოსახლეობამ ზედ მომცრო შენობა დააშენა

და შიგ სამლოცველოც გამართა. ციხესთან სოფლის მიახლოებამ გამოიწვია, რომ მისი ქვები ხელშეორედ გამოყენებისათვის არის გაზიდული და კედლების უმეტესი ნაწილი გეგმის ღონებზეა დასული.

ფოკის ციხე მეგალითური ციხე-ნამოსახლარების ტიპური ნიმუშია. იგი წინაქრისტიანული ხანისაა, თუმცა შუა საუკუნეებშიც მოქმედი ყოფილა, ასე ჩანს XI საუკუნეში აქ მოხდარი ამბებიდანაც. 1046-1047 წლებში ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღუაშს შორის ბრძოლების დროს, მაწყვერელმა (აწყურის ეპისკოპოსმა) მეფეს შესხები მიამშველა. ჩანს იგი ფოკათა ციხეში გამაგრებულა, რადგან ლიპარიტი თავისი ჯარით სწორედ იქ მისულა. ამის შემდგომ მაწყვერელს მეფისათვის უღალატია და ლიპარიტს მიმზრობია. ბაგრატ მეფე იძულებული გამხდარა დაეტოვებინა ჯავახეთი და ზამთრის საშინელ ქარბუქში ქართლში გადასულიყო.

XVI საუკუნის ბოლოს, სოფ. ფოკა უკვე დატოლია მოსახლეობისაგან, თუმც კი მაინც შეწერილი აქვს გამოსაღები წლიურად 5000 ახჩის ოდენობით. ჩანს, როთა განმავლობაში მრავლობითის აღმნიშვნელი „ნი“ დაბოლოება სახელს ჩამოშორდა და დარჩა ფოკა (მდრ. განძანი-განძა).

9. (ტაბ. 20-25) სოფელ ფოკიდან გზა ფარავნის ტბის მეორე ნაპირზე გრძელდება. პირველი შემხვედრი სოფელი აქ ვლადიმროვკაა, XIX საუკუნეში ჩამოსახლებული ღუზობორებით დასახლებული. მის ჩრდილო-დასავლეთით 0,5 კმ-ზე ნასოფლარი და ნაეკლესიარია, ძველი სასაფლაოთი, იქვე, 70 მ-ის დაცილებით, აღმართულია 1,1 სიმაღლის მენპირი. ძალზე საგულისხმა აქაური საფლავები-ჯვრებიანი თუ მშვილდოსანი კაცის (?) გამოსახულებიანი ბრტყელი ქვები, ბადისებრი წნულით გადაფარული ამოხეტილი მოცულობები და სხვა.



მათ ცენტრში მდგარი დარბაზული ეკლესია ისეა დანგრეული, გეგმის ზუსტი დადგენაც ჭირს და საერთო ზომებისა და ტიპის გაგებალა ხერხდება. უკეთაა გადარჩენილი ტრაპეზის ქვა-წინა პირზე ფონის ჩაღრმავებით მიღებული სადგარიანი დიდი ჯვრით, შუაში კოპით. ტრაპეზის წინა პირის თაღოვანი მოჩარჩოებისა და თავად ჯვრის ოდნავ უსწორო, მოღუნებული მოხაზულობანი, სავარაუდოდ მის XIV საუკუნის კუთვნილებაზე მიუთითებს, თავად ეკლესია კი უფრო ადრინდელი ჩანს. ეს ნასოფლარი, შესაძლოა, მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ მოხსენიებული სოფელი – მახარონი იყოს, სოფელი, რომელიც საკათალიკოსო კუთვნილებას წარმოადგენდა და სადაც მელქისედეკს ეკლესიაც აუშენებია. მიუხედავად იმისა, რომ უბრალო ქვით ნაშენი და, საფიქრებელია, მოურთავი ეკლესია განსხვავდება სხვა საკათალიკოსო „გამოჩინებული“ ტაძრებისაგან (მაგ. ფოკა, ტონთო, ზორენია), მაინც, არაა გამორიცხული, იგი სწორედ მახარონი იყოს, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ კათალიკოსთა ნაგებობანი ზოგჯერ არც განსხვავებოდა რიგითი მშენებლობისგან (მაგ. აქვე ჯავახეთში-კარნეთი იხ. ქვემოთ). XVI საუკუნეში მახარონი უკვე ნასოფლარი იყო.

10. (ტაბ. 26-28) ტბის ამავე ნაპირზე, შემდეგი დასახლება, სოფ. ფარავნის პირისპირ, ქართული ზეპირსიტყვიერების მშვენიერი ნიმუშით განთქმული, სოფელი ასფარაა.

„თავფარავნელი ჭაბუკი ასფარას ქალსა ჰყვარობდა,
ტბა ჰქონდა წინათ სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა...“

აქ მოხსენიებულ სოფელთა მდებარეობა საცხებით ეთანხმება აღწერილ ვითარებას. ბალადა მოგვითხრობს ქალ-ვაჟის სიყვარულზე, ჭაბუკის წყალში გასვლასა

და ქალის მიერ დანთებულ სანთლის შუქზე, ავი ბებრის მიერ სანთლის გაქრობასა და წველიადში დარჩენილი ვაჟის ტბაში დაღუპვასზე. ეს სიუჟეტი ეხმაურება ჰეროსა და ლეანდრის ბერძნულ მითს, რომელიც აისახა ოვიდიუსის, ფ. შილერის და სხვათა ნაწერებში. ასფარის ამჟამინდელი მოსახლეობა თურქულენოვანი კათოლიკე სომხები, რომლებიც აქ XX საუკუნის 20-იან წლებში გადმოსახლდნენ სოფ. კარტიკამიდან. ქართველთა მყოფობის დასტურად კი სოფლის განაპირას, შშრალი წყობით ნაგები წრიული გალავნით ეფექტურად შემოზღუდულ მოედანზე აღმართული ნაეკლესიარიღაა.




5-6 ასფარა. ქრილი ჩრდილოეთით, კვება

იგი ძლიერ დაზიანებული დარბაზული ნაგებობაა, რომლისგანაც მხოლოდ ჩრდილოეთის ფასადი, მისი პილასტრებიანი შიდა პირი და სარკმელგანგრეული და კონქმორღვეული აფსიდაა დარჩენილი. მიუხედავად ასეთი გავერანებისა, სოფლიდან

მისკენ მიმავალი მნახველი მიახლოებისთანავე, ჩრდილოეთის თუშც ყრუ, მაგრამ ძალზე მეტყველ, დიდი თლილი ლოდებით ნაგებ ფასადთან აღმოჩნდება. სწორედ ასფარის ეს კედელი შეგაგრძნობინებთ მის „ჯავახურობას“—ლაკონიზმს, სისხარტეს, სიმკერევეს, სიძლიერეს, თლის ესთეტიზმსა და ზედაპირის უზადო სისუფთავესაც. აქვეა ბალახებში ჩაფლული ჯვრიან-ჩუქურთმიანი ბლაკარის ქვატ, ეკლესიის XI საუკუნეში მშენებლობის უეჭველი დასტური; ინტერიერის ცენტრში კი გუმბათიანი ტაძრის დაახ. 1 მ-ის სიმაღლის გამოსახულება დგას.

ასფარა XVI საუკუნის ბოლოს უკვე ნასოფლარია, 1720-21 წწ-ში კი იგი ისევ მოშენებულა. აქშეპირის რაიონში შემაველი, იგი ვინმე სულეიმანს ექვემდებარებოდა და წლიურად 5000 ახჩა ჰქონდა შეწერილი გამოსაღებად.

11. (ტაბ. 29-32) ასფარიდან მიწური გზა ორად იყოფა, ერთი ტბას შემოუვლის და კვლავ სოფელ ფარავენში შედის, მეორე კი ჯავახეთის და ზოგადად, საქართველოს წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრების საოცრების — შაორის ციხისაკენ მიემართება. „ქოროღლის მთაზე“ აღმართული ციხე მომლოდინე თვალისათვის შორიდან, აყვავებულ და ბალახით გადაქნტილი მინდვრებიდან ამოზიდული მთის წვერზე ჩნდება, თუშც, მთის მოზაზულობას შერწყმულის ხილვა, შესაძლოა, მოულოდნელობისა და გრანდიოზულობის მალე განცდის სურვილით იყოს გამოწვეული. რეალურად კი იგი რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გამოიკვეთება.



7. შაორის ციხე, გენგემა

სამანქანე გზის ბოლოს, რომელიც მთის ძირას მიდის, კახელი მწყემსების საზაფხულო სადგომებია. აქ, როგორც ძველად, აღმოსავლეთ საქართველოდან გადმორეკილი პირუტყვი სეზონურად ძოვს. მწყემსთა ბინებიდან ადის დაკიდებული, ფიცხელი აღმართი შაორის მთაზე. მთა მთლიანად მოფენილია ეულკანური წარმოშობის დიდი ლოდებით, ასე, რომ, ამსელები უნდა გაფრთხილდეს—ბაზალტის ქვები ყოველ ნაბიჯზე ირწყევა. მთის მომკველი ქვათა ამ ნიაღვრის შორის თვალი აქა-იქ აშჩნევს წყობის ფრაგმენტებს — უეჭველია, ზოგი ქვაყრილი თავის დროზე


სადგომ-შენობებს წარმოადგენდა. ზემოთ და ზემოთ ასვლისას, საიდანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცვალებადი — ნისლში გახვეული, ხანაც ღრუბლებით მოცული, ან კი მზით გავესებული ზემო ჯავახეთი ხელისგულივით იშლება, უშველებელი დასახლების კვალი უფრო და უფრო იკეტება. მაღლა ასვლისას, ლოდებს შორის დიდი და განიერი გზა ჩნდება, რომელიც ბრტყელი ქვებით მოგებული, მთის წვერისაკენ მიემართება. გზის აქეთი-იქით დაბალი, ბრტყლად გადახურული მცირე სადგომებია, ერთგვარი ბლინდაჟები, ერთი მხრიდან გახსნილი სადგომები. ლოდებში შეფარული ეს ფრაგმენტები მალე ქვედა ციხით იცვლება. გალავანშემოვლებული მუდანი თითქოს გაჭვდილია გვერდგვერდ მშრალად ნაგები სადგომებით, ყოველ გადავლაზე აქ სიფრთხილვა საჭირო—მშრალად, უხსნაროდ ნაწყობი ლოდები შესაძლოა ისე დაცურდეს, სადგომთა აღნაგობა ძნელი აღსადგენი გახდეს. მის ზემოთ, მთის წვერზე დედა-ციხეა. ზღვის დონიდან ძლიერ მაღლა, აქ ზაფხულშიც კი ცივა, ნისლი და ღრუბლები ყოველწამიერ მოძრაობს, არც ჭექა-ქუხილი და მაგნიტურად დამუხტულ ღრუბელთა მიმოსვლაა უცხო. მყარი, ძალიან დიდი და ძალზე გამაგრებული კომპლექსი, მთელ მთას მოიცავს. დიდ ინტერესს აღძრავს, თუ რა საზოგადოება აშენებს ასეთ სიმაგრეს, სეზონურია ის თუ ხანგრძლივი სამყოფელი. ძნელი წარმოსადგენია უდიდესი შრომის ფასად, მთელ მთაზე გადაფენილი სამოსახლო, მხოლოდ მცირე დროით თავდაცვისათვის აევოთ, არადა უმკაცრესი ჰავა, ყველაფრისგან მოწყვეტილი მდებარეობა, მის ხანგრძლივად გამოყენებასაც ფრიად სათუოს ხდის. ალბათ, აქ მოსახლენი, პირუტყვით, მრავალრიცხოვანი სახლელუთ, თავს ხანგრძლივი დროით შეაფარებნენ. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია იგი უძველეს ტომობრივ გაერთიანებას მიეკუთვნებოდეს. მისი მშენებლობის დროის შესახებ კი მხოლოდ წინასწარულად შეიძლება ითქვას—იგი უეჭველია დიდი ხნოვანებისა, წინაქრისტიანული ეპოქის, და, სავარაუდოდ. ძვ. წ. II ათასწლეულზე გვიანი ხანის არ უნდა იყოს. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ფარავნის „ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ, და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი“.

XVI საუკუნის ბოლოს ეს სოფელი უკვე დაცლილი ყოფილა მოსახლეობისაგან, ახლა ნასოფლარიც არ ჩანს.

12-14. (ტბა. 37) შაორის ციხიდან, რომლის მოხილვას ერთი დღე მაინც სჭირდება, გზის გაგრძელება უახლოეს სოფელში, განძანში შეიძლება. განძანი ფარავნისწყლის მარცხენა ნაპირზე, ფერდობზეა შეფენილი. სოფლის სახელწოდების მრავლობითის ნიშანი—„ნი“, მიუთითებს, რომ აქ ორი სოფელი იყო (შდრ. ფოკანი). მეორე სოფელი ფარავნისწყლის მარჯვენა ნაპირზე იქნებოდა, ხოლო მათი დამაკავშირებელი ორმალიანი ძველი ხიდი—დღემდეა შემორჩენილი. სოფლის სიახლოვეს, ჩრდილო-დასავლეთით, მეგალითური კულტურის უძველესი ძეგლია, ე.წ. ვეშაპი: ვერტიკალურად დაყენებული, დაახლ. 2 მ. სიმაღლის მონოლითი თევზისა და ფრინველის გამოსახულებით. უძველესი რწმენა-წარმოადგენების მიხედვით, იგი წყლისა და ნაყოფიერების (ფალოსის) კულტს უკავშირდება.

სოფელში, მდინარის მარცხენა ნაპირას, გორაკზე ციხის ნაშთია შემორჩენილი, ისიც, უეჭველია, წინაქრისტიანული ხანიდან მოქმედი. ზოგან მრეკალი ბურჯებით გამაგრებულ გალავანს ხელოვნური თხრილი ევლება, რომელიც, ჩანს, ფარავნის მდინარის წყლით ივსებოდა. ეს ძველი ციხე-გალავანი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც მოქმედი იყო. ამაზე მიუთითებს ქართული საისტორიო წყარო—იქ აღწერილია ბიზანტიელთა უნაყოფო შეტევა განძათა ციხეზე 1028 წელს, რომელიც ადგილობრივმა ფეოდალებმა წარმატებით მოიგერიეს.

15-16. (ტაბ. 33-36) განძანში ორი, თითქმის თანადროული, ქართული ეკლესიაა (პირობითად ზედა და ქვედა). მათ გააჩნიათ შინაარსის მიხედვით მნიშვნელოვანი, მაგრამ უთარილო წარწერები.* ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს მათ დასათარილებლად ეკლესიების არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი წარმოადგენს. წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დადგენას ღიდი მნიშვნელობა აქვს ვაკავახეთის ისტორიის გარკვეული პერიოდის ნათლად წარმოსაჩენად. ორივე ეკლესია ცალნავიანია (ზედას ჩრდილოეთის მინაშენი ახლავს), ორივე თლილი ნაირფერი ქვითაა ნაგები, თუმცე ქვედა ეკლესიის სარკმელთა საპირეებიცა და კარების პროტალეებიც კი უჩუქურთმორნამენტოა და მხოლოდ ზედას კარს ამკობს მტკვენებშეკიდული ვეკარი.



8. განძანი. ზედა ეკლესია, გვემა

განძანის ეკლესიების გვემა, პროპორციები, შიდა სივრცე, კარ-სარკმელთა მორთულობა, მათი აგების ხანად XIIIს. დასასრულს და XIVს. პირველ ნახევარს გვაფიქრებინებს. ამგვარი დათარიღებით წარწერებში მოხსენიებული მეფე გიორგი, გიორგი ბრწყინვალე გამოდის, ზოლო შალვა — ბექა ვაყეღის ძე. ზედა ეკლესიის აგების ფაშს შალვა მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა, ზოლო ქვედა ეკლესიის აგებისას—უკვე მანდატურთუხუცესი. ორსავე წარწერაში შალვას ერთი ძმა იხსენიება, ჩანს მეორე ძმა-სარგისი უკვე გარდაცვლილია. მამასადამე, განძანის ეკლესიები აგებულა 1334-1346

* ზედა ეკლესიის დას. ფასადზე: „ქრისტე ღმერთო, აღიღე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, ძითა, ძმითა. მათითა ცოცხალთა ვამუნეთ წმიდამ ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიოლას ძეთა“; სამხრ. ფასადზე: „ქრისტე ღმერთო, აღიღე ორთავე შინა ცხოვრებათა, ძლიერი და უბლეველი ყოველთა მეტრთაგან, მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისაძითა და მკლავითა თაეისითა შეაძრწუნეა ყოველი სოფელი სპარსეთისაჲ“.

ქვედა ეკლესიის სამხრეთ სარკმელთან: „ქრისტე ღმერთო, აღიღე ორთავე ცხოვრებათა მანდატურთუხუცესი შალვა ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვამუნეთ მეორე წმიდამ ესე საყდარი ჩუენ ნიოლასძეთა. შალვას მონასა მანგლავას მეოს ექმენ ღმერთო ყოველთაო. საყდარი ღედისა ღმრთისაჲ“; სამხრ. კარის თავზე: „ქ. ღმრთიე გურგენოსანი მეფობამ გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ ღედაო ყოველთა მკსენლისაო“.

წლებს შორის (სარგისისა და გიორგი ბრწყინვალის აღსრულების წლები).

ქართულ წყაროთა ცნობების მიხედვით, XIV საუკუნეში ჯავახეთი ჯერ კიდევ თორელთა საგამგეო ქვეყანა იყო, თუმცა ჯავაყლებს იქ მრავალი სოფლები ეკუთვნოდათ. როგორც ჩანს, მათ შორის იყო განძანიც.

განძანის ეკლესიები ჯავახური ზუროთმოდვერული სკოლის დამახასიათებელი ნიმუშებია, რაც განსაკუთრებით ჩანს ორნამენტული მორთულობის უარყოფაში. სამაგიეროდ, ოსტატი ძალზე კარგად იყენებს ფერის შესაძლებლობას, ნაირფეროვნებას, რაც გარკვეულად ცვლის კიდევ ორნამენტს. ისიც აღსანიშნავია, რომ ფერადოვნება, შეიძლება ითქვას, გეომეტრიულადაა მოწესრიგებული (მაგალითად, ეკლესიათა ჭადრაკულად დალაგებული სხვადასხვა ფერის კვადრები). ეს იმ ხანის ქართულ ორნამენტ-ტიკაში მცენარეული სახეების გეომეტრიულით შესვლას შეიძლება შევადაროთ. როგორც უნდა იყოს საქართველოს ცალკეულ ზუროთმოდვერულ სკოლათა თავისებურებანი, იგრძნობა განვითარების ერთიანი ხაზი, თუმცა გამომსახველი საშუალებები სხვადასხვაგვარია.

XIV საუკუნეში განძანი, როგორც ჩანს, დიდი სოფელი იყო, ორი ეკლესიით და მრავალრიცხოვანი მოსახლით. XVI საუკუნის ბოლოს იგი უკაცრიელ ნასოფლარად იქცა, 1847 წელს კი ახლადმოშენებულ ამ სოფელში 28 კომლი ცხოვრობდა. მათ მიერ აგებული სომხური ეკლესიის მოზრდილი გუმბათიანი შენობა სოფლის ცენტრში დგას.

17. (ტაბ. 38-39) განძანიდან სამხრეთ-დასავლეთით, მთის წვერზე მდგარი ნაგებობა ცენტრალური გზიდან წერტილივით მოჩანს. ასეთი სიშორიდან მისი რაობის გარკვევა შეუძლებელია და, მით უფრო ინტერესს აღძრავს. ეს არის XIII საუკუნეში აგებული, წმ. იოანეს სახელობის, პატარა დარბაზული ეკლესია, რომელიც მთელი სიმაღლით არის შემორჩენილი, მხოლოდ ლორფინის სახურავია დაზიანებული. ეკლესიიდან შესანიშნავი პანორამა იშლება, მთლიანად მოჩანს საღამოს ტბა და მასში ჩამავალი ფარავნისწყალი, მოშორებით კი პატარა ტბების ზედაპირი სარკესავით ირეკლება (ეს ტბები სეზონური ყოფილა თურმე). ზოგან, მთის ფერდობზე ხელოვნურად გაშენებული ტყის ქოჩორი მოჩანს.


ამ მცირე ეკლესიის არქიტექტურა ნათლად აჩვენებს XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ქართულ არქიტექტურაში მკაფიოდ გამოვლენილ პროცესს – არქიტექტურული მთელის ორგანულობის და მხატვრული ერთიანობის ერთგვარ რღვევას – მაგ: აქ, მცირე ეკლესიაში, პერანგის ქვები ოდნავ ჭარბობენ ზომიერების ზღვარს და ზედმეტი გადიდებით, არქიტექტურული მთელისგან განცალკევებულ „პერანგად“ იქცევიან, რომლებშიც ხან მცირე სარკმელი გამოიღრუტნება, ხან კი დიდი ბალაქრის ქვა და მის ქვემოთ კარი ერთმანეთს ასცდება და აქეთ-იქით გასრიალდება. ასეა ინტერიერშიც, სადაც არც თუ ხარისხიანად თლილი კედლები ზემოთ ვიწროვდება, ვიწრო კამარის საბრჯენი თაღის ულოგიკოდ დიდი კრონშტეინი კი კარის თავს ისე „აჯღდება“, თითქოს შემომსვლელს ემუქრებაო. ამ დროის მარკენებელია გარეთ ვიწრო, შიგნით კი დაბრეცით „გაბერილი“ სარკმლები, სამხრეთ კედელში ჩაყოლებული გაუგებარი ნიშათა „ჯერი“ და სხვა.

ეკლესიის შიგნით ტრაპეზად ქვაჯვარის კვარცხლბეკია, ჯვრით დასავლეთის პირზე; დასავლეთის სარკმელთან კი არცთუ ჩვეულებრივი წარწერა: „უფალო არ შეიწყალე“.

ადგილობრივ მცხოვრებთაგან ეკლესიას ზოგი „სურბ-სარქისს“ უწოდებს, ზოგი „სურბ-იოვანესს.“ უფრო სწორი უნდა იყოს ამ ეკლესიის მოხსენიება წმ. იოანეს სახელობით. 1930-იან წლებში სოფელში ყოფილა ბაზისში ჩასმული ქვის ჯვარი, რომ-

ლის ასომთავრულ წარწერაში სწორედ ეს წმინდანი იყო დასახლებული.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა ჯავახური სალოცავების სხვადასხვაგვარად მოხსენიების მიზეზს (მსგავს შემთხვევებს ჩვენც არაერთხელ წაგვწყდით). ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ ისინი „აწინდელი სომხური მოსახლეობის ღვიძლი შენამოქმედი არაა, მისთვის უცხოა და ამიტომაც ერთი ფასისაა.“





9-10 განძანი. წმ. იოანეს ეკლესია. ჭრილი და გეგმა

18. (ტაბ. 40-47) განძანიდან ცენტრალური გზა საღამოს ტბისკენ მიემართება. ტბა ფარაჯისაზე მცირეა და განსხვავებული ელფერიისაა, ზურმუხტისფერია და წყნარი, შედარებით მცირეტალღიანი, ნაპირებზე მუტად გაშლილი და იოლმისადგომი აქვს. ამიტომაც მისი ნაპირი მრავალ მთიეზეს იზიდავს. ჩუმაღ, უსიტყვოდ მოთევზავენი, ადრე დილიდან-დაისამდე ცოცხალი თევზით დატვირთულები მიმოდიან და უნებურად აცოცხლებენ ჩვენს თვალწინ ბიბლიურ პეიზაჟებს, ქართლის ცხოვრების ეპიზოდებს, მებაღურებს, ჯავახეთით მომავალ წმინდა ნინოს რომ შემოხვდნენ გზად. ტბის მოსახელე სოფელი საღამო გზის პირასაა გაშლილი. აქ სამი ეკლესია შემორჩა.

ერთ-ერთი მათგანი, გზის პირას აღმართული, ყველაზე ცნობილია და არცთუ მხოლოდ ჯავახეთშია სახელგანთქმული. იგი სამიდან ყველაზე დიდია. დარბაზულ


ტაძარს სამხრეთიდან და დასავლეთიდან ეგვტერები ედგმოდა. დღეს მთავარ ტაძარს კამარა ჩანგრეული აქვს, ეგვტერებიდან კი სამხრეთისა შემორჩა. ამ დაზიანების მიუხედავად, საღამოს ეს ეკლესია სწორედ, რომელიც სრულად გეიხატავს X საუკუნეს ვგავანებში და ამ რეგიონის ხუროთმოძღვრულ სკოლასაც საუკეთესოდ გეიხასიათებს.



11-12 საღამო. ჭრილი სამხრეთით და გეგმა

დიდი, თითქმის განიერი, მყარად დაბჯენილი დარბაზული ტაძრის ღვინისფერი და რუხი, უზადოდ თლილი, დიდი კვადრები, არა მხოლოოდენ თლილი, მოსაპირკეთებელი ზედაპირი. ოსტატი კლდისმაგვარ, მაგრამ ჩამოქნილ ლოდებს უპირველესად სამშენებლო მასალად განიცდის, მათგან აგებს და გამოჰყავს ზუსტ გეომეტრიულ ფორმებად მონაზული მსხვილი არქიტექტურული ნაწილები-პილასტრები, კედლის თაღები, თუ სიმეტრიულად განთავსებული ღიობები. ამ სიმკვირვის პარალელურად განიცდით X საუკუნის თვისებებს-თითქოს თხელი წვიმის წვეთებით ჩამოღარულ ნატიფ და პლასტიკურ დეკორს სამხრეთის სარკმლებზე, აღმოსავლეთი სათაურის გრაფიკულ ზედაპირს, დასავლეთი კარის ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმულ ნატიფ ვეჯარს, და თითქოს ეს, კანდაკოვნება-გეომეტრიულში, მყარში, სტატიკურში გამოხატული, იქნეს სამხრეთით მალევე მიშენებულ ეგვტერში დიდ ენერგიას-თაღებით დახაზულ კამარაში, ვოლუტებთან კაპიტელებში,

აღმოსავლეთით იონას რელიეფურ გამოსახულებაში, სადაც ვემაძი ჯერ შთანთქავს, მერე კი აღმონერწყვავს იონას.



13. საღამო. კრილი აღმოსავლეთით

19. (ტაბ. 48-49) ეგვიპტიანთა ეკლესიის ოდნავ მოცილებით, სოფლის ერთფეროვან განაშენიანებას შეფარებული, საღამოს მეორე ეკლესია ღვას. კამარაჩამონგრეული, მომცრო ტაძარი, შორიდან ძნელი შესამჩნევია. ამის მიუხედავად, მიუახლოვდებით თუ არა, სუფთად თლილი და ერთმანეთს მიბჯენილი მოზრდილი კვადრებით ნაგები, სიმციროს მიუხედავად ის მნიშვნელოვანის შთაბეჭდილებას ახდენს. ეს გრძობა კიდევ უფრო ძლიერდება მისი ფასადების შეხედვისას, რომელთა გლუვ, დაუნაწევრებელ სიბრტყეებზე მხოლოდ ორი კარია შემკული, (სარკმლები, რომლებიც ისედაც მცირერიცხოვანი იქნებოდა, აღარ გადარჩენილა). სამხრეთ ფასადზე, შესაძლოა ოდნავ გვიან გამორჩეულად ჩასმულ, დიდრონ რუხ ქვებზე მხედროუნარევი ნუსხური წარწერა ერთ გრძელ სტრიქონად მოუყვება – „ქრისტე, შეიწყალე მონა შენი გეორგიასძე, მშობელნი მისნი“. ინტერიერში პილასტრები ორიგინალურადაა გაფორმებული. პილასტრის მთავარ ნაშვერს წიბოები წაკვეთილი აქვს, რაც სუფთად თლილ ინტერიერთან, მკაფიოდ გამოყვანილ არქიტექტურულ ფორმებთან და საფასადო მორთულობასთან ერთად, გვიჩვენებს ამ ეპოქაში მიმდინარე სივრცით-პლასტიკურ ძიებებს და ეკლესიას X საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს.

20. (ტაბ. 50-53) სულ სხვაა საღამოს მესამე ეკლესია, რომელიც სოფლის სამხრეთ განაპირას, მაღალ ბორცვზეა აღმართული. შემადლებული, განსხვავებული პროპორცია, დაფერდებული სახურავი, თლილი, მაგრამ უსწორმასწორო ქვებით შემოსილი ფასადები, რომლებზეც კარისა და სარკმლების მდიდარი ჩუქურთმებია გაშლილი, ცხადყოფს, რომ იგი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სხვა ეტაპზე – დეკორაციულობის მოყვარე XIII-XIV საუკუნეებშია აგებული. წყობაც ამ ეპოქის მაჩვენებელია. გლუვ ფასადებზე ზედაპირგათლილი, მაგრამ უსწორმასწორო, ქვები, იქცევიან კედლის თითქოს არა „საშენ“, არამედ მოსაპირკეთებელ მასალად. ასეთი მხატვრული ბუნების გათვალისწინებით აქ ამოქმედებულია ჯავახეთისთვის ისედაც საყვარელი, წყობაში რუხი და ვარდისფერი ქვების დაპირისპირებანი. ღვინისფერ თლილ


სიბრტყეებში მინანქრებივითაა ჩასხმული რუხი კვადრები, რომლებიც ძირში ხან ინტენსიურ „ცოკოლს“ ქმნიან, ხან კი ზემოთ გაჭიმულ ზოლად, ირეგულარული შუალედებით აცა-ბაცად ჩამწკრივებულნი, მოხუცის კბილებით, ფასადზე ლაქებად „დაკრეჭილის“ შთაბეჭდილებას ახდენენ. ოსტატის სურვილი მორთოს ეკლესია, თვით სახურავზეც კი ხორციელდება — მის ჩრდილოეთის ფერდზე, ლორფინის თალი მარაოსებრი ორნამენტით არის დამუშავებული. სამხრეთის ერთადერთი კარის ტიმპანს უცნაური იკონოგრაფიის გამოსახულება ამკობს. ინტერიერიც ამ დროის კარგი მაჩვენებელია. თხელი პილასტრებიდან ისეთი გალუული კედლის თაღები გადადის აღმოსავლეთ-დასავლეთით, რომ ისინი განიერი ინტერიერის კედლის ნაოჭი გეგონებათ, დიდი თონესავით მოუხეშავ ფართო აფსიდში კი სარკმელი ზვეროლოებითა გამოღრუტნული. გვიან შეთეთრებული კედლებიც აქ უსწორმასწორო და ზორკლიანია.

ამ სოფლიდან, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმში, ჩამოტანილია ზელის გამოსახულებიანი, 3 მ-ზე სიმაღლის ქვა; მის ასომთავრულ წარწერაში („ი. ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თუთმპყრობელა მეფეთა მეფე დავით“) მოხსენიებულია მეფე დავით ულუ (XIII საუკუნე).

XVI საუკუნის ბოლოს, სოფელი საღამო მოსახლეობისაგან დატოლილი ნასოფლარი იყო, თუმც კი შეწერილი ჰქონდა გადასახადი წელიწადში 6500 ახჩის ოდენობით. ცალკე გადასახადი ელო საღამოს ტბაში დაჭერილ თევზსაც, რაც 10000 ახჩას შეადგენდა. სოფლის სახელწოდების მიხედვით მოიხსენიებოდა ტბაც, ასევეა იგი დასახელებული ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერაშიც“.

21. სოფელ საღამოდან გზა ტბის ნაპირს მისდევს. საღამოს ტბის დასასრულს, იქ, სადაც მისგან ფარაენისწყალი გამოედინება, მაღალ ფერდზე ნასოფლარი ღუმანი მდებარეობს. აქედან იშლება ფართო ხელები, ტბის შემოგარენი, შესაბამისად ნაკლებსიარიც შორიდან მოჩანს. იქ ასვლა გზიდან ფეხით შეიძლება. ბორცვზე ასვლისას, როდესაც საქონლის მინგრულ-მონგრულ ფერმათა შენობებს აცდებით, შედარებით მაღლა ნასოფლარია. ჩანს, ეს ადგილი უძველესი დროიდან ყოფილა მჭიდროდ დასახლებული და სტრატეგიულად გამოყენებული. ეკლესიის ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 მ-ზე ციკლოპური, მშრალად ნაგები ციხეა. იგი დიდი კომპლექსის ნაწილი ჩანს, კომპლექსისა, რომელიც მაღლა, ახლა უკვე ეკლესიის სამხრეთით 300 მ-ზე გრძელდება — ფერდზე ტერასულად შეფენილი სადგომებით, ციტადელით, მთის თავზე კი მიწის დონეზე დასული ნაგებობათა კვალით, რომელიც დიდ დასახლებას მოწმობს. ნაფუძართა შორის ძალზე შთაბეჭდავად, ქვის ლოჯებით მონიშნული, გადაჭიმული ფართო გზა; აქავე წაქეკული, სამი მეტრის სიგრძის მენძირი. ნამოსახლარი წინაქრისტიანული ხანისაა, თუმცა შუა საუკუნეებშიც გამოყენებული იქნებოდა.

22. (ტაბ. 54-57) ღუმას ეკლესია მომცრო დარბაზული საყდარია, თლილი ქვით ნაგები და კამარანამონგრეული. ფასადები ძალიანაა გაძარცვული, სქემასავით გასიმეტრირებული თაღ-პილასტრებით დანაწევრებული ინტერიერი კი უფრო „დაუზოგაეთ“. წყობის ზახები, ზედაპირის გათლის მიუხედავად, ზოგჯერ უსწორია, ჩანაკრებით. ფასადებზეც და ინტერიერშიც, ამოქმედებული იყო მუქი და ღია ქვების დაპირისპირებანი. აფსიდის მარჯვენა მხარეზე, პირით დასავლეთით, სადგარიანი რელიეფური ჯვარია მედალივით დასმული. ყველაფერი ეს მისი XIII-XIV საუკუნის კუთვნილებაზე მეტყველებს. ეკლესიის გარშემო მიმოფანტული საფლავის ქვებიდან ერთ-ერთი, ბრტყელი ლოდი, ანგელოზის მომცრო ფრთებმზატული ბავშვისა — გრაფიკულად მოხაზულ ფიგურას სახის ადგილას ჯვარი აქვს გავლებული.





14-15 ღუმანი. კრილი ჩრდილოეთით, გეგმა

XVI საუკუნის ბოლოს აქ უკვე ნასოფლარი იყო, რომელსაც მარცვლეულისა და სხვა შემოსავლისაგან, მინც 13000 ახჩა ჰქონდა შეწერილი.

23. (ტაბ. 58-62) ნინოწმინდისკენ, გზის ხელმარტხნივ, ტრასიდან 1,5 კმ-ის დაცილებით, სოფელი სათხეა განლაგებული.

სათხის ეკლესია სოფლის ცენტრში დგას. ეს ადგილი ძველი ეკლესიის გვერდით 1877 წელს აგებული დიდი სომხური გუმბათიანი ეკლესიის გამო ტრასიდანაც მოჩანს. თუმცა სოფლის განაშენიანება მათ ისე მჭიდროდ ადგება, რომ მოსახილველი მანძილი მცირედი რჩება. სათხის ეკლესია იმ იშვიათთაგანია, რომლის აშენების შესახებ თავად ეკლესიის წარწერა მოგვითხრობს. სამხრეთი ბაზაერის ქვის აწ დაღუპული წარწერა (იგი XIX საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა) გვაუწყებდა, რომ ეკლესია ფარსმან ერისთავთ-ერისთავს აუგია მისი და თავისი მშობლების სადიდებლად. („ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ ერისთავი აეშენა ესე ეკლესიაჲ სადიდებლად მათდა და მშობელთა მათთა სალოცველად“). ეს ფარსმანი მეფე ბაგრატ IV-ის დროინდელი ჯავახეთის ერისთავია, ქართულ წყაროებში ფარსმან თმოგველად ცნობილი. იგი იხსენიება ზედა თმოგვის ეკლესიისა და მირაშხანის გამოქვაბულის წარწერებში (იხ. ქვემოთ.). ამ უკანასკნელის ცნობით, ფარსმანი 1065 წელს, ალფ-არსლანის შემოსევისას დაღუპულა ახალქალაქთან ბრძოლაში. ქართული წყაროები მოწმობენ, რომ ჯავახეთის ერისთავთერისთავი ფარსმან თმოგველი მნიშვნელოვან როლს



16-17 სათხე. ქრილი სამხრეთით, გეგმა

ასრულებდა XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის მიერ აგებული სათხის ეკლესია დარბაზულია.

მის სამხრეთის კედელზე XIX საუკუნის სომხური ეკლესია პირდაპირაა დაშენებული, ისე, რომ ძველის სამხრეთის ფასადი ახლა ინტერიერში მოექცა. დარბაზის ფართო სივრცეში პილასტრ-თალებით დანაწევრება პლასტიკურ კედლად იკითხება. მაგრამ ეს პლასტიკა, რელიეფურობის მიუხედავად, კედლის ნახატივითაა, თითქოს სახაზავით დატანილი. იგი იმდენად თანაბარი, ერთნაირი და ინერტულია, რომ ყველა ფორმა ერთმანეთს გავს, უმცირესი ცვლილებების გარეშე, მათზე გადმოზნექილი, სულ ერთნაირი კაპიტელები კი, თითქოს თავის თავი დაამძიმესო, შემაწუსებლად იკითხება. ეკლესიის ინტერიერის პლასტიკის ერთსახოვნება უნდა გვიჩვენებდეს არქიტექტურული აზროვნების ერთგვარ მოდუნებას, გაცალმხრივების საერთო პროცესს, რასაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნის შემდგომი დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაში. სამაგიეროდ კი, მთელი ყურადღება საფასადო მორთულობის გამდიდრებისკენაა მიმართული. ასეა აქაც — სამხრეთის ორი გაუქმებული სარკმლისგან განსხვავებით, დღემდე შემონახული შემკული დიდი ბალაგრის ქვა — ღმრთისმშობელი ყრმით სამოთხის ბაღში, რომლის ირეგულარული დანაწევრება, ფიგურების სიბრტყობრიობა და სპეციფიკური პროპორციები, ჯგავხური სკოლის საერთო ხასიათითაა ნასაზრდოები. ჩუქურთმათაგან, როგორც ფესვებიდან, უშუალოდ ამოზრდილი სამოთხის მცენარეები კი

გვიჩვენებენ ზოგადად შუა საუკუნეების ხელოვანის მიდგომას – ეკლესიის ჩუქურთმა იყო არა მხოლოდ მორთულობა, „თვალის საამო“, არამედ სიმბოლურად სამოთხის მახასიათებელ-მაჩვენებელი. სათხის ეკლესიის ფასადები ნათელყოფენ ამ პერიოდის ჯავახეთის კავშირს ცენტრალურ სკოლებთან და იმ გადაკეთებების თანმიმდევრობასაც, რასაც ეკლესია განიცდიდა საუკუნეთა განმავლობაში (XV და XIX საუკუნეები). სწორედ ეკლესიის მაშენებელ-შემკეთებელთა თუ მლოცველთა მოსახსენებელი წარწერებია კედლებზე შემორჩენილი, რომელთაგანაც ნაწილი გადაუფხვკიათ. ბოლო ხანებში, სათხის ეკლესიის სამხრეთ კედელზე, გამოჩნდა კიდევ ერთი წარწერა, რომლის მიხედვით, ვინმე გიორგი შაზულიძისა და მის ძეთათვის, ეკლესიის შესვეურებს, ორდღიანი აღაპი დაუწესებიათ; აქ უნაკლულად უნდა დახარჯულიყო ბარბარობას ეკლესიაში შემოსული ღვინო და სუფისკვერი.* მოხსენიებული პიროვნება სხვა წყაროებით უცნობია, მაგრამ ეს წარწერაც, ისევე, როგორც ამ ეკლესიის მლოცველთა სხვა წარწერები, XII-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ეკლესიაზე მიშენებული სომხური ტაძრის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე ძველი ქართული ჩუქურთმიანი ქვებით – მეორადად გამოყენებული სარკმლის საპირეებია გამართული, მაგრამ ისინი სათხის ეკლესიის მშენებლობის დროინდელი, XI საუკუნისა არ ჩანს, უფრო XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება. მათი წარმომავლობა უცნობია. იქვე, დიდი ქვის ვერძის ქანდაკებაა. სოფელში კიდევ ორი ძველი სასაფლაოა, სადაც საფლავთა შორის გვხვდება ცხენებისა და ვერძების ქვის ქანდაკებანი.

24. სოფელს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კლდინი ქელი დაჰყურებს, რომლის თხემსაც მთელ პერიმეტრზე ნალისებური მოყვანილობის, მშრალად ნაგები გალავანი შემოუყვება, რომელიც სწორი კედლით იკვრება, გალავნის შიგნით კი სადგომთა ბუდეები ჩანს. წინაქრისტიანული ხანის გალავნის სამხრეთ განაპირას, ახლა უკვე კირის ხსნარის გამოყენებით, შიდა ციხე მოუწყვიათ, ეს შესაძლოა სათხის ეკლესიის აგების თანადროულად მომხდარიყო. არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ გვიანბრინჯაოდრეკინის ხანის კერამიკული ფრაგმენტები დაადასტურეს.

სახელწოდება სათხე, ამ ადგილებში გარეული თუ შინაური თხების სიმრავლეზე უნდა მიუთითებდეს. ქართული წერილობითი წყაროს მიხედვით, XV საუკუნეში ქართლის სამეფოს საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით გადიოდა „სერ-სერ სათხე ქუჩეცლას თავსა...“

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში (1595 წ.) ეს სოფელი არ იხსენიება. ჩილდირის ვილაიეთის ჯგაბ დავთარში, 1712 წელს სოფელი სათხა შედის აკშეპირის რაიონში, ახალქალაქის ლივაში. ის მაშინ ვინმე ალის დაქვემდებარებაში იყო, 1999 ახნის გამოსაღებით. როდის დაიკალა ძველი მოსახლეობისგან ეს მნიშვნელოვანი სოფელი – არ ჩანს. ამაჟამად იქ სომხები ცხოვრობენ, რუსეთის მთავრობის მიერ 1830-იან წლებში არზრუმის მხარიდან გადმოსახლებულნი.

25. (ტაბ. 63-64) სათხიდან ჩრდილო-დასავლეთით სოფელი ორჯალარია. მის ცენტრში, დაბალგალავანშემოვლებულ მინდორზე, ხის ნაგებად დაყოფილი დიდი, უგუმბათო XIX საუკუნის სომხური ეკლესია დგას. ბრტყელი ხის გადახურვა, კედლების აგებისას გამოყენებული სხვადასხვა, ძველი ქართული საფლავებისა, ნაეკლესიარის თუ ახლადგათლილი ქვები, ამ ეკლესიას, სიდიდის მიუხედავად, სახ-

* „ქ. გიორგი მამულიძისა და ძეთა მისთა შენდევნ ღმერთმან, დაიდევს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზღაძემ და სუფისკვერი გამოვიდეს – ბარბარობაი და მეორედ მოსვლია, ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერვიინ დაჰალოს წირვია ჩუენმა მომავალმან და ვინცა დაჰალოს კანონსამცა ქუეშე არს, ამენ“.

ელდახელოდ აგებულის შთაბეჭდილებას უქმნის. მართლაც, აყალო მიწით შეკრული სქელი კედლების ერთ-ერთი კუთხე (ჩრდილო-აღმოსავლეთისა) გადმონგრეულა და ნაწილობრივ გადმოუტანია ძლიერ ფასეული, X საუკუნის ქართული პლასტიკური ხელოვნების საყურადღებო ნიმუში - უშეკლებელი ქტიტორული გამოსახულება. მასზე ანგელოზი და მაშენებლები მთელი ტანით იყვნენ გამოსახულნი. დაქარაგმბული წარწერები ყველა მათგანს ახლდა („დრნგ“ „მკეცი“, „ანგელოზი“, „ლქა“, „სიმონ“; სავედრებელი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მკეცი“). წარწერაში ორჯერ დასახელებული მკეცის სეხნა პიროვნება, ასევე ორჯერ იხსენიება ხეოთის (სამცხეში) X-XI საუკუნეების წარწერებში. დღეს კედელზე ორი ფიგურალა დარჩა, დანარჩენი კი ჩამონანგრეულია დატანილი. მათი ბლოკური ფორმები, ზედ დადებული სინგურით დაფერილი თხელი ნაოჭები, პროპორციები, X საუკუნის პლასტიკურ ძიებათა საუკეთესო მაჩვენებელია. ეკლესიის გალავანშემოვლებულ ეზოში საინტერესო საფლავის ქვებია, მათ შორის ვერძებისა და ცხენების ქვის ქანდაკებანიც.

26. (ტაბ. 65-66) ორჯალარიდან ჩრდილოეთით ერთ კილომეტრზე, მინდვრებში, მდინარე ფარაენის მარცხენა ნაპირას კიდევ ერთი ნაეკლესიარია - თითქმის მიწასთან გასწორებულ ნანგრევებიდან დღემდე შემორჩა ტრაპეზის ჯვრიანი ქვა. იქვეა ერთმანეთში გაყრილი რგოლების უწყვეტი მწყკრით მორთული კარნიზის ფრაგმენტებიც, რაც მათ XIII-XIV საუკუნეში შესრულებაზე უნდა მეტყველებდეს.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, სოფლები ქვემო და ზემო ორჯა შედიოდნენ ახალქალაქის ლივაში, აკშეპირის რაიონში. ქვემო ორჯაში 14 კომლი ქართველი ცხოვრობდა. მათი მურნეობა მარცვლეულის მოყვანას ეყარებოდა. პქონიათ ბოსტნებიც, ჰყავდათ ფუტკრებიც, ღორიც და ცხვარიც. სოფელს გააჩნდა 2 თვალი წისქვილი და იხდიდა გადასახადს 13000 ახნის ოდენობით. ზემო ორჯა მამინ გაუკაცრიელებული ყოფილა, რომლის მიწებით, ჩანს ქვემო ორჯა სარგებლობდა. ამიტომაც ორ მეზობელ სოფელს „ორჯაები“, თურქულად „ორჯა-ლარ“ (მრავლ. ნიშანი) დაერქვა. აქ მაჰმადიანებს უცხოვრიათ 1918 წლამდე, შემდგომ სომხები მოსულან. ორჯალარი ხდით უკავშირდება მდინარის მარჯვნივ მყოფ სოფ. ბატკანას...

27. (ტაბ. 67) ორჯალარიდან სასოფლო გზა სოფელ არაკალისკენ მიდის. მდინარე ფარაენისწყლის ორსავე ნაპირზე განლაგებულ სოფელში, დამრეც ფერდობზე 1868 წელს აგებული სომხური ტაძარი დგას. იგი ფლეთილი ქვით ნაშენი, ხის ბოძების სამი წყვილით გატიხრული, ბრტყელგადახურვიანი ეკლესიაა, რომლის მშენებლობისას მრავლად გამოუყენებიათ ძველი ქართული ქვა-ჯვრების ფრაგმენტები. ისინი სხვადასხვა დროის ჩანს, ადრეშუასაუკუნეებიდან მოყოლებული (სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ბაზისი) თვით XV საუკუნემდე (დასავლეთი ფსადის ჯვარი).

სოფლის ქვედა ნაწილში კიდევ ერთი სომხური ეკლესიაა, რომლის გვერდზე 20-ოდე წლის წინ იდგა პერანგშემოცლილი ქართული ეკლესია ძველი სასაფლაოთი. ამჟამად მისი კვალი აღარ არსებობს.

არაკალი XVI საუკუნის ბოლოს ნასოფლარი ყოფილა. ამჟამინდელი სომხური მოსახლეობა 1830-იან წლებშია გადმოსული არზრუმის მხარიდან.

არაკალიდან ებრუნდებით ნინოწმინდაში, სადაც შერქრდა ჩვენი ექსპედიცია. ნინოწმინდა (ყოფილი ბოგდანოვკა) წარმოადგენს რაიონულ ცენტრს. იგი ძირითადად სომხებით არის დასახლებული.

28. ნინოწმინდის სამხრეთით, საქართველო-სომხეთის საზღვრისკენ მიმავალ გზაზე სოფელი ორლოვკაა. მასში რუსეთიდან XIX საუკუნეში ჩამოსახლებული ღუხობორები ცხოვრობენ - რაც სოფელსაც ეტყობა - ერთსართულიანი, დამრეც-

სახურავიანი ხის სახლები, სხვადასხვა ფერად შეღებილი ფასადები, ნაირფერად მოქარგულ თეთრ სამოსში გამოწყობილი რუსი ქალები...

ძველი ნასოფლარი სოფლის გარეთაა, 4-5 კმ-ზე, მცირეწყლიანი ხევის ორსავე ნაპირზე. ზაფხულში აქ ძალიან ცხელა, წყალიც იკლებს და „სულის მოსაბრუნებლად“ უხერ გარემოში, დიდი ღოდების ჩრდილსდა შეიძლება შეაფარო თავი. ნაგებობებიც აღარ გადარჩენილა – ნასახლარებს შორის ოდესღაც მდგარი ეკლესია ჯერ გაუძარცვათ, შემდეგ კი აუფეთქებიათ. დაზარალები დიდ-დიდ ღოდებს შორის სასწაულით შერჩენილა ზემოთ გაფართოებული, ნიშანსვეტივით აღმართული საკურთხევლის ნანგრევით. ჩანს, რომ ტაძარი რუსი ფერის ერთმანეთს მორგებული საშუალო და მოზრდილი ქვით იყო შემოსილი, რაც მას „ქარგი ღრიოსად“, შესაძლოა X საუკუნის ნიმუშად ახასიათებს. ეკლესიისგან მოცილებით ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 500 მ. (!) ძველი სასაფლავო – ვერძებით, ჯვრიანი თუ სადა საფლავის ქვებით. აქაა გრაფიკული ზაზით სქემატურად შემოხაზული საფლავი გარდაცვლილის გამოსახულებით – აქეთ-იქით დოქით (ღვინო) და სეფისკერით, ზანჯლებით, ერთგან კი მხედრით. ნასოფლარის ძველი სახელი უცნობია.

ნასოფლარის მახლობლად მცირე ზომის ტბაა, რომლის ჩრდილოეთ სანაპიროზე სწორკუთხა სიმაგრის ნაშთია.

29–30. ასეთივე სიმაგრეანი ნასოფლარები ახლავს ორლოვკის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ორ ტბას. მათ სიახლოვეს დუხობორების სოფლები იყო – გორელოვკა და ტროიცკოე...

31–32. ორლოვკის ჩრდილოეთით მდებარე სოფ. სასოვკასთან, მდინარის მარჯვენა კიდეზე ორი ნასოფლარია, ქედებზე თავის სიმაგრეებით. აღნიშნული პუნქტების ძველი სახელწოდებები ასევე დაკარგულია.

33. დიდი ზანჯალი პირველი სოფელია, რომელიც ნინოწმინდის სამხრეთით, ზანჯლის ტბისკენ მიმავალს შეხვდება. სიძველეთაგან აქ ბევრი აღარააფერია – სოფლის კიდეში, დასავლეთის შემაღლებაზე 1995 წელს ბეტონით აგებული სწორკუთხა მცირე „სურბი“ (სომხ. „წმინდა“) ძველი ქართული ქვა-ჯვრის ჯვრიან ბაზისზე დაუშენებიათ. გარშემო დაბალი გალავანია. ზოგი ქვა აქ ძველი საფლავებისა უნდა იყოს.

34. ამავე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში ბორცვზე ნაეკლესიარაც გვხვდება. უსწორმასწორო ქვები ისეა დახვავებული, გეგმაც ძნელი აღსადგენია. საკურთხევლის ადგილას ორი თლილი ქვა დევს. ერთ-ერთი მათგანი ჯვრის ბაზისია, დაახლოებით XIV-XV საუკუნეებისა. გარშემო აქაც ძველი ნასახლარია. სოფელში ჩამომავალი მდინარის ორსავე ნაპირზე მყოფ ნასახლარებს მშრალი წყობის გალავნები ახლავთ.

35–37. ზანჯლის ტბის სამხრეთით არის სოფ. პატარა ზანჯალი, რომელიც ძველ ნასოფლარზეა გაშენებული. მის დასავლეთით კიდევ ორი ნასოფლარია, ერთს „თეზ-ზარაბას“ უწოდებენ. შესაძლოა აქაც აღმოსავლეთ საქართველოში ზშირად დამოწმებული სახელწოდება – თეზი ვიგულისხმობ.

ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, ნასოფლარს ნაეკლესიარის ბუდე შერჩენია, გორაზე კი მშრალი წყობის სიმაგრეა. აქედანვე უნდა მოდიოდეს ადგილის თურქული სახელი „ყალაჩა“ („ყალა“-ციხეა).

XVI საუკუნის ბოლოს აღწერილი პუნქტები უკვე ნასოფლარებია, მაგრამ ზანჯლის ტბაში დაჭერილი თევზის გამოსაღები 3500 ახჩას შეადგენდა. ფიქრობენ, რომ ზანჯლის ტბას ასეთი სახელი მისი მოყვანილობის გამო შეერქვა. დიდი და პატარა ზანჯლის სომხური მოსახლეობა აქ XIX საუკუნის I ნახევარშია მოსული.

აქაური მაჰმადიანები კი 1918 წელს ოსმალეთს გადასახლებულან.

ხანჩალის ტბის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ, დიდი და პატარა ხანჩალის შემდეგ გვხვდება დლივი, ხოლო მის ჩრდილოეთით—დიდი და პატარა გონდრიო.

38. (ტაბ. 68-70) დლივის დასავლეთით მოზრდილი ნასახლარია შემორჩენილი სადგომების, ზღუდე-კედლების ნაკვალევით, ბორცვზე კვადრატული გეგმის ნაციხარით, ძველი საფლავის ქვებით. მიუხედავად იმისა, რომ აქ გადაყარებული მენპირიც გვია და კედლებიც უძველესი წესით, მშრალადაა ნაგები, მაინც, დასახლება შუა საუკუნეების უნდა იყოს.

აქაურობას შორიდან მაღალი, სიგრძივად განვითარებული ქედი დაჰყურებს, მასზე პატარა გონდრიოდან ხანჩალისაკენ მიმავალი გზიდან გადასახვევი ადის. მაღალ მთაზე, ძალზე დიდ ტერიტორიაზე გაშლილი ნასახლარები, სწორედ წყაროებიდან ცნობილი დლივის მეფეთა სადგომია. უშველებელი კედლების ნაფუძრები, მრგვალ სადგომთა, ვალავანთა, ზღუდეთა მიწის დონემდე დასული ნანგრევები, იმხელა ტერიტორიას მოიცავს და ისე მასშტაბურია, რომ უეჭველია, აქ მეფენი მრავალრიცხოვანი მსლებლებითა და მებრძოლთა რაზმებით ბინადვებოდნენ. აქედან მოჩანს ჯავახეთის დიდი ნაწილი, აქედან შეიძლება მოგეხილა და გეკონტროლებინა დიდი ტერიტორია...

988 წელს დავით კურაპალატს შეატყობინეს ბაგრატ III-ის მზადება მასთან საომრად. დავითმა „მოუწონა ლაშქარსა თვისსა... მოვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვი...“. 1008 წელს კახეთის შემოერთებამდე, მეფე ბაგრატ III „იყო მას ჟამს დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა...“ 1057 წელს კი ქართველმა დიდებულებმა სულა კალმახელის მეთაურობით, „შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე“ და ბაგრატ IV-ს მიუყვანეს ახალქალაქში.

საფიქრებელია, რომ ზემოაღწერილი, სოფელ დლივის მახლობელი დასახლება, ამ კომპლექსის ნაწილი ყოფილიყო.

1595 წელს, ჩილდირის ლივაში, ქანარბელის რაიონში მყოფი სოფ. დლივი, უკვე ძლიერ შემცირებული სოფელი იყო, სადაც 7 კომლი ქრისტიანი ქართველია იყო დარჩენილი. ისინი მემინდვრეობითა და მესაქონლეობით ირჩენდნენ თავს, თუმცა კი ჰქონიათ ბოსტნები, ჰყოლიათ ფუტკარიც. წლიურად იხდიდნენ 12 000 ახჩას. 1704-1705 წლებში ეს სოფელი ვინმე ავეზის დაქვემდებარებული ერთეულია ისევ 12000 ახჩის გამოსაღებით.

ახლანდელი სომხური მოსახლეობა XIX საუკუნის 30-იან წლებშია გადმოსახლებული არზრუმის მხარიდან.

39. (ტაბ. 71-73) დლივიდან ნინოწმინდისკენ მიმავალ გზაზე, ხანჩალის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე, კიდევ გვხვდება ციკლოპური ციხე, მას აქაურები „კარტულას“ უწოდებენ. იგი მშრალი წყობით ნაგები, შემალღებაზე მდგარი ოვალური გეგმის მქონე ნაციხარია წინაქრისტიანული ეპოქისა. ის შუა საუკუნეებშიც იყო გამოყენებული, რაზეც მეტყველებს მის სიახლოვეს, სულ რამდენიმე მეტრზე, ბორცვის ძირში არსებული ნაეკლესიარი და სასაფლაო (სამუშაო იარაღებით შემკული ვერძები, საფლავის ბრტყელი ქვები). ეკლესია სულ დანგრეულია. მის ადგილას სწორკუთხა სომხური „სურბი“ აღუმართათ. რომლის აღმოსავლეთ კედელში ჩატანებულია ძველი ტრაპეზის ჯვრიანი ქვა. ნაგებობის გარშემო ქვებში ემზაზი და ჯვრის ბაზა იპოვება.

40. დიდ და პატარა გონდრიოში, სადაც XIX საუკუნის სომხური ეკლესიები გვხვდება. ყველაზე საყურადღებო პატარა გონდრიოს უშველებელი ნასახლარია,

რომელსაც აქაურები „მაითუმანს“ უწოდებენ. ვეება ქვების მშრალი წყობით ნაგები კვადრატული გეგმის გალავანში შესვლა, დიდი ბალავრის ქვით გადახურული კარით შეიძლება, აქვე გარშემო ნასახლარებიცაა. თუ გალავანი წინაქრისტიანული ეპოქისა შეიძლება იყოს, მის გარეთ ნასახლარს შუა საუკუნეთა ელფერი დაჰკრავს.

41-42. (ტაბ. 74-76) პატარა გონდრიოდან დადგენილი 3-4 კილომეტრია. აქაც ორი ეკლესია-ძველი ქართული და მასზე სამხრეთიდან მიბჯენილი XIX საუკუნის სომხური ტაძარი. ორივე დაკეტილია და სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული. ქართული კარგა ხანია არ გაღებულა, სომხურში კი სულ რამდენიმე წლის წინაც კი ყველის ქარხანა იყო გამართული. ძველი ეკლესიის სქელი პილასტრებით თანაბრად დაყოფილი ინტერიერი, რალაცნაირად მარტივი და თითქოს ერთსახოვანია, „სტანდარტული“, ფასად-კედლებიც თითქოს ერთნაირი, განურჩეველი, „აუღელვებლად“ დაწყობილი ქვებით იქმნება, რომლებზეც ამ „აურქარებლობის“ მიუხედავად, უზუსტობასაც ვხვდავთ — დასავლეთით გვერდივერდ ორი სარკმლის მოწყობა გადაუფიქრებიათ და ცენტრში ერთი მათგანი, ხელობის გასაიოლებლად, ერთიან ქვაში ამოულერუტნიათ (მორეს წირთხლი იქვეა გაწყვეტილი). პროპორციაც „ნელია“, დაუძაბველი და გამომსახველობითი ამოცანის გარეშე — „სახლისებური“. ამის მიუხედავად მისი სიძველე აშკარაა, თლილი და უთლელი მასალის მოხმარება, ინტერიერის გაფორმება, ცალკეული დეტალები IX საუკუნის ბოლოზე მიუთითებს, ნაგებობას კი შუა საუკუნეების „მასობრივი“ მშენებლობის ერთ-ერთ ნიმუშად აქცევს.

საყურადღებოა სომხური ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე დატანებული X-XI სს. გრძელი ბალავრის ქვა, ხელმეორედ გამოყენებისას კიდევბათილი, ცენტრში კუწუბებით მორთული სათაურით, მის მარცხნივ სარკმელთან ერთ ქვაში ამოჭრილი ასომთავრული წარწერით, რომელიც 1970-იან წლებშიც უკვე ვეღარ იკითხებოდა. ადგილობრივთა ცნობით ახალი ეკლესიისათვის ეს ქვები რომელიღაც ძველი ნანგრევ-იდან, სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი (?). ახალი ეკლესიის დასავლეთის ფასადთან საყურადღებო საფლავის ქვა დევს — მოახლო ფორმის კუბურ მოცულობას ძველი ქართული ორნამენტული რეპერტუარი ამკობს.

43. სოფლის სამხრეთით, შემადგენაზე გალავანია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბერდს“ (ციხე) უწოდებს. აქვე, მახლობლად წყალს წინაქრისტიანული ქვა-ყუთიც გამოურეცხავს.

44. სოფლის დასავლეთით, კლდოვან გორაკზე კიდევ ერთი „დამწყალა“ ეი. ქვაციხე. გორაკის თხემის ნაწილი, სამკუთხედად მოზღუდულ გალავანს უჭირავს. მოპოვებული კერამიკით ისიც წინაქრისტიანულია.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, სოფელი დაღეში ჩაღდარის ლივაში ითვლებოდა, ქანარბლის რაიონში. მაშინ იქ 16 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. ტრადიციულ კულტურათა მოყვანის გარდა, ჰქონიათ ზეთსახლეოც ერთი თვალი, თუმცა კი გააპრტახებული. მათი წლიური გამოსაღები შეადგენდა 16400 ახჩას. 1709-1710 წლებში ეს სოფელი ვინმე აბდულლამს ექვემდებარებოდა, 8000 ახჩა წლიური გადასახადით. 1716-1717 წლებში მას უკვე ვინმე მასან აპმელის ძე ფლობდა, ხოლო სოფელი წლიურად 8400 ახჩას იხდიდა. დაღეში იყო ზერთვისის რაიონშიც. ვახუშტი ბატონიშვილი კი მესამე დაღეშს კოლაში ასახელებს.

როგორც ჩანს, ზემოთ აღწერილი დაღეში, ყოველთვის მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა არტანუდან მომავალ თრიალეთ-ქართლის გზაზე. უცნობია როდის ეწოდა მას კურუდაღეში, რაც ზოგიერთ ძველ რუკაზეა აღნიშნული. ამჟამინდელი სომხური მოსახლეობა, XIX საუკუნის 30-იან წლებში გადმოსახლდა არზრუმის მხარიდან.

45. (ტაბ. 77-80) დაღეშიდან სულდამდე 3 კილომეტრია. სოფლის შუაში, ფერდზე,


XIX საუკუნეში აგებული წმ. გიორგის დიდი სომხური ეკლესია დგას. იგი ხის ოთხი სვეტით „ნაგებად“ დაყოფილი „ბაზილიკური“ ტაძარია ბრტყელი, მობელტილი სახურავით. ეკლესია ფლეთილი ქვით აუგიათ, ჩანს, ძველი ნაეკლესიარის ადგილზე, მშენებლობისას კი ძველი ნაგებობის დასავლეთის კედელი გამოუყენებიათ, თავსართითა და ჯვრებით მორთული კართურთ. აღმოსავლეთი ფასადის გასამშენებლადაც ძველი ქვებია გამოყენებული — დიდი სამი ჯვარი ერთ რიგშია ჩამწყობებული. მარცხენა ჯვრის მკლავზე ამოკაწრულ ასომთავრულ წარწერაში („წმიდაო გიორგი შეიწყალე ახალციხელი“), ახალციხელი წმ. გიორგის შეწყალებას სთხოვს. ახალციხელი სახელი არ ჩანს, შესაძლოა აქ ივანე ახალციხელი ივულისხმებოდეს, შალვა თორელის ძმა. შუათანა ჯვრის ასომთავრული წარწერა კი („სახელითა ღვთისმშობლისაძთა ჯუჯარი ესე აემართა. მე თევდორემ მოგახსენე შეილთა ჩემთა მიქელ...“) გვამცნობს ვინმე თევდორეს მიერ ჯვრის აღმართვას ღმრთისმშობლის სახელით. ჯვრები XII-XIII საუკუნეებისა უნდა იყოს.

ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, შუა სოფელში არსებულ გორაკზე ციხის ნანგრევი ყოფილა, რომელიც მათ დაუშლიათ, სკოლა აუშენებიათ და ირგვლივ გალავანიც შემოუვლიათ.

ჩანს, სულდაც შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, არტაანიდან ჯავახეთ-თრიალეთით მიმავალ გზაზე.

1595 წ. ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, სოფ. სულდა ითვლებოდა ჩილდირის ლივაში, ქანარბელის რაიონში. იქ ცხოვრობდა მაშინ ოთხი კომლი ქრისტიანი ქართველი. მათი მეურნეობით მიღებული წლიური გამოსაღები 12000 ახჩას შეადგენდა. 1720-1721 წლებში სულდა ექვემდებარებოდა ვინმე ხალილ ველის ძეს, 2490 ახჩა გადასახადით. 1870 წ. აქ უკვე 66 კომლი სომეხი ცხოვრობდა, გადმოსახლებულები არზრუმის მხარიდან. სულდა ამჟამადაც სომხური სოფელია.

46. (ტაბ. 81) სულდის სოფლის ეკლესიიდან თავისუფლად მოჩანს სოფლის თავზე, ვაკეზე ამოწვილ მთაზე მდგარი ნაგებობა, რომელიც ისეა შიფერით ბრტყლად გადახურული და პროპორციამეცვლილი, რომ ახალი გეგონება. ახლოს მისვლისას ეს X საუკუნის ეკლესიის ნანგრევი აღმოჩნდება, ძველი იატაკით, ზოგადად თლილი, ერთმანეთზე შესანიშნავად მორგებული მბლავრი ქვებით ნაგები კედლებით, რომელზეც



18. სულდა. გეგმა

ახალი წყობა დაუშენებიათ და მასში შეკიდული თაღის კაპიტელი ჩაუყოლებიათ. ეკლესიას სამი მხრიდან მინაშენთა კვალი მოუჩანს. ყველაზე საყურადღებო კი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმართული ქვის დიდი ჯვარია, სადა, „ბრუტალური“, ძლიერი, ბოლოებგაფართოებული მკლავებით, რომელიც ეკლესიის თანადროული, X საუკუნისა უნდა იყოს.

47. (ტაბ. 83) გზას სულდიდან კარწახში ავყავართ. სოფელი დიდი კარწახი ამავე სახელწოდების ტბის სიახლოვესაა. იგი საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფელია, საბჭოთა კავშირის დროს „საჩვენებელი“ და საგანგებო ზრუნვის საგანიც. აქ დღემდე სკვერი — პროლეტარიატის ბელადის, ლენინის წელსზედა ქანდაკებით. სოფელში 1894 წელს აღმართული უგუმბათო სომხური ეკლესია დგას — თლილი შავი ქვით ნაგები, დიდი ფანჯრებით, აღმოსავლეთის დამოუკიდებლად გადახურული სამანწილიანი საკურთხევლით, დასავლეთის კენზე სამრეკლოთი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე, ცენტრალურ ღერძზე, ორი ძველი ქართული დაზიანებული რელიეფია ერთმანეთზე დასმული — ქვედა მათგანი გვერდულადაა ჩაყოლებული. მის ცენტრში ჯვრის სახედ „ოთხყურა“ ღიობია გაჭრილი, რომელსაც ზემოდან და ქვემოდან სადგრები „იჭერენ“. კვადრის კიდეებში კი ანგელოზები (ზემოთ) და ცეცხლოვანი ბორბლებია (?) (ქვემოთ), გამოსახული. მეორე, აგურისფერ ქვაზე გამოკვეთილ რელიეფზე აღმართულია სამკუთხა სადგარიანი ჯვარი და ორი ანგელოზია წარმოდგენილი — ფრთებით, სამწერობლებით ხელში (?). ფონის პარალელურად ამოზრდილი რელიეფური ფიგურები, პარალელური ხაზებით დაბუშვებული დეტალები, მათ X საუკუნის პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებად ანასიათებს და მეზობელი ქვემო ქართლის პლასტიკის ნიმუშებს მოგვაგონებს.

48. სოფელს ჩრდილოეთიდან „ქორ-ოდლის“ მთა დაკურებს, რომლის თხემზე ბუნებრივი კარქნალი ციხე-გალავნად უქცევიათ. კედლები მშრალი წყობისაა. აქედან კარგად ჩანს კარწახის ტბის ლამაზი გარემო. სამხრეთ-დასავლეთით ქედებს გადაღმა, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, წყაროსთავის ეკლესია უნდა იყოს — ჯავახეთის მეორე საეპისკოპოსო ტაძარი, რომელთანაც გამოივლიდა არტაანიდან ჯავახეთზე მომავალი გზა. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალის ძემ, მირდატმა „აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა“.

1525 წელს ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, აქ ორი სოფელი, დიდი და პატარა კარწახი იყო, შესაბამისად 33 და 31 კომლი მოსახლით. დიდ კარწახში მცხოვრებთა შორის დასახლებულია ყარაგოზ მღვდელი მუხთარის ძე და ბატუ ძე მისი, ასევე მამული დაზანფერის მფლობელობაში მყოფი.

49. (ტაბ. 82) კარწახის ტბის ნაპირზე, მაღალ ბალახებში, საყურადღებო ხაჩქარებია აღმართული — ჯვრებით, ორნამენტებითა და სომხური წარწერებით. აქაური სომხური მოსახლეობა XIX საუკუნეშია მოსული.

50. თურქეთ-საქართველოს საზღვრისპირა დასახლებათაგან ზავეთი ერთ-ერთი კიდურა სოფელია. ამიტომაც აქა საზღვრის საკონტროლო-გამშვები პუნქტიც. მის ტერიტორიაზე მრავალის გაფცქნეილი ნაეკლესიარია — თითქმის მიწასთან გასწორებული ნანგრევი.

51. (ტაბ. 84-85) სოფელ ზავეთის თავზე, დასავლეთით ერთ კილომეტრზე კი ორი ძალზე საგულისხმოდ ქვაჯვარაა აღმართული. ერთ-ერთზე, ქვემოთ წარმოდგენილი აღამიანის მცირე ფიგურა ზემოთ დიდი ჯვრით გრძელდება. გვერდებზე სიმბოლურ-დეკორაციული გამოსახულებებია.

მეორე ქვაჯვარის ბაზისზე ბოლნური ჯვარია გამოსახული. მასში ჩადგმული ქვის ჯვარი გადატეხილია. ბაზისის უკან მხარეს დაუშთავრებელი ასომთავრული წარწერაა (ქ. სახელითა მამისა და...). იქვე დაყრილი რამდენიმე თლილი ქვა შესა-

ძლოა აქ ეკლესიის არსებობაზეც მეტყველებდეს.



ხავეთი იხსენიება XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა ეპარქიების განმსაზღვრელ ერთ საბუთში: „კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისის ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდი... წყაროსთაველის სამწყსო: ხავეთი (შეცდომით წერია „ხავეთი“ - ღბ.) და იმას ზეით პალაკაციო კოლას საზღვრამდინ, მტკვარს აქეთი არტაანი“ ეი. ხავეთი შედიოდა წყაროსთაველი ეპისკოპოსის სამწყსოში.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ხავეთი ჩილდირის ლიევაში ითვლებოდა, ქანაზელის რაიონში. იქ მაშინ 36 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთა შორის დასახელებულია არდანა ოქრომჭედლის შვილი. მათი არსებობა ტრადიციულ, ზემო ჯავახეთის მემინდვრობასა და მესაქონლეობას ემყარებოდა. პქონიათ ბოსტნები და ჰყავდათ ფუტკარი. სოფელში 3 თვალი წისქვილი ბრუნავდა სრული წლის მანძილზე. იყო ზეთსახდელი ერთი თვალი და 2 გაპარტახებული წისქვილი. ხავეთის წლიური გამოსაღები 13000 ახჩა იყო.

52. (ტაბ. 86-91) ხავეთიდან, რომელიც სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი კიდე-რა სოფელია, კვლავ ნინოწმინდაში უნდა დაებრუნდეთ. მისგან ჩრდილოეთით, 4-5 კმ-ის დაცილებით, მდინარე ფარანის ორთავე ნაპირზე სოფელი გაურმა გაშენებული. სწორედ იგია ის მნიშვნელოვანი სოფელი, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ (XI საუკუნის 30-იანი წლები) სოფელ ტონთიოდ იხსენიება, საკათალიკოსო სოფელს წარმოადგენს და სადაც მელქისედეკს საყდარიც აუშენებია. მართლაც, სოფლის ცენტრში დღემდე მშვენიერად შემონახული ეკლესია დგას, რომლის წარწერებიც* საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ფიგურებს – მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსს, მეფე გიორგი I-სა და მელქისედეკის გაზრდილს, იოანე-ოქროპირს, ქართლისა კათალიკოსს (ეს უკანასკნელი ოდნავ შეზღვევია შესრულებული), იხსენიებს. XI საუკუნის I ნახევარში ჯავახეთში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინება, რომლის დროსაც ბიზანტიელთა ლაშქარი საქართველო-ბიზანტიას შორის 1024 წლის ზავის დაღებაზე, რამდენჯერმე მოაოხრებს სამხრეთ საქართველოს, წარწერებში მოხსენიებულ პირთა ურთიერთ-შეჯერება (აქ მეფე გიორგი ცოცხალი იხსენიება, მელქისედეკი კი კათალიკოსია), ტონთიოს ეკლესიას 1023-1027 წლებს შორის შუალედით ათარიღებს. თავად ეკლესიას კი მცხეთის საკათალიკოსო მამულში კათალიკოსის თაოსნობით აგებულად წარმოაჩენს. არა მხოლოდ წარწერები, თავად ტაძრის ხუროთმოძღვრებაც მაღალი ხელოვნებისა და მნიშვნელოვანების უეჭველ ნიშანს ატარებს. ტაძრის მაღალი, ზემსწრაფი და შემართული პროპორციაც კი ნათელყოფს ოსტატთა შემოქმედებით გაქანებას. მოითურო, მოღვინისფრო და მოყვითალო უზადოდ თლილი კვადრების პერანგზე, ენერგიულად გადაიშლება მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტაცია. უსუფთავეს, თითქოს „სტერილურ“ და მტკიცე ზედაპირზე იკრებს ძალას აღმოსავლეთის სარკმლის საპირის ესისებური თუ აკანთის მოტივები, სამხრეთის წრიული სარკმლის, თითქოს სიმხურვალისგან დაღვეთილი ოქროს დარად, თხლად და პლასტიკურად ნაძერწი, სამოთხის სიმბოლიკა – ფარშევანგები, მცენარეები, ფანტასტიკური ცხოველები, ანდა დასავლეთის სარკმელსა და სამხრეთის ერთადერთ კარზე „მიჯაჭვული“-ძალზე რეპრეზენტაციული, თითქოს მცხეთის საკათალიკოსოს ღირსებითა და მისი-ით განმსჭვალული, ინტენსიური ხვეულები, რგოლები, ფოთლები. აქ ორი ოსტატი მუშაობს, ორივე გაწაფული, კათალიკოსის ტაძრის მონდომებით, მნიშვნელოვანებით

* სამხრ. შესასვლელის ბალაქრის ქვაზე: „ქრისტე ადიდე გიორგი მეფე და შვილი მათნი“; „ქრისტე ადიდე მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი და მეწიე დღესა მას ამენ“; დას. სარკმელთან: „ქრისტე ადიდე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი“; „ქრისტე მოწყალე ექმენ იოვანეს დღესა მას შვილითურთ ამენ“.



მაშენებელია, ამათგან ერთი მიზნის აღსრულებას საქართველოს ცენტრალურ რაიონებში მდგარი დიდი ტაძრების ორნამენტაციის აქ გამეორება-დანერგვით ცდილობს, მეორე კი ჯავახური მკერივი ქვის ჯიშთა შინაგანი ბუნების გამგები, უსასრულო ფანტაზიით ნაპერწი თხელი მოტივებით, პლასტიკური ორნამენტაციით. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს მთავარი ოსტატი, ის, რომელიც ოდნავ შემდგომ, სულ რამდენიმე წლის მერე, ახლა უკვე სამეფო აღმშენებლობაში, კუმურდოს საკათედრო ტაძრის ბაგრატ IV-ისეული „შტოის“ მშენებლობაში მონაწილეობს, რაზეც მეტყველებს კუმურდოსა და ტონთიოს იდენტური მოტივები, მსგავსი ორნამენტაცია და სხვა.



19-20 ტონთიო. ჭრილი სამხრეთით, გეგმა

მაღალი მხატვრული ღირსებისაა ტონთიოს ინტერიერიც-ზეასვეტილი, თლილი ქვით ერთიანად, მოწყვეტით, სხარტად, ერთი ამოსუნთქვით გადამოსილი, „ზომიერი“ ფორმებით დანაკეთული, რომლებიც, როგორც თხელი ქანდაკი, დამატებით მოსართავებით ჩამოიქნება. ტონთიოს ეკლესია ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი ხუროთმოძღვრული სკოლა ეპოქის წამყვან, მთავარ მხატვრულ შინაარსს სრულყოფილად გამოხატავდეს.

53. (ტაბ. 92) ამ ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი, ერთიანად ამობურ-
ცული წრიული მთის თავზე, გვირგვინად, ტონთიოს ციხეა აგებული. ჯავახეთის
წინაქრისტიანული ეპოქის სხვა ციხეთა მსგავსად, ისიც „ციკლოპურია“, ლოდებით
შპრალად, უხსნაროდ ნაგები, წრიული გალავნით გამაგრებული. თავდაცვის გასაიოლებლად
და მიუდგომლობის გასაძლიერებლად გალავანს გარედან, დამატებით, თხრილი შემოს-
დევს. ეს მთა უნდა იყოს ის, რომელიც VII საუკუნეში, არაბების საქართველოში
შემოსვლისას, სამეფო განძის გადაძალვასთან დაკავშირებით იხსენიება. ქართველი
მემატრიანის, ჯუანშერის აზრით, ტონთიო უცხო სიტყვაა და თარგმანებით აღნიშნავს
„ოქროს მთას“. ამ მთისა და ციხის მნიშვნელობა კი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მთას
აქ დაფლული განძის გამო „გორ-მაკე“ ეწოდა, ის სახელწოდება, საიდანაც მომდინარეობს
სახელი ყაურმა (გორ-მაკე-ლაურმეკი-ყაურმა).



21 ტონთიოს ციხე. გეგმა

54. (ტაბ. 93) სოფლის მნიშვნელობას აქ დღემდე შემონახული ძველი ხიდიც
ადასტურებს. მასზე ასომთავრული წარწერა ყოფილა, ზედ კი ბიზანტიიდან, შემდგომ-
ში კი თურქეთიდან და სომხეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმავალი ერთ-ერთი
ცენტრალური გზა გადადიოდა. დღევანდელი ხიდი ოსმალთა ბატონობის დროსაც უნდა
იყოს საფუძვლიანად შეკეთებული (XVIII ს.).

XVI საუკუნის ბოლოს, სოფ. ღორმაკე, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით,
ახალქალაქის ლივანში შედიოდა, აქმუქირის რაიონში. იქ სამი კოძლი ქრისტიანი ქართველი
ცხოვრობდა, რომელთაგან ერთი მანწყვერელას შეილიშვილად იხსენიება. ე.ი. აწყურის
ეპისკოპოსის ტიტული — მანწყვერელი, შესაძლოა უკვე სახელად, ან გვარსახელად იყო
გადაქცეული (შდრ. იშხნელი). სოფლის მოსახლეობას ტრადიციული მეურნეობა ჰქო-
ნია; მემინდვრეობა, მესაქონლეობა, ბოსტნები, ფუტკარი. ჰქონდათ წისქვილი ორი თვა-

ლი 6 თვით და ზეთსახდელი ერთი თვალი. მათი წლიური გადასახადი 12000 ახჩა იყო, რაც სამკომლიანი სოფლის შეძლებულობაზე მეტყველებს. 1705-1706 წლებში სოფელი ღაურმეჭი ვინმე მუსტაფას ექვემდებარებოდა 7000 ახჩა წლიური გამოსაღებოთ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში, სრულიად გაუკაცრიელებული სოფ. ყაურმაში, რუსეთის მთავრობამ სომხები გადმოსახლა არზრუმის მხარიდან. იქ მათი შთამომავლობა ცხოვრობს დღესაც.

55. ყაურმიდან გზა სოფელ ეშტაში მიდის. აქ მნიშვნელოვანი არაფერი გადარჩენილა, სასაფლაოზე შემორჩენილი ქვის ცხენისა და ვერძის ქანდაკებათა გარდა, ისევე როგორც მის შემდგომ, სოფელ უჯმანაში.

56. (ტაბ. 94) სოფელ თორიის სიახლოვეს, მაღალ მთაზე, ბაზალტის უსწორმასწორო ქვით შშრალად ნაგები დაბალი და უპროპორციო სამლოცველო მდებარეობს. შორიდან იგი მწყემსთა თავშესაფარს უფრო ჰგავს, ვიდრე საკულტო ნაგებობას, მას ამ დანიშნულებითაც იყენებენ. მწყემსთა თავშესაფარისა და ღმრთის სავედრებელი ადგილის „შეზავებაში“ გამოიწვია მისი არქიტექტურული ფორმების უსწორობა და ისიც, რომ მას ძველ ნაწილებთან ერთად გაბუღმებული განახლების კვალი ატყვია, რაც აძნელებს კიდევ მისი გარკვეული დროით დათარიღებას. ეს უსახო, მარტივი თავშესაფარი რომ აღრიდანვე წმინდა ადგილად ითვლებოდა, ჩანს ინტერიერში დაცული, ჯვრით შემკული ოთხკუთხა ბაზისიდან, ნამტვრევებად ქცეული ჯვრის ქვედა მკლავიდან, რომელსაც ქართული ასომთავრული წარწერის კვალი ატყვია. ამგვარი შენობები შეიძლება არც იყოს გამონაკლისი მკაცრი პავის რაიონების და საგანგებო მოძიების შემდეგ ისინი ცალკე ჯგუფად წარმოჩნდეს (მაგ., ასეთივე თავშესაფარი-სამლოცველოა ზედა თმოგვის ბაზილიკის ზემოთ, აღმოსავლეთ თხემზე). სამლოცველოს სიახლოვეს მცირე სადგომების ნაშთებია, შშრალი წყობით ნაგები ქვებით, რომლის ბუნებრივი მასივი ამ მთის თხემს ჰფარავს. ამავე ქვებისაგან შექმნილია მოზღუდული ტერასებიც, სამი მათგანი საფეხურებად ეშვება სამხრეთის კალთაზე. შიშინაობის დროს, სოფელი მას გამოიყენებდა თავშესაფრად.

57. (ტაბ. 95-97) მთის ძირში ნაეკლესიარია, რომლიდანაც მხოლოდ საკურთხევის აფსიდა და დგას, ისიც დიდწილად უპერანგოდ. კონქში ფრაგმენტულად დარჩენილი თლილი ქვები „ხტუნით“ მოყვებიან შერმაკებულ ფორმას, საკურთხევის სარკმლის თალი კი ერთ ქვაშია გამოკვეთილი, რაც ნაეკლესიარს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს. იქვე ძველი სასაფლაო — ერთ-ერთი, ძალზე საყურადღებო საფლავის ქვა, დარბაზული ეკლესიის გამოსახულებას — ლორფინით, სამხრეთის კართ, მოკლე „ფასადზე“ სარკმლებით. ცხენის ქანდაკებიდან ერთი, თავისი სიდიდით, ამგვარი გამოსახულებებით მდიდარი ჯავახეთისთვისაც კი უშველებელია.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან დაყრობილ ჯავახეთში, თორია ითვლებოდა ახალქალაქის ლივამი. მაშინ იქ 21 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მემინდერობა, მესაქონლეობა, ფუტკარი — ეს იყო მეურნეობა, რასაც ემატებოდა ბოსტნები და ზეთსახდელი ერთი თვალი. სოფლის წლიური გამოსაღები 13000 ახჩას შეადგენდა.

1705-1706 წლებში ეს სოფელი ვინმე პასანს ექვემდებარებოდა, 16200 ახჩა წლიური გადასახადით.

დღევანდელი სომხური მოსახლეობა XIX საუკუნის 30-იან წლებშია მოსული.

58. (ტაბ. 98-99) თორიიდან სამხრეთით მდებარეობს სოფ. დიდი ზორენია. იგი სომხებითაა დასახლებული. სიძველეთაგან აქ არის ორი ქართული ეკლესია. სომხური კი 1996 წელს აუგიათ აქაურ მაცხოვრებლებს. სოფლის ცენტრში არსებული ეკლუ-


სია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის სახურავის შეკეთებისას ძლიერ შეცვლილია, ტონითოს დარად, მელქისედეკ კათალიკოსის სახელს უკავშირდება. მაგრამ აქ, მელქისედეკს X საუკუნის დიდი ტაძრისთვის, სამხრეთის სტოა მიუშენებია. დიდი ტაძარი დარბაზულია, საშუალო და მოზრდილი თლილი კვადრებით ნაგები, ტუნწადაა გაფორმებული. აღმოსავლეთი სარკმლის სათაური, დასავლეთი კარის ბალაერის ქვის სამი ვარდული, რამდენიმე ადგილას პერანგის ქვები, აი, სულ ესაა, რაც X საუკუნეზე ფასადებზე შემოგვინახა. სამაგიეროდ ინტერიერი კამარებამდე ძველია. იგი ფართო და ერთიანია. სამხრეთ-დასავლეთი პილასტრის კაპიტელი ფრინველისა და ვარდულის თხელი გამოსახულებებითაა შემკული. კაპიტელს „აფარებული“ ამ დეკორის გარდა, ტაძრის სიძველეზე მეტყველებს სამხრეთისა და დასავლეთის კართა ნაღისებური თაღები. XV საუკუნეში გამოცვლილმა დაბალმა კამარმა სივრცეს ძლიერ შეუცვალა სახე, XIX საუკუნის შეთეთრებამ და სარკმელთა გაგანიერებამ კი იგი დაამახინჯა. XV საუკუნისა დასავლეთი სარკმლის სამი ვეჯარი, ოღნავ ქვემოთ დასმული ადამისა და ევას (?) გამოსახულება სამოთხის ხესთან, რომლებიც ჩოხასა და ქართულ კაბაში გამოწყობილნი, თითქოს ქართულს ცეკვავენ; ასევე, ეკლესიის ინტერიერის დასავლეთ კედელში გვიან ჩატანებული სარკმლის სათაური გადნაკეცებითა და ჯვრიანი ფიგურებით, რომლის ნაწილიც გარეთ, ყორე-გალავანშია ჩასმული.

დიდ ტაძარზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მელქისედეკის მიერ XI საუკუნეში მიდგმული მცირე კაპელა უფრო მდიდრულადაა მორთული. შიდა პილასტრ-თაღები, კარ-სარკმელთა მოსართავეები, თუ მთავარი ეკლესიის კარსა და მინაშენს შორის დასმული ვერძის თაგები, მათი სუფთა მოხაზულობები, დიდი აქცენტები, XI საუკუნის ჩამოქნილობით მეტყველებენ, რომლებშიც შიგა და შიგ ადგილობრივი, „ჯვავაზური“ სახვითი ხერხები ძალუმად ცნაურდება (მაგ. დეკორის მოუხეშაობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე და სხვა). მაგრამ ყველაფერი ესეც დღევანდელ ნაგებობაში ძნელი დასანახი და შესამჩნევია — სტოაში შესასვლელს დასავლეთიდან მიდგმული ფარდული ფარავს, კედლები შეთეთრებულია, წარწერაც („ჯუარი ქრისტესი. ქრისტე ადიდე მელქიმედეკ ქართლისა კათალიკოთი ორთავე შინა ცხორებათა, ამენ. ქორონიციონი იყო სმთ“— 1029) დაფარული. აქ ყოფილა XIII საუკუნის კიდევ ერთი ასომთავრული წარწერა, რომელშიც ვინმე ჩოვა გვამცნობდა კარიბჭის მშენებლობას თათართა მიერ დაპყრობილ ქვეყანაში*.

59. (ტაბ. 100-103) სულ სხვანაირია სოფელ დიდი ხორენის მეორე, მცირე ეკლესია. იგი სოფლის დასავლეთის კიდეში, ძველ სასაფლაოზე დგას და დასახლებას თავს დაჰყურებს. ისიც დარბაზულია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემკული სარკმლებით, რომელთაგანაც საკურთხევლისამ, წრიული ხვეულებით, შესაძლოა ადრეული ნიმუშები მოგავიწყონოთ. სინამდვილეში ეს XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ეკლესიაა. იგი თლილი ქვებითაა ნაგები, მაგრამ ეპოქის მაჩვენებელია მათი სიღრმის „მინიატურული“ ასპარეზი. როდესაც დიდი ქვები, მცირე ეკლესიის ზედმეტად მასიურ „პერანგად“, სამოსად იქცევა. შედეგად ერთგვარი სტატიკურობა, შეჩერებულობა, დამძიმება, კორპუსის მიმართ პერანგის ახალი სამოსივით ვერ „მოხდენ-მოჯენა“. ამას აჩვენებს მომცრო აღმოსავლეთი ფასადის ცენტრში უშველებელი ქვა და მასში ღიობის ვიწროდ, საფოსტო ღრიჭოსავით, „გამოქლიბვა“; სამხრეთის ასევე მცირე ფასადზე დიდი და გრძელი ბალაერის ქვის ძელივით გადაება, ამავე ფასადზე, ყოველგვარი კომპოზიციური მონიშნის გარეშე, მარჯვენა კიდეში, ჯვრის დამდასავით დასმა და სხვა.

* „ოდეს თათართა ყოველი ქუქმანამ წავუართო, მისგან დაუმთავრებელი კარის ბუნეი მე, ჩოვა გავათავენ. ვინცა ამას ნახვილეთ მოგვიგონებდეთ. ოცდა ჩუდმეტი ათასი თეთრი კათალიკოსსა და მეფეს ვმსახურეთ“.

იმასვე ამბობს ინტერიერი, რომელმაც აქ თანადროული, ძველი ქვის იატაკი შემოინახა. ეკლესიის თლილი ქვის კედლები ზემოთ ოდნავ ვიწროვდება, მცირე სივრცისთვის სქელი საბრჯენი თალი და მასიური შეკიდული კაპიტელი კი კარს „ადგას თავზე“. ოსტატობის დონის კლებას აჩვენებს კამარასა და კედელს შორის აქა-იქ გაჩენილი სარტყელი-კიდევ; დასავლეთის წრიული სარკმლის გარე და შიდა ვიწრო პირებს შორის დახვეწილი მოხაზულობის მაგიერად „მოჩაჩული“ ზერელის არსებობა და სხვა.



22. დიდი ზორენია. ზემო ეკლესია, გეგმა

დიდი ზორენიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მინდვრებში, 1996 წელს სოფლის სომეხ მოსახლეობას მოზრდილი გუმბათიანი ტაძარი აუგია, მათივე ცნობით, რვა თვის განმავლობაში. აგურისფერი ტუფის ნაგებობა სომხური ხუროთმოძღვრების ტრადიციისამებრ, ქოლგისებური გუმბათითაა გადახურული, შესასვლელების თავებს ინტენსიური ჩუქურთმა ამკობთ. ეკლესიას სამხრეთიდან მიდგმულ ღია ფანჩატურში სასაფლაოა, ეკლესიის მშენებლობის დამფინანსებელთა მშობლების საფლავებით.

60. (ტაბ. 104-105) სოფელ დიდ ზორენიას ფარაენისწყლის მარცხნიდან პატარა ზორენია ეკვრის. შუა სოფელში, მთავარი გზის პირას ძალზე დანგრეული ნაეკლესიარია შემონახული, რომელიც ნაგები იყო მოზრდილი, რუხი თლილი ქვით. დღეს კედლები ერთ მეტრ სიმაღლეზე თუა დარჩენილი, რის გამოც მათზე, წმინდა ადგილის მოსანიშნად, ზოგან, ქვა-ყორც „დაღუმატებიათ“. შემორჩენილ დეტალოთაგან საინტერესოა ჯვრებიანი ტრაპეზის ქვა. აქვეა სტელის ფრაგმენტი-ნალისებურად დასრულებული გრძელი პროფილებით ყოველ გვერდზე. მენობა სავარაუდოდ XIV-XV საუკუნეებისა უნდა ყოფილიყო.

XVI საუკუნის ბოლოს სოფლები დიდი და პატარა ზორენია ახალქალაქის ლივაში ითვლებოდნენ, აკმეპირის რაიონში. იქ შესაბამისად 28 და 3 კომლი მოსახლე იყო. დიდი ზორენია შეძლებული სოფელი ყოფილა ტრადიციული ზემო ჯავახური მეურნეობით, 4 თვალი წისქვილითა და 2 თვალი ზეთსახდელით. მისი გამოსაღები წლიურად შეადგენდა 20000 ახჩას.

1609 წლის ერთი საბუთის მიხედვით, მანუჩარ ათაბაგმა რუისის ღმრთაების საყდარს, დედამისის საფლავის სააღაპოდ შესწირა „სრულიად ზურანგიელნი ბებნისს მსახლობელნი და რაცა ამ ქუეყანასა იყუნენ და ან იქიდალმა ჩამოვიდნენ...“ ჩანს,

რომ ხორანიელი გლეხების ნაწილი ადრე გადმოსულა ბებნისს და ეს შემდგომშიც იყო მოსალოდნელი.

1709-1710 წლებში სოფ. ხორანია ექვემდებარებოდა ვინმე იუსუფს, 13300 ახჩა წლიური გადასახადით. 1720-1721 წლებში კი, ის უკვე სულეიმან აბდულლაჰის ძეს ჰქონდა და მისი გადასახადი 4000 ახჩამდე ჩამოსულა, რაც სოფლის დაქინებაზე მეტყველებს.

გვიანდელ საბუთებში სოფლის მეორე სახელწოდებაც ჩანს — ჯვარანი, თუ ჯვარანია. ეს სახელი ევების აქ ქვაჯვართა არსებობაზე მიუთითებდეს, რომელიც დღეს აღარ ჩანს. დღევანდელი მოსახლეობა 1830-იან წლებშია მოსული არზრუმის მხარიდან.

61. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, 1,5 კმ.-ზე კლდოვანი ქედია, რომელსაც გამაგრებული ბორცვი ახლავს. მშრალი წყობის ვალაყანი ოთხკუთხაა. ადვილად მისასვლელი მხრიდან, ვალაყანს სივრძეზე 3 წრიული ბურჯი ამაგრებს, მათ წინ კი თხრილია. ანაკრეფ ეერამიკაში არის წინა და ადრეფეოდალური ფრაგმენტები.

62. (ტაბ. 106-108) ხორენიდან ნასოფლარ კარნეთისკენ შეიძლება გზის გაგრძელება. იგი მის სამხრეთით, 1,5 კმ.-ის მოშორებით მდებარეობს. გაცდებით თუ არა სოფელს, ფარანისწყლის ვიწრო, კლდოვან ხეობაში მოხვდებით. მდინარის ორსავე მხარეს უჩვეულო მოყვანილობის კლდეებია აღმართული, რომლებიც სტალაქტიტების გროვას მოგვაგონებს. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი კლდის ძირში ეკლესიის ნანგრევია შეყუფული. მისი თლილი ქვის ფასადი, შორიდანვე გამოიკვეთება კლდის უსწორმასწორო ფონზე. ირგვლივ სიჩუმეა, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ყველაფრისაგან შორს ხარ. თუმცა, სოფელი სულ რაღაც 20 წუთია, რაც უკან მოიტოვე. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, მინაშენით სამხრეთიდან. შენობის ძირითადი, დარბაზული ნაწილი, რომლის კედლები მეტ-ნაკლებად დაზიანებულია, შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერის მიხედვით — „ქრისტე ადიღე მოანე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხორებათა. იყავნ, ამენ“ 1033-1048 წწ-ით თარიღდება, მინაშენი კი XIV საუკუნისაა. წარწერაში მოხსენიებული პირი, ქართლის კათალიკოსი იოანე ოქროპირი, ცნობილი მოღვაწეა. იგი იხსენიება ჯავახეთისავე სოფლების—ყაურმისა (ძველი ტონთიო) და ფოკას წარწერებში. კარნეთში წარწერის მოთავსების საპატიო ადგილი და მეფის მოუხსენებლობა გვაფიქრებინებს, რომ იოანე ოქროპირი ქტიტორია ეკლესიისა, რომელსაც იგი საკათალიკოსო სოფელში აშენებს; ასევე საკათალიკოსო სოფლები იყო, როგორც აღინიშნა, ფოკა და ყაურმა.

ნაგებობა წარწერის გარემოცვ ავლენს თავის ასაკს. XI საუკუნეზე მეტყველებს დარბაზის აზიდული და წამახვილებული ფრონტონი, კედლის სუფთა წყობა და, რაც მთავარია, ორნამენტით დაფარული ჯვარი არქიტრავეზე. ჯავახური არიტექტურისათვის დამახასიათებელია დიდი, გლუვი არქიტრავეები, რომლებიც XI საუკუნემდე მორთავი რჩება. თუნდაც ამიტომ კარნეთის ჯვარ-წარწერაში არქიტრავე XI საუკუნეზე ადრეული არ შეიძლება იყოს. თავისი დროისათვის ნიშნულია მინაშენიც — XIV საუკუნეზე მიგვანიშნებს აფსიდის კედლით გამოყოფა, თუ სარკმლის დაზიანებული საპირის მორთულობა. საგულისხმოა ვინმე ვარდანის წარწერა*. მას, როგორც ვხედავთ კათალიკოსისაგან ნაბოძები გავერანებული სოფლები მოუშენებია.

* შესასვლელის თავზე, დაზიანებულ ასომთავრულ წარწერაში ირჩევა: „ქ...ქანლის ძესა ვარდანს მიბოძეს სასამსახუროდ ზვარანიო და დღეანი . . . სიოს. . . აჯი მღმნითა ნ . . . ოხოვრითა აე . . . ონენ . . . თა ოდეს მე მომხუდეს კაცი არა. . . მუია. . . ას არჯი მღმნის ოცდა ათითა წლითა მოე. . . ჩუოდმეტი ათასი თეთრი ქართლისა . . . კათალიკოზისად . . . მთი . . . ზღ და დსა ქმე . . . მხოთოთ . . . ოც . . . მდნო . . . ვიდე . . . გაღვ . . . ოცი ათასი თეთრი . . . მოხულნი“.

XVI საუკუნეში კარნეთი კვლავ დაცლილია მოსახლეობისაგან. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იგი ნასოფლარია სოფ. პატარა ხორენისთან.

63. კარნეთის მახლობლად, ფარავნისწყლის დაყოლებაზე, მდინარის მარცხნივ კარგად შერჩენილი ნასოფლარია. სასაფლაო და ეკლესია აქ არ ჩანს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მას აღმაღლუ ჰქვია და მოსახლეობისაგან დაცლილი ნასოფლარია.

64. შემდეგი სოფელი, რომელიც ცენტრალურ გზაზე დაბრუნებულებს და ახალქალაქისკენ მიმავლებს შუგზვდებით, ჯივრაშენია. მდინარისპირა კლდოვან ქარაფში გამოქვაბულების გარდა, აქ ორი ნაეკლესიარია. ერთი, რომელიც XIX საუკუნეში ხის ძელებით დაყოფილი ახალი სომხური ეკლესიის მშენებლობისას, ფრაგმენტებად გამოიყენეს, ფარავნის მარცხენა ნაპირას, სოფლის მხარეს იდგა.

65. (ტაბ. 109) მეორე ნანგრევი ფარავნის ღრმა, კლდოვანი კანიონის მარჯვენა მაღალი ნაპირის თავზე დგას, ასე, რომ იგი სოფელ ჯივრაშენიდან მოუდგომელია—აქ უხიდო მდინარის გადალახვა საკმაოდ რთულია. სამაგიეროდ, ამ ეკლესიასთან მისვლა ძალზე მოსახერხებელია სოფ. ყაურმიდან, ძველი, ძალზე ეფექტური, ისტორიული გზით. ყაურმიდან დასავლეთით მიმავალი შარა სოფელს გასცდება, მინდვრებში გავა და 1 კმ-ის შემდეგ ფერდობს შეუყვება. სწორედ აქ ჩნდება გამაგრებული ძველი ნაგზაური. აქვეა დიდრონი ლოდებით შედგენილი ნასახლარები. ამ გზის ბოლოს, ფერდობზე ეკლესია ჩნდება, რომელიც ნასოფლარის ზემოთ, „თავ“ ადგილას აღუმართავთ.

ნაგებობა ძალზე დაზიანებულია. სრულად დარჩენილ ჩრდილოეთის კედელსა და საკურთხეველის აფსიდას ძველი გადაკეთების კვალიც ემჩნევა. ეკლესია ნაგები იყო კარგად თლილი მოზრდილი ქვით.

ძალზე საყურადღებოა, რომ კონქში წითელი საღებავით დასმული თანადროული ჯვარია—მკლავებზე ისრისებური გრაფიკული „ფორჩხით“. ეკლესია X საუკუნისა ჩანს, როგორც ვთქვით, შემდგომი შეკეთებებით, რომელთა შორის სულ უკანასკნელი წლების რემონტისას პილასტრის ზოლზე ახალი კედელი აღმართეს და ეკლესია დაამოკლეს. აქ საყურადღებო დეტალებიცაა შემონახული—საკურთხეველში ტრაპეზის ქვა დგას, იქვეა ჯვრით მორთული ჯვრის აღსამართი ბაზისიც. ეკლესიის დასავლეთ კუთხესთან კი გადაყირავებულია მაღალი ქვაჯვარა ზემოდან ფოსოთი, აგრეთვე ჯვრით პირის მხარეს.

ნასოფლარის დასავლეთით, მთის კლდიან ფერდზე გამაგრების ნაშთია, კედლების ნანგრევებამდე კი — გაჭრილი კლდეკარი. ამ სოფლის სახელი დიკაშენი უნდა ყოფილიყო, რომელიც XVI საუკუნის ბოლოს ტიკაშენის სახელით არის ოსმალურ დავთარში მოხსენიებული. ახალქალაქის ლივამი შემავალ ამ სოფელში, 15 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა მემინდვრეობა-მესაქონლეობით, ჰყოლიათ ფუტკარი, ჰქონდათ ბოსტნები და წისქვილი ერთი თვალი. ისინი წლიურად იხდიდნენ 17500 ახჩას.

1710-1711 წლებში სოფ. ტიკაშენი ვინმე ჰუსეინს ექვემდებარებოდა, წლიურად 13000 ახჩა გამოსაღებით; 1711-1712 წლებში—ვინმე ოსმანს, 4500 ახჩით; 1717-1718 წლებში—სულეიმანს, 8000 ახჩით; 1718-1719 წლებში ახმედ აღის ძეს, 5832 ახჩით. როგორც ვხედავთ მეპატრონეთა ცვლას ვერ უხსნია სოფელი დაკინებისაგან.

ნასოფლარის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კმ-ზე უეკლესიო ნასოფლარია, რომელსაც ხურმიგს უწოდებენ. აქაა გამაგრებული მთა, სადაც ჩანს კერამიკული ფრაგმენტები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა, ოფსიდანისა და ბრინჯაოს ნატეხები.

66. (ტაბ. 110) სოფელ ჯიგრაშენის შემდეგ, ცენტრალური გზის გაყოლებით, მისგან ხელმარცხნივ, სოფელი ლულალისია. ისიც მთლიანად სომხური დასახლებაა, ერთფეროვანი განაშენიანებით. ეკლესია შიგ სოფელში დგას. იგი ცნობილია თავისი 1060 წლის წარწერით, რომელშიც ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, სვესტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, ვპატოსი (?) თეოდოსეს ძე იხსენიებიან, რომელთა განსაძლიერებლადაც აუგიათ ეს ეკლესია (ფესუ ქრისტე, აღიღე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე სვესტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, შეეწიენ, დაუტკებენ თუაღნი, კეთილ ქემედ პეეს თოდს ძეს...ერთს განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია, ქორონიონი იყო სპ^ა). თუმცა იგი დღეს ერთი უსახო შენობაა, XIX საუკუნეში ისე შეკეთებული, რომ სამხრეთი კარის თავზე დარჩენილი ამ წარწერისა და ერთი ჯვრიანი ქვის მეტი, ძველი აღარაფერი ჩანს. კიდევ უფრო მოგვიანებით ეკლესიაში ტიხრებიანი ავზები მოუწყვიათ და ყველის ქარხანა გაუმართავეთ. სამაგიეროდ, საყურადღებოა ინტერიერიდან გარეთ გამოტანილი ტრაპეზის მონოლითური ქვა — გვემით ოთხეკურა, თითქოს ოთხი მსხვილი სვეტი ერთად შეკერესო. იქვეა ბაზისიც, იგი შესაძლოა, ძველი (ანტიკური ხანისა?) ნაგებობიდან იყოს შემორჩენილი.

67. ადრე ამ სოფელში ციხე მდგარა, რომლის კოშკი XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ შერჩენილი იყო. კოშკში მიწაში გამართული ორი სალოცავი იყო... ეკლესიის აღმოსავლეთით მიწისქვეშა სამლოცველო ახლაც შეინიშნება. იქ არის ჯვრიანი ქვები და სტელის ნატეხი. სამლოცველოს საკურთხეველიდან ვიწრო გვირაბი დარაშში გადის.

ოსმალურ დავთრებში ეს სოფელი აღარ იხსენიება. მერე მოშენებულ ლულალისში 1918 წლამდე ქართველი მაჰმადიანები და სომხები ცხოვრობდნენ. მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების შემდგომ, ეს ადგილები წალკიდან გადმოსულ სომხებს დაუჭვრიათ.

68—69. (ტაბ. 111) ლულალისიდან რამდენიმე კილომეტრში ფარავნისწყლის იმავე ნაპირზე სოფ. ვაჩიანია. მისი დიდი სომხური ეკლესია 1838 წელს აუგიათ არზრუმიდან 1837 წელს გადმოსახლებულებს. მის წყობაში გამოყენებულია ქართული საფლავის ქვები. ერთ ჯვრიან ქვაზე იკითხება სახელი ზურაბ.

მეორე ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთითაა. ისიც ძველი ქართული ეკლესიის საფუძველზეა დაშენებული. წყობაში ჩანს სტელის ნატეხი, ლოდები ბოლნური ჯვრებით, ლოდის ნატეხი ნუსხური წარწერით. ირგვლივ სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ქვის ვერძებისა და ცხენების ქანდაკებები, ჯვრებიანი ქვები, შუაში კოპით, საფლავის ქვა-ეკლესიის სახისა.

სოფლიდან 1 კმ-ზე, ვაჩიან-კუმურდოს გზაზე, 1933 წელს ნ. ბერძენიშვილმა ნახა და წაიკითხა წარწერა ქვაზე, რომელშიც იხსენიება ბერი ზრესეკელი, ზაქარია ამირსპასალარი, ცოტაძე, შალვა და ძმა მათი ივანე (ახალციხელები). XIII საუკუნის ეს წარწერიანი სვეტი ახლა ახალციხის მუზეუმშია*.



XVI საუკუნის ბოლოს სოფ. ვაჩიანი ახალციხის ლივამი ითვლებოდა, აკმპირის რაიონში. სოფელში 17 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა ტრადიციული ზემო ჯავახური მეურნეობით. სოფელთან ყოფილა სათესველი სახელად სამყრო. მათი წლიური გადასახადი 19500 ახჩა იყო.

1703-1704 წლებში ვაჩიანი ვინმე პალალს ექვემდებარებოდა 6000 ახჩა წლი-

* ნუსხურით შესრულებული წარწერა ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისათა მე, ბერძან ზრესეკელან ავაშენე ზურნაკტი ბრძანებითა ამირსპასალარისა ზაქარიასითა... ორსავე ცხოვრებასა-დღევრებულობისათჳს... ბერსა და სემონს ღმერთმან“. გვერდზე იმავე ხელით: „აღიღენ ცოტაძე. აღიღენ ღმერთმან შალვა და ძმი მათი ივანე“.

ური გამოსაღებით. სახელწოდება ვაჩიანი შეიძლება პიროვნების სახელ ვაჩესთან იყოს დაკავშირებული. ასეთი პირი კუმურდოს წარწერაში იხსენიება.

70. (ტაბ. 112) აქედან ახალქალაქისკენ ვაგრძელებთ გზას. შემდეგი სოფელი მურჯახეთია, სადაც ვერ კიდევ სახლობს რამდენიმე ქართული ოჯახი. მურჯახეთის ეკლესია გარედან ძლიერ გადაკეთებულია და ერთი შეხვედრით XIX საუკუნის უმნიშვნელო ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში ის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია. შიგნით შესულებს უჩვეულო ინტერიერი გხვდებათ — ორი წვეილი პილასტრი ისეა შეკრილი, ძლიერი სარტყლებით შემოდგომა სივრცეს, მათ თავზე ანტიკურ იონურ კაპიტელთა პროფილის მინაგვანი სვეტისთავებია დასმული, პილასტრთა შორის კი უზადო, მძლავრად ნაღისებური კედლის თაღებია „ჩადგმული“.



23-24. მურჯახეთი. ქრილი ჩრდილოეთით, გეგმა

იოლი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა თავის დროზე XVIII-XIX საუკუნეების შეკეთებისას დადაბლებული და სახეშეცვლილი სივრცე-პლასტიკით, ფრონტალური და გრძივად განვითარებული დამაბული სურათებით, შინაგანი სიმრთელით გამოჩენული, რაც ქართული ხუროთმოძღვრების იმ დროის მაჩვენებელია, როდესაც მრავალფეროვნება, ძლიერი შემოქმედებითი ძიებები, სულ მალე გარდაიქმნება ჩამოსხმულ და „დაღვინებულ“ ერთიანობად-კონტრასტები დაბუნებულ მთელად იქცევა, ეს კი X ს-ის დამდეგის ცხადი მაჩვენებელია. საკურთხეველში მხედრული წარწერაა XVIII საუკუნისა, რომელშიც მოხსენებულია მღვდელი საბა ჭანგურისძე.

71. მურჯახეთი ცნობილია თავისი ქვის სვეტით, რომელიც სოფლის სასაფლაოზეა აღმართული. მას „ძიქვას“ (რძის ქვას) უწოდებენ. ამის „ძმა“—მეორე ასეთივე სვეტი 1917 წელს ამოუთხრიათ, მას „ლალიას“ უძახიან. ეს სვეტები ფალოსის კულტანაა დაკავშირებული. ადრე მათ თავყანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების ღმერთების კერას. ძიქვას სწირავენ შავი ფერის მტრედს, ქათამს, ბატკანს, რძენაკლულ, ან ბერწ საჭინელს შეავედრებენ. ურძეო ქალები ღამეს უთევენ, ერბო-კარაქს უსვაჰენ, მუხლმოყრით ევედრებიან, სანთელს უნთებენ. ლალიასთან უფრო კაცები მიდიან და შეილიერებას შესთხოვენ...

72. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი გვირაბია, რომელიც დარანში შედის. ის ღრმაა და განიერი, მისი ორი ნაწილი ვიწრო ზვრელითაა დაკავშირებული. წყალგამა ნასოფლარს „დიდ მურჯახეთს“ ეტყვიან. 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III მურჯახეთთან ომში დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო ათაბაგი ყვარყვარე III.

XVI საუკუნის ბოლოს სამი მურჯახეთიდან შუა უკვე ნასოფლარი იყო, დიდში 9, პატარაში კი 6 კომლი ქრისტიანი ქართველი სახლობდა. მათ ზემო ჯავახურ მურენობას შეწერილი ჰქონდა 10755 და 2000 ახზა. სოფლების დაკნინებას მოწმობდა 4 გაპარტახებული წისქვილიც. 1918 წლამდე სოფელში სომხურ-ქართული მოსახლეობა იყო; მაჰმადიანი ქართველები ოსმალეთს გადასახლდნენ და ახლა ძირითადად სომხები სახლობენ, რამოდენიმე კომლი ქართველია. სახელწოდება მურჯახეთი შეიძლება გვარეულობის აღმნიშვნელი იყოს.

73. (ტაბ. 117) სოფელი ზოსპიო ახალქალაქის მისადგომებთან, ფარანის ორსავე ნაპირზეა გაშლილი, რომელთაგანაც მარჯვენა ნაპირისას ზემო ეწოდება, მარცხენას კი ქვემო ზოსპიო. აქ უსათუოდ იქნებოდა ხიდიც, რომელიც ახლის ადგილზე უნდა ყოფილიყო გადებული. 1918 წლამდე მდინარის მარჯვენე სომხები, მარცხენე კი იერლი, ბინალი ანუ ქართველი მაჰმადიანები სახლობდნენ. აღნიშნულ წელს უკანასკნელნი აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ. 1930-იან წლებში, ნ. ბერძენიშვილის მოგზაურობისას, იქ თრიალელი ქართველები და სოფელ რეხიდან ბერძენებიც ჩამოსახლებულან. დღეს ძირითადი მოსახლეობა სომხურ-ქართულია, სომხების უპირატესობით. ზოსპიო დღეს ერთ-ერთი ძლიერი სოფელია ახალქალაქის რ-ში. ტოპონიმ ზოსპიოს ივ. როსტომაშვილი შემდეგნაირად ხსნის: — „ხვეი ოსპისა“. ზემო და ქვემო ზოსპიოში ქართული ზურთომობღერების ორი საყურადღებო ნიმუშია შემონახული. ორივე დარბაზულია. ამათგან ზემო ზოსპიოს ეკლესია ამაღლებულ ბეჭობზე დგას. იქამდე ხის ზიდით მდინარის მეორე ნაპირზე გადასული შარა ადის. ფერღზე ნაგებობა ოსტატურადაა დადგმული, ფასადები მთლიანად თლილია, ფართო კუთხით გაშლილი სახურავი ლორწინითაა გადახურული, რაც მთელ კორპუსს სიმკვიდრისა და სიმყარის შთაბეჭდილებას სძენს. მაგრამ ნელ-ნელა მისკენ მიახლოებულს არეული და აცა-ბაცად გაქცეული ქვის რიგები წარმოუდგება, რომელთა დანახვაზეც ყველა, თითქოს გამოცვლილი და „დაკერებული“ გგონიათ. ამ წყობაში მოყოლილი სწორკუთხა ღიობები — სამხრეთის შეუმკობელი და ვიწრო კარ-სარკმელი, ჩრდილოეთი სარკმლის უკულმა დატანებული საპირე, დასავლეთით, ფასადის მოხაზულობის გაუთვალისწინებლად, მარჯვენა ზემო კიდეში „ააჯენილი“ ჯვარი, — უშუქველობით მიგანიშნებთ ერთგვარ კრიზისულ ეპოქაზე, ეს კი XIV-XV საუკუნეებია. ინტერიერიც ფართო და განიერია, მოშვებული.

74. (ტაბ. 113-116) სხვა მხატვრული ძარღვითაა ნაგები ზოსპიოს ქვედა ეკლესია. იგი ამჟამად რესტავირებულია. ცნობილია მისი თავგადასავალიც: XVIII საუკუნეში, ოსმალთა ბატონობის დროს, ერთი თურქი მოხელის ბრძანებით, ეკლესია კომკად გადაუკეთებიათ. კომკში თვით ის მოხელე დაბინავებულა. შემდგომ მოვლე-

ნები ასე განვითარებულა: „1892 წელს აქ ხოლერობა ყოფილა. ერთ სომხის დედაკაცს სიზმარში სჩვენებია, რომ ხოლერა ამ ეკლესიის უპატრონოდ დატოვებისათვის მოვლენილი სასჯელია ხალხის თავსო“. ე. ი. ეკლესიის კოშკად გადაქცევის ღვთის რისხვა გამოუწვევია. ეს პრობლემა ბევრად გვიან, ჩვენს დროში გადაიჭრა. 1970-იან წლებში ეკლესიის რესტავრაციის დროს, კოშკის ჩამოსხნა-შენაჩუნების საკითხი მარტივად გადაწყდა – სალოცავს თავისი სახე და ფუნქცია უნდა დაბრუნებოდა. დღეს, ზოსიძის ეკლესია თავისი პირვანდელი იერით არის წარმოდგენილი. (არქიტექტორ-რესტავრატორი თ. ნემსაძე) რესტავრაციის პროცესში დადგინდა, რომ X საუკუნის კორპუსი უფრო ადრეული ეკლესიის საფუძველზე იყო აღმართული.

რბილი შეფერილობის თლილი ქვით ნაგები, ზოსიძის ეკლესია აზიდული, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად მაღალი პროპორციების ნაგებობაა. სრულიად სადაა დიდი საფასადო სიბრტყეები, რომლებზედაც თითქოს იკარგება ერთმანეთისგან დაცილებული და მცირერიცხოვანი კარ-სარკმლები. მხატვრულად დეკორაციული მორთულობის შემცველი ეკლესიის წყობის ნახატში, ძველად შესამჩნევია აღმოსავლეთისა და სამხრეთი ფასადების რელიეფები – ათასწლეულის გასულისათვის სახასიათო – „ვედრება“ და „დანიელი ლომების ხაროში“, რომელთა არსება ლოცვით სულის ხსნაა. მკაცრსა და ლაკონურ, უმთავრესად წყობის სურათით შეკრულ ფასადებზე, რელიეფური, ასე თუ ისე, განივი ეკლესიის სარკმელთა თავსართების, მოცულობითი მახვილებილია.

ეკლესიის შიდა სივრცე, საკვირველად მოხდენილი, თუმცა მაღალი და ზემსწრაფი, მოკლებულია გარე მასების უჩვეულო აწოწილობას. იგი მშვიდი და თავშეკავებულიც კია, ერთიანი და გამთლიანებული.

ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, 1595 წ. სოფ. ქვემო ზოსპია შედიოდა ახალქალაქის ლივანში, აკუმპირის რაიონში. მაშინ იქ 16 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ტიპური ზემო ჯავახური მეურნეობით: ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ბოსტანი, ფუტკარი, ღორი, ცხვარი. მათი წლიური გამოსაღები 5490 ახჩას შეადგენდა.

1704-05 წ.წ. სოფ. ქვემო ზოსპია წარმოადგენდა ვინმე მუსტაფას სახელზე გაცემულ ზეამეთს (პირობითი სამფლობელო), 30990 ახჩიანი შემოსავლით. როგორც ჩანს, იქ მოსახლეობა მომატებულა.

1918 წლამდე ქვემო ზოსპიაში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ.

75. (ტაბ. 118-122) ზემო ჯავახეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრს ახალქალაქი წარმოადგენს. დღეს იგი სომხებით დასახლებული დიდი ქალაქია. ახალქალაქის უძველესი ძეგლები ნაქალაქარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ესაა ნეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი... ნაქალაქებამდე ახალქალაქის კონცხზე მოზრდილი სამოსახლო ყოფილა, სადაც გათხრილი და შესწავლილია IX-X საუკუნეების, ე.წ. „თავისუფალი ჯერის“ ტიპის გუმბათიანი ეკლესია. მის ნანგრევებში ნაპოვნი ქვაჯვარათა ბაზისები და კარნიზები V-VII და VIII-IX საუკუნეებისაა. IX-X საუკუნეებში აქ უკვე იყო ვრცელი ქალაქური ტიპის დასახლება, სადაც ნაპოვნია X-XI საუკუნეების ბიზანტიური სპილენძის მონეტები. ამ „უზღუდო“, ე.ი. მცირედ გამაგრებულ დასახლებას, უკვე მაშინ ერქვა ახალქალაქი. ქართული წყაროები ახალქალაქის ზღუდეთა შენებას მეფე ბაგრატ IV-ს მიაწერენ. კარბჭესთან ნაპოვნ ასომთავრულ წარწერაში იხსენიება ბაგრატ მეფის დედა-მარიამ დედოფალი. ეკლესიის გარდა აქ გამოვლენილია 150 მ. სიგრძის გვირაბი, ფარავნისწყლის მარცხენა სანაპიროზე გამაგალი, კერამიკული სახელოსნო, ზეთსახდელი და ქარვასლა.

1064 წელს ახალქალაქი გაანადგურა ალფ-არსლანმა. თურქების ეს შემოსევა აღწერილია ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროებში, სადაც მოთხრობილია სისხ-

ლისმღერელ ბრძოლაზე, დიდ მსხვერპლზე და თურქების მიერ სიძლიერის ხელში ჩაგდებაზე. ამ ბრძოლაში სხვა დიდებულებთან ერთად დაღუპულა ფარსმან თმოგველი, ერისთავთერისთავი ჯავახეთისა.

XII საუკუნის II ნახევარში ახალქალაქი ისევ მოშენებულა, განუახლებიათ ეკლესიაც. ნაქალაქარზე აღმოჩენილია ლაშა გიორგის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები, რომელთა წარწერებში გიორგი, თამარის ძედ და ჯავახთუფლად იხსენიება, აქაური საუფლისწული მამულის მფლობელობის გამო. XIII საუკუნეში აღუდგენიათ გუმბათიანი ეკლესია, რასაც მოწმობს წარწერაანი ქვა — „სახელითა ღმრთისაჲთა ალვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი შეფობასა დაეთისასა და ამირიანისაჲსა ლაზარობასა ავაგისა, გამრეკელის ძისა: კახას, ასიბას და ლიპარიგის პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა...ისდიაგს შეუნდვენ ღმერთმან. ამინ.“ მასში დასახელებულია დავით ულუ, ავაგ ამირსპასალარი, გამრეკელის ძენი — კახა, ასიბა და ლიპარიტი. კახა თორელი ახალქალაქის ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი იყო.

XII-XIII საუკუნეებში ჯავახეთის ახალქალაქს მორე, დარბაზული ეკლესიაც ჰქონია გალანის გარეთ, ფარანისწყლის მარცხენა სანაპიროზე. მონგოლთა ბატონობის პირობებში იქაური საქალაქო ცხოვრება შესაძნეველად დაეცა. დიდად დაზარალა ახალქალაქი ირანელთა შემოსევებმა 1486, 1516, 1547, 1551, წლებში. 1573 წელს კი ის უკვე ოსმალებმა დაიპყრეს მთელ სამცხე-საათაბაგოსთან ერთად. XVI საუკუნის ბოლოს ახალქალაქის ციხის რაბათში მხოლოდ 3 მოსახლე ქრისტიანი ქართველი და ერთი მაჰმადიანი იყო. ამ დროს ახალქალაქს „აქშეპირს“ უწოდებდნენ — ქართული სახელი თურქულად გაიზარეს, როგორც „თეთრი ქალაქი“, „თეთრი ციხე“.

ოსმალთა ბატონობის დროს ახალქალაქი სანჯაყის ცენტრი იყო, მაგრამ უკვე სოფლად ქცეული, 1717-1718 წლებში მხოლოდ 7000 ახჩას იხდიდა წლიურად. ამ დროს ის ოსმალთა ჯარის სადგომი იყო და ციხესიმაგრეს წარმოადგენდა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1806 წელს რუსის ჯარი ახალქალაქთან ბრძოლაში დამარცხდა. 1811 წელს მათ შეძლეს ქალაქის აღება, მაგრამ 1812 წლის ზაფხულის პირობით, ახალქალაქი ისევ ოსმალებს დაუბრუნეს. 1828 წელს რუსებმა ისევ აიღეს ახალქალაქი და სანჯაყბეგი მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი ტყვედ ჩაიგდეს. არტილერიის შტურმის შემდეგ დაინგრა ციტადელი, 40 სახლი, მღლაზიები, გარნიზონის ყაზარმები, სურსათისა და იარაღის საწყობები, ქარვასლა,ჯამე, მინარეთი, აბანოები... 1831 წელს ახალქალაქის მახლობლად ოსმალეთიდან გადმოსული სომხების დასახლება გაჩნდა. ნაქალაქარის ციხეში კი 1870 წლამდე რუსული სამხედრო გარნიზონი იდგა, რომელმაც ქარვასლის ძველი ნაგებობა ყაზარმად გადააკეთა. ძველი ნაეკლესიარის სიახლოვეს გაჩნდა რუსული და სომხური საფლავის ქვები XIX-XX საუკუნეებისა.

ამჟამად ახალქალაქი რაიონული ცენტრია, 15000 მოსახლით (ძირითადად სომხები). ნაქალაქეზე წლების მანძილზე ტარდებოდა არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ჯერ გ. ლომთათიძე, შემდეგ კი ეკ. ჯანდიერი.

76. ახალქალაქის სამხრეთით მოზრდილი ბორცვია, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ამირანის გორას უწოდებს. არქეოლოგიურად საინტერესო ეს ბორცვი ძველი ნასახლარია ქვის ხანის აშელური პერიოდიდან. გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში, ეს გორა გამაგრებული ნამოსახლარი ყოფილა.

77. (ტაბ. 123-124) ახალქალაქის ზეგანი ყოველი მხრიდან უშველებელი მთებითაა მოჩარჩობული, რომელთაგან გამოჩნეული და თვალშისაცემია დიდი და პატარა აბულის მთები. აბულის მთა, როგორც ორიენტირი მუდამ თან გდევს ზეგანზე მოგზაურობისას. სოფელი აბული სწორედ ორ (დიდ და პატარა) აბულის მწვერ-

ვალს შორის, მთის ძირშია გაშენებული. ამჟამად აქ სომხური მოსახლეობაა. ერთადერთი ნიშანი ქართველის აქ სახლობისა სოფლის ცენტრში, ძველ სასაფლაოზე აღმართული XI საუკუნის ეკლესიაა. XIX საუკუნის ბოლოს, 1884 წელს, ტაძრის ჩრდილოეთით სომხებს მოზრდილი ჭურჭლით ეკლესია აუგიათ.

აბულის ძველი ეკლესიის ტერიტორიას ნაყარი ქვებით შედგენილი გალავანი შემოუყვება. ეზოში ძველი საფლავის ქვები და სტელა-ქვაგვარებია მიმოფანტული. ეკლესიისთვის XIII საუკუნეში სამხრეთის ერთადერთი შესასვლელის მხრიდან კარიბჭე მიუშენებიათ. გასაკვირია, რომ კარიბჭის ეს გვიანი და მცირე მოცულობა დაზიანებული-დანგრეულია, ეკლესია კი, სრული სახით არის ჩვენამდე მოღწეული.


აბულის მთიდან მონაბერი, ზაფხულშიც კი სუსხიანი ნიაფი, ალპური გარემო, ჯვავახეთის პირობებშიც კი აქაურობას კუშტსა და მკაცრს ხდის. თითქოს ამ ხასიათს ეფარდება სოფლის ეკლესიაც — სადა, უორნამენტო, წამახვილებულად გადახურული, მკაცრი კედლების დიდ სიბრტყეებში „მოყოლილი“ ვიწრო და გრძელი, მცირერიცხოვანი ლიობებით, სწორკუთხა, არადენადი მონახულობებით. ძუნწად გაფორმებული კედლების მიღმა ზეისვეტილი, დარბაზული ინტერიერი ზემოთკენ ფიზიკურად შევიწროებული, თითქოს პილასტრ-თალების გეომეტრიული ზოლებითაა დახაზული; ეს „მიშველი“ კონსტრუქციები სქელი და „ხორციანი“ კი არაა, თხელია, თითქოს კიდევწამახვილებული. ყველა კაპიტელი აქ უბრალო ქვა—კიდებგათილილი სწორკუთხედი, სადაა ფასადების მკაცრი თარო-კარნიზიც. იქნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი ფასადის კეხში „იტორცინოსა“ და თვალს მოფარებულ წარწერაში („ჯუარი ქრისტესი. ქრისტე შეიწყალე გუმან გალაგომი“) მცირე ასოებით მოტანილი „გლატოზი გუზანი“, ქრისტეს ჯვართან რომ აღუნიშნავს თავისი სახელი, მკაცრი, თითქოს კუშტი ადამანი და სახვისას ნამდვილი „გეომეტრიკოსია“, სხარტად და მოჭრით მეტყველი, პირდაპირი და თამამიცაა, უშველებელ კვადრებს შესვლის გარეშე „კენეტს“ და მკაფიო, გამზადებულ სახეს პირდაპირ აძლევს მათ. ის თითქოს არც იქ აძლევს თავს უფლებას მორბილოს, პლასტიკური დინების ხიბლს გაჰყვეს, სადაც ტრადიციულად ეს შესაძლებელია — კარნიზზე, ცოკოლზე თუ სხვა. პირიქით, აქაც მოჭრით კეთის სწორკუთხედს, თაროს, მინიმალური რაოდენობის სარკმლებს თხელ შეუმკობელ ვერტიკალურად ტოვებს, ერთადერთხელ კი — ბალავრის ქვაზე უმკაცრეს, თხელი ხაზებით გამოხატულ დახვეწილ წარბსა და ჯვარს დასვაშს. ამიტომაც, რომ ასეთი დაუფარავი სიმკაცრის გვერდით XIII საუკუნეში სამხრეთიდან მიშენებული კარიბჭის მცირე მოცულობა უფრო საზეიმოც და „ადამიანურიც“ გვეჩვენება — თაღებით გახსნილი და კარნიზით დენადად დასრულებული.

78. ზოგადად, სოფელ აბულის სიძველეს მოწმობს უფრო ადრინდელი, სოფლის სამხრეთ კიდეში არსებული ნამოსახლარი გორა, რომელსაც თავდასაცავი კედლების ნაშთი შერჩენია და სადაც წინაქრისტიანული და ადრე შუა საუკუნეების კერამიკა იპოვება. სიძველეს მეტყველებს ახალ სასაფლაოზე შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის თიხის მოზრდილი ჭურჭელიც, რომელიც ახალქალაქის მუზეუმშია გამოფენილი.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, სოფელი აბული ახალქალაქის ლივანში ითვლებოდა. იქ 12 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ტრადიციულ კულტურებს ამუშავებდნენ და საქონელიც ჰყოლიათ. ჰქონდათ ორი თვალი წისქვილი 6 თვით და ზეთსახდელი ერთი თვალი. მათი წლიური გამოსაღები 14000 ახნა იყო. 1705-1706 წლებში სოფელი აბული ვინმე მეკმედს ექვემდებარებოდა 13000 ახნა გადასახადით. XIX საუკუნის 30-იან წლებში, რუსეთის მთავრობამ აბულის დაცლილ ნასოფლარში არზრუმის მხარიდან გადმოყვანილი სომხები ჩამოსახლა. 1847-1848 წლებში იქ 23 კომლი ცხოვრობდა.

79. (ტაბ. 125-129) წინაქრისტიანული ჯავახეთის უმბლაერესსა და უძველეს კულტურას ისე არაფერი ახასიათებს, როგორც აბულის „ქორ-ოღლის“ სახელით ცნობილი უნიკალური ციხე-ნასახლარი, ეს ჯერაც დაუფასებელი და ბოლომდე აძოუხსნელი სიმბოლო ჩვენი უძველესი კულტურისა. იგი მცირე აბულის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ზღვის დონიდან ძალიან მაღლა, 2800 მეტრზე. ეულკანური ლოდებით დაფარული უშველებელი მთა, რომელიც ხან ქარით უცებ მოგროვილ ნისლშია გახვეული თუ პირიქით, თაკარა მზის სხივებითაა გავარვარებული, მთლიანადაა მოცული თვალუწედენელი, ინტენსიური განაშენიანებით — მთელი ეს ქედი მწვერვალიდან სოფელ აბულამდე მორენებითაა დაფარული, ასე, რომ ამით უსარგებლიათ უძველესი დროიდანვე და მზამზარეული ლოდების მცირედ გადაადგილებით შეუქმნიათ დარან-სამალაგები, რომლებსაც, უმეტესწილად დაბალი, ვიწრო შესაძრომები აქვთ. კომპლექსი მთის კალთაზე, ვრცელ ტერიტორიაზე შეფენილი და მრავალრიცხოვანი, დიდად დაზიანებული ნაგებობებისაგან შედგება (ოთახები, დარნები, ქვით მოგებული გზები და ბილიკები და მრავალი სხვა). მთის წვერზე უკეთ შემონახული დიდი დედაციხეა აღმართული, რომელიც სხვა ნაგებობებით ბაზალტის ლოდებისაგან, მშრალი ციკლოპური წყობითაა ნაშენი.

ციხის კედლები 3-4 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი, მათი სისქე 3 მ-ს აჭარბებს. ციხე შედგება გალავნის, გოღოლებისა, „შიდაციხის“ და მასში მიჯრით განთავსებული



25. აბულის ციხე. გენ-გეგმა

მრავალრიცხოვანი, გვემით ოვალური და სწორკუთხა დაბალი სათავებისგან. ოთახების გადახურვა გადმოწეული ბრტყელი ფილებით, ზოგჯერ, ხის დარბაზების გვირგვინს მოგვაგონებს, ფერდს შეყოლილი ოთახების ბრტყელი სახურავები კი — ჩვენში სულ უკანასკნელ დრომდე არსებულ, განაშენიანების ბანურ პრინციპს. ქუჩებით, ბილიკებით, დიდი თუ მცირე სადგომებით, ოთახების მოგებული იატაკებით, შესაძრომებითა თუ ბჭვებით, გადაუხურავი ტალანებით, ფართო საურმე ქვაფენილებით, მშენებლობის მშრა-

ლი ტექნიკით. ეს უშველებელი კომპლექსი, ბუნებრივია, შაორის ციხესთან იწვევს ასოციაციას, დიდ მსგავსებასთან ერთად კი მნახველს სხვაობის ქვეშეცნეული გრძობაც უჩნდება. ისინი, სავარაუდოდ II-I ათასწლეულებს შეიძლება მიეკუთვნოთ, უფრო მყარ და საბოლოო თარიღებს კი სამომავლო კვლევა სჭირდება. კომპლექსი წინაქრისტიანული ეპოქის იმ უიშვიათეს ნიმუშთაგანია, რომელმაც არა მხოლოდ მიწასთან გასწორებულ ნანგრევებად, არამედ როგორც რეალურად შემორჩენილმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე.

აბულის ქორ-ოღლი ზემო ჯავახეთის ერთ-ერთი უპირველესი ცენტრთაგანია უძველესი დროიდანვე. მის სამხრეთით გადის გზა ფოკა-ზოსპიო-ხერთვისისაკენ. ეს გზა ოდნავ შემოუღობია, მაგრამ სამაგიეროდ ზამთარში ადვილად საყალი. ციხის ჩრდილოეთით მთორე, უფრო მოკლე გზა იმავე მიმართულებით, რომელიც ზამთრობით ნამქერის გამო, მხოლოდ ზაფხულშია ვარგისი. განძანიდან მომავალი მოკლე გზა „ვემას“ გაუქლის გვერდზე და აბულის ჩრდილოეთით, უღელტეხილზე არსებულ ყორღანულ კვლზე გადადის. ამგვარი მდებარეობაც განაპირობებდა იმას, რომ, უძველეს ხანაში დაარსებულ ციხეს, შემდგომ ხანებშიც ხშირად გამოიყენებდა მოსახლეობა. აქვე არსებული წყაროც კიდევ უფრო ზრდიდა მის სიცოცხლისუნარიანობას.

IV საუკუნის კასტორიუსის რუკაზე, არტამატ-სებასტოპოლისის გზაზე აღნიშნული Apulum სწორედ აბულის ციხეს უნდა გულისხმობდეს. ენათმეცნიერთა აზრით, ამ სახელწოდებაში გამოიყოფა „აბ“ ფუძე, რომელიც სპარსულად წყალს აღნიშნავს, წყლიან ადგილს.

80. (ტაბ. 130-136) აბულიდან ჩავდივართ სოფ. კარტიკაშში, საიდანაც ჩრილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გზას მალა მთაში ავყავართ. ამ განშტოებაზე, უკანასკნელი დასახლებული პუნქტი, მაღალი მთის ფერდზე განფენილი, სომხებით დასახლებული სოფელი ბუზავეთია. ეკლესია სოფლის ბოლოში, ძველ სასაფლაოზე აღმართული. სასაფლაოს ტერიტორია მძალი წყობის გალაგებით არის გარშემორტყმული. ეკლესიის ეზოში მრავლად არის სტელები და ჯვრის ბაზები რელიეფებითა და წარწერებით. ბუზავეთი დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ აქ აღმოჩენილი ქვაჯვრების წყალობით იყო ცნობილი.

X საუკუნის ეკლესია დარბაზული ტიპისაა სამხრეთის მოკლე ეგვტერით. დღეს ძნელია დაბეჯითებით საუბარი ეკლესიის უკამარო, სიმაღლეშეკლებული, ხით პირობითად გადახურული, დაგრძელებული და შეღესილი ინტერიერის მხატვრულ სახეზე. არქიტექტურული ფორმები და წყობის ხასიათი იკარგება სქელი ნაღესობის ქვეშ, პროპორციებიც შეცვლილია, თუმცა შემორჩენილი ნაწილები ზოგადი წარმოდგენის შექმნის საშუალებას მაინც იძლევა.

დარბაზი მკაცრი ინტერიერით, სარკმელთა და შესასვლელთა სადა გარეშემოწერილობით, კედლების თვალშისაცემად გლუვი სიბრტყეებით, სიმშვიდითა და სისადავით გამოირჩევა. ოდნავ ნალისებრი აფსიდის მეშვეობით სივრცე რბილად იშლება საკურთხევიდან დარბაზში.


გაცილებით მოძრავი და პლასტიკურია ეგვტერი. ამ მცირე არასწორი ტრაპეციის მქონე მოცულობაში ყველა ფორმა უფრო მოქნილი და ჩაკეტილია. ღრმა ნალისებრი მოყვანილობის აფსიდა მკვეთრად არის გამოიხნული დანარჩენი სივრცისაგან, ზოლო ამ კომპარტიმენტის ასიმეტრიული მოხაზულობა მეტ მოძრაობას ქმნის ამ ისედაც პატარა მოცულობაში.

ეკლესიის ინტერიერის ერთადერთი დეკორაციული ელემენტი, დარბაზის კედლის წყობაში ჩაყოლებული, თევზის კუდით დასრულებულ ოვალურ ჩარჩოში მოცემული ჯვრის გამოსახულებაა, რომელსაც უფრო სიმბოლური, ვიდრე დეკორაციული მნიშვნე-

ნელობა ენიჭება.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ჯვარიცა და წრეც „სრულქმნილი ფორმაც“ არის— უცვლელობის, მუდმივყოფიერების ნიშანი და მუდმივი მოძრაობის, სულის უკვდავების და მისი გარდასახვის მანიშნებელიც. აქედან გამომდინარე კი წრეში ჩაწერილი ჯვარი კიდევ უფრო მეტი დატვირთვის მატარებელია. ბუზავეთში, ჯვრის მკლავებს შორის ბურთულებიც არის ჩასმული, რომელნიც, სავარაუდოა, კონსმიური მნიშვნელობისა უნდა იყოს და მნათობთა სიმბოლიკას უკავშირდება. ბუზავეთის ეს ნიშნები უნიკალურია იმიტაც, რომ ჯვრის შემომფარგვლელი ოვალი თევზის კუდის მსგავსი დასრულებით ბოლოვდება. თევზი, ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენს და, ცხადია, მისი შინაარსი ნათელია, თუმცა ასეთი გადაწყვეტა არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ მთელი საქართველოს მიწაწყალზე ჩვენთვის უცნობია. აქ იგი ორ ადგილას არის გამოყენებული — დარბაზის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილსა და დასავლეთის კედელზეც.

გაცილებით მეტყველი და ცოცხალია კკლესიის ფასადები. აღმოსავლეთის შერეილ-აფსიდებთან სადა, ყოველგვარ დეკორს მოკლებული ფასადი იზიდავს ყურადღებას ტეხი-



26. ბუზავეთი. გეგმა

ლი ზედაპირით, რომელიც აღმოსავლეთით უფრო მძლავრ მოცულობაში გადაიზრდება. სიბრტყეების გათამაშება და, ამავე დროს, სისადავე ამ ფასადის მთავარი მხატვრული დატვირთვაა. ამ დატვირთვით მოძრავ ხაზს ასრულებს კბილანებიანი კარნიზი, რომელიც თავისი გეომეტრიული სიმკაცრით პასუხობს საერთო მკაცრ ხასიათს.

არანაკლები მნიშვნელობისაა სამხრეთის ფასადი. დარბაზისა და ეგვტერის შესასვლელთა არქიტრავებზე გამოსახულია იდენტური კომპოზიცია: სამოთხის სიმბოლოს — ვაზის მტევნებით გარშემორტყმული ჯვარი. ეს ერთადერთი მძლავრი დეკორაციული აქცენტია, რომელიც უმაღლვე იზიდავს ყურადღებას. საგულისხმოა, რომ

ბუზავეთში სიმბოლიკას, შინაარსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მსატერული თვალსაზრისით რელიეფი უფრო უხეში, მოუქნელი პლასტიკით ხასიათდება. ღრმა, ჩაკეთილი ფონი და მოცულობრივი, ამობერილი გამოსახულებები ასოციაციას იწვევს იქვე, ეზოში მიმობნეულ სტელეებთან. ეს სტელეები და მათი ბაზისები კი ძალზე მრავალრიცხოვანია, მათზე გამოხატულია ბოლნური მდგალიონები, ჯვრები, პალმეტები, ლოტოსი, ვაზი მტკენებით, ერთის გვერდებზე წელში გამოყვანილი კაბებით მოსილი ფიგურებიცაა მოცემული, რომლებსაც ცალი ხელით ჯვრები უჭირავთ, ცალით კი ღონიჯი შემოურტყიათ. სტელეები და ბაზისები, შესაძლოა ეკლესიის თანადროული იყოს, არაა გამორიცხული ზოგიერთი მათგანი მემორიალური დანიშნულებისა გამოდგეს. მაგალითად, გალავანში ჩაყოლებული ერთი ჯვრის ბაზისზე, ასომთავრული წარწერაა „ქრისტე განუსვენე...“

81-82. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთით, აგრეთვე არის ცალკე მდგარი სტელეები, კუბური კვარცხლბეკებით.

83. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1,5 კმ-ზე, მორენებით დაფარული ქედია. მასზე მშრალი წყობით ამოყვანილი, მრგვალი კოშკის ნანგრევია, (დიამეტრი დაახ. 15 მ.). მის ირგვლივ, ლოდებში მოწყობილია სამალავი ბლინდაჟები ვიწრო შესასვლელებით.

84. სოფლის აღმოსავლეთით მეორე გამაგრებული გორაკია, ისეთივე ტექნიკით შესრულებული გალავნით. აქ მცირე სადგომებიც ჩანს. ზედაპირზე ანაკრეფ ფრაგმენტებში არის ოფსიდიანი და შავად გამომწვარი კერამიკული ნატეხები.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში სოფელი ბზავეთი, XVI ს. ბოლოს ახალქალაქის ლივანში ითვლებოდა, აქშეჰირის რაიონში. იქ მაშინ ორი კომლი ქრისტაინი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც მემნდერობასა და მებოსტნეობას ეწოდნენ; ჰყავდათ ფუტკარი, ღორი, ცხვარი, ჰქონდათ წისქვილი ერთი თვალი და ზეთსახელი ერთი თვალი, მაგრამ ორივე, უკვე მაშინვე, გაპარტახებული. მათი წლიური გამოსაღები 5000 ახჩას შეადგენდა. 1705-1706 წწ. სოფელი ბზავეთი ექვემდებარებოდა ვინმე მუსტაფას, 10000 ახჩა გადასახადით. ბუზავეთი თურქიზებული ფორმა უნდა იყოს ბზავეთისა.

ამჟამინდელი მოსახლეობა XIX ს. 30-იან წლებში გადმოსახლდა არზრუმის მხარიდან. 1836 წ. სოფელი ბუზავეთი პატ. მაჭატიის მიწებს ამუშავებდა. 1847 წ. იქ 8 კომლი, 1870 წ. კი - 25 კომლი ცხოვრობდა.

85. (ტაბ. 137-140) მაჭატია ამჟამად დიდი სომხური სოფელია, სადაც 1876 წ. აგებული ეკლესიაა. მის აღმოსავლეთით ძველი სასაფლაოა, სადაც საფლავის ქვათა შორის გდია ორი სტელის ფრაგმენტი დამუშავებული სამი მხრიდან. თუ უფრო მაღალს X საუკუნისთვის დამახასიათებელი ერთმანეთისკენ მიქცეული რკალების რიგი რთავს, მეორე, მცირე ნამტერევი, სვეტისთავი უნდა იყოს. მას ისეთი მოქნილი და „ცვრიანი“, მცენარეული მოტივი მიუყვება, რომ უფლებას გვაძლევს ადრე შუა საუკუნეებს მივაკუთვნოთ. აქვეა ეკლესიის ქვა ასომთავრული წარწერით, რომელიც მარჯვნივ ჩამოტეხილია. წარწერა ასე იკითხება „ქრისტე აღიდე ბაგრატ კურაპალატი. . . აფხაზთა მეფე და ძე მისი . . . დაუტკებ თუალნი მათი ბაგრატს...“ აქ ბაგრატ III უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ასეთი ტიტულები 1001-1008 წწ. ჰქონდა. საინტერესოა, რომ გამოთქმა „დაუტკებ თუალი“, „დაუტკებ თუალნი“, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხოლოდ ბაგრატ III-სა და ბაგრატ IV-ის სახელებს ახლავს.

86. (ტაბ. 141-142) მაჭატიის ჩრდილოეთით წმ. გიორგის ძველი ეკლესიაა აღმართული, რომელსაც სამხრეთი მინაშენი ახლავს. ნაკებობა თლილი ქვითაა შემო-

სილი და შეთერთბულია. დაბალი და ჯგუხი პროპორციის ეკლესიის სამხრეთის ფასადზე გამავალ სარკმელს სათაური ამკობს, ზედ ჩარჩოში ჩასმული მაღალი ჯვრით. ამავე კედელზე მზის საათია გამოსახული.

87. (ტაბ. 143) მაჭატიიდან ვბრუნდებით კარტიკაში, 1970-იან წლებში აქ ჯერ კიდევ იყო წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ძველი სასაფლაო. მაგრამ ამჟამად, როგორც ჩანს, ეს ადგილი მუერნობითაა „ათვისებული“ და აღარაფერი ჩანს. სოფელში საყურადღებოა ხაჩქარი-მრავალრიცხოვანი ჯვრებითა და სომხური წარწერებით. იგი მოსახლის კარტოფილის ბოსტანშია აღმართული.

1595 წელს კარტიკაში ახალქალაქის ლივაში ითვლებოდა და იქ 13 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა ტრადიციული მემინდვრობა-შესაქონლეობით. ჰყოლიათ ფუტკარი, ყოფილა 4 თვალი წისქვილი და ერთი თვალი ზეთსახდელი-ყველა გაპარტახებული. მოსახლეობის წლიური გადასახადი 20000 ახჩა იყო.

კარტიკამის თუქულად მოსაუბრე კათოლიკე ქართველები XIX საუკუნეში გადმოსახლდნენ ოსმალეთიდან. აქ დღესაც მათი შთამომავლობა ცხოვრობს, ქართული ენა დიდი ხანია დაკარგული აქვთ.

88. სოფელი ხულგუმო ახალქალაქის აღმოსავლეთით, მისი მახლობელი სოფელია. აქაური სომხური ეკლესია 1912 წელსაა აშენებული. მის ჩრდილო-დასავლეთით ძველი ქართული ეკლესიის ნაშთია, სასაფლაოთი, აქვეა სტელის კუბური კვარცხლებეი, ზედ გამოსახული მოგრძო ჯვრით.

89. სოფლის სამხრეთით მეორე, დიდი სასაფლაოა, გათლილქვებიანი ნაეკლესიარით, სტელის ნატეხით, ცხენებისა და ყოჩების ქანდაკებებით.

90. ხულგუმოსა და ბერას შორის, აბლარისწყლისა და ფარაენისწყლის შესაყართან, ჯავახეთის მტკვრის კანიონის მარჯვენა ნაპირს კლდოვანი ფერდი მიუყვება, რომელშიც მრავალი ქვაბულია გამოკაფული, წყალგაღმით მომცრო ნაგებობის პერანგ შემოძარცვული ნანგრევია.

91. (ტაბ. 144-146) სოფლიდან კანიონში ჩასასვლელად, კლდის ნაოჭს ჩადენებული ვიწრო ბილიკია გაჭრილი. თავად სანაპიროც ვიწროა, ახასხასებული მცირე კორდებით, სწორედ აქაა აღმართული, სივიწროვისა გამო აღმოსავლეთი ფასადით კლდეში ბუდე-სავით შეჭრილი, ხულგუმოს მომცრო დარბაზული ეკლესია. ახლანდელი შეთერთბული ფასადები მას მკვეთრად გამოარჩევს, ადრე კი ერთმანეთს მორგებული განსხვავებული მოყვანილობის ქვით ნაგები, მურთავი, აქაურ ბუნებასავით ასკეტური ფასადების გამო, იგი კლდის გამონაზარდად გამოჩნდებოდა. გარედან მძლეერი და შშიედი მოცულობა, ერთი შეხედვით, X საუკუნის ეკლესიებს მოგვაგონებს, მაგრამ ინტერიერის თავისებურებანი აზუსტებს ამ შთაბეჭდილებას. იგი ვიწროა, მაღალი, ზვეთიკენ შვეიწროვებული და „გაწელილი“, ლამისაა „გუთური“, აშკარა სიმსუბუქისა და განსულიერების ტენდენციით, მბუტყავი, მქრალი განათების გამო მისტიკურიც კი. საფიქრებელია, ხულგუმოს ტაძარი XIII საუკუნის ბოლოსი იყოს.



1595 წ. ოსმალური ადმინისტრაციულია დაყოფის მიხედვით, სოფ. ხულგუმო ახალქალაქის ლივაში ითვლებოდა, აქშეპირის რაიონში. მაშინ იქ 19 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც მოჰყავდათ ზორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ბოსტნეული; ჰყავდათ ფუტკარი, ღორი, ცხვარი, ჰქონდათ წისქვილი ერთი თვალი 6 თვით. სოფლის წლიური გამოსაღები 9000 ახჩა იყო.

1718-19 წწ. ხულგუმო ექვემდებარებოდა ვინმე მეჰმედ მუსტაფას ძეს, მისი შემოსავალი ამ სოფლიდან 6500 ახჩა იყო წლიურად. 1721-22 წ.წ. იგივე სოფელი ვინმე ჰასანს ეჭირა, წლიური შემოსავლით — 2500 ახჩა. 1722-23 წ. კი, ხულგუმო ვინმე აჰმედს ჰქონდა, წლიურად 2400 ახჩით. ასე თანდათან შემცირებული სოფლიდან,

არ ჩანს როდის აიყარა ძველი მოსაზღვრობა. რუსული მმართველობის დროს, XIX საუკუნეში, არტაანის სოფ. ველიდან, თურქულად მოლაპარაკე ქართველი კათოლიკები გადმოსულან ხულგუმოში, ბავრასა და კარტიკამში. დღევანდელი ხულგუმოელები მათი შთამომავლები არიან. ქართული ენა მათ დიდი ხნის წინ დაკარგეს.

92. (ტაბ. 147-151) ბავრა ახალქალაქიდან 2-3კმ. მოშორებით მდებარეობს, მდინარეების-აბულისწყლისა და ფარავნისწყლის შესართავთან. აქ კათოლიკე სომხები ცხოვრობენ. მათ თავიანთი ეკლესია აქეთ. სოფლის განაპირას კი დგას ქართული, X საუკუნის დარბაზული ეკლესია, XIV საუკუნის მინაშენით სამხრეთიდან.

შენობისთვის მოხმარებულია სუფთად გათლილი, ერთმანეთზე კარგად მორგე-



27-28. ბავრა. კრილი ჩრდილოეთით, გეგმა

ბული რუხი და მოვარდისფრო სხვადასხვა ზომის კვადრები, რომლებიც ზოგან ისე დიდია, რომ ქვის სამი-ოთხი რიგი ფასადის მთელ სიგანეს იკავებს. ოსტატი არ ერიდება მცირე ზომის ჩანამატებსაც. ისინი ჩუქურთმას მოკლებულ ფასადებს ცხოველხატულად წარმოაჩენს. ინტერიერში ასეთი ფერადი მახვილები არ გვხვდება. სუსტად განათებულ შენობაში ისინი არც აღიქმებოდა. აქ ყურადღებას იქცევს უზალო წყობა, ხუროთმოძღვრული ფორმების სიზუსტე და დახვეწილობა; აღსანიშნავია მცირე ზომის პლასტიკური მახვილები: პლასტიკის „ვალუტებიანი“ კაპიტელი, კონქის გრაფიკული გამოსახულებები—ორი კონცენტრული წრით გარშემოვლებული ადამიანის სახე და წრეში ჩასმული სვასტიკა. ეს ნიშნები აზრობრივად დაკავშირებულია ეკლესიის დასაველეთის ფასადზე, ფრონტონზე, ბორჯღალისა და მედალიონების გამოსახულებებსა და წარწერებთან („სახელითა ლეთისამთა აეგო ესე ეკლესია წმიდაჲ სოფრონს ქონქალსა ამენ“). ისინი მცირე ზომის გამო დეკორაციულ მახვილად აღიქმება, ზოლო შესრულების მანერით ლითონზე პლასტიკას უფრო წაგავს, ვიდრე საფასადო სკულპტურას. კონქი და დასაველეთის ფასადზე არსებული გამოსახულებები მზის სიმბოლოებს წარმოადგენენ. ეს სიმბოლო წინაქრისტიანული ხანიდან, ასტრალური კულტიდან მომდინარეობს, ზოლო ქრისტიანობამ შეითვისა და ახალი შინაარსი მიანიჭა მას — მზე ქრისტეს სიმბოლოდ იქცა.

ბაერის ეკლესიის აღმოსავლეთის სარკმლის თავზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა („ქრისტეც ადიდე სოფრონ“), მის ზემოთ კი რელიეფური კომპოზიცია „ღანიელი ლომების ხაროში“. ძველი აღქმის ეს სოუკეტი ქრისტიანულ ხელოვნებაში მოიაზრებოდა, როგორც ქრისტეს აღდგომის ანალოგია. ე. ი. ეკლესიის შიგნით და ფასადებზე არსებული ნიშან-სიმბოლოები და რელიეფი ერთი იდეითაა გათლიანებული, რაც X საუკუნისათვის არის დამახასიათებელი.

ეკლესიის დასაველეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე არსებულ წარწერებში ერთი და იგივე პირი, მისი მამულებელი—სოფრონი იხსენიება, იგი უთუოდ ადგილობრივი ფეოდალია.

საფიქრებელია, ამ პუნქტთან იყო დაკავშირებული ფოკას XI საუკუნის ეკლესიის ერთ წარწერაში მოხსენიებული ოქროპირ ქართლის კათალიკოზის „ხელოსანი“ ბაერელი. ეს სახელი ბაერიდან წარმომავლობას, ან მის მფლობელობას აღნიშნავს. ეს ბაერელი ჯავახეთში საკათალიკოზო სოფლების მოურავი უნდა ყოფილიყო.

ბაერის ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა მის გვერდით კი ქვაჯვარის ბაზაც დგას. საფლავის ქვებიდან გამოირჩევა ვერტიკალურად დაყენებული სწორკუთხა მოყვანილობის ქვა „გოლგოთის ჯვრითა“ და ვინმე მგელაის ეპიტაფიით („ქ. ესე საფლავი მგელაის არს: შეუნდვენ: ღმერთმან: და ვინც შენდობაი თქუას, მასცა: შეუნდვენ: ღმერთმან“— XIV—XVI საუკუნეები).

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, სოფ. ბაერა შედიოდა ახალქალაქის ლივანში, აქმუპირის რაიონში. მაშინ იქ 6 კომლი ქართველი ცხოვრობდა და აქაურობისათვის დამახასიათებელ მუერნობას ეწეოდა. სოფელში ყოფილა ორი თვალი წისქვილი, რომელიც მუშაობდა 6 თვის მანძილზე. სოფლის მოსახლეობის წლიური გადასახადი 7665 ახჩა ყოფილა. 1726-27 წწ. სოფ. ბაერა ექვემდებარებოდა ვინმე აბდულაჰს და იხდიდა გადასახადს 4 000 ახჩას. XIX საუკუნის 30-იან წლებში, რუსეთის მიერ ჯავახეთის დაპყრობის შემდგომ, სოფ. ევლიდან ბაერაში გადმოსახლდნენ კათოლიკე ქართველები, ზოლო არზრუმიდან-კათოლიკე სომხები. 1847 წ. ბაერაში 26 კომლი მოსახლე იყო.

ბაერიდან ებრუნდებით ახალქალაქში და მივემართებით ჩრდილოეთით, სოფ. ორჯისკენ.

93. ორჯა (ძველი ორჯუა) ბარალეთისწყლის ნაპირზე მდებარეობს. გვიანი სომხური ეკლესიის გარდა, აქ, შუა სოფელში არის „ხაერ“-ი (საჯვარი). როგორც ჩანს, აქ ძველი ქართული ეკლესია ყოფილა, რომლიდანაც გადარჩენილია ქვაჯვარის ბაზა, საფლავის ძეგლები — ყორების, ცხენების ქანდაკებანი და ერთი ბრტყელი საფლავის ქვა ჩოხოსანი მამაკაცის გამოსახულებით. ნაგებობა ახალი უნდა იყოს, მაგრამ შიგნიდან კედლის წყობაში ჩაუყოლებიან ქართული ჩუქურთმის კვები განეითარებული ფეოდალიზმის ხანისა. სოფელში მეორე სასაფლაოცაა, სადაც ასევე გადარჩენილია ყოჩის ქანდაკება.

XVI საუკუნის ბოლოს ზერთვისის ლივაში შემავალი სოფელი ორჯუა ტყე-ჯავახეთის რაიონში ითვლებოდა. იქ მაშინ 18 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგან სახელების მიხედვით 5 სომხური, დანარჩენი ქართული წარმომავლობისა ჩანს (ამით უნდა აიხსნას ორი სასაფლაოს არსებობაც); იხსენიება აქ ვინმე სიმონ მღვდელიც.

მათი მეურნეობა ტრადიციულ მემინდერეობას, მესაქონლეობას (ღორი) და მეფუტკრეობას ემყარებოდა; ჰქონიათ ბოსტნებიც და ერთი წისქვილი 6 თვით. სოფლის გამოსაღები 20 000 ახჩას შეადგენდა.

94. (ტაბ. 152) ორჯიდან აღმოსავლეთით, ნახევარი კილომეტრის მანძილზე, სადაც სამსარისწყალი უერთდება ბარალეთისწყალს, გაშლილ ველზე დგას ძალზე დაზიანებული დარბაზული ეკლესია. იგი სოფ. ორჯიდან ნასოფლარ ვარდისციხეში მიმავალი სამანქანო გზიდან მოჩანს. საშენ მასალად გამოყენებულია ნაირფერი — ვარდისფერი, მუქი ლვინისფერი, ფირუზისფერი — მცირე ზომის უხეშად დაკეთებული ქვები. მათი წყალობით შენობა შზიან ამინდში მოზაიკასავითაა აფერადებული.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ფერადონება არის ეკლესიის ერთადერთი სამკაული. უსწორმასწორო ფორმები და პროპორციები შენობის გვიანდლობაზე მეტყველებს (იგი XVI ს-ის ჩანს), რასაც ჯავახეთის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 1576 წელს ოსმალთაგან დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა. შესაძლოა ეს ეკლესია XVI საუკუნის 70-80-იან წლებამდეა აგებული.

95. (ტაბ. 153-156) ვარდისციხის ეკლესია ბორცვზე შეფენილი ნასოფლარის შემადგენელ ადგილზეა აღმართული და ფართო სივრცეში ყოველი წერტილიდან, შორი მანძილიდანაც მოჩანს. ლოდებით ნაგები ხაროები, ნასახლარები, ვერძებიანი სასაფლაო სიძველისა და ძლიერი დასახლების შთაბეჭდილებას ტოვებს. დაბალი გალავნით შემოზღუდული ნაეკლესიარი კამარამონგრეული და კედლებდაზიანებული დგას, თუმცა მინც შესაძლებელია მის მხატვრულ სახესა და რაგვარობაზე საუბარი.

დარბაზული ტიპის, ოდნავ განიერი პროპორციის საშუალო ზომის ტაძარი რუხი ბაზალტის ქვითაა ნაგები. მოსაპირკეთებელი საფასადო თლილი ქვის საპასუხოდ ინტერიერი ზორკლიანი, ნახევრადთლილი, სხვადასხვა მოხაზულობის ქვებით იქმნება. უცნაურია, რომ ორ წყვილ სამსაფეხურა მცირედშვერილ პილასტრს, ამ განიერ ინტერიერში, კედლის თაღები არ გააჩნიათ — აღრინდელი მძლავრი, სამსაფეხუროვანი პილასტრები აქ თითქოს რეპლიკასავითაა გამოკრებული და ამიტომაც უძალოთა საფეხურები კი არ „შენდება“, ფორმის მიმგვანებით ერთ ქვაში საფეხუროვნად იკვეთება. ახალი დროის ნიშანია ისიც, რომ ერთი შეხედვით არქაული, უთლელ ქვათა მძლავრი წყობა რეალურად, დიდი, საშუალო და მცირე ქვების ურთიერთმიჯრით შექმნილი წყობის ნახატი იჯაბნება და ამის გამო ამავე ნახატი ქრება ისედაც უძალო არქიტექტურული პლასტიკა. ეს უკანასკნელი არც გამოირჩევა თლის ხარისხითა თუ სიძლიერესტრუქტურულობით, პირიქით, წყობის უსწორო ქვათა არქაული, ტრადიციული მოზმარებისას, ფორმები ახალ კონტექსტში იკვეთება — მოხაზულობები დაბრეცილია, მოშვებული — აღმოსავლეთ-დასავლეთ სარკმლის თაღების წვერი ცენტრიდან აცდ-

ნილია, საკურთხეველის აფსიდის სამკუთხა ნიშები ასიმეტრიული, თითქოს საფასადო სამკუთხა ნიშები რატომღაც ინტერიერში შეიტანესო. მხატვრულ ამოცანათა გაბუნდოვნებას უნდა უჩვენებდეს კარის დასავლეთისკენ „გაუგებრად“, უორიენტაციოდ მოთავსებაც — არც პილასტრთან შეწყობილი და არც ცენტრში მოთავსებული; ასეთივეა დასავლეთის კედელზე გამოყენებული ხერხი — ლუნეტის ძირამდე კედელი სქელია, მის ზევით კი რატომღაც ერთი საფეხური ვიწროვდება და სხვა.

ამაგ ნიშნებს ვხედავთ ფასადებზეც — მაშინველი თითქოს წინდაწინ დასმულ, ტრადიციულ მხატვრულ ხერხებს მიჯაჭვია და ამოცანად დაუსახავს თლილზედაპირიანი ფასადი გამართოს. მისთვის ცნობილი და აუცილებლად მიჩნეული ხერხი — სუფთა პერანგით გადაშოსოს ნაგებობა — შეიწირავს თითოეული კვადრის დამოუკიდებლობას და სიმთავრეს. ადრეული, ტრადიციული, სწორკუთხა დიდი ქვებით შექმნილი „ნაშენობა“ აქ თხელ მოსაპირკეთებელ ფილებად იქცევა, სადაც სიძლიერე კი აღარ არის მთავარი, არამედ ზედაპირის სისუფთავე, „სლიპინობა“, რის მისაღებადაც მასალა ნებისმიერი შეიძლება იყოს — პარალელურგვერდიანი, რომბისებური, მცირე, დიდი თუ სხვა. შესაბამისად წყობის ხაზებიც ამ ერთსახა თლილ ზედაპირზე გამოდებით ირწყევა, ჩაჯენილ-ჩამოჯენილი უსწოროდ მისდევს კორპუსს. დეკორისა და ფასადის მორთვაც შესაფერისი გამოდის — „გასუფთავებულზედაპირიან“ სიბრტყეზე მხატვრულ კონტექსტს გაჩვეული თვალი დეკორის სისტემასაც მოელის (ზედაპირის სისუფთავე დეკორის გაჩენის საწინდარია), სისტემის სანაცვლოდ კი ერთ სარკმლის სათაურად მოთავსებული ჯვარი, გაწყვეტილ რეზინასავით, მთელიდან ერთ ქვაზე შევარდნილ მცირე აქცენტად იქცევა — თითქოს მიატოვა მთელი ფასადი, უნერგო ერთ ფორმად იქცა. სამხრეთის უშველებელი წარწერაც („ქ. სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა... მე... მო... ამრი... ადგა... რქმ... თაგა...“) დიდ ბალავრის ქვაზე კი არ „იტყვა“, არამედ ბალავრიდან მომცრო ქვებზეც, წყობის ანგარიშშიუცემლად, აბლაბუდასავით გადაიფრქვევა და სხვა. ყველაფერი კი ნაგებობის XIII თუ XIV საუკუნის დამდგვის კუთვნილებაზე მეტყველებს.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფ. ვარდისციხე ითვლებოდა ხერთვისის ლივამი, ტყე-ჯავახეთის რაიონში. იქ მაშინ 14 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც მოჰყავდათ ზორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ბოსტნეული; ჰყავდათ ფუტკარი, ცხვარი, ღორი და წლიური გამოსაღები შეადგენდა 8000 ახჩას.

1719-20 წელს ეს სოფელი ექვემდებარებოდა ვინმე იაკობა პასანის ძეს და მისი წლიური შემოსავალი 15500 ახჩა იყო. 1724-25 წ.წ. სოფელი ვარდისციხე ვინმე იაკობა ომესის ძეს ჰქონდა, 7500 ახჩა წლიური შემოსავლით.

1840-41 წ.წ. ვარდისციხე დაუსახლებელი ადგილი იყო და ეკუთვნოდა ღურსუნ-ბეგ მაჰმუდ-ბეგ ოღლის.

96. შეგლეგი პუნქტი, რომელიც მეტად საყურადღებო სიძველეებს შეიცავს, არის კანიონის პირას მდებარე სოფ. ხანდო. ხანდოელთა ხილის ბაღები ხვეშია გაშენებული. აქვეა გამოქვაბულები და ნასოფლარი. ყორით მოზღუდულ ნაეკლესიარში ეკლესიის მაკეტი და ქვაჯვარის ბაზისია შემორჩენილი. ხევის მარცხნივ ღარი ჩანს 4 ნაწილად, იგი ხევის წყლით ამუშავებდა წისქვილს. გზა ხანდოსთან შესანიშნავ წყაროებს ამოუვლის და ისე მოადგება ხევის პირას მდგარ ეკლესიას. აქედან იგი სხვადასხვა მიმართულებით იტოტება. სოფლის ამჟამინდელი მკვიდრნი (ხანდოში ახლა სომხური მოსახლეობა) ამ ძველი, ფართო ლოდებით მოგებული გზით ხევიდან წყალს ეზიდებიან.

97. (ტაბ. 157-162) არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ხშირად ეკლესიას წინაქრისტიანული სალოცავის ადგილზე აგებდნენ ხოლმე. სწორედ ასეთი განწყობა დაგვეუფლა, როდესაც ხანდოს ეკლესია და მისი შემოგარენი ვინახულეთ. თუმცა კი საამისო, გამოკვეთილად თვალსაჩინო საბუთს იქ ვერ ნახავთ. პირიქით, აქაური სიძველეები საწინააღმდეგოს გემიტკიცებენ თითქოს: ეკლესიის ფასადებზე რვაჯერ მეორდება ჯვრის გამოსახულება; შიგნითაც, საკურთხეველს წინ აღმართული იყო საფეხუროვან ბაზაზე დაყრდნობილი ოთხმეტრიანი მონოლითური სტელა-ჯვარი (ახლა ორგან გადატეხილი); ისევე, როგორც სამხრეთი მინაშენის აღმოსავლეთ ნაწილშია წრიულ ბაზაში ჩასმული მომკრო ჯვარი.

ეკლესიის სიახლოვეს, მის ჩრდილოეთით, ერთ ბაზაში ჩასმული ორი მაღალი სტელაა. მარჯვენას ზედა ნაწილში მოგრძო, რელიეფური ჯვარია გამოკვეთილი შუაში წრიული კოპით. მეორე-სადაა. ორივეს ზვედიან ფოსოები აქვს ამოკვეთილი ჯვრის ჩასასმელად.

ღია ცის ქვეშ ჯვრის აღმართვის ტრადიცია საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს (გაიხსენოთ წმ. ნინოს მიერ აღმართული სამი ჯვარი). ისიც ცნობილია, რომ ხშირად ამგვარ ჯვრებს აღმართავდნენ წინაქრისტიანული სალოცავის ადგილზე. ასეთ დროს ადრინდელი კულტის ობიექტები ან ნადგურდებოდა, ან სახეს იცვლიდა და სხვა მნიშვნელობას იძენდა. მაგალითად, მეგალითური ძეგლებით მდიდარ მხარეებში (თრიალეთი, ჯავახეთი) ხშირად კვდებით მენჰირისაგან გამოკვეთილ მონოლითურ ჯვრებს. შესაძლოა, ხანდოს ეკლესიაც წინაქრისტიანული ხანის სალოცავის ნაფუძარზეა აგებული. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სოფ. ხანდო ჯავახეთის მნიშვნელოვან გზასაყარზე მდებარეობს და, საფიქრებელია, ის მუდამ დიდ როლს თამაშობდა ამ მხარის ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ქართული ლექსი:



„ფაშა ჩამოხტა ხანდოსა (ხანდოსა არა ნიჯგორსა),
კარგისა მასპინძლისასა, ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა“

აქ იგულისხმება ხანდოზე გამავალი მთავარი გზები: ახალქალაქი-ხანდო-ნიჯგორი.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთა ბატონობისას ხანდო დიდი სოფელი იყო, 61 კომლი მოსახლით. მას ჰქონდა უბანი, რომელსაც მეორე ხანდო ერქვა. ის, შესაძლოა, ზემოთ აღწერილი ნასოფლარი იყოს, გამოქვაბული-სახიზრებითა და წისქვილით კანიონში. ხანდო შედიოდა ტყე-ჯავახეთის რაიონში ხერთვისის ლივისა. მაშინ აქ ქართველებს მოყავდათ მარცვლეული, ჰქონდათ ბოსტნები და ა.შ. სოფელს 3 წისქვილი ჰქონია, რომელიც მუშაობდა მთელი წლის მანძილზე. ყოველივე ამისათვის ხანდოელთა გამოსაღები წლიურად შეადგენდა 15 000 ახჩას.

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მესამედის „ჩილდირის ეილეთის ჯაბა დაეთარში“ ხანდო აღარ იხსენიება, ჩანს, გაუკაცრიელებულა. აქედან გადასახლებულ ქართველებს თრიალეთში დაუარსებიათ სოფ. ხანდო, ქციის სათავეებთან, მის მარცხენა სანაპიროზე. არის კიდევ ხანდოსხევი, რომელიც არაგვს უერთდება მარჯვნიდან. სახელწოდებათა ასეთი გამოვლენა, ალბათ, მოსახლეობის გადაადგილებით, ან მომთაბარე მესაქონლეობით უნდა აიხსნას.

ხანდოს ეკლესია X ს-შია აგებული. იგი ცალწიანი, ერთიანი დაუნაწევრებელი გარშემოსავლელით სამხრეთიდან და დასავლეთიდან. შენობის ფასადებს კარგად გათლილი, სწორ რიგებად დალაგებული ქვები მოსავს, რომლებზეც სარკმელთა



29-30. ხანძო. ჭრილი აღმოსავლეთით, გეგმა

ჯერებიანი თავსართებია ამოკვეთილი, შიგნით კი რიგითი წყობა უთლელი ქვისაა. იატაკი თანადროული ქვის ბრტყელი ფილებითაა მოგებული. ჩრდილოეთის კედელს, საიდანაც უფრო სრულად ჩანდა ზემონახსენები საკურთხეველისწინა ქვის ჯვარი, მიუყვება ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი. ამავე მიზეზითაა გადაადგილებული ცენტრიდან ჩრდილოეთისაკენ დასავლეთის კარიც. თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ ამ შესასვლელამდე მლოცველს უნდა გაეკლო ვიწრო და ბნელი გარშემოსავლელი, ადვილად წარმოსადგენია როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჯვრით „გაესებული“ და მოხატული ეკლესიის ნახვა (მოხატულობისაგან მცირე ფრაგმენტებია შემორჩა). ცალკეულ დეტალთაგან ყურადღება უნდა მიექცეს გარშემოსავლელის დასავლეთის მონაკვეთში, შიგნით, იმდამკვარ გადანაკვეთებიან თავსართს, როგორც ფასადებისთვისაა ჩვეულებრივი, ინტერიერში კი გამონაკლისია. ასევე საგულისხმოა აწ გადაკეთებული სამხრეთის (აღრე-ორთაღოვანი) შემოსასვლელი, რომლის ახლანდელ წყობაშიც, ეკლესიის თანადროული წარწერის ფრაგმენტებია ჩართული („ქრისტე,

შეიწყალე სამხარაო“) და დაბალი რელიეფით გამოსახული ორი ადამიანის თავი — დიდი და პატარა (ხომ არაა ეს მაშენებელი და მისი შვირიდი?), წარწერაში იხსენიება სამხარაო...

ხანდო ახლაც, მიუხედავად დაზიანებისა, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

98. (ტაბ. 163-167) ხანდოდან ქარაფის გასწვრივ მიმავალ გზაზე მდებარეობს ნასოფლარი გრიალი (აქაური მოსახლეობა მას კირიას უწოდებს). ნასოფლარს ფარაენიწყლის მაღალი, კლდოვანი ნაპირი უკავია. შენობებისათვის აქ განსაკუთრებით დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. ალბათ, ამან მიიქცია ქვის დამამზადებელთა ყურადღება და ზედ ნასოფლარზე ქვის სამხერხაოები მოაწვეეს (ამჟამად გაჩერებულია).

როგორც ყველა მიტოვებულ ნასოფლარში, აქაც ეკლესია შედარებით უკეთაა შემორჩენილი, თუ შეიძლება ითქვას ეს კამარჩამოქცეულ ნაგებობაზე. გრიალის სამლოცველო XIII საუკუნის რიგითი სასოფლო ეკლესიაა, თავის კვალობაზე, საკმაოდ ხეირიანად ნაგები, გარედან კარგად, შიგნიდან კი უხეშად თლილი ქვებით ამოყვანილი. ოსტატი საგულისხმო მცდელობას გვიჩვენებს შენობის გასამშვენებლად. შიგნით, კარის თავზე „ცილინდრებით“ შედგენილი კონსოლია შეკიდული საბჯენი თაღის გადასაყვანად, რომელიც ძველ ჯავახურ ნიმუშებს მისდევს, მათებრ პლასტიკური და დასრულებული ვერაა. გლუვ საფასადო სიბრტყეებზე—რომელსაც არაფერი არღვევს, გარდა კვადრების ნაკერების გრაფიკული ნახტისა—გამოიყოფოდა საკურთხევლის სარკმლის მთლიანი რუხი ტონალობისაგან სივარდისფრით გამორჩეული ქვა (ამჟამად ჩამოვარდნილი და გატეხილია). მასზევეა კონცენტრირებული ოსტატის დეკორაციული შესაძლებლობანი—აქ ჯვარი და მცენარეული სახეებია გამოკეთილი, რომელთაც, ცხადია, აზრობრივი დატვირთვა აქვთ. თავად ნასოფლარი ძალზე საინტერესოა, ჯავახეთის ნასახლარებს შორის გამორჩეული და ჯერ კიდევ კარგად შემორჩენილი. შეიმჩნევა ნაგებობათა განლაგების მთელი სისტემა, ქუჩაც. ეკლესიის სიახლოვეს ვეება ლოდებით გადახურული დარანია, აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრზე გადაყირავებული მოზრდილი ქვაჯვარა გდია, მის გარშემო, სასაფლაოზე საყურადღებო საფლავის ძეგლებია—ყოჩები, ცხენები, გამოსახულებიანი ფილა, დგას მშრალად ნაგები კოშკის ნანგრევი, გვხდება ხაროები მარცვლეულისათვის...

ფარაენისწყლის კანიონის მარჯვენა სანაპიროდან სოფელში გზაჭრილი ამოდის. მას ორსავე მხრიდან ზურგიანი კოშკი და გალაყანი იცავდა, რომელთა ნანგრევები კიდევაც შემორჩენილი. ზეგანზე მიდის ერთი გზა ორჯისკენ, მეორე კი ხანდოსკენ. გრიალი ძველად მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა. 1595 წ. იგი ზერთვისის ლივამი შედიოდა, ტყე-ჯავახეთის რაიონში. იქ მაშინ 11 კომლი ქართული ცხოვრობდა, რომელთაც ბოსტნეულის გარდა მოჰყავდათ მარცვლეული, ჰყოლიათ ფუტკარი, ცხვარი, ღორი და იხდიდნენ 10 000 ახას. 1835წ. სოფ. გრია ისევ არსებობდა, 1857წ. გრია უკვე ნასოფლარია. არ ჩანს როდის დაკარგვა სახელწოდებამ ბოლო მარცვალი.

99. გრიალიდან ჩრდილოეთის მიმართულებით სოფელი ვარევანია. აქ ახლა ორი ეკლესიაა, ქართული და სომხური. ივ. როსტომაშვილი აღნიშნავს, რომ ამ სოფელში ძველი ქართული ეკლესია ყოფილა. მის ადგილზე 1893 წელს სოფლის მართლმადიდებლებმა ააგეს ახალი ტაძარი. ავტორი მოიხსენიებს ქართულწარწერიან მოზრდილ ქვას.

სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე მართლაც დგას XIX საუკუნის, ბაზალტის გათლილი ქვებით ნაგები დარბაზული ეკლესია. დასავლეთით, კენზე მას ოთხივე მხრივ თაღით გახსნილი სამრეკლო ადგას. შიგნით ეკლესია შეთეთრებულია. საკურთ-

ხეელის წინ ხის კანკელია აღმართული. ინტერიერში საფლავის ქვაა, მის ქართულ წარწერაში იხსენიება ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი ვინმე დარდაგანი.

ეკლესიის სამხრეთით შეინიშნება კედლის წყობის ფრაგმენტი. აქვეა მიწაში სანახევროდ ჩაფლული მოვარდისფრო არქიტრავის რელიეფურად გაფორმებული ქვა. მასზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, სადაც ცოდვილი იოვანე იხსენიება, თარიღად კი 1020 წელი აქვს დასმული („სახელითა ღმრთისაჲთა დაიდუა ესე ბალავარი კელითა ცოდვილისა იოანეს და გაბრიელისათა. ქორონიკონი იყო სმ“).

ოსმალთაგან დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში სოფელი ვარევანი 1595 წელს ტყე-ჯავახეთის რაიონში შედიოდა, რომელიც თავისთავად ხერთვისის ლივანში ითვლებოდა. მაშინ იქ 18 კომლი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც აქაური ტრადიციული კულტურები მოჰყავდათ. ჰყავდათ შინაური პირუტყვიც. წლიურად აქაურები იხდიდნენ 8000 ახჩის ოდენობის გადასახადს. 1718-1719 წლებში ეს სოფელი ვინმე იბრაჰიმ მუსტაფას ძეს ექვემდებარებოდა და წლიურად იხდიდა 18500 ახჩას. როგორც ჩანს, სოფლის მოსახლეობა გაზრდილა XVII საუკუნის მანძილზე. ვარევანზე არსებობს ხალხური ლექსი:

„ვარევანი მოსავლითა თუცა ზოგჯერ ნაქებია,
ქართველებიცა სახლობენ, უფრო მეტი ფრანგებია“
„ფრანგებში“ აქ კათოლიკე ქართველები იგულისხმებიან.

100. (ტაბ. 168-175) ფარაენისწყლის მარჯვენა შეშლინარის სათავეებთან, მთის ძირში შემორჩენილია XIII საუკუნის საკმაოდ დიდი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. აქ ნასოფლარი აბლარი ყოფილა. მისგან ამჟამად მხოლოდ უშველებელი ქვის ლოდებიღაა დარჩენილი, რომელნიც ეკლესიის გარშემოა მიმოფანტული. ეკლესიის ზომები და მისი ნაშთების იმპოზანტურობა, მის გარშემო შემორჩენილი სტელის ბაზები მეტყველებენ ამ პუნქტის მნიშვნელოვნებაზე.

აბლარის ეკლესიის ატყორცნილი სილუეტი მკვეთრად იკითხება დიდი და მცირე აბულის ფონზე. ნასოფლარის სახელწოდება შესაძლოა დაკავშირებული იყოს სპარსულ სიტყვასთან „აბ“, რაც წყალს აღნიშნავს, „წყლიან ადგილს“ (მდრ.: აბი, აბული, აბისი), აბლარი წყლების სათავეში მდებარეობს, მისი ტერიტორია ნახევარკუნძულს წააგავს.

დღეს ეს ადგილი უკაცრიელია და სწორედ ეკლესია არის ერთადერთი მეტყველი ნიშანი ადამიანის აქ არსებობისა.

ამ მონუმენტურ პეიზაჟში, გრანდიოზული მთებით გარშემორტყმული ეს პერანგ-შემოცლილი, თითქმის განახევრებული, კამარაჩამოქცეული ეკლესია მაინც ამაყად გამოიყურება. ეკლესია გარედანაც და შიგნიდანაც შესანიშნავად დამუშავებული ქვის ბლოკებით იყო ნაგები, იგი შორიდანვე თავისი აზილული პროპორციებით იპყრობს ყურადღებას. და მართლაც, მიახლოებისას ამკარად იგრძნობა ფორმების ზესწრაფვა. მეტი სიმაღლის ილუზიის შესაქმნელად ეკლესიის მოცულობა მთლიანად ზემოთკენ ვიწროვდება. პილასტრიც ქვემოთ უფრო განიერია, ზემოთ ვიწრო. კონკი ბრტყელი და შეისრული თაღითაა დასრულებული, სატრიუმფო თაღი კონქის ამ ატყორცნილ სელას მიყვება. იქნება მხატვრული ეფექტი განსაკუთრებული განსულიერებისა და ზესწრაფვის, ამ კედლების „რომანულ“ წყობაში „გოთური“ არქიტექტურის მისტიური განსულიერება იგრძნობა. საყურადღებოა ერთადერთი გაფორმების ელემენტი: საკურთხეველის კედელში კაპიტელის ღონეზე ჩატანებული ვერძის თავის პირობითი გამოსახულებებია რქების ვოლუტისებრი ხვეულით – შესანიშნავი ნახავი

წარმართულ-ქრისტიანული აზროვნებისა.

XVI საუკუნის ბოლოს აბლარი მოსახლეობისაგან დაცლილი ნასოფლარი იყო, რომელსაც მაინც შეწერილი ჰქონდა წლიურად 2500 ახჩა. 1857 წ. ნასოფლარი აბლარო მემამულე მელქონ ზოჯავარივის მფლობელობაში იყო.

101. (ტაბ. 176) კოთელია ქართული სოფელია, ძველი ჯავახური მოსახლეობით, ზოგიერთი გვარი კი საქართველოს სხვა კუთხიდანაა (კახეთი) გადმოსული. სოფლის ეკლესიას კვირიკეთს უწოდებენ. ეს, მოგანიჭო პროპოციის, ნაირფერადოვანი თლილპერანგინი ეკლესია, სოფლის განაშენიანებიდან XIX საუკუნეში მასზე შედგმული ოთხსვეტანი სამრეკლოთი გამოირჩევა, რომელზედაც ყარყატი ბუდობს ზოლმე. სადა ნაგებობას, მარტოოდენ საკურთხევის სარკმლის თავზე ბოლოებგაფართოებული განელელებული ჯვარი ამკობს (ისიც შესაძლოა უფრო ძველი ნაგებობისა იყოს). გადმოცემით ეკლესიის ქვეშ სამალავია, სადაც შიშინაობის დროს თავს აფარებდნენ ზოლმე. დარანი ყოფილა მახლობელ ნასოფლარში, რომელსაც მურჯი ჰქვია. კოთელიელთა სასაფლაოზე, ნიშია — მას კვირაცხოველს ეტყვიან. შუა სოფელში „სასწაულს“ მიუთითებენ, ესაა გალავანშემოვლებული ქვაჯვარი.

კოთელიის ეკლესიის სამშენებლო მხედრული წარწერა XVI საუკუნისა უნდა იყოს. მასში მოხსენებულია წმ. კვირიკეს ეკლესიის მამულებელი ქიშვადი და მისი თანამეცხედრე მეფის ასული თამარი*. ქიშვად ავალიშვილი ლიკანის სამრეკლოს მამულებელიცაა.

XVI საუკუნის ბოლოს კოთელია ტყე-ჯავახეთის რაიონში ითვლებოდა, ზერთვისის ლივაში. მაშინ იქ 3 კომლი ქრისტიანი ქართველია იყო დარჩენილი, მურნეობის ტრადიციული დარგებით. წლიური გადასახადი 10000 ახჩას შეადგენდა, რაც საკმაოდ დიდია მცირე სოფლისათვის.

1718-1719 წლებში სოფ. კოთელია ვინმე ჰალილ აბდულლაჰის ძეს ექვაბდებარებოდა, 3333 ახჩა წლიური გამოსაღებით. დღევანდელი ქართული მოსახლეობა, ჩანს, მერეა მოსული ჯავახეთის სხვა სოფლებიდან.

102. კოთელიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახ. 2 კმ-ზე სამ შემალელებულ ბორცვზე განლაგებულია ვერანა მურჯი. ნასახლარებში გამოირჩევა გალავანი, კოშკი, დარანი, აქვეა სასაფლაოც.

კოთელიიდან გზა რამდენიმე მიმართულებით იყოფა. აღმოსავლეთით: ბარალეთი, სირგვი, მურენა, სამსარი; ჩრდილო-დასავლეთით: ალასტანი, გოკია, აზავრეთი, ბურნაშეთი, საიდანაც გზის გაგრძელება შეიძლება კაჭო, ბოჟანო, ტაბაწყურისკენ.

103. (ტაბ. 177-178) ბარალეთი, ჯავახეთის ზეგანზე განლაგებულ სოფელთან ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეულად გამწვანებულია. თვალშისაცემი და მოულოდნელია ამ სოფელში ზეხილის სიმრავლე. ცნობილია ზალხური ლექსიც:

„ბარალეთი ლამაზია, წყალიც აქვს და ხიდიცაო,
ყველა ქალი გაიხარებს, პატარა და დიდიცაო“.

სოფელში ორი ეკლესიაა, ქართული და სომხური (ეს უკანასკნელი 1889 წლისა).

ქართული ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისაა, ის სოფლის ცენტრში, ძველ სასაფლაოზეა აღმართული. ეს ორნავეანი ნაგებობა გარე-შიგნით შეთეთრებულია, თან

* „ქ. ამა წმიდისა კვირიკისა საყდრისა აღმშენებელსა ქიშვადს და თანამეცხედრესა, მეფისა ასულსა თამარს შეუნდნეს ღმერთმან. ვულბაღსა და მისსა მეცხედრესა მზეკლს შეუნდოს ღმერთმან“.

ინტერიერში ისე სკლად შებათქმებულიც, რომ დღეს მისი სტრუქტურის თავდაპირველობაზეც კი ძნელია რისამე თქმა. საერთოდ კი, საკმაოდ უსიამო სანახაი, განრთხმული სივრცე, ტლანქ ბურჯებზე გადაყვანილი სამხრეთის ნეთგამყოფი სამთაღდის უცნაური შეჭრა საკურთხეველში, ხელოვნური ჩარევის შთაბეჭდილებას ქნის.

რადგანაც აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებულ ცნობილ წარწერაში („აღმენა ეკლესიაი ესე მათ ეამთა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა. აღიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებათა შინა. საყდრისა...“) მეფე გიორგი IV – ლაშას აღსაყდრება იხსენიება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ XIII საუკუნეში გადააკეთეს უფრო ძველი, ადრე შუა საუკუნეების ტაძარი. ახლა მის სახეს სომეხთაგან ზემოდან შედგმული სამრეკლო-ფანჩატურიც ემატება. საყურადღებო საფლავის ქვაა მხედრული წარწერით ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, იგი „ძველთა ქრისტიანეთა ეკლესიის შეწყნარებისა ერთგულ წინამძღვარს“, მართლმადიდებელ მღვდელ პეტრე ხმალაძეს ეკუთვნის და თავის ეპიტაფიაში მაჰმადიანთაგან სჯულის შევიწროებასა და რუსთ მთავრობის მოსვლას იხსენიებს.

104. სოფლის დასავლეთით, 1,5 კმ-ზე, გზის ორსავე მხარეს, „ღიდი და პატარა ნაცარგორაა“, ეს უნდა იყოს ნამოსახლარი გორები, რომელთაგანაც „ღიდი ნაცარგორის“ თხემზე გალაკანი ახლაც კარგად შეინიშნება. ორთავე გორაზე ჩანს კერამიკა. აქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს დისკო ორნამენტებით, რომლებიც, შესაძლოა კალენდარულ ჩანაფიქრს გამოხატავდეს, ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ადგილობრივი მკვიდრისას. აქვე უპოვიათ ბრინჯაოს ისრისწვერი და სამაგურები.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, XVI საუკუნის ბოლოს, ბარალეთი ბარალისად იწოდება. ეს სოფელი ხერთვისის ლივაში ითვლებოდა, ტყე-უჯავახეთის რაიონში. იქ მაშინ 21 კომლი ქრისტიანი ქართველი სახლობდა, ტრადიციული მეურნეობით, ჰქონდათ 5 თვალი წისქვილი 6 თვით. წლოური გადასახადი შეადგენდა 25000 ახჩას.

XVIII საუკუნის I მესამედში ბარალეთი მცირე ქალაქი ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: „არს ბარალეთი მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“. 1770 წელს ერეკლემ ასპინძის ომში ოსმალები სასტიკად დაამარცხა და ჯავახეთზე გამოვლით ქართლს დაბრუნდა. ჩანს, მეფეს ბარალეთზე გამოუვლია, რადგან ერთი საბუთის მიხედვით, მაშინ ბარალეთიდან 6 კომლი აყრილა და მეფეს გადმოჰყოლია ქართლში საბუთო ყმაბად. მეფე ერეკლეს ისინი სასირეთსა და ხანდაკში დაუსახლებია, 3 წლით ყოველგვარი გადასახადისგან გაუთავისუფლებია.

ამჟამად სოფელში 3000-მდე კომლია. ქართველების გარდა ცხოვრობენ სომეხებიც, რომელთა შესახებ გადმოცემა არსებობს, რომ ისინი აქ დავით აღმაშენებელს დაუსახლებია. დაბა-ქალაქობა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში უფრო მოსალოდნელია, ასეთ შემთხვევაში, ვაჭარ სომეხთა არსებობაც არაა გამორიცხული.

105. (ტაბ. 179-180) ბარალეთის აღმოსავლეთით, მერენიასა და ბულაშენს შორის სოფელი ხიდიჯვარია. იგი ახლა უკვე ნასოფლარია. მისი ნანგრევებად ქცეული ეკლესია და სასაფლაო გზის პირას დგას. საფლავებს შორის გამოირჩევა ყოჩისა და ცხენის ქანდაკებები. მართალია, ეკლესია ძალიან დანგრეულია, მაგრამ თარიღის დადგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. შენობის ვიწრო, აზიდული პროპორციები, კარგად გამოყვანილი კონქი და წყობა (გარედან თლილი, შიგნიდან უხეშად დამუშავებული ქვა) X საუკუნის დასასრულზე მიუთითებს. ჯერ კიდევ შერჩენილი ბათქმის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკლესია მოგვიანებით მოუხატავეთ. საკურთხეველში ვარდულებით და ვერებით გაფორმებული ჯვრის ლამაზი ბაზა დგას.

სახელწოდება ხიდივეკარი მოუთითებს, რომ სოფლის მახლობლად, სამსარისწყალზე ხიდი ყოფილა. შესაძლოა, ამ ხიდის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც ნასოფლარია და ეკლესია, მართლაც იდგა სტელა-ჯვარი (აქედან ხიდისჯვარი). არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ მოხსენიებული ბაზა მისი ნაწილი იყოს. ძველი ხიდისგან აღარაფერი დარჩენილა. ალბათ, ის იქვე იყო, სადაც ახალი ხიდია გადებული.

XVI საუკუნის ბოლოს ხიდივეკარი ხერთვისის ლივანში ითვლებოდა, ტყე-ჯავახეთის რაიონში. სამკომლიანი ქართული სოფელი მემინდერებით და მესაქონლეობით ირჩენდა თავს; ჰქონდათ ბოსტნები და ჰყოლიათ ფუტკარიც. მათი წლიური გამოსაღები შეადგენდა 2 000 ახჩას. 1728-29 წწ. ხერთვისის ლივანში შემავალი სოფელი ხიდივეკარი ვინმე ხალილს ექვემდებარებოდა და გამოსაღები შეადგენდა 14 000 ახჩას. 1837წ. ხიდივეკარი უკვე მოსახლეობისაგან დაცლილი ნასოფლარი ყოფილა.

106-107. (ტაბ. 181) მერენის ცენტრში შესანიშნავი წყარო მოსჩქევს. აქაურთა რწმენით (აქ ახლა სომხები სახლობენ) იგი სასწაულმოქმედი—რძედამშრალი დეღების მშველელი, რომლებიც აქ ყოველ შაბათს მოდიან. წყაროს თავზე ძველი ქართული რელიეფებით სამლოცველო ნიშნა მოწყობილი — თალოვანი თხზაულობის კედლის სიბრტყეში, გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგის ქვის ზატია ჩასმული. ზევიდან მას ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებიანი ქვა ადევს. ზატი XIV-XV საუკუნის უნდა იყოს. იგი, ალბათ, კანკელის ნაწილს წარმოადგენდა. ძველი ეკლესია აღარ ჩანს. შესაძლოა, ქვები სოფლის ცენტრში მდგარი, XIX საუკუნეში აგებული სომხური ეკლესიის მშენებლობისას გამოიყენეს. ამ ნაგებობის ცოკოლის კუთხეში ქვაჯვარაა ჩაყოლებული. ეკლესიიდან მოშორებით აღმართულია ვეშაპი, მეგალითური ძეგლი. მისთვის სოფლის მცხოვრებთ ფიცრული კედელი შემოუვლიათ.

ოსმალთა ბატონობის დროს, 1595 წელს, სოფელი მერენია ტყე-ჯავახეთის რაიონში ითვლებოდა, ხერთვისის ლივანში. მაშინ იქ ექვსი კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც მარცვლეული მოჰყავდათ, ჰქონდათ ბოსტნებიც. ჰყოლიათ პირუტყვიცა და ფუტკარიც. ისინი იხდიდნენ წლიურ გადასახადს 10000 ახჩის ოდენობით. 1706-1707 წლებში მერენია ვინმე იბრაჰიმისათვის მიცემული საკარავი იყო, სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. მისი შემოსავალი შეადგენდა 21333 ახჩას წლიურად. როგორც ჩანს, XVII საუკუნეში სოფლის მოსახლეობა რაოდენობამ იმატა.

108. (ტაბ. 182) ამაღლების სვეტი, „ამაღლების ჯვარი“ ნასოფლარ სირგავშია, ბარალეთიდან 3 კმ-ზე. ბორცვზე, გალავნით შემოსაზღვრულ ალაგას აღმართული, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესთაგანი, დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლისა, აღმართულია ერთმეტრიან, საფეხურებზე დადგმულ კუბურ ბაზისზე. ბაზისის წინა პირზე წრეში ჩაწერილი ჯვარია გამოსახული. სადა სვეტს ღარები ჩამოსდევს, სულ ზემოთ კი ქვის ჯვარია დასმული. ამ ადგილას დღეობა იცოდნენ აღდგომის მე-40 დღეს. ამაღლების ამ სვეტს ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. ადგილობრივთა რწმენით, ეს ჯვარი სირგვის მიდამოს ყარაულია, ის ყანას იფარავს სეტყვისაგან და ყანაც აქ არასოდეს მოცდება. ნათქვამია: „პური რომ არსად იყოსო, მურჯში მოიკითხეო, იქ რომ არ იყოს მურჯიკანში მოიკითხეო, თუ იქაც არ იქნება, სირგვზე ნახეო და უეჭველად იპოეო“.

ამ სვეტის შესახებ არსებობს თქმულება, თითქოს მას ოქროს ჯვარი ჰქონია, სვეტი 7 მძა ჯავახს წალკაში მოუპარავთ და მალულად ჯავახეთში წამოუღიათ. სირგვის მინდორზე ძმებს დაუსვენიათ და დაუძინიათ. როცა გაუღვიძიათ, სვეტი ადგილიდან ვეღარ დაუძრავთ. უთქვამთ, ალბათ, დაღლილები ვართ და ქვის აწვევა ვერ შეგძლებოთ, ისევ დავიძინოთ და მერე წავიღოთო. ძილში მათ ანგელოზი გამოცხადებით, რომელსაც უთქვამს—სვეტის ბინა აქ არის და აქვე აღმართეთო. ძმები ასეც მოქცეულან.

შემდგომში ეს სვეტი ქარიშხალს წაუქცევია, ავაზაკებს მისი ოქროს ვეჯარი მოუპარაეთ, რასაც მოჰყოლია დიდი გვალება. საქონელი და მოსავალი იღუპებოდა, 3 წელიწადი სოფელი შიმშილით წყდებოდა. ერთ მოსახლეს სიზმრით შეუტყვია, საქმეს მხოლოდ სვეტის წამოყენება და დადგმა უშველისო. ქვის აღსამართად მთელი კუთხე დაძრულა, მოგროვილი ფულით 3 ხარი უყიდათ და დაუკლავთ. იმავე დღეს კოკისპირული წვიმა მოსულა და მოსავალიც დიდი მიუღიათ. ამიტომაც ამაღლებას მლოცველები ამ ვეჯარს შესთხოვენ ჭირნახულის კარგ მოსავალს, ოჯახისა და საქონლის გამრავლებას. ამ სვეტის გვერდით შესანიშნავი ნამოსახლარი გორაა, ძალიან საინტერესო ანაკრეფი მასალით (ადრებრინჯაოს ხანა).

109. (ტაბ. 183-187) ამაღლების სვეტიდან დაახლოებით 200 მეტრში, მის საპირისპირო მხარეს, ბარალეთ — ტაბაწყურის გზის ხელმარჯვნივ მონანს მცირე ზომის ნაგებობა, რომელიც შორიდან არც კი ტოვებს ეკლესიის შთაბეჭდილებას. მიახლოებისას ირკვევა, რომ ეს არის მინიატურული დარბაზული ეკლესია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სირგვის (სირგოს) სახელით არის ცნობილი.

სამლოცველო ბარალეთის წყლის მარჯვენა, ამაღლებული ნაპირის მოსწორებულ ბაქანზეა აღმართული, ვერანა სირგვის ტერიტორიაზე. ეკლესიის ირგვლივ ნამოსახლარის კვალი დღესაც იკითხება.

სირგვის ეკლესია VIII—IX საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. გვემით ის ნახევარწრიული აფსიდიით დასრულებული მცირე, დაუნაწევრებელი მოცულობაა. ეკლესიის სამი ფასადი სრულიად სადაა. მხატვრული ზემოქმედების ძალა აკისრია ცოცხალ, სხვადასხვა მოყვანილობისა და ფერის, პირმოსწორებული ქვებისგან შედგენილ პატარა, მოძრავ სიბრტყეებს, რომელთა ცხოველხატული, თავისუფალი ნახატი კუთხის მძლავრი ქვებით შექმნილი „ჩარჩობით“ არის შერჩებულ-დასრულებული.

განსხვავებული დატვირთვისაა სამხრეთის ფასადი. აქ წყობა უფრო მოწესრიგებულია. აქვეა კონცენტრირებული შესასვლელი, სარკმელი და საფასადო დეკორი — რელიეფურად ამოზიდული, ცოლინდრულ ვოლუტებზე დაყრდნობილი, ლუნეტით დაგვირგვინებული მაღალი კარი, რომელიც ფასადის თითქმის მთელ სიმაღლეს მოიცავს. მასზე უშუალოდაა მიბჯენილი, თავსართით დასრულებული სარკმელი. ეს მორთულობა ამ ფასადის ძალიან მცირე სიბრტყეზე მძლავრ, დეკორაციულ აქცენტად აღიქმება. ლუნეტის ფილაზე გამოსახული ბოლნური ვეჯარი და სარკმლის თავსართზე მოცემული როზეტები ძალიან წერილად, გრაფიკულად არის დამუშავებული.

ეკლესიის დაუნაწევრებელ ინტერიერში მოხვედრისას განსაკუთრებული სიმყუდროვისა და ინტიმურობის შეგრძნება გვეუფლება. ფორმათა სისადავე აქ თვით შენობის სიმცირით არის განპირობებული, ამასთან კი სივრცე აქ საოცრად აზიდული და კომპაქტურია. ცალმხრივი განათება, რომელიც ახლა მხოლოდ სამხრეთის კედლიდან იჭრება — მისტიკურ იღუმალებას ანიჭებს მას.

ინტერიერში გამოყენებული ყველა არქიტექტურული ფორმა-იქნება ეს საკუთხეველი, თუ შესასვლელის თალი-საოცარი სინატიფით არის ამოყვანილი, კედლების თავისუფალი წყობა კი ვიბრირებულ, ცოცხალ ზედაპირებს ქნის.

სირგვის მისტიკური განათება, უმარტივესი საშუალებებით მაღალმხატვრული შთაბეჭდილების შექმნა, ის თვისებებია, რომელნიც ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ადრეული ეტაპის, კერძოდ VIII—IX საუკუნეების მიჯნის არქიტექტურისთვის არის დამახასიათებელი.


XVI საუკუნის ბოლოს სოფ. სირგვი ხერთვისის ლივაში ითვლებოდა ტყე-ჯავახეთის რაიონში. აქაური 4 კომლი ქრისტიანი ქართველი, ტრადიციულ მემინდვრეობა-შესაქონლეობას მისდევდა, ჰქონდათ წისქვილი 2 თვალი 6 თვით და წლიურად

იხილდა 11955 ახჩას. მოსახლეობა იყენებდა აგრეთვე სათესველს სახელწოდებით მიმინეთი.

1721-1722 წლებში სირგვი ვინმე ოსმან აბდულლაჰის ძეს ექვემდებარებოდა 8999 ახჩა წლიური გამოსაღებით.

110. (ტაბ. 188-195) სამსარისწყლის დაყოლებაზე (პატარა სამსარიდან დასავლეთით, 3კმ. მოშორებით), მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სამანქანო გზიდან შორს მოჩანს წრიული გალავნით შემოზღუდული ნაშენსტრალი. ადგილობრივმა სომხურმა მოსახლეობამ მისი სახელწოდება არ იცის და ისევე, როგორც ამ მხარეში არსებულ ყველა მონასტერს, მასაც „ეანქი“ უწოდა.

მელრეკი (ნელრეკი) ასე მოიხსენიებენ ამ გალავნიან მონასტერს სოფ. ბარალეთის ქართველები. მელერეკის სოფელია გორის რაიონში, ამ ორ სახელწოდებას, შესაძლოა, საერთო ფუძე ჰქონდეს. ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში, როგორც



31. მელრეკი. გეგმა

ჩანს, მონასტერი გაუქმებულია. იგი არც „გურჯისტანის ვილაიეთის ღიდ დაეთარში“ ჩანს. „მერეკა“ ძველ ქართულში „დრეკას“, მოკაკვას აღნიშნავდა. მელრეკი, შესაძლოა, მდინარის (და მას მოყოლილი გზის) მიმართულების მორდრეკას აღწერდა, რაც ადგილობრივად დასტურდება (მდრ: ნასოფლარის სახელი — „მოქცევა“, სამცხეში, სლესის ციხესთან). სამსარის კლდეკარისა და ქარვასლის შემდეგ, ეს გზა სამსარის გამოქვაბულ-მონასტერს გამოუვლიდა, კანიონით მელრეკს მოადგებოდა, შემდგომ კი ღრტილას (აწ. იხტილა) ჩადიოდა.

მელრეკის მონასტრიდან ყველაზე უკეთესად მშრალად ნაშენი მაღალი და სქელი გალავანია შემორჩენილი, რომელშიც უშველებელი ბლავრით დაზურული ბჭით შევდივართ. თვით ეკლესია ძლიერ დანგრეულია, სრულად მხოლოდ კონქორდევული აფსიდა დგას. მაინც ამჟამაა,

რომ ეს იყო დარბაზული ნაგებობა მინაშენებით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, მთავარი სადგომის გრძელ კედლებზე კი ძლიერად ამოზიდული ორსაფეხურიანი პილასტრები იყო.

ასეთი „ლონიერი“ არქიტექტურისათვის ერთგვარად შეუსაბამოა აღმოსავლეთი სარკმლის „მიმქრალი“ მორთულობა ფასადზე — მისი საპირის მოჩარჩოებაცა და მის თავზე გამოსახული ჯვარიც მსუბუქადაა დატანილი. კვლავ სხვაგვარია სამხრეთი სარკმლის თავსართი — ნატიფი და რელიეფური. ამ ორი სარკმლის მორთულობის ფორმა და შესრულების სხვაობა თითქოს მათ შორის ქრონოლოგიურ ინტერვალზე

უნდა შეტყვევებდეს — ერთი XIV საუკუნისას გაეს, მეორე კი პლასტიკურ X საუკუნეს. ამასთან, გადაკეთების კვალი აქ არ ჩანს, შენობა, თავის მიწაშენებიანად, ერთდროულადაა აგებული. ამის შემდეგ ისლა დაგვრჩენია, კიდევ ერთხელ აღენიშნოთ, როდენ რთულია მხატვრული ნაწარმოების შეფასება და მღერეის ეკლესიის თარიღის დაზუსტება სამომავლოდ (მისი არქიტექტურის ღრმად შესწავლის შემდეგ) გადავლოთ. ამჯერად მინც დავებნთ, რომ გეგმა, წყობა და სარკმლის მორთულობა X საუკუნის დასასრულს გვაფიქრებინებს.


სამსარის კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფ. პატარა სამსარიდან ნახევარი კმ. მოშორებით მდებარეობს. სოფელმა მისცა სახელი ქედს და მდინარეს, რაც ამ დასახლებული პუნქტის მნიშვნელობაზე და ქედთან სახლოეზეც მიუთითებს. სამსარი ორი ყოფილა — ზედა და ქვედა (მდინარის დინების მიხედვით), XVI საუკუნეში ორივე დაცლილია მოსახლეობისაგან. XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში არზრუმიდან გადმოსახლებულმა სომხებმა ზედა სამსარს დიდი, ქვედას — პატარა სამსარი უწოდეს.

111. პატარა სამსარში სომხური, 1891 წ. აგებული დარბაზული ეკლესია, ძველ ქართულ ნაეკლესიარზე დაშენებული და მის ფრაგმენტებს შეიცავს. ეკლესიის ეზოში ძველი სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ყოჩებისა და ცხენის ქანდაკებანი.

112. (ტაბ. 196) სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კანიონის ნაპირზე ე. წ. „ბერდი“-ის (ციხე) ნანგრევია. ოთხკუთხა ნაგებობის სივრცე, მისი მოპირკეთების ხასიათი (რეგულარულად ნაწყობი კვადრების ნაკვალევი ბათქაშზე), იქვე კანიონიდან ამომავალი საურმე გზა და გაჭრილი კლდეკარი გვეარაულებინებს, რომ აქ ქარვასლაც იქნებოდა. (შეად. ფუნდუკი ზურტაკეტში, სოფელ სალამალეიტან).

113. (ტაბ. 197-204) სამსარის კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფლის გარეთ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან კანიონში. გამოქვაბულები ორ-სამ სართულადაა განლაგებული. მონასტრის მთავარი ეკლესია გუმბათიანია და საოცარი სიზუსტით იმეორებს ჩვეულებრივად ნაგები ეკლესიის გეგმარებას თუ დეტალებს, რის მიხედვითაც იგი შეიძლება X საუკუნით დათარიღდეს. ამავე თარიღს აზუსტებს აქვე კლდის ქიშხე ამოკვეთილი ნაკლული წარწერა, რომელშიც მოხსენიებული უნდა იყოს სარკინო შთაგან მცხეთის ჯვრის მოხსრება და წმინდა ნინოს ხელის (ჯვრის) წარტაცება.*

ერთ დროს მოხატული ეკლესია ახლა საკვალლო მდგომარეობაშია. მის ავარიულობაზე ჯერ კიდევ ასი წლის წინ მიუთითებდა იე. როსტომაშვილი. მიუხედავად ამისა, ტაძარმა ჩვენამდე მოაღწია, თუმცა დაზარალი კედელ-კამარა და გუმბათი მას კარგს არაფერს უქადის. ფერწერის ნაცვლად




32. სამსარი. გეგმა

* საკვალლო აღდგენით იკითხება: „ქ. ამუნდა წმიდა იესე კანი დმრთისმშობლის სამკერდ ოდეს ქართველთა მეფეჲმან, კურაპალატმა დაით და კრამან ყოველმან ესე კანი და კრებული შეგვიბრალა, მაშინ ღლისა ჭირისაგან გუიქსნა, და უფალო იქსნინ იგიცა დღესა მას განკითხვისასა. სულამ მაშინ დაწერე, ოდეს აგარიანთა მცხეთისა ეკლესიათ დაწვეს და ნინოს კელი ტყუელ წარტანეს“.



33. სამსარი. ჳრილი

ბული ლილეები, მასიური გუმბათქვეშა თარო. ეკლესიას კანკელიც ჰქონია (შემორჩენილია მისი ფრაგმენტები). ეკლესიის ყველა ზუროთმოძღვრული ფორმა ზუსტია და დახვეწილი. ამ მხრივ სამსარი გამორჩეულია კლდეში ნაკვეთ ეკლესიებს შორის. გარდა მთავარი ტაძრისა მონასტერში არის სატრაპეზო, სენაკები, მცირე სამლოცველოები (ერთ-ერთი მათგანი მთლიანად არის მოწყვეტილი კლდიდან), გვირაბები. აღსანიშნავია აგრეთვე კლდეში გამოკვეთილი დარბაზი, თავისი დედაბოძით. სამსარი საინტერესოა ეპიგრაფიკული თვალსაზრისითაც, კარგადაა ცნობილი



34. სამსარი. ჳრილი სამხრეთით

სამსარის X-XI საუკუნეების წარწერები,* რომელთაგანაც ერთი ზემოთ გვქონდა დამოწმებული.

114. (ტაბ. 205-208) პატარა სამსარის მახლობლად სოფელი დიდი სამსარია. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შორიდანვე მოჩანს კარტოფილის ნათესებით „და-

* უმნიშვნელოვანესია საფასალო ქვაზე დაგანილი: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ესე წმიდაჲ ეკლესია ოღეს აღეშენა, მაშინ ესე ადგილი გყისაგან არა ჩნდა“.

ზოლილი“ ხასხასა მინდერების იქით, ჩალისფერ ბეჭობზე მდგარი ნანგრევი, რომელიც შორს ამოწედილი, ნისლით მოცული სამსარის ქედის ფონზე იხატება. ეს ვერანა სამსარის წმ. გიორგის ეკლესიაა. გარედან აქა-იქ პერანგ შემოძარცვული და კამარა-ჩამონგრეული, ის დარბაზული ტიპისაა, სამხრეთის მთელ სიგრძეზე მიმავალი თანადროული მინაშენით, რის გამოც ნაგებობა შორიდან ერთ დიდ, განიერ მოცულობად მოჩანს. მთავარი სივრცე ზემოთკენ შევიწროებულია, როგორც ჩანს, XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, ეს ადგილობრივი მხატვრული ხერხია — ზესწრაფვის საზგასასმელად. ინტერიერის მომცრო ქვათა სუფთა ზედაპირები, მათთან მხატვრულად „გათანაბრებული“ კონსტრუქციული ნაწილები, სადაც და ძლივს შესაძინევად პროფილირებული შეკი-ლული, თუ პილასტრთა კაპიტელები, თითქოს კიდევ ითხოვს ერთ, ყველაფრის შემკვრელ პლასტიკურ აქცენტს. მისი უქონლობის გამო კი განიერი კედლების ზედმიწევნითი „გადაკრიალება“ ერთგვარი სიმშრალის შეგრძნებას ბადებს. სამხრეთის მინაშენიც, მთავარ კედელზე გაყოლებული თხელი თაღებით, სიგრძივ ღერძზე დაგრძელებული უსაზო სივრცე იქნებოდა. ასეთი შთაბეჭდილება ეპოქის — XIV საუკუნის მხატვრული სახითაა გამოწვეული. ამას ადასტურებს აღმოსავლეთი სარკმლის ჩამოვარდნილი და გადატეხილი საპირეც, სქელი, უხეში ნაჭდევებით გამოხატული ორმაგი ხეული ლილ-ვით, კედლებში დასმული ჯვრებით. აქაურ სიძველეთაგან საყურადღებოა თანადროული ტრაპეზის ქვა, ეკლესიის გარეთ კი ძველი სასაფლაო, სადაც ერთ-ერთ საფლავი ღორფინით გადახურულ დარბაზულ ეკლესიას გამოსახავს, ზედ ოცნებასავით დაუს-რულებელ მრავალრიცხოვან წრე-ბურთებში ჩაწერილი დიდი თუ მცირე ჯვარ-საი-რალეებით.

115. (ტაბ. 209-211) იხტილას (ეს ძველი ღრტილაა) ძალზე საყურადღებო ეკლესია სოფელში დგას, დიდრონი ქვით შშრალად ნაგები გალაენით მოზღუდულ მოედანზე, რომელშიც ბლავრით გადახურული ბჭით შევდივართ. ეკლესიაზე თვა-ლის ერთი შეველებაც საკმარისია, რომ მისი უჩვეულობა შენიშნოთ—მაღალ დარბა-ზულ საყდარს ჩრდილოეთ-სამხრეთიდან თითქოს „გაყრილი“ აქვს მეორე დარბაზუ-ლი ეკლესია, ასე რომ, უგუშბათო ტაძარი გვემაზე „თავისუფალი ჯვრის“ ტიპისა გამოდის. ეკლესია თლილი ქვითაა ნაგები, მაგრამ რიგები ზოგჯერ სისწორეს ვერ ინარჩუნებს და ფასადზე „ირწევა“, ანდა იქ, სადაც განსხვავებული, მოზრდილი ქვა უნდა ჩაიდგას—ძლივს თმობს თავის თანმიმდევრულ სვლას და ამ ქვას „პირშემოხ-ერხილივით“ უხეშად ადგება (ბლავარი). უკვე ამის წყალობით იგი განვითარებული შუა საუკუნეების შემდგომი ხანის ნაგებობის ასოციაციას იწვევს. ამასვე აზუსტებს დეტალებიც: მთავარი კორპუსის კარნიზი (მასზე 1308 წლის ცნობილი სააღმშენებლო წარწერით)*, რომელიც სახურავის კეხზე მახვილ კუთხეს ვერ ქმნის და გაცხე-ლებული მეტალივით ზედ ბლავადაა გადაღუნული, ანდა სარკმლები, რომელთა მორთვაზეც, საყსებით გასაგები მიზეზით, ოსტატი ან ხელს იღებს, ან კი მომცრო, ძლივს შესაძინევ, მჭლე ხეულ ლილვს გაყოლებს საპირის აღსანიშნავად. ამ „ვასაჭირს“ საბოლოოდ „ხდის ფარდას“ სამხრეთი კარის დიდ უსწორო ბლავრის ქვაზე „დატყეპ-ბული“ ჯვარი. მას ისეთი დაღრეცილი ორზოლიანი წრე შემოუყვება, რომ მისი გაჭირვების შემხედვარეს, შეიძლება თვალის გასწორება მოგერიდოს კიდევ. მაგრამ ერთმნიშვნელოვანი სურათი აქ მაინც არაა — გვერდით „მკლავთა“ ზედა კედლებზე ძველი, VIII-X საუკუნეების ზუროთმოძღვრული მოტივი — „ცილინდრებიანი“ კარნიზის ქვებია დასმული. ეს გარემოება, ტაძრის ტიპის უჩვეულობასთან ერთად, ზოგიერთ

* „ქ. გათავდა ქვემელისა ლიპარიგის ცოლისა და თმოგველთა ქალისა რუსუდანისაგან, შეუნდვენ ღმერთ-მან. ქრონიონი იყო ჟამი ჭორეანისესა იოანეს შეუნდვენ ღმერთმან“.

მკლევარს აფიქრებინებს, რომ აქ ადრე „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ეკლესია მდგარა, რომლის ნაწილებიც გადაკეთებისას ახლა უკვე უგუმბათო ეკლესიაში გამოიყენეს. ტაძრის არქიტექტურის შესახებ არც ეს შეზღუდულება გამოსარიცხი, რასაც საგანგებო კვლევა ესაჭიროება, მაგრამ ძველი ნაწილების სიმკირე, კარნიზის ასე „საკმარის-საჭირო“ რაოდენობით შემონახვა (თანაც თითქოს საგანგებოდ, კუთხეებზე გადაკეცილის), იმასაც დასაშვებს ზღის, რომ იგი ძველის მიბაძვით ამ ეკლესიისთვის იყოს მომზადებული. ამ საკითხს დიდად ვერც ინტერიერის შელესილ-შეთეთრებული და დაბრეცილი ფორმები ჰყენს შუქს.

ეკლესიის ეზოში, ძველ სასაფლაოზე, ერთ-ერთი ქვა ასომთავრულწარწერიანია, XIV-XV საუკუნეების წარწერაში ნახსენებია ბალათური და მისი შვილი გიორგი („ქ. ბალათურს და მის შვილს გიორგის შეუნდევნ ღმერთმან“).

ღრტილა XI საუკუნეში სამეფო კარის სადგომი იყო. 1046 წელს ღრტილაში მოხდა შეკრება-პაექრობა ქართველ და სომეხ მოძღვართა შორის. ქართული წყაროს ცნობით, „იქმნა კულად კრება ღრტილას არა ვიდრეჲე სამღუდელო, არამედ უფროსლა სამხედრო“. იქ მდგარა ბაგრატ IV, აქ ყოფილა მამონ მისი „პალატი“.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფელი ღრტილა ხერთვისის ლივაში ითვლებოდა, ტყე-ჯავახეთის რაიონში. იქ 12 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა და ტრადიციულ მურენობას ეწეოდა. ჰქონიათ აგრეთვე, 3 თვალი წისქვილი სრული წლით, ორი კი გაპარტახებული, ჰქონდათ ზეთსახდელიც. მათი წლიური გამოსაღები შეადგენდა 13000 ახჩას.

1718-1719 წლებში სოფელი ღრტილა ექვემდებარებოდა ვინმე აჰმედ აღის ძეს, 10999 ახჩა გადასახადით, ხოლო 1722-1723 წლებში ვინმე ისმაილ აბდულლას. სოფლის გამოსაღები უკვე 6500 ახჩა იყო. აქ კარგად ჩანს — როგორ თანდათან დაკნინებულია სოფელი. ამჟამად სოფ. ღრტილაში სომხური მოსახლეობაა, გადმოსახლებული არზრუმის მხარიდან XIX საუკუნეში.

116. (ტაბ. 212-213) ალასტანის ეკლესია სოფლის ცენტრში დგას. მის დასავლეთით, სულ რამდენიმე მეტრში XIX საუკუნეში სომხებს დიდი უგუმბათო ეკლესია აუგიათ. ძველი ტაძარი დარბაზულია. მაღალი და განიერი კორპუსი მოზრდილია და მოცულობითი. ეს სურათი ახლა მეტადაა გაძლიერებული, როდესაც ჩამონგრეული კამარის ნაცვლად ის ბრტყლად გადაუხურავთ ხის სვეტების რიგზე. იგი კარგა ხანია დაკეტილია, გასაღები დაკარგულია და შიგნით შესვლა-შეუძლებელი. ინტერიერის დათვალიერებას ისიც აძნელებს, რომ საწყობად მისი გამოყენებისას ყველა ღიობი ხის დარბაზებითა თუ ქვის წყობითაა დაგმანული. ერთადერთი გზა, მოწადინე მნახველისათვის, დაჰპალი სახურავიდან შიგნით ზიფათის ფასად ჩაძრომა რჩება. ტაძარი „ჯავახურია“, მძლავრი მოცულობა თლილი კვადრებით ისე ოსტატურად შენდება, რომ წყობის ზაზები თმის ღეროს სისქეს აღწევს. კედლები კი მტკიცე ზედაპირებად გადაიქცევა, ამ ზედაპირებზე „დაბეჭდილი“ ყოველ კუთხეში, ეშმაკისაგან დასაფარავად, ბოლნური ჯერები. სადა ფასადებიდან, სადაც არც კართა ბალავრის ქვები შეუმკიათ და არც სამხრეთის სარკმლები დაუტანებიათ, ერთადერთი აღმოსავლეთისა შემკული. ზემოთ გაჭრილი სარკმლის ზედანი სიბრტყიდან ძლიერად გამოიზრდება. მას ძვირფასი მძივებით ღილები მისდევს. რომელთა თავზე შეუმცდარად მოხაზულ წრეებში ჩასმული სამი ბოლნური ჯვარია. მარცხენას გაფრენილი საპნის ბუშტუკებით მიმობნეული ვარდულები და წრეები მოიცავს. იქვეა წარწერაც. ამ სადა და გლუვი ზედაპირების მიღმა ინტერიერი ძალიან დანაწევრებულია პილასტრებითა და თაღებით, პროფილირებული კაპიტულებით, რომლებიც გამოკვეთილი სახსრებითა და ძაღვით, პროფილირებული კაპიტულებით, რომლებიც გამოკვეთილი სახსრებითა და ძაღვით მკაფიო და ჩამოჭნილია, რაც სხვა ნიშნებთან ერთად ეკლესიას X საუკუნის

ბოლოთი, ან XI საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს. (უფრო ამ უკანასკნელის უპირატესობით), წარწერები კი მშენებლობისას ქვათა შემწირველთა სახელებს გვაძე-ნობს – ნოშელი, დარი საოლის ძე...*

ძველად ალასტანი იბღენად მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, რომ ის მეფე ლამაზ გიორგის საუფლისწულო მამულის ცენტრად იქცა. ამიტომაც „თამარის ძეს გიორგის“, „ჯავახთუფალის“ გარდა წყაროები უწოდებენ „ალასტანელსაც“ (შდრ. თორელი, თმოგველი, გაგელი...). ალასტანი საუფლისწულო მამულად დარჩენილა შემდგომ ზანებშიც, XIV საუკუნეში ის „პროვინციის მუფეთა“ სამფლობელოა და მისი ცენტრი. წერილობითი წყარო იხსენიებს „მეფე ალასტანელს გიორგი დიდს“; 1392 წლის ერთი საბუთის მიხედვით, მცხეთის საკათალიკოსო მამულებში, სხვებთან ერთად უკვე ჩამოთვლილია: „ზეარეთის სოფელი გოგია (გოკია), სოფელი ალასტანი...“

XVI-XVII საუკუნეთა ოსმალურ დავთრებში ალასტანი სოფლად აღარ იხსენიება.

117. (ტაბ. 214-218) მთის ფერდზე შეფენილი გოკია დღეს ერთ-ერთი დიდი სოფელია ჩრდილოეთ ჯავახეთში. იგი თეთრობისწყლის მარჯვენა ნაპირზეა გაშლილი. აქედან აღაპური საძოვრები და ტყიანი მთები იწყება. ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ სახლობდნენ „მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“. ნ. ბერძენიშვილის ცნობით, 1918 წლამდე აქ ყარაფაფახი თურქები ცხოვრობდნენ. როდის ჩამოსახლდნენ ისინი ამ ტერიტორიაზე, ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, ეს ვახუშტის შემდეგ, XVIII ს-ის ბოლოს მოხდა. XX ს-ის 30-იან წლებში აქ მოსახლეობა შერეული ყოფილა და შედგებოდა სამცხიდან გადმოსახლებული ქართველების, სომხების, ოსებისა და ბერძენებისაგან. სალაპარაკო ენა მაშინ ჯერ კიდევ თურქული იყო, თუმცა უკვე იგრძნობოდა სომხურის მოძალეობა. ამჟამად ძირითადი მოსახლეობა სომხურია, ქართველები მხოლოდ ორი კომლიდაა დარჩენილი, სალაპარაკო ენა კი სომხურია.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გოკია ქალაქი ყოფილა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგი უფრო დაბა-ქალაქის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა და ამიტომაც მარტივად გარდაიქმნა სოფლად.

დღევანდელი სოფელი ძლიერი და ძალიან დიდია, ხეხილის ბაღებში ჩაფლული. მოშიშვლებული ჯავახური სოფლების შემდეგ ეს ნაძვლილი ოაზისია. ნაცრისფერ-ოქროსფერ შეფერილობაში ძალოვნად იჭრება მწვანე ფერი. ჩვენი თვალი გადაეჭვია კიდევ ასეთ პეიზაჟს, ყველამ შევიგრძენით ბაკურიან-ყვიბისის სურნელი. ივ. როსტომაშვილი გოკიაში შვიდ ეკლესიას ასახელებს, როგორც ჩანს მათი კვალი ადრევე წაიშალა. ამჟამად აქ მხოლოდ ორი ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. ერთი მათგანი, სოფლის ზედა კიდეში, წყაროსთან, ძველ სასაფლაოზე იყო აშენებული. სასაფლაოს ტერიტორია სოფელმა დროთა განმავლობაში აითვისა, მხოლოდ რამდენიმე ძველი საფლავის ქვა და ვერძია შემორჩენილი. მათ შორის ადრეული ეკლესიის ნანგრევები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სულ ახლახანს არის გაწმენდილი. ეკლესიის მხოლოდ გეგმა და წყობის რამდენიმე რიგი იკითხება. გეგმა კვადრატს არის მიახლოებული. აღმოსავლეთით სამი, ნალისებრი მოყვანილობის აფსიდაა, რომელთაგან ჩრდილოეთის რკალი სრულად არ არის შემოწერილი და საკურთხეველის კედელს აჯდება.

ნაგებობის შემორჩენილი კედლის წყობაში ჩატანებულია კარნიზის ქვები და დაცულია ქვის ფილა ბოლნური ჯვრის გამოსახლებით. ეს ქვები ყვითელი ფერისაა და განსხვავებულია წყობის დანარჩენი ქვებისგან. აქვეა დაცული არქიტრავის ქვა განედლებული ჯვრის დახვეწილი გამოსახულებით.

* „ესე მე, ნომელმან დაეფ ქვაა“; „ესე მე, დამიმ დაესუი საოლისძემან“.

ეკლესიის სამხრეთის ფასადზე საინტერესო და უჩვეულო დეტალია გამოკვეთილი — ფარი და ხმალი, რისი ანალოგიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში სხვაგან არ მოგვეპოვება.

გოკიის ზედა ეკლესიის ტიპის დადგენა მისი დღევანდელი მდგომარეობით ძალზე ძნელია, თუმცა აქ შემორჩენილი ფრაგმენტები და გვემის კომპოზიცია მეტყველებს მის ადრეულ წარმომავლობაზე და ის სავარაუდოდ VIII-LX საუკუნეების მიჯნის ეკლესიათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ.

118. (ტაბ. 219-220) გოკიის მეორე ეკლესია შუა სოფელში, ასევე ძველ სასაფლაოზეა განთავსებული. სასაფლაოს ტერიტორია დიდია. აქ მრავლად არის ვერძები, ძველი საფლავის ქვები და ხაჩქარებიც. ეკლესია დიდი ზომისაა. მისგან არსებითად მხოლოდ განიერი დარბაზული ეკლესიის კვადრატს მიახლოებული გვემა იკითხება. ის ნაგები იყო შესანიშნავად თლილი ქვის კვადრებით. შემორჩენილია ერთიან ქვაში ამოკვეთილი ორსაფეხურიანი პილასტრები, რომლებიც მენპირებივით არის ამოზრდილი მიწიდან. ეკლესიის სივრცე მეტად გართხმული, გაშლილი და ფართო უნდა ყოფილიყო. იგი თავისი ფორმებითა და წყობით განვითარებული შუა საუკუნეების ასოციაციას იწვევს (დაახ. XIII საუკუნე). 1392 წელს სოფ. გოკია საკათალიკოსო მამულებში ითვლებოდა.

119. ხევის მარცხნიდან სოფელს ორი გორაკი დაჰყურებს. ერთი გალანითაა მოზღუდული და სათავსოთა ბუდეები ჩანს. ანაკრფი კერამიკით იგი წინაფეოდალური ხანისაა. მისგან აღმოსავლეთით 600 მ-ზე, მეორე, კედლებით გამაგრებული გორაა, კერამიკით—ფეოდალური ხანისა.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფ. გოკია ხერთვისის ლივაში ითვლებოდა ტყე-ჯავახეთის რაიონში. მაშინ იქ 18 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ტრადიციული მეურნეობით. ჰქონიათ წისქვილიც ერთი თვალი 6 თვით, ორი თვალი კი მაშინვე უკვე გაპარტახებულიყო. ჰქონდათ ზეთსახელიც. გოკიის მცხოვრებთა სარგებლობაში ყოფილა ჩაირი თეთრობი. მათი წლიური გადასახადი შეადგენდა 15000 ახჩას. ცნობილია ხალხური ლექსიც:

„ბარალეთს აღოვაშვილსა სუფრა გაეგდო გრძელია,
გოკიას ცეცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალოს ქერია“.

საქართველოში გავრცელებულია გვარი გოკიელი, რაც ამ პუნქტიდან წარმომავლობას აღნიშნავს.

120. (ტაბ. 221-222) გოკიისწყლის (გოკია-ჩაი) ნასოფლარის ეკლესია სოფელ გოკიიდან 6-7 კმ-ზე, ტყეში ამომართულ ბორცვზე დგას. იგი თითქმის ძირამდეა დასული. მაგრამ ამ ერთ-ორი რიგი თლილი ქვის წყობაც კარგი არქიტექტურის მუწეებელია. მომცრო დარბაზულ საყდარს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია, სატრიუმფო თაღსა თუ პილასტრს სქელი ლილვით შემკული პლასტიკური თარო-კაპიტელი აბოლოებდა. ეკლესია X-XI საუკუნისა უნდა იყოს. აქედან ორ ნაბიჯზე, მაღალი მთის გავაკებიდან აჭარა მოჩანს, როგორც ამბობენ, კარგ ამინდში „ბათუმის ზღვით“.



121. (ტაბ. 223) გოკიისწყლის ნასოფლარის ძირში კიდევ ერთი ნასოფლარია. ესაა თეთრობი, რომელიც 1595 წელს უკვე გაუკაცრიელებული, გოკიის მცხოვრებთა სარგებლობაში მყოფი ჩაირი (სათიბი) იყო (იხ. ზევით). მზის გულზე გაშლილ, ტყით მოცულ მინდორზე შეფარებული ნასოფლარის ეკლესია ძალზე დაზიანებულია—გაფრცქვნილია და დანგრეული ნაწილები ბარდებშია ჩაკარგული. თლილი,

მაგრამ ზორკლიანი მცირე ქვებით ნაგები ეკლესია, შიგნით დასაზულუჯრედებიანი კაპიტელების მქონე თხელი პილასტრებით იყო დაყოფილი. ტაძარი გვიანია, შესაძლოა XIV-XV საუკუნეებისა.



122. (ტაბ. 224-227) ნასოფლარი ჭერული გოკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით ათ კილომეტრზე, გაშლილ ველზე მდებარეობს, ცხრაწყაროს უღელტეხილისაკენ მიმავალი სამანქანო გზის მარცხნივ. დარბაზული ეკლესია, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია და მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები აქვს გადარჩენილი, ერთი შეხედვით X საუკუნის ნაწარმოებს ჰგავს—თლილი დიდკვადრებიანი პერანგით, თულელი, რეგულარული წყობის ინტერიერით, რომელშიც კონსტრუქციული ნაწილები თლილია. მაგრამ ოდნავ გულმოდგინე დათვალიერებაც საკმარისია, რომ იგი უფრო შემდგომ, XIII-XIV საუკუნეების ძველთა რიცხვში ჩააყენოთ... განიერი პროპორციის დარბაზის კედლების მომცრო, უთლელი ქვები, ისეთი რეგულირებით იწყობა, რომ თითოეული მათგანი თითქოს გამოკვეთილი წინადადებასავით დამოუკიდებელი კი არაა, აჩიფრფეხებული ნათქვამით, წვრილშემადგენლებთან სიბრტყეს იძლევა, რომელზედაც პილასტრი ბოძითაა აყვადებული და მცირედ შევრილია. სამაგიეროდ შერისაგან გადმოვარდნაზე მისი კაპიტელი, რომელიც ქვედა ნაწილით პილასტრის სიბრტყეს აგრძელებს, ზემოთ კი უცბადი შვერით განივრდება. ასეთივე „სიმპტომატურია“ ინტერიერის აღმოსავლეთის სარკმელიც, ტეხილი თაღით, ქვემოთ გაგანიერებული წირთხლებით. ფასადი კი საბოლოო „ბეჭდეს ასვამს“ ამ დროით მის დათარიღებას—თლილი, ერთმანეთს კარგად მორგებული ქვები, რომლებიც ადრინდელ „დაჭიმულ“ სიბრტყეს მოგვაკონებს, ფეხზე დაყენებული კვადრებით იქმნება, თითქოს თლილი ზედაპირისთვის ფართობის მოგება უნდათო, რაც მათ XIII-XIV საუკუნეების „ზედაპირულობას“ ანიჭებს. ამიტომაც აღარ გიკვირთ მასზე ამ დროისათვის საყვარელი, ზედაპირზე თითქოს ობლად დასმული დიდი საპირე — ორი სადა ლილვით, უორნამენტოდ. ყველაფერი ეს ჭერულის ეკლესიას თავისი დროის დამახასიათებელ, მაგრამ საეკლესიო სიმუშად წარმოგვიდგენს.

სოფლის შესახებ არ არსებობს წერილობითი ცნობები, ჩანს, იგი მოსახლეობისგან ადრევე დაცლილა და ნასოფლარიღა დარჩა დღემდე.

123. (ტაბ. 228-331) აზაერეთი მთის სოფელია ახალქალაქის ჩრდილოეთით. სოფელში სომხური ეკლესია 1868 წელსაა აგებული. შუა სოფელში კი ძველი ქართული ტაძარი დგას. IX საუკუნის მიწურულისა და X საუკუნის დასაწყისის ეს ნაგებობა, ჩვენში და არც თუ მხოლოდ ვაგახეთში, ერთი ყველაზე უცნაურთაგანია. სუროთმოდვარ თვედორეს მიერ აგებული („უფალო, თევედორე — ამის მამენებელი შეიწყალე“) ეკლესია ფორმალური მონაცემებით „ჩვეულებრივი“ ტაძარია — დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთის შვერილი აფსიდით, სამხრეთის აფსიდიანი, გარეთ ორთაღლად გახსნილი და დასავლეთის აწ დანგრეული მინაშენით. მაგრამ საკმარისია იგი ადგილზე ნახოთ, რომ ეს ნიშნები სრულებით არაჩვეულებრივ არქიტექ-





35. აზაერეთი. გეგმა



36. აზერეთი. აღმოსავლეთის ფასადი


ტურად გარდაიქმნება — თაღ-პილასტრებით დანაწევრებული ცენტრალური დარბაზი, სხვაგან უნახავი, მხოლოდ აქ არსებული ხერხითაა გაფორმებული — მის კამარას ექვსი (!) საბრჯენი თაღი და სხვადასხვაგვარი პროფილის შეკიდული კაპიტლები იმაგრებს. და თითქოს ამ განსაკუთრებული კამარის გასანათებლად, ახალ-ახალი მონაფიქრებით გატაცებული ხუროთმოძღვარი დასავლეთი კედლის ზედა მონაკეთში დიდ, გახსნილ ორთაღებს აწყობს — ვოლუტებიანი კაპიტლებით, „ბუთქუნა“ ბურჯით—მთავარი სივრცისა და

დასავლეთი მინაშენის მაკავშირებლად, მინაშენისა, რომელიც, საფიქრებელია, ორსართულიანი იქნებოდა და მეორე სართული პატრონიკეს ფუნქციას შეასრულებდა. პირველი, რასაც ტაძართან მისვლისთანავე შეიგრძნობთ, ისაა, რომ ხუროთმოძღვარი არა მხოლოდ მრავალფეროვან ფორმათა გამოდგომებელი და გამოყვანია,




37. აზერეთი. კრილი სამხრეთით

არამედ უბრალო, „ტრადიციული“ ფორმების მრავალფეროვნად ამბეტყველებელიც. ქნისას უსაზღვრო თავისუფლების „თაყნარო“ უპირველესად მასალის გამოყენებაში ჩანს — მაშენებელი თავის ნაგებობას მრავალსახოვანი მასალით აგებს — ხორკლიანით, უხეში ქვითა თუ უზადოდ თლილი, სუფთა კვადრებით; მაგრამ ეს არაა ნებისმიერი მასალის უსაზო დახვევა, ან ერთ მასალაზე „მიჯაჭვით“, სხვათა მოხმობით გზის გაიოლება, პირიქით, ოსტატის ხელში ყველაზე უბრალო ლოდებიც კი ფორმადქმნელი ენერგიით ნირიანი და საჩინო ხდება. ხუროთმოძღვარი ყოველ არქიტექტურულ ნაწილს თავის საშენ მასალას, „სახეს“ შეუსაბამებს, თითქოს მისთვის არც არსებობს წინდაწინ გან-



38. აზაერეთი. კრილი დასავლეთით




39. აზაერეთი. დასავლეთის ფასადი


საზღვრული „ტრადიციულად“ კარგი (თლილი, გამშენებული) და ნაკლებხარისხოვანი მასალა, და ამით, თითქოს ახალი კანონზომიერება ყალიბდება. შედეგად მთავარი ნაწილი — საკურთხეველი, შეიძლება უთღელი, ჩაჭედილი კედლებისა იყოს, მინაშენი ჭლობილი ლოდებისა, რომელშიც ხან ნატიფი სამთაღელი გამოიხატება, ხან კი ლოდზე „ამოხეთქილი“ ჯვარი გაჩნდება, ზედა კედელი კი თლილი ქვით გადაიმოსება და სხვა.

ეს შთაბეჭდილება - სიახლისა, მოულოდნელობისა, ინტერიერში საუკეთესოდ ჩნდება — მოზრდილი ხორკლიანი ქვის ძირითადი კედლების ფორნტალური სიბრტყე

თითქოს მომარჩოა უზადოდ მოხაზულმა, აღმოსავლეთისკენ „მიმავალმა“ კედლის თაღებმა და სქელმა პილასტრებმა. ზემოთ კი ახლა უკვე ჩრდილოეთიდან-სამხრეთით სახსრებით



40. აზაერეთი. ჭრილი აღმოსავლეთით
1-3 ფარავანი. გეგმა, ჭრილები



41. აზაერეთი. ჭრილი ჩრდილოეთით

გადიტყორცნება თაღთა „ტყე“, რომლებიც ახალ-ახალი პროფილის კაპიტელთა „გალერეა-ზე“ დაფუძნებული, რომელთა შორის ორივე კედელზე გეომეტრიული სიზუსტით იკვეთება მყარად აღვილიძინილი სწორკუთხა სარკმლები. საკურთხეველის აფსიდაც ზომ კონტრასტებით ივსება – ქვემოდან ზემოთ თლის სისუფთავე მატულობს და კონქი სულ „სლიპინა“ ხდება. ოსტატი ჩვეულებრივს თითქოს არაფერს ტოვებს და ხელიდან ხან მრავალფეროვანი კაპიტელები გამოუდის, ხან კი სამხრეთის ბნელ მინამუნში, თითქოს სინეგავსო, კაპიტელე-

ბზე ნახატივით ამოკაწრული გამოსახულებები.

სოფლის სახელწოდების ფუძე – „აზავერი“, ურმის გარეშე, ტვირთის ასაკილი ხარია. მთის ამ სოფლის სახელწოდებაც ასეთი ხარების გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფ. აზავრეთი ხერთვისის ლივამი ითვლებოდა, ტყე-ჯავახეთის რაიონში. იქ 6 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მათ მეურნეობას შეადგენდა ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ბოსტნეული, ცხვარი, ფუტკარი, ღორი; ჰქონიათ ზეთსახდელიც ერთი თვალი; წლიური გამოსაღები 25000 ახჩა იყო.

1870 წ. აზავრეთში უკვე 69 კომლი ცხოვრობდა. ეს სომხური მოსახლეობა აქ XIX ს-ის 30-იან წლებში გადმოსახლდა არზრუმის მხარიდან.

124. (ტაბ. 332-334) სულ სხვაგვარია აზავრეთის მეზობელი სოფლის, ბურნაშეთის X საუკუნის ეკლესიის მაშენებელი. ისიც დარბაზულის, სამხრეთი და დასავლეთის მინაშენებიან ეკლესიას ირჩევს, მასაც დაუსახავს მიზნად ასეთივე გამოჩინებული ტაძარი აავოს. ისიც მასალას სხვადასხვაგვარს იმარჯვებს, მაგრამ რეალური ზორცმესხმისას სხვა სურათი იხატება – განსხვავებული მასალით ერთი მთლიანი არქიტექტურული აზროვნება აქ შეცვლილია. ის ადგილები, რომლებიც მოშველეს უპირველესად თვალში ხვდება – აღმოსავლეთის ფასადი, სამხრეთი ფასადის ზედა მონაკვეთი, მინაშენთა ფასადები „საჩვენებლად“ კარგად თლილი ქვით ამოყვანება, მაგრამ იქ სადაც თვალი ხელობას ვერ უფასებს, თითქოს მიაფურჩქებს – სხვა ფასადებს უსახო ქვით აგებს. ინტერიერშიც სქელი პილასტრის მიღმა ერთსახა, თითქმის მომაბეზრებელი წყობაა. მაშენებელი ისე სესხულობს აზავრეთის ახლომდებარე ტაძრიდან ცალკეულ ელემენტებს, რომ მხოლოდ ევექტურობის მიღწევა უნდა. ეს აპირობებს, რომ შშენიერი ფერადოვანი „საჩვენებელი“ ფასადების, რელიეფების, („დანიელი ლომების ხაროში“ საკურთხეველის სარკმლის თავზე* და სხვა.), ორთაღედის გვერდით, უხარისხო კამარები, მდარე ნაჭდევიანი პროფილები, რუხი „სტანდარტული“ ქვით ამოყვანილი ბნელი ერთსახოვანი ინტერიერი გვხვდება, სადაც აზავრეთივით რელიეფური პილასტრები სრულიად გამოთიშულია საერთო მხატვრული კონტექსტიდან.

მიგნით, ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებული XII-XIII საუკუნეების ასომთავრული წარწერა გვაუწყებს ვინმე გიორგის მიერ, ბურნაშეთის ეკლესიის მღვდლებისათვის მისგან ნაყიდი ყანის გადაცემას**.

125. სოფელს ჩრდილო-დასავლეთიდან თავს დაპყრებს ნამოსახლარი გორა, ანაკრეფი კერამიკით წინაფეოდალური და ადრეფეოდალური ხანისა. აქვე შერჩენილია მრგვალი კოშკის ნაშთი. უნდა ვიფიქროთ, ის აკონტროლებდა მდინარეს ამოყოლილ გზას და მთებისკენ მიმავალ გასასვლელს.

1595 წლის ოსმალური ადმინისტრაციული დანაწილებით, სოფელი ბურნაშეთი ხერთვისის ლივამი შედიოდა ტყე-ჯავახეთის რაიონში. იქ მაშინ 11 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც მემინდვრობა-შებოსტნეობას ეწეოდნენ, ჰყავდათ საქონელიც, ჰქონიათ წისქვილი ორი თვალი და ზეთსახდელი ერთი თვალი. მათი წლიური შემოსავალი 21 000 ახჩა იყო.

* აქვეა წარწერა: „უფალო ვითარცა იქსენ დანიელ პირისაგან ლომთაისა, ვერე იქსენ ამის წმილისა ეკლესიისა მაშენებელნი კელთაგან ჯოჯოხეთისათა“.

** „სახელითა ღმრთისათა და შუამდგომლობითა წმილისა გიორგისათა, დაგიწერე, მე გიორგიმან თქვენ ბურნაშელთა მღვდელთა – მოგვე ყანაი თიქაროანს ჩემგან ნასყიდი“.

1718-1719 წლებში სოფელი ბურნაშეთი წარმოადგენდა ვინმე ჰასან მუსტაფას ძის ზემეთს (პირობითი გაცემული მიწა), რომლის წლიური შემოსავალი 21 000 ახჩა იყო.

სოფლის სახელწოდება ადრე შესაძლოა ყოფილიყო ბურნაშენი, რადგან წარწერაში „ბურნაშენი მღვდლები“ იხსენიებიან. ასევე ბურნაშენი ერქვა ძველ რუკებზე თრიალეთის ერთ სოფელს, რომლის სახელი ჯავახეთის ამ სოფლიდან გადასახლებულებს უნდა გადაეტიანათ (ზღრ. ერუშეთი, ერუშენი).

გოკიის ზეით, ჩრდილოეთით, 3-4 კმ-ის აღმართ-აღმართ სვლის შემდეგ, სივრცით გაჭიმული ქედის გაყოლებაზე, ძველი ნასოფლარებია გაშლილი. აქედან თვალუწვდენელი პანორამა იშლება, ისეთი, სუნთქვა რომ შეგეკვრება და თავბრუსხვევას იგრძნობ. შორს აბულის, სამსარის, თავკვეთილას და შვენაბადას მთების სილუეტი იკვეთება. სოფლებს თითო დარბაზული ეკლესია ჰქონიათ.

126. კალთუბნის ეკლესია ძალზე საინტერესო ნიმუშია „მთის“ არქიტექტურის დასახასიათებლად. მართალია, იგი ძალიან დანგრეულია და გვეგმის დონეზეა იკითხება, მაგრამ ჩანს, რომ მშრალად, „ციკლოპური“ წყობითაა ნაგები. ეს საპირე ქვები, აქური წინაქრისტიანული ციხეებისგან განსხვავებით, უხეშად მაინცაა თლილი, ერთმანეთს „ჭდეებად“ ერგება და მძლავრ, მონუმენტურ ფორმებად ნაკეთავს ეკლესიას—ასეთია დიდრონი ქვებით შემოხაზული აფსიდა, მისი ძლიერი მხრები...

ნასოფლარის მოზრდილ დარბაზთა ბუდეებს შორის, ჩანს ხაროები, ზეთსახლეული გელაზის ქვა-ჯავახური სოფლის მეურნეობის უტყუარი, მეტყველი ნაშთები.

127. (ტაბ. 235-238) უფრო განსხვავებულია ოლდანის ეკლესია. იგი ამავე თხემის გაგრძელებაზეა, კალთუბნის დასავლეთით, იქვეა დიდ ფართობზე გაშლილი ნასოფლარი ქუჩით, მშრალად ნაგები ნასახლარ-ხაროებით (ზოგიერთ მათგანს გადახურვაც აქვს შერჩენილი,) გალავნის (თუ ნაციხარის) ნანგრევებით. ეკლესია დიდ-დიდი თლილი ქვითაა ნაგები, თითქმის სწორ რიგებად, შესასვლელებს დიდი ბალაქრის ქვები ზურავს. ამ „ლოდოვან“ წყობაში დეკორი არც ჩანს და გამოშსახველობას მეტყველი წყობა და „მონუმენტალიზმი“ განსაზღვრავდა. ერთადერთი მორთული, მოზრდილი ქვა — განედლებული დიდი და მის აქეთ-იქით პატარა ჯვრებით, ეკლესიიდან 6-7 მეტრზე გდია. არის თუ არა იგი ეკლესიის მამკობი, ძნელი სათქმელია. ყველა ეს ნიშანი, ერთადერთ შემორჩენილ, დაჭიმული მოხაზულობის აღმოსავლეთის სარკმელთან ერთად, მას X საუკუნით ათარიღებს.


1595 წელს კალთუბანი უკვე დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, თუმცა კი მარცვლეულზე შეწერილი გადასახადი 3000 ახჩას შეადგენდა. 1706-1707 წლებში სოფელი კალთუბანი ტყე-ჯავახეთის რაიონშია, ხერთვისის ლივაში და ექვემდებარებოდა ვინმე მუსტაფას, რომლის წლიური შემოსავალი 6000 ახჩა იყო. 1863 წელს კალთუბანი ისევ დაუსახლებელი ნასოფლარია. 1595 წელს ოლდანიც უკაცრიელი სოფელია ზემო ალასტანთან, მაგრამ მოწეული მარცვლეულის გამო, შეწერილი აქვს 7000 ახჩა წლიურად. 1706-1707 წლებში იგი ითვლებოდა ტყე-ჯავახეთის რაიონში, ხერთვისის ლივაში და ექვემდებარებოდა მუსტაფას. ეს იგივე პიროვნება უნდა იყოს, კალთუბანს რომ ფლობდა. მისი წლიური შემოსავალი სოფელ ოლდანიდან შეადგენდა 11000 ახჩას.

ჯავახეთში ლექსს იტყვიან:

„კოროშეთს თივა მოვითბე, ოლდანს დამიძირიო,
გოგოვ შენი სიყვარულით, მე ვერ დამიძინიო...“

კოროშეთი ვერანა ნასოფლარია ოლდანის სიახლოვეს.

128. (ტაბ. 239-247) კოჭიო, ძველი კაჭიო, მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“. 1595 წ. იგი შედიოდა ხერთვისის ლივის ტყე-ჯავახეთის რაიონში. მაშინ იქ სახლობდა 17 კომლი ქართველი, რომელნიც აქაურობისთვის ჩვეულ მეურნეობას მისდევდნენ. სოფელში ყოფილა 2 თვალი წისქვილი, 6 თვის მანძილზე რომ მუშაობდა და ბეზირხანა — სელის ზეთსახდელი. ყველა ამისათვის კაჭიოს მოსახლეობა იხდიდა გამოსაღებს 13 000 ახჩის ოდნობით. 1718-1719წწ. ხერთვისის ლივაში შემავალი ტყე-ჯავახეთის რაიონის სოფ. კაჭიო ექვემდებარებოდა ვინმე მუსტაფას ძეს და მისი გამოსაღები შეადგენდა 12 500 ახჩას. 1870წ. სოფ. კაჭიოში უკვე 12 კომლი ცხოვრობდა.



42. კაჭიო. გეგმა

სოფელში შემორჩენილია მოზრდილი დარბაზული ეკლესია. ერთი შეხედვით, იგი ისევე გამოიყურება, როგორც 100 წლის წინ, როდესაც ივ. როსტომაშვილმა მოინახულა. საოცარია, როგორ ინარჩუნებს სანახევროდ დანგრეული შენობები მდგრადობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ იმის მოწმეც ხშირად ვყოფილვართ, როცა დიდხანს შემონახული ნანგრევი ძალიან სწრაფად განადგურებულია. ასეთ კრიტიკულ ზღვარზეა კაჭიოს ეკლესია. ყოველ წუთს მოსალოდნელია საბოლოოდ ჩამოიქცეს კონქი და კამარის შემორჩენილი ნაწილიც.

ნაგებობა ძველ ნაეკლესიარზე დგას. ძველი ეკლესია IX-X საუკუნეებზე გვიანდელი არ უნდა იყოს, ახლანდელი კი XI საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს. ამაზე მიუთითებს მაღალი, აზიდული სივრცე, ინტერიერის პლასტიკური მახვილები, პროფილირებული იმპოსტები, საბრჯენი თალი, წამახვილებული ფრონტონი.

შენობის სუროთმომდგრული ფორმები ზუსტია და დახვეწილი. მხოლოდ ერთადერთი, სამხრეთის შესასვლელი წარმოადგენს სადა, უსწორმასწოროდ მოხაზულ თაღოვან ლიობს. მიზეზი ჯავახეთის არქიტექტურის ხასიათში უნდა იყოს საძიებელი. ამ მხარეში ხანგრძლივად შემორჩა შენობათა გლევი სიბრტყეების სიყვარული, რასაც ღრმა ძირები აქვს. საკმოდ დიდხანს გვხვდება ჯავახურ ეკლესიებში, შესასვლელის თავზე გადაებული არქიტრავის ქვა. დროს თავისი გააქვს და, როდესაც საქართველოს სხვა მხარეებში მდიდრულად მოჩუქურთმებული პორტალები ჩნდება, კაჭიოს ეკლესიის მშენებელმა თაღოვანი ფორმა მისცა ლიობს და თითქოს ამით მოიხადა ვალი იმ ყოვლისმომცველი მიმდინარეობის წინაშე, რომელიც ქართულ ხელოვნებათმცოდნეობა-

ში „ცხოველხატული“ სტილის სახელწოდებითაა ცნობილი.

ახალი სტილის გავლენა იგრძნობა კაჭიოს ეკლესიის შემორჩენილ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმელთა გაფორმებაშიც. მართალია, აქ ისევ ტრადიციული ჯვრიანი თავსართებია, მაგრამ მათ დამატებითი ელემენტებიც ერთის – ფოთოლი, ჩარჩო, წარწერა და ა.შ. ასე, რომ ოსტატები ცდილობენ გლუვად არ დატოვონ მნიშვნელოვანი საფასადო მახვილები. ეკლესიას კანკელიც ჰქონია, რომლის ფრაგმენტები ახლაც არის შემორჩენილი ინტერიერში. აფსიდის წინ, გამოსახულებიანი თავდატახილი სტელა დგას, ეკლესიის ირგვლივ ძველი სასაფლავო საინტერესო საფლავის ქვებით. ამ სოფლის წყალგალმა (ბოჟანოსწყალი) ნასოფლარი მიმინეთა, რომლის მიწას სათესველად იყენებდა სირვეის მოსახლეობა (იხ. ზევით).

129. (ტაბ. 248-256) ბოჟანოს მეფეთა სადგომის ნანგრევები სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. მიწაზე დასული კედლების გვემარება გათხრის გარეშე ცულად იკითხება. იგი იმ ადგილასაა აღმართული, სადაც, აგვისტოში აქაურ „წყაროთა ზედა“ მდგომ დავით აღმაშენებელს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანელმა თავადებმა მოართვეს ამბავი ანისის ქალაქისა და ციხეთა გადაცემისა. აქ შესანიშნავი წყაროები ახლაც გამოედინება. მის აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე, მთის ზედა ბორცვზე, შემონახულია აქაური ეკლესიებისგან ძალზე გამოჩენილი, მეტად „სამეფო“ არქიტექტურის ნანგრევები. მრავალ ჯგავსურ ეკლესიას ერთად აღებულსაც კი მრავალრიცხოვნებით შეიძლება სჭარბობდეს აქაური ნაეკლესიარის ჩუქურთმიანი, რელიეფებიანი, პროფილირებული თუ არქიტექტურულად გაფორმებული დეტალები, ანდა საფლავთა ქვა-ყუთები თუ დეკორირებული ლოდები, ქვის მოძერო ხატები, სტელათა ნამტერეები ... ეკლესიის ნანგრევი ცენტრში დგას. იგი, როგორც ერთ-ერთი წარწერიდან ჩანს, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა ყოფილა. ნაგებობა დარბაზული იყო, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენებით. დარბაზს პილასტრები ანაწევრებდა, რომელთა ბაზისები შემკულ-პროფილირებულია. ეკლესიის მოცულობის დასახასიათებლად იმის თქმაც კმარა, რომ ადგილობრივ სომხობას მისი კანკელის ადგილას კედელი აღუმართავს და მხოლოდ საკურთხეველში აპირებს ახალი ეკლესიის გამართვას. თავის დროზე ძალიან უხვად შემკული ეკლესიის თავდაპირველი სახის წარმოდგენა ძალზე ჭირს, მით უფრო, რომ ახალი მშენებლობისას ძველ ქვებს თავიდან თლიან და ახლის გასამშვენებლად ხმარობენ. ამ მიზნითვე ამოუთრევიათ აქ და საკურთხეველში ჩაუდგამთ XVIII-XIX საუკუნეების ბუხრის გამოურული ქვები. ასეთი მასშტაბისა და გამოჩენილობის კომპლექსის არსებობა, მაინცა და მაინც აქ, უეჭველობით უნდა მიანიშნებდეს, რომ იგი სამეფო სადგომთანაა დაკავშირებული და, ვგებ, სამეფო მონასტერიცაა (?). მდიდრული ორნამენტაცია, რომელიც არც X საუკუნის თავშეკავებულ მართულობას ჰგავს, არც XI საუკუნის „თხელ პლასტიკურობას“, არამედ X-XI საუკუნეში გავრცელებული მოტივების ძალზე უხვი და მდიდრული შესრულებით ხასიათდება, ცხადპყფის, რომ იგი XII საუკუნესი, დავით აღმაშენებლის ხანას მიეკუთვნება.

130. მონასტრის მახლობლად არის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, გალავნით გამაგრებული გორა-ნამოსხლარი. აქვე მთის ძირებზე 3 ნასოფლარია, ერთმანეთისაგან დიდი წყაროებით გამოყოფილი. ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე მჭკვევარე წყაროსთან ეკლესიის მხოლოდ საკურთხველის ნაწილია გადარჩენილი. სოფ. ბოჟანო ახლა დიდი სომხური სოფელია, რომელსაც სოფ. ჯანჯლის ტერიტორიაც უჭირავს.

1704-1705 წლებში სოფ. ბოჟანო და ჯანჯლა ზერთვისის ლივამი ითვლებოდნენ, ტყე-ჯავახეთის რაიონში. მაშინ ბოჟანოში 12, ჯანჯლაში კი—2 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ტრადიციული მეურნეობის დარგების მიმდევარი.

ბოჟანოში ზეთსახლედიც ყოფილა ერთი თვალი. ამ სოფელთა გადასახადი

შესაბამისად 10000 და 8910 ახჩა იყო წლიურად.

1704-1705 წლებში ბოჟანო ვინმე მუსტაფას ექვემდებარებოდა 10000 ახჩა გამოსაღებით. 1720-1721 წლებში კი ამ სოფელს შაჰინ აბდულლაჰი განაგებს 3500 ახჩა შემოსავლით. სოფ. ჯანჯღას 1721-1722 წლებში იუსუფ აბდულლაჰის ძე ფლობდა 10666 ახჩა გამოსაღებით წლიურად.

სოფ. ბოჟანო იყო თრიალეთშიც. უნდა ვიფიქროთ ჯავახეთიდან გადასულმა მოსახლეობამ გადაიტანა იქ ეს სახელი.

131. (ტაბ. 257) ლეკნარს უწოდებენ ბლანთელი ქართველები ნასოფლარს, რომელიც სოფ. ჯანჯღის აღმოსავლეთით მდებარეობს დაახლოებით 1 კმ-ზე. აქ გადმარჩენილია საკურთხევის ნანგრევები, მშენიერი თლილი ქვით მოხდენილად ამოყვანილი. აქვეა გალავანშემოვლებული სასაფლაო. 1595 წ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში ეს სოფელი არ იხსენიება. ამავე სახელწოდების სოფელი და ციხე არის სამცხეში, ასევე რაჭაში. ის დაკავშირებულია ზის სახეობასთან, რომელსაც ლეკი ჰქვია. ლეკნარი ასევე წარმოებული სახელია, როგორც კოპიტნარი.

132. (ტაბ. 262) აგანა ჯავახეთის უკიდურეს აღმოსავლეთ სოფლებში ერთ-ერთი ძველთაგანია. ამჟამად აქ XIX საუკუნეში არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობენ. მათი სამლოცველო 1905 წ. აუგიათ ძველი ქართული ეკლესიის ადგილზე და მისი ქვები აქა-იქ ჩაუყოლებით ახალი ეკლესიის წყობაში. სამხრეთის კედელში, მოწითალო ქვაზე, ასომთავრული წარწერის ნაშთი 1973 წ. ჯერ კიდევ იყო თავდაყირა ჩაშენებული (ახლა გადაშლილია). იქ იკითხებოდა „უფალო ღმერთო ბასილი ჰე (?) ო აქნელი მში ესე შ...“ კუთხოვანი ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში „ბ“ თავშეკრული იყო, „ე“, „ლ“ კი, დამატებითი ჰორიზონტალური ხაზის გარეშე. ამ ნიშნებით წარწერა საპატიო სიძველისა ჩანდა. სიტყვაში „აქნელი“ შეიძლებოდა გვევარაუდა სახელწოდება აგანას ძველი ფორმა – აკანა, აკანელი. აღმოსავლეთის ფასადზე ჯერიანი ქვებია, ერთი ტოლმკლავაა, მეორე – თხელი პლასტიკური ფოთლებით აყვავებული. ისინიც ყველა ნიშნით ადრეული ჩანს და ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება (VI-VII სს.). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა და გალავანი.

სოფლის აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი გორაკია, რომელთა თხემებს მშრალი წყობის გალავნები შემოუყვება. ანაკრეფ კერამიკულ ფრაგმენტებში არის წინაფეოდალური ხანის ნატეხებიც.

1595 წელს სოფ. აგანა ტყე-ჯავახეთის რ-ში ითვლებოდა, ზერთვისის ლივაში. იქ მაშინ 14 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა ზემო ჯავახეთისათვის დამახასიათებელი მეურნეობით: მემინდვრობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. ჰქონდათ 1 გაპარტახებული წისქვილი და წლიური გამოსაღები შეადგენდა 10000 ახჩას. ამჟამად აქ სომხური მოსახლეობაა, XIX საუკუნეში გადმოსახლებული არზრუმის მხარიდან.

133. (ტაბ. 258-261) ტაბაწყური ბოლო ჯავახური დასახლებაა. ახალქალაქ – ბაკურიანის დამაკავშირებელ გზაზე, უზარმაზარი, მომიშვლებული მთებით გარშემორტყმულ ტაფობში მდებარეობს ტაბაწყურის ტბა. ტაბაწყურის ძველი სახელწოდება „ტბისყური“, ძველად „ტაბა“ ტბას აღნიშნავდა. ამ ტბის ნაპირზე გაშენებულ სოფელს „ტბის ყური“ ეწოდა, მნიშვნელობით – „ტბის ყური“ (შდრ.: ლალისყური, წალასყური...). შემდგომში, სოფლის სახელის მიხედვით, მივიღეთ „ტბისყურის ტბა“, „ტაბაწყურის ტბა“.

ვახუშტი ბატონიშვილთან ტაბაწყურის ტბა ცნობილია „ტბის ყურის“ სახელით: „ტბა ტბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემგო, გარემო

ნამოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმანხითა სავსე, დიდწურილითა და ფრიალ გემრიელითა“. ტაბაწყურის ტბის შექმნასთან დაკავშირებით, ხალხში ორი მოსაზრება არსებობს. ერთის მიხედვით, იგი თამარ მეფემ მდინარე ქციიდან აღინაო, ხოლო მეორის თანახმად, ვახტანგ მეფის ნამოღვაწარიაო.

ასეა თუ ისე, ტბაში თევზის მომრავლებისა თუ ტბის შენარჩუნებისთვის უზარმაზარი მთის გადაღმიდან მდინარე ქციის წყალი არხით წამოუღიათ და მიუბს შუა, ვაკე, ჩაყარდნულ ადგილას ტბა შეუქმნიათ. ილია ალხაზიშვილის მონაცემით, ტბას თვითონაც აქვს ანკარა წყარო. მისი მოგზაურობისას, მეტადრე შევნაბადის მთის კალთებზე, ცივ-ცივი ნაკადულები საამოდ მოჩუხჩუხებდნენ და ადგილობრივი მოსახლეობა ტბის გემრიელ წყალს სასმელადაც ხმარობდა.

მართლაც, საოცარია ეს კამკამა, ცისფერი ტბა მკაცრი, მოღუშული, თავშიშველა მთების გარემოცვაში. აღმოსავლეთით, გადაულახავი კედელივითაა აღმართული რუხი ფერის პირქვეში, მკეთრი მოხაზულობის შევნაბადისა და თავკვეთილის მთები. ამ უკანასკნელს თავკვეთილს იმიტომ ეძახიან, რომ წვერი მოკვეთილი აქვს, რაც მისი ვულკანური წარმოშობის უეჭველი ნიშანია. შევნაბადა კი მთისთვის იმიტომ დაურქმევიათ, რომ შორიდან შავად მოჩანს, თითქოს ნაბადი წამოუსხამსო.

ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მაღალი, ხავერდოვანი, მწვანე ბალახით დაფარული მთები, რომელთა კალთებზე აგვისტოშიაც კი თოვლია შემორჩენილი, უფრო მოჩინლ, პლასტიკურ ხაზს ქნის, პორიზონტი—უფრო გაშლილია. დასავლეთიდან კი ტბაში ნახევარკუნძულად ნინო-ღელის მთის კალთა იჭრება. სწორედ აქ არის გაშენებული სოფელი ტაბაწყური. შუა ტბაში პატარა კუნძულია, სადაც ნამოსახლარი და კერამიკული ფრაგმენტები ჩანს.

ადრევეოდალურ ხანაში ტაბისყური „მიკროქვეყანა“ ყოფილა, თავისი საზაფხულო საძოვრებით და ტბის თევზით განთქმული. XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე, ზაფხულობით, აქვე, მოლითის მთის ფერდზე ცხოვრობდა ხოლმე რუსეთის ტახტის მეპკვიდრე — გიორგი, თავისი ამალით. ამ შესანიშნავ, დიდებულ ადგილზე, 1828-1830 წლებამდე სახლობდა თრიალელი ქართველი. XIX ს-ის II ნახევარში 49 კომლიდან ერთი ქართული ოჯახი წამლად მაინც იყო შემორჩენილი. ამჟამად, სოფელში მთლიანად სომხური მოსახლეობაა. დღეს აქ ქართველის მყოფობის ერთადერთი კვალი სოფელში არსებული ეკლესიაა, რომელიც მის ცენტრში — ტბაში შეჭრილი ნახევარკუნძულის ამაღლებულ ბორცვზე, ტბის პირას არის აღმართული და „წითელი საყდრის“ სახელით არის ცნობილი. XIV საუკუნის ერთ საბუთში იხსენიება თრიალეთის სოფელი „წითელი საყდარი“, რაც, შესაძლოა, ტაბისყურის მეორე სახელიც ყოფილიყო.

ამ ეკლესიის სახელთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით უწინ ამ სოფელს ადღგომა ღამეს სპარსელები დასცემიან თავს და მთლიანად გაუუღებტაით ქართველები. ეკლესიის კედლებიც სულ წითლად, სისხლით შეღებილა, ამიტომაც მიიღო მან წითელი საყდრის სახელი.

საინტერესოა ილია ალხაზიშვილის მიერ მოწოდებული ცნობა, რომ ეკლესიას წარწერიანი ქვებიც ჰქონია, რომლებიც ციციშვილებს წაუღიათ რაღაც დავის საბუთად, რადგანაც ბორჯომის მამულის მომიჯნავენი იყვნენ და თავის მიჯნას ამ საყდრის ნახევრამდე ასახელებდნენ. თუმც კი, ეს მთარული თქმულება გუჯარეთშიაც გვხვდება და ნაკლებად სარწმუნოა. თანაც, ძნელი წარმოსადგენია, სად უნდა ყოფილიყო ეს წარწერიანი ქვები— 1940-იან წლებში მიწისძვრით დარღვეული ეკლესიის ყველა დეკორაციული კომპოზიცია თუ რელიეფი ხომ შემორჩენილია. ალბათ, ამ მოსაზრების სიმცდარე-მართებულობის დადგენა ძეგლის გაწმენდის შემდეგ იქნება

შესაძლებელი.

ტბაწყურის „წითელი საყდარი“ X საუკუნეშია აგებული; კედლების ტონალობა მოწითალო-ფანგისფერია. აქედანვეა მისი სახელწოდება.

ეკლესიის ფასადებიდან განსაკუთრებული მორთულობით დასაველეთის კედელი გამოირჩევა. შესასველელის სადა არქიტრაფზე თითქმის ტოლმკლავიანი ჯვარია ამოკვეთილი, მის ასწვრივ სარკმლის რელიეფურ თავსართზე, წმინდა მხედრების ნადირობის ამსახველი სცენაა გამოსახული. მის ჩრდილოეთით, ერთმანეთის მიყოლებით, კიდევ ორი რელიეფია— „ღანიელი ლომების ზარომი“ და ყურძნის მტევნების არშიაში მოქცეული ორფიგურიანი კომპოზიცია. თუმცა, აქ გამოსახულთა ვინაობა ვერ ირკვევა, ამჟამად, რომ საქმე გვაქვს სამოთხესთან დაკავშირებულ სიუჟეტთან, რაზედაც ყურძნის მტევნის მოტივი მეტყველებს. იგივე შინაარსობრივი დატვირთვა აქვს აღმოსავლეთი სარკმლის თავსართს (ჯვარი, აქეთ-იქით ვაზის ხვეულით), რომელიც ამჟამად საკურთხეველშია დასვენებული.

ხსენებული ფიგურული კომპოზიციების გარდა, დასაველეთის ფასადზე გაფანტულია წრეში ჩაწერილი ჯვრები, ვარსკვლავები, გეომეტრიული ფიგურები — რომბები და წრეები, ვარდულები, რაც ასევე სამოთხის სიმბოლიკას უკავშირდება. ამგვარად, ეკლესიის ფასადებზე გამოსახული ყველა სცენა თუ დეკორატიული ელემენტი ერთი შინაარსისაა და სულის მარადიულობასა და უკვდავებას ასახავს.

ეკლესიის ინტერიერი სრულებით განსხვავებულია. აქ მხატვრული ზემოქმედების ძალა აკისრია სხვადასხვა ზომის თლილი ქვის კვადრების წყობას. ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფილი კონსტრუქციული ნაწილები, დაბჯდარი, მძიმე პროპორციების და კედლის თაღების ცოტათი მოუქნელი, ტლანქი მონახაზი უკარგავს ეკლესიის შიდა სივრცეს იმ მოხდენილობას და ზესწრაფვას, რითაც ასე გამოირჩევა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. ვინაიდან ეკლესიას გადაკეთების კვალი არ აჩნია, ასეთი მიდგომა შეიძლება ხუროთმოძღვრის ინდივიდუალურ ნიშნად ჩათვალოს. ტბაწყურის ხუროთმოძღვარი სივრცეში ნაკლებად აზროვნებს. მის მიერ შექმნილი ინტერიერი მარტივი და კომპაქტურია, მაგრამ მეტისმეტად უტყვი. მას აკლია ის სულის კუმშვა, რომელიც გაოცების, აღფრთოვანების და სივრცის ამღვლეობისა და უსასრულობის შეგრძნებით არის ზოლმე გამოწვეული. ეტყობა, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, იმ პროგრამის ხილულად წარმოჩენაა, რაც ეკლესიის ფასადებზე განთავსებულ სიუჟეტურ რელიეფებსა და მათთან შინაარსობრივად დაკავშირებული დეკორატიული ელემენტების სიუხვეში ვლინდება. ერთადერთი გზაც ხომ ეკლესიას დასაველეთიდან უდგება და მნახველის წინაშე უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს, სამოთხის იდეის გამომხატველი ფასადი იშლება. ეს უკვდავებისა და მარადიულობისადმი მიძღვნილი ჰიმნია! მის გამოძახილს კი აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის დეკორშიაც ვხვდებით.

ტბაწყურის „წითელი საყდარი“, X საუკუნის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სახასიათო, ამასთანავე, ინდივიდუალური ნიშნებით უხვად დაჯილდოებული, მხატვრულად, შესაძლოა, არც მაინცდამაინც გამოირჩეული, მაგრამ განუმეორებელი, თავისებური ხიბლის მატარებელი ეკლესიაა.

134. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი მთის თხემზე წმ. ნინოს ეკლესიის ნანგრევია — პატარა შენობის პერანგშემოცლილი ნაშთი, რომელიც შემდგომში შეუვსიათ ნაყარი ქვებით. ეკლესიის ბათქაშს შიგნიდან და გარედან თარაზული წყობის ნაკვალევი ეტყობა. ანაკრფი თიხის ნატეხებიდან ერთზე, ჯვრის გამოსახულება. ეკლესიის დაბლა, ფერდზე, მშრალი წყობის კედლებით მორკალული ტერასებია შექმნილი, სადაც სათავსების ნაშთები ჩანს. ეს სოფლელების თავდაცვისათვის მოწყობილი სიმაგრე თორიდან და თრიალეთიდან ჯავახეთში მიმავალი გზების

შესაყარსაც დარაჯობს. წმ. ნინოს შწერება და ღამისთევა ფარაენის ტბასთან, ჩანს, ხალხის მენსიერებამ ტაბისყურის ტბასთანაც დააკავშირა.

XVI საუკუნეში ტაბაწყური დაცლილი იყო მოსახლეობისაგან.

* * *

135. (ტაბ. 263-266) ტაბაწყურიდან ვბრუნდებით ასპინძა — ახალქალაქის რაიონების საზღვარზე მდებარე სოფ. თოკში და გზას ვაგრძელებთ ჩრდილო-დასავლეთით ობოლეთამდე, რომელიც ამ მიმართულებით ჯავახეთის უკიდურეს პუნქტს წარმოადგენს.

სოფელი თოკი ფარაენისწყლის და ვარეგანისწყლის შესართავთან მდებარეობს. იგი საკმაოდ ძველი დასახლებაა. სოფელში შემორჩენილია დარნები, XIV საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, IX-X საუკუნეების სტელეები. ზემოხსენებული ორი ხევის შესაყარს ქედი გადაჰყურებს, რომელსაც ციხისთავს უწოდებენ. ესაა გალაკანშემოვლებული ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი. სქელი კედლები და გათლილი ქვების რეგულარული წყობა მის ადრეულობაზე მეტყველებს. იგი, შესაძლოა, გვიან საუკუნეებშიც მოქმედებდა. ადგილობრივთა გადმოცემით, ბოლოს იქ უცხოვრია აქაურ გამაჰმადიანებულ ბეგს — აბაშიძეს. სოფელში მაჰმადიან ქართველთა სასაფლაო ცალკეა, ქრისტიანთა კი — ცალკე.

XVI საუკუნის ბოლოს თოკი შედიოდა ხერთვისის ლივაში, ტყე-ჯავახეთის რაიონში. ის მაშინ ათკომლიანი სოფელი იყო ქართული მოსახლეობით. ისინი მისდევდნენ ტრადიციულ მეურნეობას. ნ თვის განმავლობაში ამუშავებდნენ ერთ თვალ წისქვილს; მათი გამოსაღები წლიურად 12000 ახჩა იყო. 1870წ. თოკში 16 კომლი ირიცხებოდა. 1944წ. აქაური მაჰმადიანი ქართველები (იერლი) შუა აზიაში გადაასახლეს. ამჟამად თოკი სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული ქართველებითაა დასახლებული.


როგორც ჯავახეთის ზეგანზე არსებულ სხვა სოფლებში, თოკშიც ძველთაგანვე ხილის ბაღები, ქვევით, კანონშია გაშენებული და ისევე როგორც ყველგან, სოფლის ეს ორი ნაწილი მეტად კონტრასტულია. ჩვენ ეს განსაკუთრებით თოკში ვიგრძენით. იმ დღეს, როდესაც სოფლის ეკლესიის სანახავად გავემართეთ, სუსხიანი ქარი ქროდა, რამაც ხელი შეგვიშალა ჩვეული სამუშაოს შესრულებაში. შემდეგ ხილის ბაღებში ჩავედი და თითქოს წელიწადის სხვა დროში აღმოვჩნდი. აქ ნიავიც არ იძროდა, მსხმოიარე ხეხილი ტერასებზე იყო განლაგებული, წყაროებიც მრავლად გვხვდებოდა. დასახლების ამგვარი მდებარეობა წინათ თავდასაცავადაც მოზერხებული იყო. სოფელში ამოსასვლელი, ზღუდით იკეტებოდა და მოსახლეობას ნაკლები საფრთხე ელოდა. თოკი ბაღებიდან ამომავალ ვიწრო ბილიკს უნდა აღნიშნავდეს, საიდანაც წარმოდგა სოფლის სახელწოდება. საინტერესოა მსგავსი ტოპონიმი — „ბაწარა“ ტაო-კლარჯეთში.

თოკის წმ. გიორგის ეკლესია კარგად არის შემორჩენილი. მას ათიოდე წლის წინ ჩაუტარდა რესტავრაცია — აღდგა ჩრდილოეთის მინაშენი, რომელიც ძლიერ იყო დაზიანებული. ეკლესიის სიგანეში გასული, დაბჯდარი პროპორციები შორიდანვე მეტყველებს თარიღზე (XIV ს.). ნაგებობის ფასადებს გამოღვენილი კირხსნარის ჩარჩოში მოქცეული ნაირფერი კვადრები მოსავს, რაც წყობის რიგების უსწორმასწორობასთან ერთად, საკმაოდ ფერწერულ სურათს ქმნის.

სარკმელთა გაფორმებაში ოსტატი, XIV საუკუნისათვის უჩვეულო, ძველ ელემენტებს (ლილვებზე დაბჯენილი თავსართი და ა. შ.) იყენებს. მათი კომბინაცია-

გადანაცვლებით ახალ კომპოზიციას ქმნის. თოკის ეკლესია ე.წ. „ხალხური“ ნაკადის ხუროთმოძღვრულ ნიმუშს წარმოადგენს, მისთვის დამახასიათებელი ერთგვარი გულუბრყვილობით და თავისებურებით.

შენობის სამხრეთის ფასადთან სტელებია. ისინი ეკლესიაზე ადრინდელი ჩანან (IX-X საუკუნეები). მათი ბაზები წარმოადგენენ მასიურ კუბებს, რომელთა წინა პირზე ტოლმდგა ვეჯარა გამოსახული. სტელათა ზედა ნაწილები სრულად არ არის შემორჩენილი. მათ შორის ყურადღებას იქცევს „თაღოვან-კამაროვანი“ ელემენტებით დამუშავებული ერთ-ერთი ფრაგმენტი.



43. თოკის მონასტერი. ეკლესიების გეგმა

სხვადასხვა დროის ნაგებობები. ზევით მოზრდილი დარბაზული ეკლესიაა, ქვევით-მცირე სამლოცველო. ზედა ეკლესიის სამხრეთის ფასადიდან დაშვებული კედელი დასავლეთით უხვევს და მცირე სამლოცველოს სამხრეთის კედლიდან ოდნავ მოშორებით წყდება – აქედანაა მონასტრის შესასვლელი. სამშენებლო მასალად გამოყენებული ქვა მონაცრისფრო-მოლურჯო ფერისაა, სწორედ ისეთი, ზაფხულობით რომ გადაეკრება მოწმენდილ ცას დაბინდებისას. აქვეა წყაროც. ქვევით, ღრმა ხეობაში მდორედ მიედინება ფარავნისწყალი. გაღმა, კანიონის თავზე ნასოფლარი ცხკენელია. იქედან დაშვებული მაღალი, დანაოჭებული ფერდობების ძირში ბაღებია გაშენებული, რომელთა შორის ნაისას ეკლესიის ნანგრევები ჩანს. ხეობის გაღმა-გამოღმა, ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე თოკის მონასტერს და ნაისას ადგილობრივები და-ძმას უწოდებენ.

მონასტრის ნაგებობებიდან გამოირჩევა IX საუკუნეში აგებული მცირე სამლოცველო, რომელიც ჯავახეთში დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთი ადრინდელი ეკლესიაა. იგი ამ მხარეში მონასტრების დაარსების საკითხთან დაკავშირებითაცაა საინტერესო. მეტად შთაბეჭდავია ეს პატარა, ნახევრად მიწაში ჩამჯდარი ნაგებობა – მომცრო, ასიმეტრიული ბლოკებით ამოყვანილი კედლებითა და თლილი ქვის ზუსტად ნაწყობი ნალისებური თალით, კონქითა და კუთხეებით, ძველი ტრაპეზით და, რაც ძალზე არსებითია, თალით გახსნილი დასავლეთის კედლით. მისი ზილვა ძალაუნებურად აღძრავს წარსული ცხოვრების სურათების წარმოსახვის სურვილს. ნეტავი ვინ აგებდა ამ შენობას, ან როგორი იყო მღვდელმსახურება. დასახლებიდან

აქვეა საფლავის ქვა, რომელიც დარბაზული ეკლესიის სახედაა გაფორმებული-ორფერდა სახურავით, ვეჯირანი და თაღელიანი „ფასადებით“; გულისამაჩრუებელია მონღობებით გამოყვანილი „კარ-სარკმელებიც“.

136. (ტაბ. 267-273) თოკიდან

სამხრეთ-დასავლეთით, 2კმ-ის დაცილებით, ფარავნისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს მონასტერი. მისი სახელწოდება უცნობია. სოფელთან სიახლოვის გამო მას პირობითად „თოკის მონასტერს“ უწოდებთ. შეველ ფერდობზე, სადაც არა თუ მშენებლობა, თავისუფლად მოძრაობაც არ არის უსაფრთხო – ტერასულად განლაგებულია ერთ ბირთვად შეკრული

დაშორებული, დასავლეთიდან ღია, ცხადია, იგი სოფლის ეკლესია არაა, არც განდევნილის საძლოცველოს ძეგლს. შესაძლოა, ეს მემორიალური ნაგებობა იყოს, გამორჩეული წმინდანის დაკრძალვის ადგილზე აგებული, სადაც მოგვიანებით მონასტერი დააარსეს.

მონასტრის მეორე ეკლესია XIII საუკუნეშია აგებული. იგი თლილი ქვით შემოსილი, შედარებით მოზრდილი ნაგებობაა, ორგანყოფილებიანი მინაშენით ჩრდილოეთიდან, რომლის აღმოსავლეთის მონაკვეთი თალით უკავშირდება დარბაზს. ამგვარი გადაწყვეტა მას ორნავიან ეკლესიებთან აახლოებს.

მინაშენის მოწყობა სამხრეთიდანაც იყო ჩაუქვრებული, რაც ადგილის სიმცირის გამო, როგორც ჩანს, არ განხორციელდა. ეკლესიის მოხატვა თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. კედლის ფერწერამ ჩვენამდე არ მოაღწია. მხოლოდ ბათქაშის ფრაგმენტები ჩანს ადგილ-ადგილ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დარბაზს კამარა აღარ გააჩნია და გაშიშვლებული კონსტრუქციები ჰაერშია გამოკიდებული.

ფასადები XIII საუკუნისათვის შეუფერებლად ტუნწად არის გაფორმებული. თოკის მონასტრის დიდი ეკლესია იმ დროსაა აგებული, როდესაც სამშენებლო ოსტატობა ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა, თუმცა უკვე იგრძნობა ერთგვარი სიმშრალე და უზუსტობები. რაც მთავარია, ოსტატი ვერც ფუნქციურად აუცილებელი სათავსების ერთ კომპოზიციად შეკვრას ახერხებს, რაც ასევე შეინიშნება აღნიშნული ხანის უგუმბათო ეკლესიებში.

137. (ტაბ. 275) თოკიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სოფელი სარო. მთავარანგელოზის ეკლესია მოზრდილი ორნავიანი ტაძარია, გარედან შეთეთრებული და ინტერიერგალესილი, გვიან საკმაოდ შეკეთებულიც (გამოცვლილია კამარა). ამის მიუხედავად იგი ძალზე შთაბეჭდავი ნაგებობაა — დაუმუშავებელი რუხი ქვით ნაგები, თლილი კონსტრუქციული ნაწილებით. ცენტრალური ნავი დასავლეთის ერთი დიდი და სამხრეთის ორი მომცრო თალითაა გახსნილი ორმხრივი, ვიწრო ნავ-გარშემოსავლელისაკენ. ეს უკანასკნელიც სამხრეთი ფასადის შემდგომში ამოქოლილი დიდი ორთაღედით იხსნებოდა გარეთ. სამხრეთი ნავის უაფსილო კიდეში ტრაპეზის ქვა და ემბაზია შემონახული, ჩრდილოეთი პასტოფორიუმი კი საერთო აბრისის გარეთაა გატანილი. ეს დიდი ტაძარი მორთულიც იყო — დღემდეა დარჩენილი სამხრეთი ფასადის ბურჯის დიდრონი კაპიტელი, გვიან გაფართოებული სარკმლების მორთულობა, მათგან ერთ-ერთი, ყორე გალავანში უკულმაა ჩატანებული. აღსანიშნავია დასავლეთის ძველი ხის კარი ხისავე გასაღებიანი უცნაური საკეტი.

138. (ტაბ. 274-277) სოფელში გარდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა ყურადღებას იპყრობს ციხის ნანგრევები, რომელიც მტკვრის ხეობიდან ამომავალ გზას უღვას ყელში. იგი ასევე აკონტროლებდა გოკია-ალასტანიდან მტკვრის პირზე ჩამავალ გზას. აქაა ზურგიანი კოშკი, რომლის მომრგვალებული მხარე ხეობიდან ამომავალ გზას გადაკეურებს; სამი მოზრდილი, ოთხკუთხა დარბაზიდან, ერთი ოროთახიანია; ციხესიმაგრის კედლები 3 მ-მდე სისქისაა, ზოგან მშრალად ნაწყობი, ზოგან კირხსნარზე; აქვეა დარნები და ხარობები. ციხის ქვეით, კლდეებში გამოქვაბულებია, სადაც, გადმოცემით, გვირაბები ჩადის ციხიდან. ამოსასვლელში გაჭრილ კლდეკარს მოსახლეობა „ქვაბიკარს“ უწოდებს. საროს ციხის წარწერაში* ნათქვამია, რომ მეფეთა მეფე დემეტრე მ ვაჩეს უბოძა რეხი მამულობით, მან კი ციხის შესავლად აქცია მამული. წარწერა XII საუკუ-

* „ქრისტე, აღიდე ძლიერი და უბლებელი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეკი მამულობით გუბოძა და მაჰას მამული. მას ვაჟსა ესე ციხე ავაგეთ. მე, ვაჩე დაწერე ძემან გურგენისამან“.

ნისა უნდა იყოს, რეხი კი შესაძლოა საროსთან ადგილის მახასიათებელი სახელწოდება ყოფილიყო. რეხი—ქვიანი გზა კლდოვან კალთებზე...

ჩანს, სარო მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, სადაც ანაკრეფი კერამიკა მოწმობს დასახლების აქ არსებობას ბრინჯაოს ხანიდან დღემდე.

XVI საუკუნის ბოლოს სარო ხერთვისის ლივანში შედიოდა, სადაც 20 კომლი ქრისტიანი ქართველი სახლობდა. მათ შორის დასახლებულაა ზაქარია მღვდლის შვილი და პაპუნა ზეინკლის შვილი. ოსმალურ დავთარში ნახსენებია ვენახი, ცნობილი ვარძლის ენუქის ძისა, 3 ნაკეთი, მისივე მიწა ჩაირითურთ 1 ნაკეთი, რომელიც ძაშინ ზაყიმ ხენდანის მფლობელობაში ყოფილა და იჯარის წესით შემოსავალს იძლეოდა. საოროელთა მურენობა, ზემო ჯავახური ტრადიციული დარგებისაგან გამორჩეოდა იმით, რომ მემინდვრობა-შესაკონლობას, აქ ემატებოდა ვენახი, ხილი, კაკალი, შირა (ქიშმიშისაგან დამზადებული სასმელი). ყველა ამისათვის მოსახლეობის გადასახადი წლიურად შეადგენდა 26300 ახჩას.

ხალხურ ლექსში ნათქვამია:

სარველები თავის თავსა ჯავახელად არა სცნობენ,
ვინც ჯავახი დაუძახოს, იმ კაცს ჰკიცხვენ, იმ კაცს გმობენ“.

სარო სპარსულიდან შემოსული სიტყვაა კვიპაროსის აღსანიშნად, მაგრამ სამხრეთ-ქართულ კილოებში მცენარესაც აღნიშნავს; ალბათ, ამიტომ დაერქვა სოფელსაც ეს სახელი. (მდრ. ნაი—ნაისა)

1842 წელს სარო 16 კომლიანი სახაზინო სოფელი იყო. ამაჟამად აქ ქართველები ცხოვრობენ, ძირითადად სამცხე-ჯავახური გვარები.

139. საროდან გზას ვაგრძელებთ ხიზაბაერისკენ, სადაც კათოლიკე ქართველები ცხოვრობენ (300-მდე კომლი). ეს სოფელი ასპინძის რაიონში, ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე პუნქტია. ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, 842 წ. ჯავახეთის სოფ. ხოზაბირში მოუკლავთ არაბთა მხედართმთავარი ხალილ იეზიდის ძე, რომლის დამსჯელი ექსპედიცია შესამდდ შემოვიდა საქართველოში. სწორედ ეს უნდა იყოს დღევანდელი ხიზაბაერა. საინტერესოა, რომ ხიზაბაერის მახლობლად არის ნასოფლარი ხიზა, ჯავახეთშივეა სოფ. ბურაც. ამ სახელთა შეერთებით უნდა იყოს მიღებული ხიზაბაერა. ძველი გზა ახალციხიდან ახალქალაქისაკენ ასპინძა—ხიზაბაერაზე გადიოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ხიზაბაერის ტოპონიმიამში შემორჩენილი სახელწოდებანი — ბოგირი, კლდეკარი, საბარგე.

სოფლის ცენტრში დგას XIX ს. ბოლოს აგებული დიდი კათოლიკური ეკლესია. ამავე სოფელში შემორჩენილია XI საუკუნის დასაწყისის პატარა დარბაზული ეკლესია, ძველი სასაფლაოთი და გალავნით. ეკლესიის ეზოს სიმაღლიდან მატებს მრავალწლოვანი ხეები. იქვე ახლოსაა წყარო, ერთიან ქვაში ამოკვეთილი, რიგად დაწყობილი წყლის რეზერვუარებით საქონლის დასარწყვლებლად. თითოეულ მათგანს ნაპირებში პატარა ღრმულები აქვს წყლის გადასადენად.

შიგნითა და გარეთ თლილი, რიგებად ნაწყობი ქვით შემოსილმა ეკლესიამ ჩვენამდე გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ ნგრევისა და გადაკეთების გარეშე მოაღწია. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე წარწერაა („ქრისტე შეიწყალე...მამამ სულითა და გიორგი შეიწყალე“), რომელიც პალეოგრაფიულად XI საუკუნეს მიეკუთვნება. ეს ის ღრია, როდესაც რიგით სასოფლო ეკლესიებსაც ოსტატურად აგებდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ხიზაბაერაც. ეკლესიის გალავანთან, უზარმაზარ ლოდზე მხედრულნარევი ნუსხური წარწერაა, საიდანაც შეიძლება იმ აზრის გამოტანა, რომ

საროელებს აქ რაღაც აღუმართათ*.

ოსმალთაგან დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში, XVI საუკუნის ბოლოს, სოფ. ხიზაბავრა შედიოდა ხერთვისის ლივაში. იქ მაშინ ცხოვრობდა 40 კომლი ქართველი, რომელთა შორის ერთი მღვდელი ყოფილა. მათ მოყავდათ მარცველული, ჰქონდათ ბოსტნები და მათზე იყო მიწერილი სოფ. გომის ვენახებიც; აქაურებს ჰყოლიათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი; სოფელში ყოფილა 3 წისქვილი, მთელი წლის განმავლობაში მომუშავე. ყოველივე ამისათვის ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა გადასახადს 15165 ახჩის ოდენობით.

1704—1705წწ. ხერთვისის ლივაში შემავალი ხიზაბავრა ექვემდებარებოდა ვინმე ისმაილს, გამოსაღები კი შეადგენდა 15000 ახჩას; 1714წ. კი, უკვე იუსუფის დაქვემდებარებაში მყოფი ხიზაბავრის გამოსაღები 10 000 ახჩას შეადგენდა. გამოსაღების კლება მოსახლეობის შემცირებაზე უნდა მიუთითებდეს. სოფ. ხიზაბავრას ახასიათებს ერთი ხალხური ლექსიც:

„ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი,
წინ მიწლორი და უკან ტყე, ღვინო იცის გვარიანი“.

140. ხიზაბავრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ტყით დაფარული მთის ერთ-ერთ შედარებით მოსწორებულ ფერდზე ობოლეთის IX—X სს. მიჯნის ეკლესია დგას. გადმოცემის თანახმად, ამ ეკლესიასთან მღვდელი ცხოვრობდა, რომელიც მფარველობდა და ზრდიდა ობოლ ბავშვებს. აქედან მიუღია ამ ადგილს სახელწოდება.

გამყოლის გარეშე ეკლესიის მიგნება რთულია. სამანქანო გზა მას არ უდგება, დაახლოებით სამი კილომეტრი ტყე-ტყეა სასიარულო. ტყიდან უეცრად მთის ფერდზე გაშლილ პატარა მღელოზე ვხვდებით. აღმოსავლეთით ანკარა რუ მოედინება. ჩრდილო-დასავლეთით კი შორეთის მთები მოჩანს. მღელოდან იშლება ხიზაბავრის ვრცელი პანორამა. ამ შესანიშნავი მღელოს ცენტრში ცოტა უხეშად დამუშავებული ქვის წყობით ამოყვანილი ორნაიანი ეკლესიის ნანგრევებია. მთავარი ნაწი კონქის საწყისამდეა შემორჩენილი, რაც შიდა სივრცის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

იგი საკმაოდ მაღალი და აზიდული ყოფილა. საკურთხევლის სარკმელი ზუსტად არის გამოყვანილი. სარკმლის ქვეშ სწორკუთხა ტრაპეზის ქვა დგას.




ფასადები სადაა. მხატვრული ზემოქმედების ძალა ეკლესიის მკერივ, შედუღებულ-გაერთიანებულ მასას აკისრია. გაფორმების ერთადერთი ელემენტი აღმოსავლეთი სარკმლის მოხდენილი, ნატიფი ნახატი გამოყვანილი, ბურთულებით შემკული თავსართის ქვაა. აქვეა წარწერა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ უკეთესად იკითხებოდა. ახლა კი მხოლოდ რამდენიმე ასოა შემორჩენილი.

ობოლეთის ეკლესია თუმცაღა მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით გამოჩნეული არ არის, მაგრამ მაინც გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ფაქიზი დამოკიდებულებით გარემოს მიმართ, ადგილის არჩევითა, თუ ნაგებობის პეიზაჟთან პარმონიული შერწყმის იმ უნარით, რომელიც ძველი დროის ხუროთმოძღვრების ორგანული და აუცილებელი ნიშანი იყო. ადგილის ძველი სახელი უცნობია.

* „სახელითა ღმრთისათა აღმართეს . . . შო კთხ . . . ჩენ საროელმან ოს . . . თა ა . . . გლს . . . ბჳმწ ყოველთა“.

ობოლეთიდან ვბრუნდებით ჯგავახეთის ცენტრალურ ნაწილში და ვიმოგზაურებთ პლატოს მიმდებარე სოფლებსა და ნასოფლარებში.

141. (ტაბ. 278-284) თუ ზეგანის კიდეს მიეყვებით, ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით პირველი სოფელი დილისკაა, რომელშიც დღეს სომხები სახლობენ. დილისკა საკმაოდ დიდი და ღონიერი სოფელი ჩანს. მას



44-45. მურჯიკანი. გეგმა, ჭრილი ჩრდილოეთით

რომ გავივლით, გარემო საგრძნობლად იცვლება—დილისკას დაუსახლებელ მიდამოებს მოსდევს უშველებელი ქვის ლოდებით მოფენილი, გაშლილი, ვრცელი, უკიდევანო სივრცე, დაბალი ჰორიზონტი—გამოკვეთილი არქაულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქოს უეტრად სხვა განზომილებაში ხვდებით. გავიწყდება, რომ რამდენიმე წუთის წინ ცოცხალ დასახლებულ ადგილას იყავი. ეს პეიზაჟი მონუმენტურობის შეგრძნებას ბადებს. აშკარაა ძველი ნამოსახლარის არსებობაც. ამაზე, გარდა ამ ტერიტორიის ბორცვეული ზედაპირისა და გაფანტული ქვებისა, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილი ციკლოპური კედლების დიდი ფრაგმენტიც მეტყველებს. ეს მურჯიკანია (მურჯიკნელებიც სწორედ აქედან არიან წარმოშობით). ზეგანის ამ მონაკვეთს კლდოვანი საფუძველი აქვს. ამან განაპირობა აქვე კარიერის არსებობაც.

ეკლესია ამ გარინდებული, მონუმენტური გარემოს ერთადერთი აქცენტია და, თავის მცირე ზომების მიუხედავად, მაშინვე იპყრობს ყურადღებას. მისი ტერიტორია შემოსაზღვრულია ვერტიკალურად დაყენებული, ქვის ბლოკებით შეკრული გალავნით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, უსახურ ნაგებობას წააგავს იმ შეკეთების წყალობით რომლის შედეგადაც ჩამოქცეულ კამარასა და ნაწილობრივ ჩამორღვეულ კედლებზე მოწყობილია ახალთახალი, შორიდანვე თვალშისაცემი თეთრად ბზინვარე შიფერის სახურავი. მიახლოებისას შეგრძნება კარდინალურად იცვლება: შიფერის სახურავის ქვეშ დიდი არათანაბარი ზომის და განსხვავებული მოხაზულობის რუხი ფერის მძლავრი, ერთმანეთთან შესანიშნავად მორგებული ქვებით შედგენილი მეტყველი კედლის წყობა, რომელსაც ორგანულად ერწყმის ოთხკუთხა ვიწრო, იშვიათი ღიობები (სარკმლები აღმოსავლეთით და დასავლეთით, კარი—სამხრეთით).

პატარა ეკლესიის ფასადთა სადა სიბრტყეებზე, ქვათა ხლართით მიღებული გრაფიკული ნახატი არის კიდევ მხატვრული ზემოქმედების მთავარი, წამყვანი ძალა. გამორჩეული დატვირთვა აქვს აღმოსავლეთის ფასადს. ფასადთა სიბრტყეებზე მოძრავ ნახატს აქ აჩრებებს, სტატიკურს ხდის ძალიან დიდი, ორმაგლიღვიან ჩაჩრომი ჩასმული სადა, ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი. მისი სიდიდე თითქოს შთანთქავს მოძრაობას, დიდ კვანძად კრავს მთელი ეკლესიის ფასადთა ნახატს. ეს ერთადერთი უმძლავრესი აქცენტია, გარემოსავით სადა და მონუმენტური. ეს დეტალია, რომელიც ეკლესიის აღშენების თარიღსაც აზუსტებს და მას არქაული იერიისდა მიუხედავად XIV საუკუნეში ათავსებს. მურჯიკანის სამლოცველოს ინტერიერი ასეთივე სადა, პატარა, კომპაქტურია, ყოველგვარ დანაწევრებას მოკლებული. დარბაზის მცირე მოცულობა აღმოსავლეთით მოკლე, გაშლილი მოყვანილობის საკურთხევლით სრულდება, რომლის სივრცე ყოველგვარი გამოყენების გარეშე ინტენსიურად იჭრება დარბაზის სივრცეში, უერთდება მას, მისი განუყოფელი ნაწილი ხდება. სივრცე ერთიანია, დაუნაწევრებელი და ყველაფერი იკრება თავისუფალი, მოძრავი, ცოტა მოუწესრიგებელი კედლის წყობით, რომელიც სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, მაგრამ ფასადებთან შედარებით მომტრო ქვებისაგან შედგება. ფასადთა მონუმენტურობა ინტერიერში მეტი სიმსუბუქით და მოხდენილობით იცვლება.

მურჯიკანის ეკლესია არ გამოსულა მაღალი შემოქმედის ხელიდან, მისი ცალკეული ელემენტები (აფსიდის თალი, სარკმლის და კარის შიდა თაღოვანი დასრულება), საკმაოდ უხეში და მოუქელია, მაგრამ მისი წყობის „გრაფიკა“ ამ მცირე მოცულობას საოცარ გამომსახველობას ანიჭებს.


ეკლესიის შიგნით ქვის ფრაგმენტებია ბადროებითა და ტოლმკლავა ვერებით. მას ახლავს ძველი სასაფლაო ცხენებისა და ყორხების ქანდაკებებით. ერთ-ერთი საფლავის ქვა ბრტყელ ფილას წარმოადგენს, რომელზეც მარჯვენაშემართული, კაბითა და წვივებამდე ჭვინტიანი ფეხსაცმელებით შემოსილი მამაკაცია ამოკვეთილი. აქვე დიდი დარანი და ზეთსახდელიც ყოფილა.

159 5წ. მურჯიკანი ხერთვისის ლივის ექვსკომლიანი სოფელი ყოფილა. აქ ცხოვრობდნენ ქრისტესა მახარობლიძე, ღვინია გულასძე და ძე მისი თედორე. ისინი მემინდერეობა—მეოსტენობასა და მეცხოველეობა—მეფუტკრეობას მისდევდნენ და წლიურად 11 000 ახჩას იხდიდნენ. უცნობია, თუ როდის გაუკაცურდა ეს სოფელი.

142. (ტბ. 285-288) პრტენა ჯავახეთის ზეგნის იმ იშვიათ სოფლებს განეკუთვნება, ამჟამად ქართველებით რომაა დასახლებული. ეკლესია აქ ერთია — წმ. გიორგის სახელობისა. ეს დარბაზული საყდარი უცნაური ნაზავია „ხალხური“ X საუკუნის ზურთმომღვრებისა და გვიანი, XV საუკუნეში შესრულებული მნიშვნელოვანი რემონტისა, რაც აქ სიძველის, ხალხური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი უსწორო,

გულუბრყვილოდ შესრულებული ფორმებისა და იმავდროულად, მიკეთებულ-მოკეთებულის უჩვეულო ერთობას იძლევა.

ეკლესიის ფასადთა უეჭველად ძველი, X საუკუნის დიდი თლილი კვადრები „ხალხური“ უბრალოებითაა ნაწყობი, ალავ მრუდელ; აღმოსავლეთის სარკმელიც „გამოგონილია“, სოფლელი ოსტატის გამოყვანილი – ორმაგი ღიობი, რომელსაც ჩაჩვიით



46-47. პრტენა. ჭრილი აღმოსავლეთით, გვემა

შემოეცლება მარტივი ზოლი, აქეთ-იქით კი ვერებია, ამავე ზოლით მოჩარჩოებული. სამხრეთის კარიც ასეთივეა – არქაული მოტივის მომარჯვებით ორ-ორ ცილინდრიან ქვაზე თაღია დასმული. ინტერიერის ძველი აფსიდის აქეთ თავდაპირველი მოხაზულობები შეკეთებამ დაამახინჯა – გასქელებული კედლები და პირგადათლილი (თუ ხელმეორედ აწყობილი?) პილასტრები ერთმანეთს ისე გაუთანაბრდა, თავდაპირველი კაპიტელები ზემოდან „გადმოკიდებული“ დარჩა. ამ მიკეთებ-მოკეთების ბრალია, რომ ძველი, X საუკუნის მშენიერი ტრაპეზის ქვა ახლა გარეთ გდია. აქვეა ძველი ქვაყვარა, სტელების კვარცხლბეკები, ყოჩებისა და ცხენების ქანდაკებები.

143-144. კიდევ ერთი ქვაკვარა სოფლის ბოლოში დგას, დასავლეთის მონაკვეთში კი რამდენიმე ხაჩკარი.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, პრტენიდან ჩამოტანილი ხელიან-წარწერიანი ქვა ინახება. გამლილი მტევენის ორსავე მხარეს მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში* იხსენიება თამარ და ძე მათი ლაშა; წარწერა XIII საუკუნისაა.

XVI საუკუნის მიწურულს ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში სოფელი პრტენა ხერთვისის ლივაში შედიოდა. იქ მაშინ 16 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც მოჰყავდათ მარცკლეული, ჰქონდათ ბოსტნებიც; ჰყოლიათ ცხვარიც, ღორიც, ფუტკარიც. მირმანული მამული ცნობილი ბეროზას ნაქონი, მაშინ ხერთვისის ლივის მელიქის – ვარძელის მფლობელობაში ყოფილა და იძლეოდა გამოსაღებს. სოფლის წლიური გადასახადი შეადგენდა 16000 ახნას. ხერთვისის ლივის მელიქი ვარძელი გამაჰმადიანებული ქართველი უნდა ყოფილიყო. მისი სახელი მოდის ვარძელი-საგან, აქედანვე გვარი ვარძელაშვილი. 1705-1706 წლებში სოფელი პრტენა, ისევ ხერთვისის ლივაში მყოფი ვინმე აჰმედის დროებით მფლობელობაში ითვლებოდა და წლიურად იხდიდა 25000 ახნას. ჩანს, საუკუნის მანძილზე სოფელი გაზრდილა და გადასახადიც ამიტომ გადიდებია. 1841 წელს სოფლის ნახევარი, 80000 ახნის შებოსავლით, ეკუთვნოდა მემამულე ბექირ-ალა თაშული-ოღლის. ამჟამად სოფელში 60-ზე მეტი კომლია, რომელთა გვარების უმეტესობა ახლომდებარე სოფლებიდანაა გადმოსული. ადგილობრივთა მეტყველებაში სოფლის სახელია პტენა. ასევეა ხალხურ ლექსშიც:

„გამოვიარე პტენასაო, თოფი ვესროლე მეღასაო“

პრტენის წმ. გიორგი, ვარძიის ღმრთისმშობელთან ერთად, ითვლებოდა ძლიერ სალოცავად უშილოთა და სულიერად დაკავებულთა მკურნალობისას.

145. (ტაბ. 289-290) ჩუნჩხა პრტენის მეზობელი სოფელია. 1835 წლის აქაური ეკლესია ყარსელ ბერძნებს აუშენებიათ. იგი დიდფანჯრებიანი, ამ საუკუნისთვის დამახასიათებელი „სტანდარტული“ ტაძარია. სიძველის მაძიებელი მის ფასადებზე ვერაფერს იპოვის, გარდა ერთისა – აღმოსავლეთით მცირე ქვაზე ძლივს-შესაძრწევი და გადაღეკილი რელიეფია – დანიელი ღომების ხაროში, იმდენად მარტივი, რომ დათარიღებაც კი ჭირს. სამაგიეროდ, ეზოშია აღმართული მშვენიერი სტელა ბაზისით.

იქვეა ქვა წრებით, პაწია ვერძის სახის საფლავის ქვა კი საკურთხეველში შეუტანიათ.

146. სოფლის ჩრდილოეთით, კანიონის ნაპირზე ძველი ნასოფლარია, იქიდან გამოწეულა ამ სოფლის მოსახლეობა. კანიონის ქარაფი, ადგილობრივთა ცნობით, 60 მეტრამდე კლდეა, სადაც გამოქვაბულებია, ერთ-ერთში ქვაკვრით. ამიტომაც მის თავზე მყოფ მინდორს ხატისთავს უწოდებენ. კანიონში ჩამავალი გზის დასაწყისში, ზედა ტერასაზე წინაფეოდალური ხანის კრამიკის ფრაგმენტები იპოვება, აქ უპოვიათ ქოთანნი შავად გაპრილებული, შიგნიდან წითელი სარჩულით. ჩუნჩხელებს ბაღ-ბოსტნები და საძოვრების ნაწილი კანიონში აქვთ, ამიტომაც ცდილობენ შეინარჩუნონ იქით მიმავალი გზა.

147-148. ეს გზა, თავის მხრივ, ნამოსახლარს ადგება, რომელსაც „გოჩას“ უწოდებენ. ეს, ყვლადაჭრილ გორაზე მდებარე გორა-ნამოსახლარი, ანაკრეფი კრამიკის მიხედვით, გვიანბრწყაო-ადრერკინის ხანიდან ყოფილა დასახლებული. გორაკის წვერზე კოშკის ნაშთია, რომლის გვემა სვეტნტს წააგავს. აქედან კვლავი ქვემოთ ეშვება და შიგნით იქცეის

* „ქრისტე, ადილე თამარ და ძე მათი ლაშა, შეიწყალე ბნ გრ გამრეკელის ძენი“.



ნამოსახლართა ბუდეებს. ასეთი მშრალი წყობის სიმაგრეები ხშირად დარაჯობენ ჯავახეთის ზეგანზე, ზრამის ნაპირზე მყოფ სოფლებში, კანონიდან მომავალ გზებს. ასეთივე კოშკი და ნასოფლარი ჩანს იქვე, მშრალი ხევის გადაღმა, რომელსაც „უკანტაფას“ უწოდებენ და რომელიც, შესაძლოა, ძველი ჩუნჩხის ნაწილი იყო.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთა ბატონობისას, „ჩუნჩხელი“ ითვლებოდა ხერთვისის ლივანში, იქ მაშინ 52 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მათი მეურნეობის წლიური გამოსაღები შეადგენდა 2000 ახჩას. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„გამოვიარე ჩუნჩხასაო
ქალები ჰკრეფდნენ ჩინჩხეარსაო“.

ე.ი. ხმელი ფიჩხის შტოებს. ამჟამინდელი ჩუნჩხის მოსახლეობა 70-მდე კომლია. სოფელში დღესაც არის გლეხთა საცხოვრებელი დარბაზების საყურადღებო ნიმუშები.

149. (ტაბ. 291-295) ნაისას ნასოფლარში მისასვლელად ხერთვის-ახალქალაქის გზის შუა მონაკვეთში, ჯავახეთის მტკვრის მარცხენა ნაპირთან ახლად გაყვანილ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც სერპანტინით ზემოთ, ზეგანზე მიემართება და სოფელ ჩუნჩხასთან აღის. გზის აქეთ-იქით ჩუნჩხის ბაღებია გაშენებული. მთის შუა წელზე ტერასულად განთავსებული ნამოსახლარი ჩამოუყვება, რომელიც X საუკუნის დარბაზული ეკლესიით ბოლოვდება. ამ ადგილს ნაისა ეწოდება. სოფლის სახელწოდება წარმომდგარია სპარსულიდან შემოსული სიტყვისაგან „ნა“, რაც ლერწამს აღნიშნავს.



48-49. ნაისა. ქრილი ჩრდილოეთით, გეგმა

მართლაც აქ, მდინარის ნაპირებზე, ლერწამში ხარბობს (შდრ. კეაისა, ვაკისა, ვჯვარისა) რუსთაველი ამ სიტყვას ლერწმისა და მისგან გამოთლილი სტვირის აღსანიშნავად ხმარობს („მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“).

მთა, რომელზედაც ნაისას ნასახლარია განფენილი, ორივე მხრიდან მომცრო ხეებითაა შემოსაზღვრული. შარავ მასთან ასეთი სიახლოვის მიუხედავად, აქ სულ სიჩუმე სუფევს, რომელსაც მხოლოდ მდინარის ხმაური და ჩიტების ჭიკჭიკი არღვევს. ეს მიტოვებული, გემის დონეზე შემორჩენილი დასახლება, ფერდობზე ეშვება, მის ბოლოში კი ეკლესიის შეკრული, მკაცრი კორპუსია, რომელიც ამ დაღმავალი სვლის დამასრულებელ წერტილად აღიქმება. [კამარა და ცალკედელმორღვეული, ნაისას ეკლესია კვლავაც შემართული, ზემწსრაფი და მსუბუქი ჩანს. შესანიშნავად თლილი ქვით ამოყვანილი სადა ფსაღები (შიდა რიგითი წყობის ქვები ნაკლებადაა დამუშავებული), რომელთაც მხოლოდ კარის ზღუდარი ამკობდა, სადა, მაღალი სარკმლებით ამეტყველებული, მკერივი და მონუმენტურია. ჩუქურთმოვანი ზოლებით მორთულ ბალავრის ქვაზე, სადაც მაშენებლის ფიგურა წარმოდგენილი სამუშაო იარაღებით ხელში, ორი ნუსხური წარწერა მოთავსებული,* ერთში წმ. სიმონს ევედრებიან მოვანეს შეწყალებას სულითა, მეორეში კი კვლავ წმ. სიმონს ევედრება შეწყალებას ფოცხვერა გალატოზი — რელიეფზე გამოსახული ეკლესიის მამნებელი. მოვანე კი მშენებლობის მოთავე ადგილობრივი ფეოდალი უნდა იყოს. შესაძლოა, მისმა სახელმა მისცა საფუძველი მახლობელ სოფ. ჩუნჩხაში შემორჩენილ გადმოცემას, რომ ნაისას ეკლესიას მოვანე ნათლისმცემლის სახელობისად მოიხსენიებენ.]

{ ეკლესიის ინტერიერი, თუმცა ფსაღებით აზიდული არაა, ერთიანი, ძლიერი და საზეიმოა, დინჯი პროპორციების, ტექტონიკური და ზომიერებით გამორჩეული. მას მხოლოდ თაღთა დასაბრჯენი კრონშტეინები ამკობს, რომელთა ნახატი აგრეთვე კლასიკურად მშვიდია. ნაისას ეკლესია, ისედაც იშვიათად ზობლიანი და მეტყველი, გარინდებულ, უკაცრიელ გარემოში, მიუხედავად სიმცირისა, განსხვავებულად ძლიერი და ასექტური ჩანს }

[1595 წლის ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, ნაისა შედიოდა ზერთვისის ლივაში, ზერთვისისავე რაიონში. იქ 3 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ტრადიციული მურნებით.] წლიური გადასახადი შეადგენდა 4000 ახჩას.

[1719-1720 წლებში სოფელი ნაისა ვინმე პუსეინ აპმედის ძეს ექვემდებარებოდა, ისევე 4000 ახჩის წლიური გამოსაღებით. 1841 წელს, დაუსახლებელი სოფლის ნახევარი ყალი-აღა რამადან-ოღლის მფლობელობაში ყოფილა.

150-152. (ტაბ. 296-297) ჩუნჩხიდან მივემართებით კვარშისაკენ. გაშლილი, სწორი რელიეფი, დაბალი ჰორიზონტი, შორს ზეგანს იქით, მთის წვერები მოჩანს. სრულიად უკაცრიელი, მოშიშვლებული გარემო, არც ერთი ნიშნული, არც ერთი ვერტიკალი. ბრმად ვაგრძელებთ გზას. იმისათვის, რომ არ დავიკარგოთ პლატოს კიდეს მივევებით. აქ ქარაფის თავზე გაშლილი რამდენიმე მძლავრი ნასახლარი გვხვდება. ოხერა-ნაისას თავზე უეკლესიო ნასოფლარი, ცხეკენლა, მიწასთან გასწორებული ნაეკლესიარით, იქვე დარჩენილი კაპიტელითა და ვჯვრიანი ლამაზი ბალავრის ქვით. ალჯუა, ხაროებითა და გზით...

153. (ტაბ. 298) უეცრად შორს, მთის წვერების ფონზე, „ბუზისოდენა“ წერტილი ჩნდება. იგი ნელ-ნელა იზრდება და დიდ, მნიშვნელოვან ეკლესიად

* „წმიდაო სუმონ შეიწყალე მოვანე სულითა“; „წმიდაო სუმონ შეიწყალე ფოცხვერ გალატოზი და ჩანგა (?) გალატოზი“.

გადაიქცევა. ეს კვარშაა. იგი შესანიშნავი, ღივი ხარობიანი ნასოფლარის გულშია ამომართული. კვარშის ნასოფლარში ნასახლართა მოზრდილი დარბაზებია. თითქმის ყოველ სახლს თავისი ხარო აქვს მარცვლულისათვის, ჩანს ქუჩები, კალოები. კანიონშიც სოფლის ნაკეთებია, სამალავ-გამოქეპბულით, ქედზე კი გზა მიუყვება ხერთვისისაკენ. ეკლესია ამ სოფლის სიძლიერის კვალად „დიდშენი“, არაჩვეულებრივი ნაგებობაა. ასაშენებელი დიდი ღონეები ისე გულიანად გადაუთლიათ, არც გეომეტრიულ „კვადრებამდე“ მიუყვანიათ და არც მიფურჩეულ ბელტებად დაუტოვებიათ, დიდი ტარის მშენებლობისას, „თავკამოსაჩენ“ წესრიგის ნაკვალავს, მისი აღმართვა უცნიათ მთავრად. X საუკუნის დასაწყისის ეკლესიას ბაზილიკური სილუეტით აქვს, სინამდვილეში კი დარბაზული ნაგებობაა, აღმოსავლეთით აქეთ-იქით დამატებითი სადგომებით. გარე კედლების ქვედა ნაწილი დიდი, უსწორმასწორო ქვითაა ნაშენი, რაც ეკლესიას სიყვარესა და სიმძლავრეს მატებს. მაგრამ ზემოთკენ წყობის მოწესრიგება და კვადრების შემცირება ზესწრაფვას, სიმსუბუქეს სძენს ამ ძლიერ, სარკმელთა თავსართებით ოდნავ აქცენტირებულ ფასადებს. აღმოსავლეთის ფასადი გაწონასწორებულ-კლასიკური ჩანს, ნებისმიერი სხვა წერტილიდან კი იკითხება ცოცხალი, სხვადასხვა ღონეზე განთავსებული მოცულობებით წარმოქმნილი მოხაზულობა.

ინტერიერი შესვლისთანავე (დღეს შიგნით, სამწუხაროდ, საკურთხეველში განგრეული შესასვლელით ვხვდებით) ასწრაფულობით, მაღალი, ზეაზიდული პროპორციებით გაოცებთ. გამოზიდული პილასტრებიც, რაკი ზემოთკენ ვიწროვდება, სიმსუბუქეს იძენს, მაღლა ატანილ კედლის თაღებთან ერთად კი ფორმათა ერთმანეთში რბილად გადასვლას, გადაწვნას იძლევა. ელემენტების სიმარტივე და სისადავე ამ ერთიან, ღონიერ სივრცეს არა სიბრტყეთა, არამედ სივრცით პლასტიკად აღგვაქმევენებს, ზოლო კრავს და დაასრულებს ინტერიერის მთლიანობას ნალისებური კონქით დაბოლოებული, გვერდების შემოკცევით განაღისებურებული აფსიდა. სიმკაცრე-სიმსუბუქით, სიმარტივე-პლასტიკურობით, ზესწრაფულობით, კვარშის შიდა სახე „ჯავახურზე“ მეტად „კახური“ ხუროთმოძღვრული სკოლისთვის დამახასიათებელი ფორმათა განცდის მარჯვენებელია. ეკლესია მოხატული ყოფილა-ჩრდილოეთის კედელზე წმ. მხედრების პერალდიკური გამოსახულებები შემორჩა. გარეთაც და შიგნითაც მიმოფანტული სავედრებელი წარწერები* ეკლესიის შენება-შეკეთების მონაწილე საერო და სასულიერო მოღვაწეთ ეკუთვნით. ეს „ხმები“ ქმელით ლოცვად იკრება. ალბათ არსად ამეტყველებულა ასე შთამბეჭდავად ათასწლეულთა მიწურულისათვის დამახასიათებელი ლოცვა, ხსნის აუცილებლობა.

XVI საუკუნეში ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, სოფ. კვარშა ხერთვისის ლივაში შედიოდა. აქ მაშინ რვა კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომლებსაც ბოსტნებიც ჰქონიათ და პყლიათ ფუტკარიც, ღორიც. სოფელს ჰქონია ერთი თვალი წისქვილი მთელი წლით, ასევე ზეთსახდელი ერთი თვალი. ყველა ამისათვის რვა კომლი საკმაოდ დიდი გადასახადს – 10000 ახჩას გამოიღებდა წლიურად. სოფელი XX საუკუნეში გაუკაცურდა.

* აღმ. ფასადზე: „ამის ეკლესიის“; სამხრ. კარის თავზე: „ქრისტე, შეიწყალე ნათანიელ, შენღვენ ცოლენი“; დას. კარის თავზე: „ქრისტე, შეიწყალე ერისთავთ – ერისთავი ივანე“; დას. სარეზოს თავზე: „ქრისტე, შეიწყალე ლლ შენღვენ ცოლენი“; ჩრდ. კედელზე: „ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ“; „ქრისტე, შეიწყალე მიქელ ცოლელი“; მიგნით, აფსიდში: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ნაღ“; ჩრდ. კედელზე მიგნით: „ქრისტე შეიწყალე პეტრე“.


154. (ტაბ. 299-302) კვარშიდან გზას ვაგრძელებთ კუმურდოს მიმართულებით, მივეყვებით პლატოს კიდეს. ჯავახეთის ზეგანზე, რომელმაც მრავალი საკულტო ნაგებობა შემოგვინახა, ვხვდებით სხვადასხვა არქიტექტურულ ტიპს, მათ შორის საღვთისმშობლის ნაკლებად ცნობილსა და ვაგრცელებულ ორნავიან ეკლესიებსაც. საგულისხმოა, რომ ორნავიანი სტრუქტურა შედარებით უფრო ორგანული აღმოჩნდა სწორედ ამ მხარის ზურთომოდვრებისათვის. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ინტენსიური მშენებლობა ამ რეგიონში სწორედ ქართული ზურთომოდვრების ე.წ. „გარდამავალ პერიოდში“ (VIII-X საუკუნეები) მიმდინარეობს, ე.ი. პერიოდში, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული ცხოველხატულობით და მრავალფეროვნებით, რაც თვით ამ არქიტექტურული ტიპის არსსაც უპასუხებდა. ასიმეტრიულობა, რომელიც ორნავიანი სტრუქტურის სივრცობრივი კომპოზიციის ძირითადი თვისება, მისი გვეგმარების საფუძველია, თავისთავად შემცველია იმ ცხოველხატულობისა, რომელიც მეტი ძალითა და თავისუფლებით, ვარიაციებითა და ამ ტიპის გართულება-ტრანსფორმაციით თავს VIII-X საუკუნეებში იჩენს. ჯავახეთის ზეგანის ამ კიდეში სწორედ ორი ამ ტიპის ეკლესია გვხვდება—ქილდა და დანკალი (ეს უკანასკნელი იხ. ქვემოთ); ორივე X საუკუნის ნიმუშია, ოღონდ დროში მცირე განსხვავებით.

ქართული საკულტო არქიტექტურის ისტორიაში ბევრია მცირე ზომის, შეუძინეველი ძეგლი, რომელიც არ იპყრობს ყურადღებას განსაკუთრებული მხატვრულ-სივრცითი გადაწყვეტით და არც არაფერს მატებს განსაკუთრებულს ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის განვითარებას. ამასთანავე, იგი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს იმ არქიტექტურული თუ ბუნებრივი გარემოში, რომელთან კავშირი მას განსაკუთრებულ მომხიბლველობას და განუმეორებლობას ანიჭებს, ხოლო დრო, უმრავლეს შემთხვევაში გარკვეულ კეთილშობილებასა და ღირსებას სძენს. ნასოფლარ ქილდას წმ. ესტატეს სახელობის ეკლესიაც ასეთ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება.


ქილდა მდებარეობს ახალქალაქის ზეგანის ბეჭობის კიდეში, კვარშიდან ორიოდე კილომეტრის მოშორებით. ეკლესია სწორ ადგილზეა აღმართული და ქვის ლოდებით ნაგები „ციკლოპური“ გალავნითაა შემოფარგლული. გალავანს შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჰქონია. შესასვლელის ამ მხარეს გაჭრა გაპირობებული იყო ეკლესიის სამხრეთით ძველი ნასოფლარის არსებობით. ნასოფლარისაგან შემორჩენილია დიდი ლოდებით მოკირწყლული მშენიერი ქუჩა, რომლის ორსავე მხარეს საცხოვრებელი და სამურწუნო დანიშნულების დარბაზების ნაშთებია შემონახული. ნასოფლარი ზეგნის კიდეში, დამრეც ფერდობზეა გაშენებული და ნაწილობრივ მიწაშია ჩამჯდარი ისე, რომ ეკლესია მისი სიახლოვისდა მიუხედავად, სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად აღიქმება, ამ უკაცრიელ, მოსწორებულ ადგილზე.

ამგვარი გარემო — ნასოფლარის არსებობა, ქუჩა, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ეკლესიას სოფელთან ცხადყოფს, რომ ქილდა ჩვეულებრივი სოფლის ეკლესია-სამლოცველო იყო და შორიდან სახილველად არც ყოფილა გათვალისწინებული. ამითვე აიხსნება ეკლესიის მცირე ზომები და პროვინციული ხასითი. რაც შეეხება ადგილის სახელწოდებას, ტოპონიმი ქილდა ისევე როგორც წუნდა, დავხანდა, გულსუნდა, კუმურდო, სულდა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა მოწმობდეს უძველესი მოსახლეობის გარკვეული ფენის არსებობას. დღეს ქილდა დაცარიელებულია, 1930-იან წლებში კი აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ადგილობრივი მოსახლეობა, ე.წ. იერლი (ჯავახი მაჰმადიანები).

ქილდის ეკლესია შედგებოდა ორი — მთავარი, მაღალი და განიერი და მისგან თაღებით გამოიჯნული მოკლე ნავისაგან, რომლებსაც ემატებოდა ამჟამად დანგრეული



1. მტკვრის ხეობა



2. ჭიქიანი. მენჰირი

3. ტბა ფარავანი






4. სულდა. ჯვარი

5. მტკვრის ხეობა







7. სალამოს პირველი ეკლესია

8. ზელა ვარძია





9. ვარძია

10. სელამოს ტბა





11. წუნდა




12. აბული. დედა ციხე





13. ქილდა. საფლავის ქვა

14. ტბა ტაბაწყური





15. ბოჯანო

16. საღამო. საფლავის ქვა






17. განძანი. წმ. იოანე ნათლისმცემელი

18. თორია. საფლავის ქვა





19. ბრტენა. ქვაჯვარა

20. ერკოტა. საფლავის ქვა






21. აბლარი

22. თოკის მონასტერი





23. ფია. წმ. თეოდორეს ეკლესია



24. ზელა თმოგვი. ქვაჯვარა

25. ბუზავეთი. საფლავის ქვა



სამხრეთის მინაშენი. გარედან ეკლესია ნაგებია დიდი ზომის რუხი ქვებით. ნაღესობა ფასადებს უფრო მორუხო-მოთეთრო ტონალობას ანიჭებს. მორთულობას სრულიად მოკლებული ეკლესია ასკეტური იერისაა, ხოლო წყობაში გამოყენებული დიდი ზომის, უსწორმასწორო მოყვანილობის ქვები ამკაცრებს და სიძლიერეს მატებს მის ფასადებს. ეკლესიის ასიმეტრიული, ტეხილი აბრისი თავისთავად ცოცხალი და მოძრავია. ასეთივე მიდგომა ინტერიერის გადაწყვეტაშიც იგრძნობა. ერთი მხრივ, მძიმე, განთხზული სივრცე (თუმც მთავარი ნაწი გადაკეთებისას დადაბლეს), დამუდარი პროპორციების მქონე განიერი პილასტრები და ბოძი, მასიური კაპიტელები – უფრო მკაცრი ხასიათის მატარებელია. მეორე მხრივ, ორი არატოლფასოვანი ნაეისგან შემდგარი კომპოზიციის ასიმეტრიულობა, გაბნეული, უსისტემო განათება – უფრო ცოცხალს და მოუსვენარს ხდის შიდა სივრცეს.

ქილდის ეკლესია ჩვეულებრივი, პროვინციული, უპრეტენზიო სალოცავია. მის ფორმებსა და სივრცობრივ-კომპოზიციურ გადაწყვეტაში არ ჩანს განსაკუთრებული მხატვრულ-შემოქმედებითი ოსტატისძიური მიდგომა. მას მხოლოდ ფუნქციის აღსრულება აკისრია და იგი პასუხობდა იმ მცირერიცხოვანი ადგილობრივი მრევლის მოთხოვნებს, რომელიც მის სიახლოვეს იყო დასახლებული.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. საფლავის ქვებში გამოირჩევა ყოჩების ქანდაკებები. ერთ ყოჩთან გუმბათიანი ეკლესიის მაკეტიცაა აღმართული. ნასოფლარის დასავლეთ ნაპირზე, ქარაფთან, ერთ მწკრივად ჩალაგებული ნაკალოვრებია. ყოველ მათგანთან ვეება ხარობია. კანიონიდან ამომავალ გზას, ზეგანზე მშრალი წყობის სიმაგრე დარაჯობს. ნასოფლარში შემოწნევა დარნები – სამალავები შიშინაობის დროს.

XVI საუკუნის ბოლოს ქილდა ითვლებოდა აქემპირის რაიონში, ახალქალაქის ლივაში. იქ მაშინ 8 კომლი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც სხვა ჯავახთა მსგავსი მეურნეობა ჰქონდათ. მათი წლიური გადასახადი შეადგენდა 14500 ახჩას. ხალხურ ლექსში ნათქვამია: „გამოვიარე ქილდასაო, ვირს ეტყვიან ქირვასაო...“ ე.ი. ვირი დაფასებული ცხოველი ყოფილა, რაკი მას ნათლიას (თურქ. ქირვა) უწოდებდნენ. ამ საუკუნის 1950-იან წლებში ქილდის მოსახლეობა ჯავახეთის სოფელ ოკაშს გადასახლდა.

155. (ტაბ. 303-305) დახვანდა (დაეხანდა) ნასოფლარია ქილდის სამხრეთით და ნაქალაქევის აღმოსავლეთით. იგი ზეგანის დასასრულს, ქარაფთანაა და ნასოფლარის ნახევარი და ეკლესია მტკვრის ხეობას გადაჰყურებს. შესაბამისად, მისი საყდარი შორიდან, მტკვრის ხეობის სოფლებიდანაც მოჩანს. თლილი ლოდებით ნაგები და აწ კამარაჩამოქცეული ეკლესია, რომელიც X საუკუნით თარიღდება, თავიდან თითქმის კუბური გეგმისა უნდა ყოფილიყო სამხრეთის, ჩანს, მოგვიანო მინაშენით. ძალზე „დინჯი“ და მშვიდია დღესაც ეკლესიის სადა, დაუნაწევრებელი, ლოდთა წყობით ამეტყველებული შიდა სივრცეც და გარეთა მოცულობაც. შთამბეჭდავია ამ ერთი ბეწო ნაგებობის ძალოვან წყობაში გამოჩენილი რელიეფური, თხელი თუ ფაქიზი, მოწითალო თუ მორუხო ქვებზე ნაძერწ-ნაკვეთი მორთულობა – განივი ფასადების სარკმლების ზედანები (ახლა მიწაზე დევს), ჯვრებით, მცენარეული სახეებით, ადამიანის გამოსახულებითა თუ სიმბოლური ნიშნებით მორთული სხვადასხვა დროის კვადრები, რომელთაგანაც ზოგი ქვაჯვრებისა უნდა იყოს, ზოგიც, საფიქრებელია, სხვა ნაგებობისა. ყველაფერი ეს კი ამ მომცრო ტაძრის ისტორიასაც აღიბეჭდავს და იდუმალ ელფერსაც სძენს ქარაფზე მიყუჟულ, მივიწყებულ ნაეკლესიარს.

ადრე აქ ამ სახელწოდების ორი სოფელი ყოფილა – დიდი და პატარა დაეხანდა. ეს უკანასკნელი XVI საუკუნის ბოლოს უკვე გაუკაცრიელებულია. ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, სოფელი დაეხანდა ითვლებოდა ახალქალაქის

ლივამი და აქ შეიდი კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. წლიურად ისინი 9600 ახჩას იხდიდნენ.

1730-1731 წლებში სოფელი დაეხანდა ექვემდებარებოდა ვინმე მეკმედს და მისი წლიური გამოსაღები უკვე 3000 ახჩა იყო, ალბათ სოფლის მოსახლეთა შემცირების გამო. XIX საუკუნეში ორივე დაეხანდა ნასოფლარია, თუმცა უცნობია მათი სრული დაცარიელების თარიღი.

156. (ტაბ. 306-312) სოფელი კუმურდო ერთ-ერთი დიდ დასახლებათაგანია დღევანდელ ჯავახეთში ... სოფელ კუმურდოს შუაგულში, ვრცელ ეზოში, სადაც ასიოდე წლის წინათ სენაკების ნანგრევებიც მდგარა, აღმართულია საეპისკოპოსო ტაძარი—ქართული ხუროთმოძღვრების ერთი უსახელგანთქმულესი ნაწარმოები. თუ არ ჩავთვლით ჯავახეთის წყაროსთავის თურქეთის საზღვრებში მყოფსა და სადღეისოდ, როგორც ჩანს, განადგურებულ ეკლესიას, კუმურდოს კათედრალი ჯავახეთში გუმბათოვანი არქიტექტურის ერთადერთი ნიმუშია. წარწერების წყალობით* ჩვენთვის ცნობილია მშენებლობის თაოსანი — იოვანე ეპისკოპოსი და დრო — X საუკუნის შუა ხანა (კარის „ბალავარი“— ე.ი. გადამხურავი ქვა 964 წელს დაიდო); ვიცით ხუროთმოძღვრის სახელიც — საკოცარი. ოსტატის შთაგონების წყარო სამხრეთ საქართველოს მიმდებარე „ქვეყნებში“ ტაძრის იმხანად დიდად მოწონებული ნაირსახეობა, ექსპოზიციონი ეკლესია ყოფილა. მაგრამ თუ ჩვეულებრივ აფსიდები ცენტრის გარშემო რადიალურად ლაგდებოდა და გვემა ვარსკვლავსა თუ ვევილოს ემსგავსებოდა, კუმურდოში ნაგებობა გარედან ჯკრისებურია. დასავლეთის მკლავი აქ სწორკუთხაა, ჩრდილოეთ-სამხრეთით კი აფსიდები ერთმანეთის გვერდიგვერდაა ამოყვანილი და ტრაპეციული ბემების მეშვეობით გუმბათზე „შემოწერილი“ და მას გადაბმული. დღესაც, როდესაც გუმბათიც მორღვეულია და პატრონიკუმუმოვლებული დასავლეთის მკლავიც, კათედრალის შიდა სივრცე აფსიდების შესაყარზე ღონივრად გამოზიდულ-აზიდული ბურჯების, ერთმანეთისკენ ირიბულად მიმართული გუმბათქვეშა თაღების, ღრმა აფსიდების წყალობით ზემსწრაფიცაა და მბრუნავ-მფეთქავიც. არანაკლებ დიდებულია ტაძრის გარე სახეც. ულამაზესი მოსოსანო-ვარდისფერი, უსუფთავესად თლილი ქვის ფილებით წარმოქმნილი ვრცელი სიბრტყეები შესამჩნევი ზომის სარკმელთა ღიობებითა და საფასადო ნიშებით არის დანაწევრებული. X საუკუნის ჯავახეთის სხვა „გალატხო-ხურობითან“ შედარებით, საკოცარი ნაკლებად ეტანება სიმძიმესა და მასიურობას, თუმცა მის ნაგებ კედლებსა და თაღ-კამარებს არც სიმკვრივე აკლიათ და არც სიმტკიცე. მაგრამ ისინიც და, ვთქვათ, სამხრეთი კედლის სისქეში მოწყობილი პაწია საპლოცკელოც, კლდის ნატეხისაგან კი არა, კრისტალისაგან, ძვირფასი ქვისგან გამოთლილს ჰგვანან. უფაქიზესი და უწვრილესი, შეუცდომელი ხელით პყრობილი იარაღებით ჩანს ნაკვეთი ის მრავალრიცხოვანი სამკაულები, რომლებსაც კუმურდოს მშენებელნი, თავის თანამედროვეებისაგან, დიდრონ გლუვ ზედაპირებს უფარდებენ: დეკორაციული ტრომპები, პატარა ნაჩუქურთმევი სვეტები გუმბათქვეშა თაღების ძირში, თითქოს მაქმანისაგან მოქსოვილი სარკმლის თავსართები, მოსახული კარნიშები თუ ხალიჩასავით „თხზული“ წარწერები. საკმაოდ უხვადაა აქ რელიეფებიც—მამულებელ ხელისუფალთა, ბაგრატ III-ის დედის გურანდლუხტისა და მისი მეუღლის, გურგენ „ქართველთა მეფის“, (ან იქნებ, მმის, აფხაზთა მეფის

* სამხრ. კარის ბალავარზე: „მეწენითა ღმრთისამთა იოვანე ეპისკოპოსმან დაღვა საძირვეელი ამის ეკლესიისაჲ, ეკლითა ჩემ ცოდეღლისა საყოყარისამთა, ლეონ მეფისა მმ — აღიდენ ღმერთმან, ქრონიონსა რამდ, თთუჲსა მარისა ა, ღლესა მაფათსა, ა მთარისასა, ერთსთაგობასა ზუიასა, ესე ბალავარი მუნ დაიდეს; ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა ამენ“; აღმ. ფასალზე: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი, ამისი მამუნე-ბელი ღლესა მას“.

ლონის) „პორტრეტები“ ინტერიერში, საკურთხეველის მიმდებარე ტროპებში, საკურთხეველის სარკელის უმაგალითო, დიდრონ ორმაგ ჩარჩოში ჩანართი მასარებელთა სიმბოლოები, და ასევე უანალოგო თავები საფასადო ნიშების კონქებში – ადამისა და ევასი გვერდით მკლავებსა და “ცისა” და „ქუეყანის“ განმასახიერებელ წვეროსანთა აღმოსავლეთის კედელზე, ანგელოზები ტაძრის თანადროული სამხრეთი ბჭის გუმბათქვეშა კუთხეებში. ხან სულ ბრტყელი, ხანაც საგრძნობლად მოძრავალბული, ეს გამოსახულებანი ხუროთმოძღვრული მახვილებიცაა და საკუთარი გამოშსახულების და, უეჭველია, შინაარსის მქონე, „ხატებიც“. არა უცხო საკოცარისათვის ფერის მოშველიება—განსაკუთრებით მეტყველია აღმოსავლეთის ფასადზე „ინკრუსტირებული“ შუა სარკელის სინგურისფერი თავსართი და ფრონტონის კეხის ასეთივე ჯვარი. სიმსუბუქე, ძალმოსილება, სიმკაცრე, სიმდიდრე და ჩამოქილობა, ფორმის განმსჭვალავი ენერჯია, ასეთი, ვითომცდა ურთიერთგამომრიცხავი საწყისები თანაქმედებენ კუმურლოს ტაძრის მხატვრულ სახეში და განსაზღვრავენ მის ერთადერთ-განუყოფელ მთლიანობას.

კუმურლოს საყდრის გამშენიერებაზე მოვიანებითაც უზრუნველთ. X საუკუნის ბოლოსა თუ XI საუკუნის დამდეგისაა საკურთხეველის აფსიდში შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები, ჩრდილო-დასავლეთის აფსიდში კი „ქრისტეს დატირება“ და „მენელსაცხებლე დედანი“ XIII საუკუნისა ჩანს. სამხრეთ-აღმოსავლეთის აფსიდში XI საუკუნეში ხატად მოათავეს ბათქაშზე ნაკეთი და დაფერილი „ღმრთისმშობლის მიძინება“. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით უზნისწველოვანესია დასავლეთის მკლავს XI საუკუნის 30-იან წლებში ზოსიმე კუმურდოელისა და ბაგრატ IV-ის დედის, მარიამ დედოფლის ნებით შემოვლებული სტოა.* მის გადარჩენილ სამხრეთის მონაკვეთს, ზედაპირდასაფეხურებულ მოჩუქურთმებულ თაღებსა, თუ მათ მორთულსავე საბრჯენებს დიდნიჭიერი მქანდაკელის ხელი ამჩნევია. მაშინდელი „ზოგადქართული“ სახეების გაჯერება-გახშირებით, ცხოველებისა თუ ფრინველების გადმოცემის თავისებურებით, ეს ქვაზეკეთილობა ზედმიწევნით მსგავსია ტონთოს მთავარი ოსტატის ნაშუაკვეთსა. როგორც ითქვა, ბჭის მშენებლობა მანამდე შელქისდეკ კათალიკოსის მიერ მოწვეულ ხელოვანს ჰქონდა მინდობილი, რომელმაც საკოცარის ქნილებას მისი საკადრისი ახალი მოცულობა შემატა.

ტაძარზე XVI საუკუნეშიც ფიქრობდნენ. ამას მორთული, წარწერებიანი** დასავლეთის კარი გვიმოწმებს. მაგრამ ეს გვიანი მცდელობა ხელობით ოდნეადაც ვერ ეტოლება წინარე საუკუნეებისას და იმ ძნელბეღობას გვისურათებს, რომელსაც ტაძრის დაცარიელება და გავერანებაც მოჰყვა. მხოლოდ XIX საუკუნეში ახლად ჩამოსახლებულმა სომხურმა მოსახლეობამ დაქცეულ დასავლეთის მკლავში თავისი, ხის ბოძებით გამართული, სამლოცველო მოაწყო. ჩვენს დროში ორგზის მოხდა ტაძრის განახლება – 1930-იან წლებში (6. სვეეროვის ხელმძღვანელობით) და 1970-80-იან წლებში (რ. გვერდწითელისა და თ. ნემსაძის მოთავეობით), თუმცა ეს უკანასკნელი საშუაოები ჯერაც არაა დამთავრებული. დასასრულ, საყურადღებოა კიდევ სამი, საგანგებო კვარცხლბეკზე, ტაძრის პირველ კარიბჭესთან მიჯრით აღმართული, IX–X საუკუნეების ქვა-ჯვარიც, რომელთაგანაც ერთი ნასოფლარ არეშტიდანაა გადმოტანილი. ესენიც ხმას უწყობენ კუმურდოდან წამოსული ადამიანის მთლიან შთაბეჭდილებას.

* „ქ. ადიღენ ღმერთმან ბაგრატ მეფე და დედა მათი მარიამ დედოფალი; ადიღენა შგომ ესე მეფობასა მათსა, მღვდელთმოძღვრობასა ზოსიმე კუმურდოელისასა“.

** „ქ. იესუ ქრისტე დიდებულ – ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმშენებელი პატრონი ელისაბა, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარხ. ძენი მათნი და ასულნი მათნი, ამინ“.


157. ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ქარაფის კედლსთან მიხლოებულ საცხოვრებელ სახლთან ერთ-ერთი ძალზე საყურადღებოა — გვირგვინიანი დარბაზებით, ძველი ავეჯით... საინტერესოა, რომ იგი ნაეკლესიარის ადგილასაა აგებული, ძველი ტაძრის აფსიდა აქ სამლოცველოს ფუნქციას ასრულებს, შეთეთრების მიღმა კარგად ჩანს XI საუკუნის ჩუქურთმები, ლილვები, რელიეფური ნახატები, რომლებიც ძალზე მოგვაგონებს კუმურდოს საკათედრო ტაძრის XI საუკუნის სტოას მორთულობას.

კუმურდოელი ეპისკოპოსი იოსები ჯერ კიდევ VI საუკუნეში იხსენიება. შემდგომ საუკუნეებშიც კუმურდოს ეპისკოპოსი არაერთხელ ჩანს ეპიგრაფიკულ, თუ ნარატიულ წყაროებში. საქართველოს ერთიანობის ხანაში დარბაზობის დროს, ქართველ მამამთავართა შორის კუმურდოელ ეპისკოპოსს VII ადგილი ეჭირა.

XVI საუკუნის ბოლოს სოფ. კუმურდო ახალქალაქის ლიევაში ითვლებოდა, აკმეპირის რაიონში. იქ მოსახლე 20 კომლი ტრადიციული მემინდვრეობა-მესაქონლეობით ირჩენდა თავს და წლიურად იხდიდა 25000 ახჩას.

დღევანდელი სომხური მოსახლეობა 1829 წელს ჩამოასახლა რუსულმა ხელისუფლებამ არზრუმის მხარიდან.

158. (ტაბ. 313-314) ლაშა-გიორგის ხელიანი ქვის აღმოჩენა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მოულოდნელი იყო ჯავახეთის ექსპედიციისათვის. კუმურდოდან სამხრეთით 4-5 კმ-ზე, კუმურდო-ახალქალაქის გზაზე, ზრესკის ტბის სანაპიროზე, ძველ ნასახლართან ჩვენი ყურადღება მიიქცია მცირე ზომის სომხურმა სამლოცველომ. იგი, როგორც ფასადზე მიმაგრებულ დაფაზე მოთავსებული სომხური წარწერა გვამცნობს, 1996 წელს ყოფილა აგებული. სუსტად განათებული სადგომი, სადაც სამი კაციც ძლივს ეტევა, მის ცენტრში აღმართული ქვის გარშემო შემოუმუნებიათ. ქვის წინა პირზე შევნიშნეთ ხელის გამოსახულება და ასომთავრული წარწერა. მარჯვენა ხელის მტკვანი გაშლილი თითებით ამოკვეთილია ქვის ქვედა თაღოვან ჩაღრმავებაზე. თაღის ზევით სადგარიანი მოგრძო ვეკარია ჩაკვეთილი, ხოლო მის ორსავე მხარეს გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი და ვარდული. ქვის მარჯვენა მხარეს, ვერტიკალურად



50. ზრესკი. ლაშა-გიორგის ხელიანი ქვა

ამოკვეთილია წარწერა: „თამარის ძისა გიორგის კელი“, რის მიხედვითაც იგი XIII საუკუნეს მიეკუთვნება.

159. მახლობლად ნაეკლესიარის ბუდეში ქვაგუჯარის კუბური ბაზისია, რომელსაც „ბოლნური მედალიონი“ ამშვენებს. ზრესკში შესაძლოა XIII საუკუნეში მონასტერიც კი ყოფილიყო. ამას გვაკარს უძებნის ზრესკელი ბერის მოხსენიება, რომელიც ვაჩანასთან აღმართული ქვის სვეტის წარწერაში (იხ. ზევით) ამბობს, რომ მან, ზაქარია ამირსპასალარის ბრძანებით ააშენა „ზუნიაკი“. ზრესკივე ლაშა-გიორგის „ველის“ აღმართვა და წარწერაში თამარის მოხსენიება, ხაზს უსვამს ამ პუნქტის დიდ მნიშვნელობასაც კუმურდოს სიახლოვეს. ლაშა და თამარი ასევე ერთადაა დასახელებული პრტენას „ველი“-ან წარწერაშიც. ეს კი ამტკიცებს ჯავახეთის ამ ნაწილის მოქცევას სამეფო დომენის შემადგენლობაში.

ოსმალობის პირობებში, 1595 წელს, სოფელი ზრესკი ახალქალაქის ლივაში, აქშეპირის რ-ნში ითვლებოდა. აქ მაშინ 16 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა., რომელთაც მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ჰქონდათ ბოსტნებიც; ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, სოფელში მოქმედებდა ერთი თვალი ზეთსახლეიც. მოსახლეთა წლიური გადასახადი შეადგენდა 10000 ახჩას. 1705-1706 წლებში, სოფელი ზრესკი ექვემდებარებოდა ვინმე მაჰმუდს, რომლის წლიური შემოსავალი ისევე 10000 ახჩა ყოფილა. არ ჩანს როდის გაუკაცრიელდა ზრესკი.

XX საუკუნის 40-იან წლებში აქ გადმოსახლდნენ წალკელი სომხები. მოსახლეობა დღესაც სომხურია.

160. (ტაბ. 315-317) ჯავახეთის კიდევ ერთი ორნაგვიანი ეკლესია აშენებულია ახალქალაქის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში, სოფელ გოგაშნიდან 2-3კმ-ის მოშორებით, ქილდიდან კუმურდოში მიმავალ გზაზე, ძველ ნასოფლარ დანკალის ტერიტორიაზე, ამჟამად კი სრულიად უკაცრიელ ადგილზე. ეკლესია სამი მხრიდან გარშემორტყმულია უანგმოკიდებული ქვებით მოყვანილი მთებით, ხოლო დასავლეთით ზეგნის კიდეც არის მიახლოებული. ამ ტერიტორიის ბორცველი ზედაპირი და აქა-იქ გაბნეული მრგვალი გეგმარების მქონე სათავსები ნამოსახლარის არსებობის მანიშნებელია. ეკლესიასთან რამდენიმე საფლავის ქვაც არის 1940 წ-ის წარწერით. ასე რომ 1940-იან წლებში აქ ჯერ კიდევ მოსახლეობა ყოფილა.

დანკალი უძველესი დასახლებული პუნქტი იყო. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი ადრექრისტიანული პერიოდის სტელა (V-VI და VI სს-ები), რომლებიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ინახება.

დანკალის ეკლესია დიდი ზომისაა. მისი მთავარი ნაგებობა ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. იგი გვერდითი ნაგებობის დონეზეა დასული, მასთან ერთიანობაში იკითხება, რის გამოც ტაძარი ერთი შეხედვით ტლანქის, სიმძიმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეკლესია ნაგებია ერთმანეთთან იდეალურად მორგებული რუხი ფერის ბაზალტის თლილი ქვის შესანიშნავი წყობით, რომელსაც აცოცხლებს ღვინისფერი პაწია ჩანართების ფერადოვანი ლაქები.

რთული პროფილის მქონე ბურჯითა და მისგან გადაყვანილი თაღებით გაყოფილ არატოლ ნავთაგან ცენტრალური ნაგი ძალიან დაზიანებულია, სამხრეთის ნაგი კი სრულად არის შემონახული. თვალში საცემია მათი პროპორციული შეფარდება: პირველი ხალვათია, ვრცელი, ძალიან განიერი და გაშლილი, სამხრეთისა კი კომპაქტურ სივრცობრივ ერთეულს წარმოქმნის. მათ ერთიანი მიდგომა აერთიანებს – დეკორის სრული უგულებელყოფა და მკაფიოდ გამოვლენა, ხაზგასმა ყველა წამყვანი არქიტექტურული ფორმისა (სარკმლები, ამოზიდული პილასტრები და ა. შ.), რაც მონუმენტურ

შთაბეჭდილებას ქმნის. მხატვრული თვალსაზრისით იგი X საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია.

161. ეკლესიის მახლობლად, ქარაფის პირზე წინარეწვეოდალური ხანის ნამოსახლარი გორაა. აქვე იყო ამოსავლელი ბილიკი კანიონიდან. უკვე XVI საუკუნის ბოლოს დანკალი უკაცრიელი ნასოფლარი იყო, რომელსაც 2000 ახმა გადასახადი ჰქონდა შეწერილი მარცვლელისათვის.

1972 წელს აქ ორი კომლიდა იყო დარჩენილი.

162. (ტაბ. 318) გოგაშენი ქართველებით დასახლებული დიდი სოფელია. მის განაპირას, ქარაფთან ახლოს დგას XIX საუკუნის ეკლესია, ღმრთისშობლის სახელობისა. აღმოსავლეთიდან მას სამურნეო ნაგებობა აქვს მიდგმული, რომლის მშენებლობის დროსაც უპოვიათ ოთხწახნაგა სტელა. ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა, რომელსაც მკერდზე ხელი აქვს მიდებული; მეორეზე-გველი; მესამე წახნაგზე-სადგარიანი ჯვრის მკლავის ნაწილი, რომლის ქვემოთაც გაურკვეველი გამოსახულებაა. სტელა გადატეხილია, რის გამოც რელიეფები სრულად არ იკითხება. მეოთხე გვერდზე თითქოს ადამიანის ხელია, რომელიც რაღაც ცხოველს კისერში სწვლობდა და ხუთავს. თავი და დატყვეპილი ყურები აშკარად ჩანს, ზვიდან თითქოს ისევ ჯვარია გამოსახული.



163. (ტაბ. 319-320) სოფლიდან მოშორებით, სასაფლაოზე არის მთავარანგელოზის სახელობის დარბაზული ეკლესია, რომლის კედლები თითქმის ერთ სიმაღლეზე დგას (დაახლოებით 2 მ.). კარგად გათლილი, რეგულარულად ნაწყობი კვადრების რიგი ფასადებზე და აღმოსავლეთი სარკმლის საპირე (ადგილზეა მისი ქვედა ნაწილი) ნაგებობის თარიღად XIII-XIV საუკუნეებს გვაფიქრებინებს. აქვეა გალავანშემოვლებული სასაფლაო.

XVI-XVII საუკუნეებში, სოფელი გოგაშენი სოფელ ჭაჭკრის სათესველი იყო და შეწერილი ჰქონდა 500 ახმა იქ მოწეული მარცვლელისათვის. XIX საუკუნეში სოფელი ქართველებს დაუსახლებიათ, რასაც მოწმობს ახალი ეკლესია შუა სოფელში. გოგაშენი ვაკეხეთის იმ იშვიათ სოფლებში ითვლება, სადაც მხოლოდ ქართული მოსახლეობაა.

164. (ტაბ. 321) აფნია ვაკეხეთის ზეგანზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქარაფის პირას ჩარიგებული ერთ-ერთი სოფელთაგანია. აქაური ეკლესია წმ. დემეტრეს სახელობისაა. დარბაზული ტიპის შენობა აგებულია XIV საუკუნეში, ძველ ნაგებობარზე. აღინდელი ნაგებობიდან შენარჩუნებულია გეგმა, ჩრდილოეთის კედელი და სხვადასხვა ფორმის ერთ ხაზზე ჩარიგებული კარნიზები, რომლებიც ამავე კედელს ასრულებენ.

მათი ფორმის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი შენობა VIII-DX საუკუნეების უნდა ყოფილიყო. გვიანდელი ეკლესიის მშენებელი ოსტატი მაქსიმალურად სათუთად ეპყრობა ძველ ნაშთს და სულაც არ აწუხებს, რომ მისი შენარჩუნებით ეკლესიის სამი ფასადი, XIV საუკუნის შესაბამისად, თლილი კვადრებით არის ნაგები, ხოლო ძველი, ჩრდილოეთის კედელი-უხეშად დამუშავებული მომცრო ბლოკებით. შიგნიდან ეკლესია შელესილია და შეთიერებული - იგი ამჟამადაც მოქმედია. უპრეტენზიოა, თანაც უჩვეულო, დასავლეთი სარკმლის ლილეგოვანი საპირე, მასზე გამოკვეთილი დისკოთი. ასე, რომ აფნიის ეკლესიაშიც, როგორც ზალხური ზუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი, თავისებურად აისახა დროის მოთხოვნები.

XX საუკუნის 30-იან წლებში ეკლესიის ეზოში ჯერ კიდევ მდგარა კუბური კვარცხლბეკი, რომელზეც გამოსახულია ოთხკუთხა სტელა იდგა; მას ზედა ნაწილი ამოჭრილი ჰქონდა (აღბათ ჯვრის ჩასადგმელად). ადგილობრივთა რწმენით, ვისაც თვალები ასტიკვდებოდა, თუ ამ ფოსოში წყალს ჩაასხამდა, ღამე დატოვებდა



51-52. აფნია. ქრილი ჩრდილოეთით, გეგმა

და მეორე დილით თვალებში ამოისკამდა, სატკივარს ეშველებოდა. სოფლის დასავლეთით, მინდორში მაშინ მეორე მონოლითიც მდგარა.

1595 წ. სოფ. აფნია ახალქალაქის ლივამი ითვლებოდა, აკეშიპირის რაიონში. იქ 35 კომლი ქართველი ცხოვრობდა. ისინი მისდევდნენ მემინდვრეობას, მეფუტკრეობას.

ქონიათ ბოსტნეული, ახარებდნენ ხილსა და კაკალს, დასახლებულია ვენახი მოძღვარ ბერისა და ვენახი მოლოდინასი. სოფლის გამოსაღები 10 000 აზნა იყო. 1705-1706წწ. სოფ. აფნია წარმოადგენდა ვინმე ოსმანის საკარგავს (ზეამეთს), რომლისგან მიღებული წლიური შემოსავალი 24 499 აზნა იყო.

165. (ტაბ. 322-323) ჯაეახეთის პლატოს კიდეში, ნასოფლარ ყართის (მისი ნათურქალი ფორმა ღართა) ცენტრში, დღემდე მშვენიერად შემონახული, X საუკუნის ეკლესია დგას. იქვე ძველი სასაფლაოა. ქარაფის კიდიდან ქვემოთ, მირაშხანისაკენ ძველი, ფილაქნით მოგებული გზა ეშვება, იქვეა წყაროც. ნასახლარებით მოფენილ, გარინდებულ გარემოში, სადაც აჭარელი მეფუტკრეები თუ ცხვრისა და საქონლის მწყემსები შეიძლება შეგხვდეთ, აღმართულია მოზრდილი დარბაზული ეკლესია. თანაბარი უთლეელი ქვის თითქმის ერთნაირი ზოლები, კონსტრუქციული ნაწილების თლილი კვადრები, სარკმლებზე დასმული ერთნაირი რელიეფური სათაურები, თლილ ამჟოლებზე დაბჯენილი, თითქმის ერთნაირი ბალავრის ქვები, პირველი შეხედვისთანავე ერთგვარ „აუურულობასთან“ ერთად, ქმნის წესრიგის მოყვარული, თითქოს ამ წესრიგს

დამორჩილებული არქიტექტორის ნახელავის შთაბეჭდილებას. იქაც კი, სადაც სწორ ქვათა რიგი დალაგებისას მოულოდნელადაა დაფერდებული, ის მალევე „მოგვარდება“ კუთხეთა ჩაკეტილობით. ნაბიჯ-ნაბიჯ, შემოქმედებითი რისკის გარეშე მაშენებელი ყველა დეტალში ჩანს — შიგნით პილასტრები, თითქოს თავის დასაზღვევად, ქვემოთ გაგანიერებულია, ზემოდან კი ერთნაირი, სტანდარტული უბრალო კაპიტლებით გადაღის თავისსავე სივანის საბრჯენ თალში. აფსიდის სქელი მხრებიც, ისევე და ისევე აუჩქარებლობისა და სიღინჯის მაჩვენებელია. ელემენტთაგანაც მხოლოდ ისინა დატოვებული, რომელიც აუცილებელია, სხვა კი ზედმეტად, არასაჭიროადაა განცდილი. ამიტომაც, რომ აქ არც სამხრეთის სარკმელი კეთდება და არც ინტერიერის პლასტიკური დეტალები. სამაგიეროდ, ამ სიღინჯეში ხელობის კარგი ცოდნა იმალება — სარკმელი, პილასტრები, კონქი, თითქმის სულ სიმეტრიულადაა ნაწყობი, ქვები კარგად ერგება ერთმანეთს და „ყველაფერი წესრიგშია“; მაშენებელი მცოდნე ოსტატია, მაგრამ ამ შენებაში სრულებით არ იგულისხმება რაღაც ახალი, ერთგვარი შეხედვა. არამც თუ ახალი, „ჩვეულებრივი“ ელემენტებიც კი გამოხშირულია. ოსტატი ეკლესიის აგებისას თითქოს წინდაწინ განსაზღვრავს რამდენიმე ნაბიჯს. ანთება, ექსპერიმენტი, რისამე ძიება აქ „დაგვემიღოს“ ოსტატურ შესრულებაში ქრება. ამიტომაც ფორმები იზომება, სიმეტრიულდება, მკაცრდება. ახალი კი ვერ იკრებს ძალას, სუსტ ამონათქვამად რჩება, ფრონტონის ოთხი კვადრით დასმული ჯვარი „უინიციატივო“ სიხლელ ჩანს, ისევე როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმელთა ერთნაირი, „სტანდარტული“ გადანაკეციანი თავსართები, სამხრეთი ბალკონის ქვაზე მედალიონი კი — ზომვა-ზომვაში უადგილოდ დასმულად. ყართის ეკლესია ერთი იმ ნაგებობათაგანია, რომელიც გვიხანსიათებს ოსტატს, ვინც სიღამაზეს, კონსტრუქციულად გამართულში, უკვე ნაცოდნის წესრიგით გამეორებაში ხედავს.

166. ნასოფლარის სამხრეთით გაშლილი სახნავ-საძოვარია, კანიონში კი ხილის ბაღები და გამოქვაბულები. იქიდან ამომაჯალი, კლდეში გაჭრილი გზის საკონტროლოდ, ზეგანზე სასიმაგრო ნაგებობის ნაშთია დარჩენილი.

XVI საუკუნის ბოლოს სოფ. ყართა ითვლებოდა ახალქალაქის ლივანში და იქ 22 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ტრადიციულ მეურნეობას ეწეოდნენ და წლიურად იხდიდნენ 16 700 ახჩას.

1718-1719 წლებში სოფელი ყართა ექვემდებარებოდა ვინმე ალი აბდულაპის ძეს და იხდიდა წლიურ გამოსაღებს 10000 ახჩის ოდენობით. XX საუკუნის 40-იან წლებამდე ამ სოფელში თარაქაძები ცხოვრობდნენ, რომლებიც შუა აზიაში გადაასახლეს. მსგავსი სახელწოდების ნასოფლარი — ყართა არის ასპინძის რაიონშიც.

167. სოფელ ქარცების ნაეკლესიარი ჯერ აფეთქებული და მერე გამარცხული ჩანს. გვემაც ძლივსა იკითხება და ადგილზე მხოლოდ რამდენიმე თლილი და ჯვრიანი ქვაა იპოვება.

ქარცების ეკლესიის XV-XVI საუკუნეების წარწერებში იხსენიებოდნენ ყვარყვარე ათაბაგი, ალაბის ძე გამგებელი ოქროპირი და ვინმე მამისა ლაშქარაიძე.*

168. (ტაბ. 324-326) აზმანა ველზე მდებარე სოფელია ოკამის დასავლეთით. აქაური ნაეკლესიარი — შორიდან უმნიშვნელო, მიწის ბელტებით ბრტყლად მოზაგული მომცრო ნანგრევი — უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი უძველესია მთელ ჯავა-

* „აპგრონა ყუარყუარეს გუმარჯე ღმერთო. მისითა ბრძანებითა აღვაშენეთ ესე საყდარი ჩვენ ქარცი-ბელთა“; „ალაბის ძესა. გამგებელსა ოქროპირს და ჯუბისს შეუნდნეს ღმერთმან“; „მამისას ლაშქარაიძეს მისნი ყოლანი შეუნდნეს ღმერთმან“.

ხეთში. ძლიერ დაზიანებული შენობა თავის დროზე მოზრდილი დარბაზული ტაძარი უნდა ყოფილიყო სამხრეთისა (?) და ჩრდილოეთის მინაშენებით. სწორედ ეს უკანასკნელია გადარჩენილი კამარიანად. კამარა კი უძველესი და დიდად გამოჩინებული ქართული ეკლესიების დარად (მცხეთის ჯვარი, წრომი და სხვა) ჯვრულია, უზადოდ გამოყვანილი, საჭეტი ქვით ჯვრულ ლარტყად შეკრული, რაც ძალზე მოულოდნელია დარბაზულ ეკლესიაში. უჩვეულოა ამ თლილი, გეომეტრიულ მკაფიო ფორმებად დაყოფილი სადგომის დასავლეთის გაგრძელებაც – თლილი კამარა ოდნავ მოგვიანებით უთლელი ქვით გაუგრძელებათ, რაც საფიქრებელს ხდის, რომ თავდაპირველად სადგომი დასავლეთის მხრიდან ღია იქნებოდა. ეს კი თოქის მონასტრის უძველეს სამლოცველოსთან ერთად, ადრეულ პერიოდში გამოყენების ჩვენთვის უცნობი საღმრთისმსახურო წესის არსებობაზე უნდა მეტყველებდეს. ამას ადასტურებს რამდენიმე მსგავსი შემთხვევა ჯავახეთის გარეთაც. აზმანის ეკლესია კი რიგი ნიშნების მიხედვით VIII საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება.

XVI საუკუნეში, ოსმალთა ბატონობის დროს, სოფელი აზმანა ახალქალაქის ლივაში ითვლებოდა. იქ მაშინ 12 კომლი ქრისტიანი ქართველი მკვიდრობდა და მეურნეობით არ გამოირჩეოდა მეზობელი სოფლებისაგან. წლიური გამოსაღები 13000 ახნა იყო.

1718-1719 წლებში სოფელი აზმანა ექვემდებარებოდა ვინმე ვასფი აბრაჰამის ძეს და იხდიდა 9250 ახნას. ერთი წლის შემდეგ იგივე სოფელი გადასცემია ვინმე იუსუფ ისპაქის ძეს, რომელსაც აქაურები 12000 ახნას უხდიდნენ; 1726-1727 წლებში იგი ვინმე მეკმედის დაქვემდებარებაშია და წლიურად 7000 ახნას იხდის. ჩანს, სოფელი შემცირებულა. სოფლის სახელწოდება შეიძლება მეცხვარეობასთან იყოს დაკავშირებული: აზმანი ორწლიან ცხვარს აღნიშნავდა. ტოპონიმების მსგავსი წარმოქმნა ჯავახეთის სხვა პუნქტებშიც გვხვდება.





ამჟამინდელი მოსახლეობა ქართულია, ოკამიდან, გოგაშნიდან, აჭარიდან მოსული. მანამდე აქ თარაქამები ცხოვრობდნენ, რომლებიც 1944 წელს შუა აზიაში გადაასახლეს.

აზმანას მონახულებით გამთავრებთ ზემო ჯავახეთში მოგზაურობას და ვინაცვლებთ ქვემო ჯავახეთისკენ.

* * *

მტკერის ხეობის ზემო წელი, ხერთვისის ზემოთ მეგლციხემდე, წარმოადგენს ერთიან მიკროქვეყანას, გამოყოფილს გეოგრაფიულად და ადმინისტრაციულად. ესაა, როგორც ვიცით, VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის „ჯავახეთის ძირობა“, ანუ „ქვემო ჯავახეთი“. ხეობის ღრმა კანიონში არსებული სოფლები და მათი საყარგულები ტერასულად არის განლაგებული. მათ შორის გამოირჩეულ მახვილებს წარმოადგენს მაღალ მთაზე და ბორცვებზე წამომართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, რომლებიც ხაზს უსვამენ და ასრულებენ ბუნებრივ ვერტიკალებს და შეაქვთ მძლავრი ემოციური მუხტი გარემოს აღქმაში.

169. (ტაბ. 327-329) ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვისამებრ: „სად ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორ მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკუარის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკუარის სამხრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი.“ „ხერთვისი“ წარმოადგენს ზმნა „ერთვის“ ხანმეტ ფორმას. ასეთი ადგილებისათვის სახელწოდება „ხერთვისი“ საქართველოს სხვა მხარეებშიც გვხვდება.



53-55 ხერთვისი. ფასადი, იზომეტრია, გეგმა

ხერთვისის ციხე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოდ შემორჩენილი საფორტიფიკაციო ნაგებობაა, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ იგი არაერთხელ განუახლებიათ. ფეოდალურ ხანაში ციხე-სიმაგრის შენარჩუნება სხვაგვარად შეუძლებელია. როგორი მტკიცედ ნაგებიც უნდა იყოს იგი, დროთა განმავლობაში აღდგენას მინც საჭიროებს. რომც არაფერი ვიცოდეთ ხერთვისის ციხის ისტორიის შესახებ, მხოლოდ მისი არქიტექტურით შეიძლება დავასკვნათ, რომ სიმაგრეს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამავე დროს, ის სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობს, რომ ფუნქცია ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე არ დაუკარგავს. აქ მტკერისა და ფარაენისწყლის ხეობებს მიდევნებული გზებიც იყებოდა და, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მტკვარზე ხიდიც ყოფილა.

ხერთვისის ციხე შედგება ციტადელისა და გალაენისაგან. ციტადელი კლდის ვიწრო თხემს მიუყვება. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იგი მიუდგომელია. ბურჯებიანი ზღუდით მოვლებული ციტადელის შიდა ტერიტორია რამდენიმე მონაკვეთად არის დაყოფილი. აქ არის მცირე ეკლესია და სხვა ნაგებობათა ნაშთები. სამხრეთიდან და ნაწილობრივ აღმოსავლეთიდან მას აკრავს გალაენი; ციხის ჩრდილო-დასავლეთით არის წყალზე ჩასასვლელი გვირაბი.

ხერთვისის ციხის თავდაპირველი აშენების თარიღი უცნობია, მაგრამ ლეონტი პროველის ცნობით (XI საუკუნე), რომელიც ზუბირ ტრადიციას უნდა ეყარებოდეს, ალექსანდრე მაკედონელს ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში, აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, საქართველოს სხვა ციხე-ქალაქთა შორის უნახავს ხერთვისიც. ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის ვერსიას ისტორიული მეცნიერება არ იზიარებს, მაგრამ აქ საინტერესოა მემატეანის წარმოდგენა ხერთვისის სიძველეზე.

დამიტრი ბაქრაძის ცნობით, მისთვის უჩვენებიათ ხერთვისის ციხის ეკლესიის წარწერა, რომელზედაც ირჩეოდა სიტყვები „მეფეთ-მეფე“ და თარიღი 985 წელი. ამ ცნობაზე დაყრდნობით, კ. მელითაური ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, ციხეც ამ დროს იყოს აგებული. მაშინ ის სამეფო ციხე იყო და მას მეფის ციხისთავი განაგებდა. XIX საუკუნის დასაწყისში ციხის შესასვლელის კარზე ჯერ კიდევ იყო XIV საუკუნის წარწერა, საიდანაც ჩანდა, რომ 1354-1356 წლებში ზაქარია ქაშაძისშვილს-საქართველოს მეფის მოლარეთუხუცესს, და ეტყობა, ციხის მფლობელსაც, აუშენებია ხერთვისის ციხის კოშკი და გალაენი*. XV-XVI საუკუნეებში ხერთვისის ციხეს ჯერ ხერთვისარები, შემდეგ კი – ამბაკისშვილები ეპატრონებნენ. 1578 წ. არფაქსად ამბაკიშვილმა, ხუთ სხვა ციხესთან ერთად, ოსმალებს ხერთვისიც ჩააბარა.

სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა ხერთვისი ლივისა და სანჯაყის ცენტრად აქციეს. სოფ. ხერთვისის ციხის რაბათში, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დათრის“ მიხედვით, ცხოვრობდა 127 კომლი ქრისტიანი, რომელთა შორის ჩანან სარგის მელიქი, გრიგოლ მღვდელი და მოსე მღვდელი. ხერთვისის ორი მღვდელი, შესაძლოა, იქ ორი ეკლესიის არსებობაზე მიგვიითიბებდეს. იქაურ გლეხებს მოჰყავდათ მარცვლეული; ჰქონიათ ხილისა და კაკლის ბაღები, ბოსტნები; ჰყავდათ ფუტკარი და ღორი. მაშინ იქ ორი თვალი წისქვილი ბრუნავდა მთელი წლის განმავლობაში, ერთი წისქვილი კი გაპარტახებული იყო. ხერთვისის წლიური გადასახადი 25000 ახჩას შეადგენდა.

* „სახელითა ღვთისათა, ოხითა და შეწყენითა წმიდისა მშობლისა ღვთისათა, მიწოდითა წმიდისა იოანე მახარობლისათა. ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთუხუცესმა მაქარია, ძემან ქაშაძისშვილისამან, ოფელმან კოშკი და გალაენი ესე ქრონიონსა მბ და გაეთათეთ მდ. ღმერთო.. გულხინე, ამინ“ (წარწერა ამჟამად დაკარგულია).

1624 წ. გიორგი სააკაძემ სცადა ხერთვისის განთავისუფლება, აიღო კიდევ იგი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა და ის ისევ ოსმალებმა დაიბრუნეს. 1721-1722 წწ. ხერთვისის ციხის სოფ. რაბათი, სახასო მამული იყო გაცემული ფეიზულაბეგ ხერთვისის მირლივა ჰასანბეგ ფაშას ძის სახელზე მემკვიდრეობის წესით. მისი გამოსაღები ამ დროს 252 500 ახჩას შეადგენდა. წინა წლებთან შედარებით, ჩანს, სოფელი გაზრდილა. 1721 წლის ერთი ოსმალური საბუთიდან ჩანს, რომ ხერთვისის ციხის გონულიანების (თავისი სურვილისამებრ მოქმედი შეიარაღებული ნაწილები) მამასახლისად ყოფილა სოფლის მოსახლეობიდან გამოსული ვინმე იაკი. მას მიუტოვებია ციხეში სამსახური და ჯარისკაცთა ასეულებში უწყსრიგობა და ძალმომრეობა დაუმკვიდრებია.

ისტორიკოს ომან ხერხეულიძის სიტყვით, 1771 წ. მეფე ერეკლემ „პირველი ციხე ათაბაგისა ხერთვისის, დიდად განმაგრებული, აიღო... და თვისნი მეციხოვნენი შეაყენა“. რუსეთის ხელისუფალთა რჩევით, ქართველებს ციხე მაინც მიუტოვებიათ. ერეკლემ „ხერთვისის ციხიდან მტველნი გამოიყვანა. იქიდან ჯარმა ტყვე და საჭინელი მრავალი გამოიტანეს. ხერთვისი ქალაქი იყო. იქ სულ მდიდარი ხალხნი ესახლნენ“. ადრიანოპოლის 1829 წლის ხელშეკრულებით, ოსმალებმა ხერთვისი რუსეთის მთავრობას გადასცა.

ხერთვისთან არის სოფელი და ტერასები, განთქმული ხილის ბაღებით, რომლებიც მტკვრის ორსავე მხარეზეა გაჭიმული რამდენიმე კილომეტრზე.

170-171. ხერთვისის სიახლოვეს, მისგან 3კმ. მოშორებით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არის ნასოფლარი გელსუნდა და გამოქვაბულთა ჯგუფი. მის ზევით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ნავარძიევის გამოქვაბულებია.

172. (ტაბ. 330-334) აქედან სამი კილომეტრის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ნასოფლარი ფია, თავისი ორი ეკლესიით. შემალღებული ბორცვის კიდეში, სადაც აზიულ კლდეებს ორბების ფრთების შხული მიწამდე ექოდ ჩამოაქვთ, ეფექტურადაა შემოსკუპული ფიის პირველი, მცირე ეკლესია. წმ. თევდორეს სახელობის ტაძარი ჩქარსა და მის ძმებს აუშენებიათ. დიდი ლოდები, რომლებიც თითქოს ჭურჭელია მტკიცე, შეკრული, კოხტა კორპუსისა, სახოვანი ნახტით ამეტყველებს მის ყოველ ნაწილს. ინტერიერი, რომელმაც ეკლესიის დამათარიღებულწარწერიანი ტრაპეზის ქვაც შემოინახა (ზედ თარიღი-995 წელი*) და თანადროული, კონქის მოხატულობაც (საყდარზე მჯდომარე მაცხოვარი, რომელიც შესრულების ხასიათით და მანერით, ტაო-კლარჯეთის ფერწერულ ნიმუშებს უახლოვდება), ერთიანიცაა და კამერულიც. დაბალი, არარელიეფური არქიტექტურული პლასტიკა-აფსიდის მხრები, კამარის შეკიდული თალი, ტიშპანი ინტერიერიდან — თავიანთი არგამოკვეთილობით, თითქოს ასპარეზს უთმობს არქიტექტურული მთელის სიძლიერეს. ამიტომაც აქ ნაირგვარი მოხაზულობის ქვათა ურთიერთშეთანადება, მასის სიმტკიცე, სიმთავრეს იძენს. ფასადებზე ძალზე ლაკონური, სინგურით დაფერილი, ნიანგის კბილების მსგავსი ტუხილი კარნიზზე და აღმოსავლეთ სარკმლის სათაური, დასავლეთი სარკმლის ელვასავით ვერტიკალური კლანჩილი ზაზები, უკვე აგებული ეკლესიის მარტივ, გულუბრყვილო და სახოვან გამამშვენებლად იკითხება.


1977 წელს აქ ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი თამარ ნემსაძე).

* „სახელითა დმრთისაითა, მე, ჩქარმან და ძმათა ჩემთა დაედგით ესე ეკლესიაჲ. ქრონიკონი იყო სიჲ“) ეკლესიის კედელზე მორე წარწერაცაა: „მკვდლისა არს გაბელისას“.

173. (ტაბ. 335-338) ფიის მეორე ეკლესია წმ. თევდორეს ეკლესიიდან 100 მეტრითაა დაშორებული. მის ფასადებზე არის მცირე ზომის ორნამენტული ჩანართები და ეკლესიის თანადროული, X საუკუნის წარწერები.*

174. ნასოფლარს სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მაღალი კლდეები საზღვრავს, სადაც გამოკვეთილია გამოქვაბულები სწინახელისათვის, ზეთსახლელისათვის და სამალავი მტრის შემოსევის დროს. აქვეა აგრეთვე კლდეში ნაკვეთი ზალხური საცხოვრებლის სამი ნიშნები, რომელიც XI საუკუნით თარიღდება. ვაჰანის ქვაბთა განგების მინაწერიდან ირკვევა, რომ მონასტრისათვის მურვან ღარბას ძეს შეუწირავს ფიაში ნაყიდი ორი ყანა; თმოგველთა ასულს გულმარს კი მშობლების მიერ ნაყიდი ვენახი.

175. ფიის მახლობლად, მდინარის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია მცირე სამონასტრო კომპლექსი ჭოლთა (ახლანდელი ჯოლდა), რომელიც VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. აქ არის პორიზონტულად განლაგებული, ერთმანეთთან გვირახებით დაკავშირებული სენაკები და დარბაზული ტიპის ეკლესია. გვხვდება მეორე, დარბაზული ეკლესიაც, ცალკე გამოკვეთილი კლდის ზედა ნაწილში.




56. ჯოლდა. გეგმა

ჭოლთის სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს წუნდა და ნაქალაქევი, ჯავახეთის აღრიდანვე დაწინაურებული სასოფლო-სამეურნეო ნაწილი. როგორც უკვე ვიცით აქ იყო უძველესი ცენტრი წუნდა. იმ ძველი ქალაქისა, თუ საეპისკოპოსო ტაძრისა ახლა აღარაფერი ჩანს.


176. (ტაბ. 339-340) წუნდის ეკლესიას ახლა გზის პირას, კლდეზე აგებულ, საგულდაგულოდ შემკულ და მოჩუქურთმებულ XII-XIII საუკუნის დარბაზულ შენობას უწოდებენ.

კვარცხლბეკად ბუნებრივ კანსა და საბრჯენ კლდეზე შედგმული, იგი შორიდან იტაცებს თვალს მოხდენილი სილუეტით და რამდენადმე უჩვეულო, სამსაღვომიანი მინაშენით. ამ ამართული მოცულობის შიგნით მაღალი, ოდნავ ზესწრაფვას მოკლებული სივრცეა. ხუროთმოძღვარს არ უსურვებია იგი ასვეტილი თუ შემართული

* სამხრ. ფასადზე: „ესე ეკლესია წმიდისა გიორგისი. ესე ქვა მე დავსუი გრძელის ძემ ვაიარაჲ“; სხვა წარწერებში გალატონთა სახელებია: კრავი, ახოან, საკოცარ, იესე, გიორგი.



57. წუნდა ჭრილი სამხრეთით



58. წუნდა. გეგმა

ყოფილიყო, არც წაისრული თაღების ოდნავ დუნე მოხაზულობებით შეწუხებულია. თავის თანამედროვეთა მსგავსად, მას, უპირატესად, მორთულობაზე უფიქრია—კარიბჭის თაღიც ჩუქურთმით გაამშვენა, სარკმლებიც საპირეებში ჩასვა და დასავლეთის (იბათვითვე ამოქოლილ) კარსაც ჩარჩო გაუკეთა მისგან ამოტოტვილი ვაზის ყლორტებით, შოგ მოქცეული წარწერით და ჯვრებით, სადაც მშენებლობის თაოსანი, იჩქით გურგენის ძე იხსენიება.* თუმც კი, ხუროთმოძღვრული სამკაულიც სხვადასხვა ღირსებისა—კარგად ნაოსტატარიც, ზოგან კი თითქოს გულსგარეთ ნაკეთები, ანდა დაუხვეწელიც კი. ასე იხსება, ეტყობა, ჩვენი შუასაუკუნოვანი არქიტექტურის მთავლოვებული კრიზისი, სრულად XIV საუკუნისთვის თავჩენილი.

177. წუნდის მახლობლად, გზის სამხრეთით ნაქალაქეია, მის ჩრდილოეთით-ქულბაქები.


VIII–IX საუკუნეებში წუნდა თანდათან დასუსტდა და პოლიტიკურმა ცენტრ-მა თმოგვიში გადაინაცვლა.

178. (ტაბ. 341) წუნდის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ, კლდოვან მთაზე აღმართულია თმოგვის ციხესიმაგრე. თმოგვის „ციხე-ქვეყანა“ დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, სადაც ადრე წუნდა ბატონობდა, ე.ი. ქვემო ჯავახეთზე-მტკვრის კანიონზე, ხერთვისის ზევით გელციხემდე და ნიალის ველზე. ციხის მშენებლობის შესახებ რაიმე ცნობა არ გავყვანია. X საუკუნის დასაწყისში ის უკვე ჯავახეთის ერთი უმნიშვნელოვანესი და მიუვალი სიმაგრე ყოფილა. XI საუკუნის ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ 914 წ. არაბთა შემოსევისას, არაბთა სარდალმა ქართლ-კახეთის მოხრების შემდეგ, ჯავახეთს მიაშურა; აქ იგი „მოადგა ციხესა თმოგვისასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით და მოვიდა ყველს.“ IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის პირველ ნახევარში იგი სამეფო ციხე უნდა ყოფილიყო, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელთა კუთვნილი; ბაგრატ III-ის ციხეა იგი XI საუკუნეშიც. ამავე პერიოდის წყაროებში იხსენიება ფარსმან თმოგველი ერისთავთ-ურისთავი (მასზე ადრეც ვისაუბრეთ), რომელიც ჯავახურ წარწერებშიაც გვხვდება და ახალქალაქთან ბრძოლას შეეწირა 1064 წელს. ჩანს, იგი მთელი ჯავახეთის ერისთავი ყოფილა. ამის შემდგომ საქართველოს მეფეები თმოგვის ციხე-ქვეყანას თავის ერთგულ მოხელეებს აძლევდნენ ხოლმე პირად მფლობელობაში. 1191 წლიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე ამ „ქვეყანას“ განაგებენ მხარგრძელთა ერთი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც თმოგველებად იწოდებიან. 1303 წლით დათარიღებული, წმ. მარინეს ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია დავით მეფე, მონგოლთა ყაენი ყაზან, ეკლესიის მამულებელი სამინამ — სხვა წყაროებით უცნობი ფეოდალი. 1350 წელს თმოგვის ციხის მეორე წარწერა კი გვაუწყებს, რომ მურვან კითხის ძეს, დავით მეფის ვარძიელ საწოლის მწიგნობარს, თმოგვის ზღუდე აუშენებია.** XVI საუკუნეში თმოგვს შალიკაშვილები ფლობდნენ.


* „სახელითა დმრთისაითა, მე იჩქითმან გურგენის ბემან ადგამუნე ეკლესიაი ესე, მამული ჩვენი სახელსა ზედა წმინდისა ნათლისმცემლისა სალოცველად ჩემთვის და მშობელთა ჩემთათოს“.

** „სახელითა ლეთისაითა... დაბადებულთაგან მოუყომელი შენსა მოუყომლობასა და ძალსა შემოქმედსა გე მოუყომლად შეუოდებული, დაბადებული შენი სამინამ, რომლისათვის არა ვინ არს ხელისაბრყობელი თუინიერ შენ ლეთაებისაგან კიდე, წმიდაო მარინა, მაღლისა მას საღეთოსა, რომლისათვისა სისხლნი დასთხინ, სახელსა შენსა ზედა აღმინებებია ესე მცირე ეკლესიაი მონასა შენსა სამინამს, მეობ შეყავ ორსავე მინა ცხორებასა. აღუმენა ესე ეკლესიაი ქორონოუნსა ფეკ, ხელმწიფობასა ყაზანისასა და მეფობასა დაეთისასა, ამე“: „შეწეებითა და ძლიერებითა ვარძიისა ლეთის მშობელსათა, ქორონოუნსა ლმ დაიოწყე ზღუდე ესე მე. მეფეთ-მეფის დავითის ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა, თმოგვს მურვან კითხას ბემან თეოდორემ დადგა“.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთაგან სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შედეგად, თბოგვი ცენტრია ერთი რაიონისა, რომელიც ახალქალაქის ლივაში შედიოდა. ის მოიცავდა მტკერის კანიონის სოფლებს ნაქალაქევიდან მოყოლებული, ვაშლობის ჩათვლით სულ 22 სოფელსა და ნასოფლარს.



59. თბოგვი, წმ. მარინეს ეკლესია. სამხრეთის ფასადი



60. თბოგვი, წმ. მარინეს ეკლესია. ჭრილი სამხრეთით


თმოგვის ციხე აგებულია მაღალ მთაზე. იგი კლდოვანი მთიდან არის ამოზრდილი და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ციხის შედარებით კარგად შემორჩენილი ნაწილი დასავლეთისკენაა. აქ იგი დამრეც ფერდობზე, სამ საფეხურადაა განლაგებული. სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელი ეზვიანება გამოქვაბულს, რომელიც კლდეში გაყვანილი საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა ზემოთ — ციტადელს, ხოლო ქვემოთ — მდინარეს. ციხის შიგნით არსებული მცირე ტერიტორია მთლიანად ნაგებობებს ეჭირა. აღმოსავლეთ ფერდობზე, ხელოვნურად ამოყვანილ სუბსტრუქციაზე შემორჩენილია მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევი დასავლეთის, მეორე სართულის დონეზე გადატყორცნილი კარიბჭის თალით და სამკვლეთი. გარედან ტაძარი თლილი ქვითაა შემოსილი, შიგნიდან — მოხატული. ეკლესია XIV საუკუნეში უნდა იყოს აგებული. ციხის ძირში, მტკვრის ორსავე ნაპირზე შემორჩენილია ციხე-ქალაქის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, აქვე მტკვარზე ხიდიც ყოფილა.

179. (ტაბ. 342-343) თმოგვის ციხის ძირში, ჩრდილო-დასავლეთით, პატარა ხევში, მიწიდან ამოზრდილი ქვიშაქვის მასივში წმ. ეფრემის სახელობის კლდის მცირე დარბაზული ეკლესიაა გამოკვეთილი, რომელიც შორიდან სამხრეთის სარკმლის ზერელობს შემოვლებული საპირით იპყრობს ყურადღებას. ტაძრის ინტერიერში სანახევროდ მიწით დაფარული დასავლეთის მომცრო კარით შევლივართ, რომელიც პირვანდელი გამართულობითაა შემორჩენილი — კლდეში ნაკვეთი პილასტრებით, კაპიტულებითა და დაბალი კედლის თაღებით, თაღებიანი მცირე კანკელით, ორი საფეხურით შემადგებელი საკურთხევლით და კედელს მიდგმული ნაკვეთი, ჯვრებიანი ტრაპეზის ქვით. ეკლესია X-XIII საუკუნეებს შორის პერიოდში ჩანს გამოკაფული.

180. (ტაბ. 344-355) ზედა თმოგვის ნასოფლარი თმოგვის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა, ორიოდ კილომეტრზე, მაღალ მთაში. მის ცენტრში აღმართულია სამნავიანი ბაზილიკა. ორი წყვილი რთული პროფილის ბურჯი სამ ნავს გამოჰყოფს, აღმოსავლეთით კი სამწაწილიანი საკურთხეველია, სამივე აფსიდებით, გარედან სამკუთხა ნიშებით აღნიშნული. აქ აღრე, VIII საუკუნეში მდგარი ეკლესია, ახალი ტაძრის ხუროთმოძღვარს ჩრდილოეთის კედლად გამოუყენებია და მისი ფასადი ინტერიერში მოუქცევია. ეკლესიის მშენებლობის თაოსანი კი, წარწერის მიხედვით*, საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პირნი — მარიამ დედოფალი, უფლისწული ბაგრატე (შემდგომში ბაგრატ IV) და ფარსმან ერისთავთერისთავი ყოფილან, რითაც ეკლესია XI საუკუნის II მეოთხედით თარიღდება. ეკლესია რუხი თლილი ქვითაა აგებული და დღემდე კამარინად დგას, მაგრამ საბურველი XIX საუკუნისაა, ამავე დროსაა შეთერთვანი ინტერიერი და ფასადებიც.

ეკლესიას მრავალი უცნაურობა ახასიათებს. შიდა სივრცისა და ფასადთა მორთულობის დათვალიერებისას პირველი შთაბეჭდილება მრავალი გადაკეთების გრჩებათ — ბურჯები გვემით რთული და განსხვავებული პროფილისაა, გვერდით ნაგებს ბრტყელი, უხარისხო სხმული კამარები ხურავთ, თაღები მრავალსაფეხურიანია და ურთიერთგანსხვავებული, ფასადებზე ზოგი დეკორატიული მორთულობაც თითქმის სხვადა-

* ეკლესიის სამხრ. ფასადზე: „ქრისტე (იესო, მეუფეო დიდებისაო) აღიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი“. „იესუ ქრისტე“. „ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაი იოვანნს ძისაი კიმიშიელისაი“. „აქუმელისაი“. „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი აფხაზისა“. აღმოსავლეთ ფასადზე: „ქრისტე შეიწყალე მონა შენი გიორგი ე ე (?) საფარავლი მღვდელი. დაიწერა ქრანიონსა ჩლოვ (1773 წ.). იქვე XI ს-ის ასომთავრულით: „ქრისტე შეიწყალე სული ნეშისაი, ესე კუთხი მისია“. „ქრისტე შეიწყალე სული ახნისი“ „ქრისტე შეიწყალე არსენი“ „ქრისტე შეიწყალე სული ერჯისაი“.



61. ზედა თოზგვი. გეგმა

სხვა ელემენტისგანაა შემდგარი. მაგრამ დაწვრილებით დათვალეირებისას სურათი ძალზე საინტერესო და განსხვავებული გამოდის – ერთი მხრივ ცხადია, რომ მაშენებელი გამოცდილი ოსტატია – იგი თავისუფლად ქმნის სუფთა კედლის წყობას, მაღალ, ზეასვეტილ სიერცეს, მთავარი ნაეის მოხდენილ კამარას, მყარ და რთულ ბურჯებს, ძველ ეკლესიას ოსტატურად ჩართავს ახალ ნაგებობაში; უცებ კი აშკარა ხდება, რომ საქმის დასაწყისამდე, არაჩვეულებრივისა და რთულის აგების მოსურნეს, ბოლომდე არა აქვს მოფიქრებული ნაგებობის რეალური აღნაგობა. ამიტომაც ნათა ბურჯები სიერცეში ამოყვანისას სიერცეში უბოლოოდ „იჭვდება“ და ოსტატი იძულებულია გვერდით კამარათა სხმული მასით გადაფაროს ისინი. ფასადთა გაფორმებისას კი აშკარაა, რომ ზოგჯერ იგი ისეთ „ჩვეულებრივ“, არქიტექტურულ და მამკობ ელემენტებს (მაგ., სარკმლის საპირეს), ბუნებრივ ერთობად კი არ მოიაზრებს, არამედ ღიობსაპირე-თავსართს „უკუღმა“ აწყობს – ჯერ საპირეს გამართავს, მერე კი ძლივსდა ახერხებს „ჩაჭედოს“ მასში ღიობი (მაგ., აფსიდის სარკმელი). ანდა პირიქით, მცირე ღიობთა გარშემომწერ დეკორს ფასადის წონასწორობისათვის ისე ღივს აკეთებს, რომ თავადვე ხდება იძულებული ზედმეტი ფართი სხვადასხვა ხერხით შეავსოს–ან „ფხაჭნოს“ სიბრტყეზე, ან „ზედმეტი“ ჯვრები თუ ღივები დაამატოს (პასტოფორიუმთა სარკმლები). ეს არცაა გასაკვირი, ცხადია, რომ იგი ადვილობრივი, ჯავახი ოსტატია, აქ დაბადებული და აქაურ „ტრადიციულ“-დარბაზულ ეკლესიებზე მომუშავე, რის გამოც იგი ამ ფარგლების კონსტრუქციულ ამოცანებს თავისუფლად წყვეტს, რთული ორგანიზმის შენებაზე კი მიდგება თუ არა საქმე, მუშაობის თამამად დაწყები უხერხულობას აწყდება – სიერცეში სხვანაირად მართავს გეგმაზე რთულ დასაწყისს. დეკორის მომარჯვებისასაც, იგი, ხან უშუალოდ მიმართავს ცენტრალური რაიონების მოტივებს (კუწუბები, ღივები, „ბურთულები“), ხან კი მათი ბუნდოვნად გამსხენებელი „თვით-შემოქმედებს“ და იოლად ასხვაფერებს მათ – უბრალო წნული ხან ჯაჭვის პერანგივითაა გადაჭიმული ფასადის ზედაპირზე (ტიმპანი), ხან კი სათაურს, ლურსმანზე ჩამოკონწივალებული მშვილდით „კიდებს“ ფასადზე. თითქოს ამგვარი, დიდი პასუხისმგებლობის გარკვეულად „კერ ზიდა“ აძლევს მას შინაგან ბიძგს ტაძარი სხვადასხვა


პირთა მრავალრიცხოვანი წარწერებით აავსოს, თითქოს პასუხისმგებლობის გადასანაწილებლად (ერთ-ერთს კუთხის ქვა შემოუწირავს ეკლესიისთვის „... ესე კუთხი მისია“). ამგვარი მოვლენა ცხადპყოფს, როგორი რთული იყო კტიტორების, მაშენებლების თუ სხვათა მხატვრულ-სოციალური მიმართებები ძველ საქართველოში. ერისთავთერისთავის, დედოფლისა და უფლისწულის თაოსნობით აგებული ტაძარი „სამეფო“, ცენტრალური არქიტექტურული მიმდინარეობის კი არა, ადგილობრივი, ყვავახური ხუროთმოძღვრული სკოლის დამახასიათებელი ნიმუშია.

ზედა თმოგვი ციხე-ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ XI საუკუნეში, როდესაც ციხე მისი მამულებით, ბაგრატ IV-ის ერისთავთერისთავს ფარსმანს ეჭირა, მასვე ექვემდებარებოდა ზედა თმოგვი, სადაც ფარსმანმა ეკლესია ააგო. შემდგომშიაც ზედა თმოგვი ციხის მფლობელებს ეკუთვნოდა. მას მერე, რაც თმოგვი თანდათან დაეცა, დიდი ციხე-ქალაქი დაბად გადაიქცა, ზედა თმოგვი ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდა. XVI საუკუნეში თმოგვი შლიკაშვილთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მათივე იყო ზედა თმოგვიც. 1576 წელს, როდესაც მესხი აზნაურები სამცხის ათაბაგს აუჯანყდნენ, „მესხური მატანის“ ცნობით, „გამართნეს პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ და ჰერაკლე სახლსა ზედა ღვთისასა და მოველით ზედა თმოგუს. და თმოგუის ქალაქი მოვარბიეთ და იქივე ზედა-თმოგუს ამოველით-ორშაბათს ვანის ქუბას მივაღვეით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ და პარასკევ დღეს ავიყარენით, ჩაუღვიეთ, რჩეულაანი შემოვიწყუნეთ. კურას დღეს ოლოღის-ქუაბი ავიღეთ, ამოველით, კარწახს დავღვეით“. 1578 წელს თმოგვის ციხეცა და ზედა თმოგვიც ოსმალებმა დაიპყრეს.

XVI საუკუნის ბოლოს სოფელი ზედა თმოგვი შედიოდა ნიალისყურის რაიონში, ახალქალაქის ლიევაში. იქ მაშინ 17 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ, ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ღორი, ფუტკარი. მათი წლიური გამოსაღები 5000 ახჩას შეადგენდა.

1870 წელს ზედა თმოგვეში ისევ 17 კომლი ცხოვრობდა. ამჟამად იგი ნა-სოფლარია, რომელსაც საზაფხულო ბინებად იყენებენ. აქაურები ახლა ნაქალაქევეში სახლობენ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

181. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. მარგასტანში (დღევანდელი სოფ. თმოგვი) არის ერთიარუსიანი გამოქვაბულთა კომპლექსი. მის ცენტრში შერჩენილია კლდის მოზრდილი ეკლესია. მონასტერს შიდა ეზო ჰქონია, რომელიც ფრაგმენტულადაა შერჩენილი.



62. მარგასტანი. გეგმა

182. ამავე სანაპიროზე, კლდეში ჩანს ბერთაყანის ქვაბულები, ორ-სამ იარუსად განლაგებული. ოვალური ფორმის გამოქვაბულები ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდება. ერთ-ერთ გამოქვაბულში შერჩენილია ზოსიმე კუმურდოელის XI საუკუნის წარწერა – იგი მაშინ კუმურდოს ეპარქიას განაგებდა ჯავახეთში.

183. თმოგვის ციხის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მარგასტანიდან მოყოლებული ბერთაყანის ნასოფლარამდე, ყორღანთა ჯგუფებია მიკვლეული, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის XVII-XVI საუკუნეებით არის დათარიღებული.

მარგასტანი და ბერთაყანა ოსმალურ დავითრებში არ იხსენიება. †

184. (ტაბ. 356-358) თმოგვიდან ორ კილომეტრზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოჩანს ვაჰანის ქვაბთა მრავალიარუსიანი გამოქვაბულების კომპლექსი (XIV საუკუნიდან იგი ვანის ქვაბებად იწოდება). უადრესი სადგომები აქ VIII საუკუნიდან უნდა გაჩენილიყო. შემდგომში მათმა რიცხვმა იმატა. აქვამად აქ არის 200-მდე სათავსო, რომლებიც 16 სართულად არის განლაგებული. აქვეა რამდენიმე ეკლესია. მათ შორის გამოირჩევა წმ. გიორგის სახელობის XI საუკუნის დამდეგის გუმბათიანი, კლდეში ნაკაფი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ჰქონია ორსართულიანი სამარხი ევგეტრი, ქვითკირის კარიბჭე, საძვალე, მოჩუქურთმებული კანკელი. შორიდანვე მოჩანს კიდევ ერთი მათგანი, ცაში გამოკიდებულ კლდის ნაოჭში ჩიტის ბუდესავით საკვირველად ნაშენი გუმბათიანი ტაძარი. იგი თეთრად გალესილ პატარა სამლოცველოს წარმოადგენს. მისი კედლები დაფარულია მელნით შესრულებული მრავალრიცხოვანი ნახატებითა და XV-XVI საუკუნეების მხედრული წარწერებით, რომელთაგან ზოგიერთი „ევეფხისტყაოსნის“ სტროფებს თავისებურად გადმოგვცემს, ზოგი კი დამწერთა შეთხზულია.*

მონასტრის მრავალი სამეურნეო, თუ საცხოვრებელი სადგომი ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდება. გამოქვაბულთა წინ შერჩენილია ზღუდის ნაშთი, რომელიც 1204 წ. აუგია თამარ მეფის ვაზირს ანტონ ჭყონდიდელს. ამის შესახებ მოთხრობილია ერთ-ერთი ეკლესიის კედელში გვიან ჩაშენებულ წარწერაში („ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ; წელსა მეფობისა მათისასა კ. ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე, შეუნდევნ ღმერთმან“). მაშინ ის სამეფო მონასტერი ყოფილა. მანამდე, 1186-1191 წლებში აქ მშენებლობას აწარმოებდა მაშინდელი პატრონი, იქით გურგენის ძე, რომლის წარწერა** აქვეა აღმოჩენილი, ეს სახელი წუნდის ეკლესიაზეც გვხვდება. შემდგომ ხანებში ვაჰანის ქვაბთა მონასტერი თმოგველ ფეოდალებს გადაეცათ სამამულო მფლობელობაში. მონასტრის ახალმა პატრონმა, მხარგრებულ თმოგველმა 1204-1234 წწ. ვაჰანის ქვაბებს დაუდო განგება, რომლის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია. იგი საკორპორაციო სამართლის ძვირფასი ძეგლია.


* „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თუალნი ძლიე შემოშწნებთან,
გზა გუორაბითა შემოკლან მცველნი მაზუდა დგებთან,
მაშოგან ორნი გუმბანი ნაბაღსა არ დასცდებთან,
მათსა შემბჟელსა დაკოცენ ცეცხლურებ მოედებთან“.

„ლომო განაღამე მიყვარსარ შენებრ ვერაგის სადარად,
წყალად ეუფრატად ვიტყვიან, გულად – როსტომის სადარად,
ტანი ანატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა;
ბე გული კელთა არა მეყეს, თუ არ შენ ვახლავს სადარად,
ვაიმე იმედო ნახამდის, თუმანს, დამიწერია,“ და სხვა.


** „ესო ქრისტე აღიღე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე იჩქითმან გურგენისძესმან აღეაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვრისაი, ღმრთისმშობლისაი, ნათლისმცემლისაი და უკუარი წმოდისა სვიმონისი, ვინცა ილოცოდეთ მეცა მომხსენეთ“.

განგების გვიანდელი მინაწერებიდან ჩანს, რომ XIV საუკუნეში 1283 წლის მიწისძვრისაგან ძლიერ დანგრეული მონასტერი თმოგვის ციხესთან ერთად გადასულა მურვან კოთხაის ძისა და მისი შთამომავლების ხელში. XVI საუკუნეში კი ის რჩეულაშვილების საშფლობელოა. ვანის ქვაბები სიმაგრეც იყო: 1576 წ. ვაყელები ამბოხებული ფეოდალების დასასჯელად ჯერ თმოგვის ქალაქს მარბევენ, შემდეგ კი ვაჰანის ქვაბებს მოადგებიან და ორდღიანი ბრძოლით იღებენ.

185. (ტაბ. 359-360) ვარძიის სიახლოვეს, მტკვრის ორსავე ნაპირზე განლაგებულია გამოლმა და გაღმა ჭაჭკარი. აქაა ძველი ნასოფლარები. გამოლმა ჭაჭკარში (მტკვრის მარჯვნივ), არის კლდეში ნაწილობრივ შეჭრილი წმ. მარინეს სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელიც მინაშენიანად ჩაუფიქრებიათ, თუმც კი ორნაწილიანობა კლდის მოედნის სიმციროსა გამო, თვითონვე გადაუფიქრებიათ. იგი IX საუკუნის II ნახეერისა ჩანს. აქვეა კლდეში ნაკვეთ-ნაშენი სენაკებიც, ბუნებრივი, პირამოშენებული დიდი ქვაბულიც, რომელიც კლდიდან გადმოღეწილი ანკარა წყაროს იკრებს და ქვემოთ სოფლისკენ ანაწილებს. აქ ზაფხულის ხვატშიც ძლიერ გრილა.



63. გამოლმა ჭაჭკარი. წმ. მარინეს ეკლესია. გვემა



64. გაღმა ჭაჭკარი. გვემა

186. გაღმა ჭაჭკარშიც ჩანს ეკლესია და დარბაზული ტიპის ხალხური საცხოვრებელი, ძველი სასაფლაო. ძალზე შთაბეჭდავია, კლდეებით მოცული და უშველებელ კაკლარში ჩაფლული სოფლის „ხელუხლებელი“ XI თუ XII საუკუნეში გამართული უბნის მოხილვა — მარან-საწინახელებით, საცხოვრებელი და სამეურნეო სადგომებით, ბოსლებით, კლდეში ნაკვეთი გვირგვინიანი დარბაზით, იმ კომპლექსით, რომელიც დღესაც კვლავ ისე გამოიყენება, როგორც ძველად, შუა საუკუნეებში. აქვეა თავშესაფარი მთელი სოფლისათვის შიშინანობის დროს.

187. გაღმა ჭაჭკარის სიახლოვეს, მიუვალ სიმაღლეზე მდებარეობს ბერისხევის გამოქვაბულთა კომპლექსი თავისი ეკლესიითურთ.

1595 წელს სოფელი ჭაჭკარი თმოგვის რაიონში ითვლებოდა, ახალქალაქის ლივაში. იქ 14 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელნიც მემინდვრობისა და მესაქონლეობის გარდა, მისდევდნენ მუფუტკრეობას, მეხილეობას, ჰქონიათ ვენახებიც. მათი წლიური გადასახადი 4500 ასხა იყო. ირკვევა, რომ გამოღმა ჭაჭკარს სათესველად ჰქონია მიწურილი მამინ უმოსახლო გოგაშენი. შემდგომ ხანებში ჭაჭკარელები გოგაშენს გადასახლდნენ, თავიანთი ნასახლარი გამოღმა ჭაჭკარში კი, ბაღებად აქციეს.

188. (ტაბ. 361-366) ვარძიის კლდეში ნაკვეთი მონასტერი—თავისი მასშტაბით, ისტორიული და მხატვრული ღირებულებით—გამორჩეულ, საოცარ ქმნილებას წარმოადგენს. მის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ უშუალოდ ზილვისას ვარძიას, ალბათ, ყველა თავისებურად აღიქვამს. განსაკუთრებით მძაფრია პირველი შთაბეჭდილება, როცა მრავალ ილუსტრაციას თუ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას გაეცნობილი მწახველი მაინც მოუშზადებელი აღმოჩნდება ამ სასწაულის წინაშე.

ვარძია ბვირფასია იმითაც, რომ იგი დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. „თამარის ოთახი“ შეარქვა ხალხმა მონასტრის ერთ-ერთ საცხოვრებელ სათავეს. ლეგენდებიც შემოგვრჩა: თუ როგორ დაიკარგა პატარა თამარი გამოქვაბულებში, ან როგორ გამოკვეთეს ვარძიაში 365 ოთახი მეფის სამყოფელად და სხვა...

განსხვავებით საქართველოში არსებული მრავალი ეკლესიისა და ციხისაგან, რომლის აგებასაც ხალხი თამარს მიაწერს, ვარძიის შემთხვევაში, ეს ისტორიული საბუთებით მტკიცდება. მრავლისმთქმელია ამ მხრივ თამარის უცნობი ისტორიკოსის ტექსტი: მისი სიტყვებით თამარმა „კულყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა—კურთხეულსა ვარძიის ღმრთისმშობელსა, ზემო ვარძიის ქუემო ვარძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეუთა, თუთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტვეა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ“. ვარძიის მშენებლობა ძირითადად მიმდინარეობდა XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის დასასრულამდე. მონასტრის მთავარი ეკლესია მოიხატა ქართლის ერისთავის, რატი სურამელის სახსრებით. მოხატულობა ზუსტად თარიღდება 1184-1185 წწ. წამყვანი მხატვარი იყო გიორგი ჭარი (მისი სახელი კონქს მოვლელულ ყვავილოვან ზოლში იკითხება).* ვარძიის მოხატულობა პირველია საქართველოში არსებულ XII-XIII საუკუნეების მიჯნის მონუმენტური ფერწერის ბრწყინვალე ნიმუშთა შორის. იგი ითვლება ახალი, ე.წ. „დეკორატიულ-დინამური“ სტილის საწყისად.

* ამ ცნობათა ნაწილი ფრესკულ წარწერებშია მოხსენიებული: „...ო, ღმრთისა დედაო, მიითუალე— მსახურება ჩემ მიერ მონისა შენისა რატი... და ქართლისა ერისთავისაგან, რომელმან ვეცალსმოდგინე და მოხატეთ აუღამვე წმიდა ესე ტამარი დიდბისა შენისაი და ნაცვალავე წინაშე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა დღესა მას დიდსა საშეკლისასა და ამას სოფელსა შინა ძეთა ჩემთა თანა მცველად და მფარველ მექმენ“.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია კლდის საშუალო ფენაში. იგი გადაჭიმულია 500 მ. სიგრძეზე და შეიცავს 600-ზე მეტ სათავსოს, რომლებიც იარუსებად არიან განლაგებულნი (5,7,ზოგან-13 იარუსი). გამოქვაბულების ფასადი ამჟამად ჩამოქცეულია. თავდაპირველად ყოველი სართულის გასწვრივ განლაგებული იყო გადახურული დერეფნები; სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ჭერში გაჭრილი ხერელებით და საიდუმლო გვირაბებით.

გამოქვაბულთა ფონზე აშკარად გამოირჩევა თლილი ქვით ნაგები სამრეკლო (შერჩენილია მხოლოდ ქვედა სართული) და ორთაღელი, რომელიც XIII საუკუნის გასულს მიწისძვრისგან დაქცეული მთავარი ეკლესიის ძველი კედლის ნაცვლად ამოყვანილ კარიბჭეს წარმოადგენს.** დასავლეთით არის X-XII საუკუნეების კლდის სოფელი ანანაური, რომელიც ვარძიის ანსამბლშია ჩართული. აქ არის სანიტერესო კლდის სახლები და ეკლესია, XIII და XV საუკუნეების მონატულობით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, XV საუკუნეში კონსტანტინე მეფის ვარძიაში დაკრძალვის შესახებ, შესაძლოა ანანაურის ეკლესიის კლდეში გაჭრილ სამარხს გულისხმობდეს.

სამრეკლოს მახლობლადაა „ლიტანიის ეკლესია“ და გამოქვაბულთა ჯგუფი. კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს: მთავარი ტაძარი ეგვიპტურთურთ, წყარო, „თამარის ოთახი“, ე.წ. „სადარბაზო“, „სალზინო“, „აფთიაქი“, მონასტრის მარანთა უმრავლესობა და საიდუმლო გვირაბი, რომელიც მდინარესთან გადის. მთავარი ეკლესია ღმრთისმშობლის მიძინების სახელობისაა. იგი დარბაზული ტიპისაა, მისი ფერწერა იკონოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით, იმეორებს გუმბათიანი ტაძრის მონატულობის სქემას. ვარძიის მთავარი ტაძრის მხატვრობა, თამამად შეიძლება ითქვას, იმსახურებს ყოველგვარ ზეამატებულ შეფასებას: შესანიშნავი, დახვეწილი, საოცარი და ა. შ. ყველა კომპოზიცია და ცალკეული გამოსახულება დიდი სიფაქიზითაა შესრულებული. ჩრდილოეთის კედელზე ქტიტორთა პორტრეტებია წარმოდგენილი — სამეფო ოჯახის წევრები: გიორგი III (1156-1184) და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა თამარი (1184-1207). აქვეა ქართლის ერისთავის რატი სურამელის გამოსახულებაც.

საქართველოში მრავლად არსებულ კლდეში ნაკვეთი კომპლექსებიდან ვარძია გამორჩეულია. იგი იყო სამეფო მონასტერი, რომელსაც არ აკლდა გვირგვინოსანთა მზრუნველობა და ყურადღება; ერთიანადაა გააზრებული მონასტრის სამეურნეო ცხოვრება და თავდაცვითი სისტემა. XVI საუკუნის ბოლოს სოფ. ვარძია გაუკაცრიელებული იყო, ხოლო მონასტერი—გაუქმებული. მისი დიდი პოპულარობის მოწმობაა კაცის სახელი ვარძელ, რომელიც ყველაზე ხშირად იხსენიება „გურჯისტანის დათარში“.

189. (ტაბ. 367-369) ზედა ვარძია მტკვრის მარცხენა ნაპირზეა, 2 კმ-ით დაშორებული ვარძიის ქვაბთა ანსამბლისაგან. ვიწრო ხეობაში ქვის მაღალ სუბსტრუქციაზე მდგარი დიდი ტაძარი აღმართზე ასულს უცებ წარმოუდგება. სუფთა ქვით ნაგები, ერთიან ორქანობა სახურავში მოქცეული ორნაეანი ეკლესია, დიდხეობიანი და წყაროებიანი ხეობის დომინანტია. გარე დიდი და მოცულობითი მასის საპასუხოდ ინტერიერი ვიწრო და ზეასვეტილია. ძალზე მომწუსხველია ორი სივრცის მიჯნაზე მდგარი ნავთგამყოფი მძლავრი ბურჯები, ორსაფეხურიანი თაღები და რელიეფური მტკიცე პილასტრები, კედლის მონაღლისებრო თაღები, უზადო სიმწყობით მონახული სარკმლები, ამ საერთო „გეომეტრიზმში“ კი რთულპროფილიანი, ზოგჯერ ზედმცენარეულორნამენტოანი კაპიტლები. ნელი, მშვიდი, დახვეწილი ძლიერი ფორმების

* ტაძრის აღდგენის შესახებ გვამცნობს კარიბჭის შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერა: „ქ. ყოვლად წმინდა ვარძიისა ღმრთის მშობელი, აღიღე ორთავე მინა სუვევათა დიდისა ამის ტრაპეზისა აღმშენებელი ბატონი ივანე, ასუფევე და ცოლადანი მათნი შეუნდოს ღმერთმან, ამი“.

მკრთალად წარმოშენი განათება თითქოს მისტიკურია. ნავთგამყოფ ბურჯზე შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლისა (?) და ისტორიული პირის – აფრიდონის დახვეწილი ფრესკული გამოსახულებები. ფასადებზე ჯავახი ოსტატი ხან სამხრეთ ქართულ, ტაო-კლარჯულ ორნამენტაციას მოიხმობს (პალმეტები, იშხნის ტაძრით შთაგონებული ჯვარი ბალავარზე), ხან კი ადგილობრივ მოტივებს (სამხრეთი ფასადის ორთაღედის კაპიტლები). ზედა ვარძიის ტაძარს დასავლეთიდან მიდგმული აქვს მინაშენი, რომელიც ვიწრო და დაბალი დერეფნით სამალავში გადის. სამხრეთით, ანკარა წყაროს თავზე, ხეობის ყურეში, მალლა ჩიტის ბუდესავითაა კლდეზე მიშენებული განდევილი ბერის სამყოფელი, ლორფინით გადახურული და დაუშუშავებელი ქვით ამოყვანილი. მონასტრის ქვემოთ ქვაბულში ნაკვეთი ეკლესიაა.

ტაძრის კარის თავზე, განედლებული ჯვრის აქეთ-იქით წარწერაა „დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულსმოდგინებით აღვიშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ ამენ.“

ამ წარწერის მარცხნივ ყოფილა შავი საღებავით შესრულებული მგორე ასომთავრული წარწერაც, რომელიც ახლა აღარ ჩანს. 1940-იან წლებში შესრულებული გადმონახატის მიხედვით, წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლესიის აშენების შემდგომ, დამატებითი სამუშაო ჩაუტარებიათ: დასავლეთიდან კარიბჭე მოუშენებიათ და გამოუკვეთათ სამალავი გამოქვაბული. ამის გასამრჯელოდ, მეფე ბაგრატის ბრძანებით, გალატოზ კვირიკე ვახტანგის ძეს თმოგვის ციხის ძირში, ალაგში მაცხოვრებლები (ახლა ადგილი აღაგურები) სამუდამოდ გაუთავისუფლებია მარიაძობისათვის შეწერილი გამოსაღებისაგან. წარწერა 1057-1072 წლებს უნდა განეკუთვნოს.* როგორც ჩანს, შემდგომ ხანებში ეს პოპულარული სალოცავი, სამეფო მონასტრად იქცა, რომელიც გიორგი III-ის მსახურთუხუცესმა – აფრიდონმა მოახატინა. ის მამინ თმოგვის ციხე-ქვეყანასაც პატრონობდა, სადაც შედიოდა ზედა ვარძიაც. აფრიდონი ამ ეკლესიის ფრესკულ წარწერაშიც იხსენიება. ზედა ვარძიის დაწინაურებას უთუოდ ხელს შეუწყობდა უმოკლესი ვაზა ნიალისაკენ, ხევის აყობებით, გიორგიწმინდის გავლენით რომ მიემართებოდა და რომელიც დღემდეა ნავაზურად შემორჩენილი. თამარ მეფემ ვარძიის ქვაბთა და დიდი ტაძრის გამოკვეთით, ზედა ვარძიის სალოცავი ქვედა ვარძიაში გადმოიტანა. ამის შემდგომ ზედა ვარძიის ეკლესია სოფლის სალოცავიდა დარჩებოდა. XVI საუკუნეში ჩაისარ თმოგველის ქალმა – გულქანმა, ზედა ვარძიაში ნაყიდი მიწა ვაჰანის ქვაბთა ეკლესიას შესწირა.

XVI საუკუნის ბოლოს ზედა ვარძიაში ორი კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც აქაურობისათვის დამახასიათებელ მეურნეობას ეწეოდნენ და წლიურად იხდიდნენ 2400 ახჩას. ამჟამად აქ ერთი კომლია ცხოვრობს ზედა ვარძიის ეკლესიას, დროთა განმავლობაში დაზიანებულსა და კამარჩამონგრეულს, 1978-82 წლებში გაუკეთდა რესტავრაცია (ავტორი თ. ნემსაძე). ეკლესიასთან ამჟამად დედათა მონასტერია.



190. ზედა ვარძიას მოსდევს ქორის ხევის გამოქვაბულები, გამოკვეთილი კერტიკალურ კლდეში, სახელწოდებით „თოფიანი კლდე“. აქ არის საცხოვრებელი სათავსები და სახიზრები.

* „სახელითა ღმრთისათა და შეწევნითა წმიდისა ღმრთისწმობლისათა და ბრძანებითა უბღველისა მეფისათა ბაგრატის ვალატოზობითა მე, კირიკე ვახტანგის ძემან ბჰისათა მა . . . აიამთელთა მთისა სავსა ნაკირისაგან ამოუდღე პური მარიობისაჲ ციხის ძირელთა მოალავეთა უკუნისამდე შეილის შეილთა მათთა, კირიკის ღვს ეკლესია ესე მ . . . ვ და კოდლი“.

191. ვარძიის ზევით, ღრმა ზეობაში შემორჩენილია საინტერესო გამოქვაბულები ე. წ. სადაყუდებლო. აქვეა ეკლესია და ზღუდის ფრაგმენტი. ეკლესიასთან ერთად ამ გამოქვაბულების ერთი ნაწილი თარიღდება VIII-IX საუკუნეებით, დანარჩენი კი XI-XII საუკუნეებით.

192. (ტაბ. 370) ახჩიის ნასოფლარი მტკვრის მარცხენა ნაპირზეა, ზედა ვარძიიდან 3-4 კმ-ზე. ნასოფლარს მიმავალი გზა კლდეშია გაჭრილი 3 მ. სიგანისა. ის ორ გამოქვაბულს გამოუკლის და პირდაპირ მიაღება დარბაზულ ეკლესიას.

ახჩიის ეკლესია, რომელიც ვარძია-შირაშხანის ტრასის პირას, კლდეზე მიბჯენილია აღმართული, დარბაზული ტიპისაა. სადა, მოზრდილი თლილი ქვით შემოსილ ფასადთა ერთადერთი სამკაული, აღმოსავლეთი სარკმლის ღიობს აცილებული, ერთი ქვის გამოტოვებით დასმული, მარტივი ნახევარწრე და ჯვარია. მოზრდილი ქვებით ნაგები, მსხვილი არქიტექტურული ფორმებით დანაწევრებული ეკლესია X საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს.



65. ახჩია. აღმოსავლეთის ფასადი და გეგმა

მტკერის ნაპირას მოჩანს ახჩიის გამოქვაბულები. ისინი სამეურნეო დანიშნულე-ბისაა, იქვეა საწნახელი და დაახლოებით XI-XII საუკუნეებს მიეკუთვნება. XVI საუკუნეში ათაბაგის წინააღმდეგ წამოწყებულ ფეოდალურ შინაომში ახჩიის ქვაბი ხშირად ხელიდან ხელში გადადიოდა. შალიკაშვილების კუთვნილი ეს გამოქვაბული ათაბაგის მომხრეებს დაუპყრობიათ. 1577 წელს კოკოლა შალიკაშვილს დროებით ისევ მოუხერხებია მისი აღება. ბოლოს ის მაინც ათაბაგს დარჩენია.

1595 წელს ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფელი ახჩია ახალქალაქის ლივიაში, ნიალისყურის რაიონში შედიოდა. მაშინ იქ 5 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა და აქაურობისთვის დამახასიათებელ მუერნობას ეწეოდა, ჰქონდათ ბოსტანი და კაკლის ხეებიც. წლიური გადასახადი 2000 ახჩას შეადგენდა. 1729-30 წლებში სოფელი ახჩია ექვემდებარებოდა ვინმე სულეიმანს, წლიური გადასახადით 10000 ახჩა. 1870 წელს ახჩიაში 6 კომლი სახლობდა, ამჟამად ამ ნასოფლარში მირამხანელთა ბაღებია.

193. მირამხანის გამოქვაბულში, მტკერის დონიდან 150 მ-ზე, შემორჩენილია XI საუკუნის წარწერა, სადაც მოთხრობილია თურქ-სელჩუთა შემოსევასა და ახალქალაქის აოხრებაზე, სადაც დაღუპულა ფარსმან თმოგველი ერისთავი.



194. (ტაბ. 371) X საუკუნის კლდეში ნაკვეთი ეკლესია და სამალაეი თავშესაფარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ვერტაშსა“ და „სამერცხლეს“ უწოდებს, მტკერის მარჯვენა, კანიონის მარჯვენა, მაღალი კლდის მასივში, სოფ. მირამხანსა და ვარძიას შორის. ამ მნიშვნელოვანი კომპლექსის შესახებ წერილობით წყაროებში, სამწუხაროდ, ცნობები არ შემორჩენილა. კლდეში ერთმანეთის თავზე გამოჭრილი კარი და სარკმელი მთავარი ტრასიდანაც მოჩანს. მცირე შესასვლელი, რომელიც თავის დროზე კლდეში ნაკვეთი კამაროვანი გრძივი სადგომით იყო დაფარული, ზემოთ მიმავალი დამრეცი კიბით გრძელდება. ბნელ ზერელობში ასული მნახველი, კლდეში ნაკვეთი ეკლესიის მოულოდნელად ძალიან დიდ, ფართოდ გაშლილ და მომწესხველ სივრცეში დასავლეთის მონაკვეთის იატაკიდან ხვდება. მოუხედავად იმისა, რომ ეკლესია მხოლოდ დასავლეთის სარკმლით ნათდება, მასზე არც ითქმის ბნელი, მწირად განათებული, ნელი შუქით სავსე, ის ერთიანად გადაეშლებათ. ეკლესია ტრიკონქის ტიპისაა. აფსიდასთან ყველაზე დიდი აღმოსავლეთისა და გუმბათ ნალისებურია. იგი ორსაფეხურიანი კიბით და ამბონითაა ამალბებული, ცენტრში კი დიდი, კვადრატული ტრაპეზია აღმართული. ორი განაპირა აფსიდა უფრო მომცროა. მათ აღმოსავლეთ კიდეებში სახატე ნიშებია ამოკვეთილი. ძალზე საგულისხმოა, რომ დღემდე კარგად შემონახული ეკლესიის დასავლეთის მკლავის კიდეში შემორჩენილი ფოსოები აქ არსებულ ხის პატრონიკეს ეკუთვნის, რაც ეკლესიის ზომებთან და მასშტაბთან ერთად, აქ მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრის არსებობას ცხადყოფს. მართლაც, აქ იყო ვერტაშის ნამონასტრალი.

195. (ტაბ. 372-377) ახჩიის ზევით, მტკერის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც გადასვლა მხოლოდ წყალში გატოპვით შეიძლება, განლაგებულია ოლოდის გამოქვაბულთა კომპლექსი და ნასოფლარი. აქაურ ქვაბთა ანსამბლი ერთ-ერთი კარგად შემონახულთაგანია ჩვენში. მინდვრის კიდეში, კლდის გაცვეთილ საფეხურებზე ჩამოშვებული თოკის კიბით, ზედა ეკლესიაშია ასასვლელი. მასში ორი საფეხურით ამალბებული საკურთხეველია გამართული, აქვეა აფსიდის ნიშაც სახატედ, შეკიდული, მორთული კაპიტელიც. დასავლეთით თაღოვანი კარი და დერეფანია, რომელიც მომცრო სადგომში გადის. ქვედა ეკლესიაც დარბაზულია. ნაკვეთი პილასტრები მალევე გადაუთლიათ და შეკიდული გაუნდიათ. ეკლესიათა გარშემო ძნელად მისასვლელი ქვაბებია, სენაკები, მცირე სამლოცველო და სხვა დანიშნულების ქვაბულები. ისინი X-XIII საუკუნეებში ჩანს შექმნილი.

196. (ტაბ. 379-382) ოლოდის მონასტერი ზედ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე არის გაშენებული. ამიტომ იქ მისასვლელად საკონტროლო-გამშვები პუნქტის (№11) გაულაა საჭირო. მდინარე ქარზამეთის წყლის მარცხენა ნაპირიდან ავდივართ კლდოვანი მთის ფერდზე და საცალფეხო ბილიკით მიუყვებით მთის შუა წელს.

მდინარის გადაღმა, მარჯვენა ნაპირზე-თურქეთია. გზად ძალზე პატარა, ნანგრევებად ქცეულ, პერანგშემოძარცულ დარბაზულ ეკლესიათა ნაშთს ვაწყდებით-მონასტრის სიახლოვის უეჭველ ნიშანს. უეცრად, დაბურულ კორომში მწვანე საფარიდან ალაგ-ალაგ ანთებულებით კედლის ნაწილი ჩნდება. ზვიარები, რომელნიც ფარავენ კედლებს-მსხმოიარე ვაზია. ცალი ფერდით კლდეში შეჭრილი დიდი ზომის ბაზილიკური ტაძარი თავისი „წიკწიკა“ წყობითა და საოცრად ეფექტური ინტერიერით, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს – ოლოდის მონასტერია (გ. ბოჭორიძე მას ასოსმანად იხსენიებს). კამარჩამონგრეული, დაბურული ნაგებობა, სადაც ამჟამად არც სამხრეთი ნავის ფორმა ირკვევა და ვერც ფასადების მთლიანად დათვალიერება ზერხდება, სრულად ვერ იქნება დახასიათებული. ის კი ამჟამად, რომ ეს წაგრძელებული ნაგებობა, რომელიც მთის ფერდობს მიუყვება და მის ორგანულ ნაწილადაა ქცეული, განუმეორებლად ინდივიდუალურია. ოსტატი ერთმანეთს უხამებს ჩრდილოეთის ნაგად გამოყენებულ ბუნებრივ ქვასაც, სრულებით დაუნაწევრებელ (აქ აფსიდსაც კი არა აქვს მხრები) სამხრეთისა და პლასტიკურ-დეკორაციულად დატვირთულ შუა ნავს. განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს უკანასკნელის ჩრდილოეთის კედელი, მისი შერეებული, თავმეკავებული დინამიზმი – „ქვედა რეგისტრში“ მოხდენილი კერცხისებური თაღებია, მათ თავზე კი სხვადასხვა პროფილის კრონშტეინების ცოცხალი, პუნქტირული რიტმი, რომელსაც კონქის ძირში ამოშვებული საღებუ აგრძელებს, სხვადასხვანაირად, ხან იმპოსტზე, ხან პილასტრზე ჩამოყრდნობილი საბრჯენი თაღებით. ყველაფერი ეს გამაზვილებული, მკაფიო ავტორისეული გადაწყვეტის მარჯვენაელია. იმედია, რომ გაწმენდითი სამუშაოები უკეთ წარმოგვიჩენს XIII საუკუნის მეორე ნახევრის ამ ტაძრის მხატვრულ სახეს.

197. (ტაბ. 378) ნამონასტრალის დასავლეთით ტერასებია და შენობათა ნაშთები. ოროთახიან ნაგებობას თავისი ბუხრები ჰქონია. აქვე კლდეებში გამოქვაბულები ჩანს, ზოგიერთი მოზრდილია. ქარზამეთისწყლის მტკვართან შესაყარის ქვემოთ, მტკვრის მარცხნივ



66-67. ოლოდა. გუმბა და საბრჯენი თაღის კრონშტეინი

კლდეებში ისევ გამოქვაბულები ჩანს. მათ დაბლა ნაციხარია, გვიან ხანაში ფლეთილი ქვით ნაგები. მაღალ კლდებში დაყოლებული სათოფურები მდინარეს გაყოლილი გზისკენა მიშვებულნი. ამ ციხეს არ იხსენიებს არც „მესხური მატიანე“, და არც „გურჯისტანის დავთარი“ 1595 წლისა. ამიტომ საფიქრებელია, იგი შემდგომ ხანებშია აგებული, გზისა და უმინშენლოვანესი ხიდის დასაცავად, აქ რომ ყოფილა მტკვარზე.

1576 წ. „მესხურ მატიანეში“ აღწერილ ბრძოლაში იხსენიება „ოლადის ქუაბნი“. ზემოაღნიშნულ „დავთარში“ კი 21 კომლიანი სოფ. ოლოდა ითვლებოდა ჩრდილის ლივანში, ქანარბელის რ-ში. მოსახლენი სულ ქრისტიანი ქართველები იყვნენ, რომელთა შორის დასახლებულია იაკობ მღვდელი. ტრადიციულ ჯავახურ მემინდვრეობა-მესაქონლეობას აქ ემატებოდა მეხილეობა, მევენახეობა. დავთარში ცალკეა აღნიშნული ბაღი საბოსტნე მიწითურთ ყალი ჩელების მფლობელობაში მყოფი, ვენახი ერთი ნაკვეთი ყალი-ბევის მფლობელობაში მყოფი, ვენახი და ბაღი ლაზანფერის მფლობელობაში მყოფი, წისქვილი ერთი თვალი 6 თვით.

იქვე იკითხება ფრიალ საინტერესო ცნობა: „ვიინაიდან ხსენებული სოფლის მახლობლად მდებარე ხიდი საეკატრო ადგილია მდ. მტკვარზე და თუ არ ამ ხიდით სხვა ადგილას მტკვრის წყალზე გადასვლა შეუძლებელია, და ვინაიდან სანჯაყბეგი იტყობინება, რომ ამ ხიდის შეკეთებას და აღდგენას ამ სოფლის მცხოვრებლები აწარმოებენ, ამიტომ ახალ სახელმწიფო დავთარში ისინი ჩაწერილ იქნენ საგანგებო გადასახადისაგან განთავისუფლებულებად და მათ ხიდის შეკეთება დაეკისრათ“.

1705-06 წწ. სოფ. ოლოდა ვინმე ზულფუკარს ექვემდებარებოდა 10000 აჩხა წლიური გამოსაღებით.

ვარძიდან დასავლეთით თუ გავემართებით შეიძლება მოვიაროთ ნიალის და ბუზმარეთის ველზე არსებული ნასოფლარები. გავცნობით მრავალ საინტერესო ნიმუშს და დავბრუნდებით ვარძიაში. პირველი პუნქტი, რომელიც ვარძიის შემდეგ გზად შემოგვხვდება არის აგარა.

198. (ტაბ. 383) აგარაში 1880 წლის დარბაზული ეკლესია დგას, დიდი სარკმლებით, ფართო სივრცეში, გრძივ კედლებზე ჯარისკაცებით თანაბრად გამწვრივებული სვეტებით ჰილასტრებით. ეკლესიის კუთხესთან ძველი ქვაჯვარა შემონახული-შემკული ბაზისით, სტელით, ჯვრით. იგი IX-X საუკუნეებით თარიღდება.

199. აგარის შემდეგ ქვემო ნიალის ნასოფლარია. აქ ეკლესია აღარ შემორჩენილა. მისი გათლილი ქვები გამოყენებულია მაჰმადიანური მეჩეთის კედლებში, რომელიც ნასოფლარის ცენტრშია აღმართული. აქაური ძველი ეკლესიის გვერდით ჯვრის სვეტი მდგარა. იგი ასპინძის რ-ში ჩამოსახლებულ მთიულესს გადაუტანიათ მდინარის მარჯვენა ფერდზე, თავის სალოცავად უქცევიათ და იქ იხდიან ლომისობას.

XVI საუკუნის ბოლოს ორივე ნიალა შედიოდა ახალქალაქის ლივის ნიალის-ყურის რაიონში. ზემო ნიალაში 4, ქვემოში კი 16 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მეურნეობა ორივეგან ერთნაირი იყო: მემინდვრეობა-მეხილეობა, ჰყავდათ ფუტკარი, ღორი. ქვემო ნიალაში ყოფილა ერთი თვალი წისქვილი 3 თვით და ორი გაპარტახებული წისქვილი.

1694-1732 წლების ოსმალურ „ჯაბა დავთარში“ ზემო და ქვემო ნიალა აღარ იხსენიება, თუმცა კი ნიალისყურის რაიონში შემავალი სხვა სოფლები ხშირად გვხვდებიან. 1870 წელს დამოწმებული 36 კომლიანი ერთი ნიალა, ქვემო ნიალა უნდა იყოს, რომლის მაცხოვრებლები 1944 წელს შუა აზიაში გადასახლეს.

200. (ტაბ. 384-386) ქვემო ნიალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრის ზეობის მარცხენა სანაპიროზე, უშველებელი მინდვრის პირას დგას ფანაკეთის ტაძრის ნანგრევები (აქ ამოსვლა მირაშხანიდანაც არის შესაძლებელი). ეს დარბაზული ტიპის

ეკლესია გარედან თითქმის გაძარცვულია. შემორჩენილი ბუდეები და ერთ-ორი რიგი ცხადყოფს, რომ სწორი, ლარივით რიგები კარგად თლილი ქვით იყო ამოყვანილი. შედარებით უხეშად დამუშავებული, საპირე წყობა ინტერიერში მეტად შემორჩა. თლილი აფსიდის მხრების კაპიტელები თავ-ბოლოს ლილვით სრულდებოდა; სარკმლის აქეთ-იქით კონქებით დასრულებული ნიშები იყო მოწყობილი. ფანაკეთის ეკლესია XIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

XVI საუკუნის ბოლოს სოფელი ფანაკეთი ახალქალაქის ლივამი ითვლებოდა, აკმეპირის რაიონში. იქ მოსახლე 12 კომლი ქრისტიანი ქართველი მემინდერობას, მებოსტნეობას მისდევდა. პეოლიათ ფუტკარი, სელის თესლისგან ზეთი უხდიათ. მათი წლიური გადასახადი 11 000 ახჩა იყო.

1718–1719 წლებში სოფელი ფანაკეთი უკვე თმოგვის რაიონში შედიოდა, ახალქალაქის ლივამი და ვინმე სულეიმანს ექვემდებარებოდა, 2000 ახჩა გამოსაღებით. 1722–1723 წლებში სოფელი, ახლა ვინმე აბდულლამ აბდულვაჰაბის ძეს ჰქონია, 3415 ახჩა შემოსავლით.

201. (ტაბ. 387-390) ქარზამეთის ეკლესია სასაზღვრო ზოლშია მოქცეული. იქ მისასვლელად საქციალური საშვია საჭირო (ნიალის გამშვები პუნქტი). ნაგებობა ქარზამეთისწყლის მარცხენა, შემალლებულ ბორცვზე დგას, საქართველო-თურქეთის საზღვართან ახლოს. გაღმა მიწურსაზღვებიანი თურქეთის სოფელი თათალეთი მოჩანს. გამოღმა, თვალის მისაწვდენ არემარეზე, ტრიალი მინდორია მხოლოდ და ქარზამეთის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია XIII საუკუნის II ნახევარშია აგებული. როგორც ჩანს, შენობა თავის დროზე არც დაუსრულებიათ – ერთ ზაზზე გადაჭრილი კედლები, სავარაუდო სიმაღლის ნახევარსაც არ აღწევს.

იგი დარბაზული ტიპისაა და საქართველოში არსებულ ამ ტიპის ნაგებობებს შორის ერთი უდიდესთაგანია. ქარზამეთის ეკლესია გამოირჩევა მშენებლობის და ორნამენტთა შესრულების მაღალი დონით. განსაკუთრებით კი თვალს მაინც სამხრეთი კარის მდიდრული მოჩარჩოება ხვდება. ცხადია, რომ ტაძარი, უკეთუ მისი დამთავრება დასცლოდათ, არა მარტო ზომით, არამედ მხატვრული ღირსებებითაც იქნებოდა საყურადღებო. შენობას ირგვლივ უზარმაზარი ლოდებით, მშრალი წყობით ნაგები გალავანი უკლის; დაუსრულებელი ეკლესიისათვის გალავნის შემოვლება ვარაუდს ბადებს: ხომ არ იყო აქ უფრო ადრეული სალოცავი?

ვახუშტი ბატონიშვილი ქარზამეთში გუმბათიან მონასტერს ასახელებს, მდიდრულად ნაგებს, მის დროს ცარიელს. ეს ცნობა არც სხვა წყაროებით დასტურდება, არც ადგილობრივ. მაგრამ ნაგებობის მასშტაბი და ხარისხი მნიშვნელოვანი ყოფილა. ეკლესიის არქიტექტურის მიხედვით ჩანს, რომ მას როგორც სოფლის რიგით ეკლესიას როდი ამენებდნენ... წარწერაში—“ქრისტე ღმერთო, შეიწყალე გრიგოლ მაწყვერელ მთავარეპისკოპოსი, რომლისა ბრძანებითა აღემენა წმიდაი ესე ეკლესიაი”— ნახსენები პირი, რომელიც ეკლესიის ქტიტორს წარმოადგენდა, საკმაოდ შეძლებული უნდა ყოფილიყო.

ოსმალთა ბატონობის დროს, XVI საუკუნის ბოლოს, სოფ. ქარზამეთი შედიოდა ახალქალაქის ლივამი, ნიალისყურის რაიონში; მაშინ იქ ცხოვრობდა 45 კომლი ქართველი, რომელთა შორის ერთი მენახირეცაა დასახელებული. აქაც სოფლის მეურნეობის ამ მხარისათვის დამახასიათებელი დარგები ჩანს. ამ მოზრდილ სოფელს 3 თვალი წისქვილი მთელი წლის განმავლობაში უმუშავებდა, სამი – გამართახებული ჰქონია. სოფლის წლიური გამოსაღები 30 000 ახჩას შეადგენდა.

1718–19 წწ. ქარზამეთი ექვემდებარებოდა ვინმე ჰუსეინ აბდულლაჰის ძეს და იხდიდა უკვე 3 000 ახჩას.

202. (ტაბ. 391-392) თუ ნიალის ზეგანს საქართველო-თურქეთის საზღვრის მიმართულებით მივყავით, ვრცელი პლატოს კიდურა ჩრდილოეთი პუნქტი გავეთია. მის სიახლოვეს გზა მთაზე გადავლით ურავლის ხეობაში ჩავა, რომლითაც იარა ბასილი კეისრისგან დამარცხებულმა გიორგი I-მა XI საუკუნის I ნახევარში. ამჟამად აქ, მომიშვლებულ ალაპურ სამორებზე ზაფხულობით თუ ამოდან მახლობელი ქართული სოფლების მოსახლენი. მიწურ სახლებში ძირითადად მწყემსები სახლობენ. გავეთზე ლევენდა არსებობს: მეზობლად (ამჟამად თურქეთის საზღვართან) მყოფ ქარზაძეთის ეკლესიის აშენებისას, შეგიოდს ოსტატი გასწყრომია და გაუგდია. შეგიოდი წასულა და გაჯავრებულს გავეთის ეკლესია აუშენებია.

გავეთის ეკლესია XIII საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობაა. მისი შეკრული, სადა, ძალიან მაღალი, ოდნავ ზევით შევიწროებული ზეატყორცნილი სილუეტი თავიდანვე გამორჩეული ზესწრაფულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესანიშნავად თლილი ქვის წყობა, ღიობებს გადაეხებული, დახვეწილი ორნამენტული არშიები და ოდნავ შეისრული, წვეტიანთალებიანი პორტალები, ეკლესიის „სლიკინა“ ფასადებს უფრო მოკაზმულს ხდის. ეკლესიის ინტერიერიც ძალზე მოხდენილია. თანაბრად და ძლიერად განათებული, ნატიფი და ღონიერი ფორმებით გამოყვანილი, ის აზიდულიცაა, გამსუბუქებულიც და ზალვათიც (ეკლესიის აღმ. ფასადის წარწერა: „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, მეოხ ეყავ ორ-თავე შინა ცხორებათა ფოფს“—მოგვიანოა).

ოსმალურ და ქართულ წყაროებში გავეთი არ იხსენიება, ჩანს ის ადრევე გაუკაცრიელდა. შემდგომში აქ თარაქამები ცხოვრობდნენ, რომლებიც შუა აზიაში გადაასახლეს 1944 წელს.

203. ზემო ნიალის ნასოფლარი დაახ. 2,5 კმ-ითა დაშორებული ქვემო ნიალის ნასოფლარს. ეს ორი სოფელი უმნიშვნელოვანესი ყოფილა მთებით მოზღუდულ ზეგანზე, იმდენად, რომ იგი ქვეულა ცენტრად, რომლის სახელი გავრცელდა ველზე—“ნიალის ველი“, „ნიალისყური“, „ნიალისყურის მთა“. ნიალის ველი საქართველოს ისტორიაში იმითაცაა ცნობილი, რომ აქ თამარ მეფის ლაშქარმა 1191 წელს სასტიკად დამარცხა მის წინააღმდეგ გამოსული ქმარყოფილი გიორგი რუსი.

ზემო ნიალაზე ორი ეკლესია შემოგვრჩა. ამათგან ერთს, ზემოთ მდებარეს, უფრო ნაეკლესიარი ეთქმის—გადახურვებმორღვეულია და პერენგშემომარცვული. ამიტომაც, ის ბევრის ვერაფრის თქმის საშუალებას იძლევა. ასე თუ ისე, ირკვევა რომ იგი შედარებით ადრეული ყოფილა.

204. (ტაბ. 393-396) ბევრად უკეთ არის შემორჩენილი მეორე, XIV-XV საუკუნეების ეკლესია. მისი მკვრივი, ამასთან წყობის სურათისა და ფრონტონების დამრეცობის წყალობით, ზემსწრაფი მოცულობა, საკვირველად ნაირფერადოვანი, გადარეცხილ აქვარელს მინაგვანი ფასადების წყალობით, ამ კუშტ მიდამოში ერთადერთი ძლიერი მახვილია. ოსტატს ტაძრის მორთვაზეც უზრუნვია—შემკულია სამხრეთი კარის ზღუდარი, ჩუქურთმოვან საპირებშია ჩასმული განივი კვლების სარკმლებიც. ორნამენტები, დროის კვალობაზე, შშრალი და ბრტყელი კია. შიგნით დაუნაწევრებელ სივრცეს, კედლის მეტყველი წყობა და ზევით ცალკეული ნაწილების გამძიგნავი ელემენტები (კონქისა და აფსიდის გასაყარზე მოცემული კოზმიდი და სხვ.) აცოცხლებს.

205. (ტაბ. 397-400) ნასოფლარი გიორგიწმინდა, რომლისგანაც დღეს მხოლოდ IX. ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი, დაახლოებით ახალქალაქის ზეგნის დონეზეა განთავსებული. ალაპური ველების ზავერდოვანი სიშიშველ და უკაცრიელი გარინდებული გარემო განუშეორებელ, სიდიადისა და მონუმენტურობის შეგრძნებას ბადებს. აქედან შესანიშნავად მოჩანს ახალქალაქის პლატოს კიდურა სოფლები გოგაშენი და აფნია. გიორგიწმინდაში ამოდიოდა უმოკლესი გზა მტკვრის ხეობიდან ზედა

ვარძის გამოვლით, აქედან კი ნიალის ველით სხვადასხვა მიმართულებით განიტოტებოდა. ძველი ნაგზაურის გამაგრებული ფრაგმენტები დღემდეა ხეობაში შემონახული.

ვახუშტი ბატონიშვილს ეს გეოგრაფიული პუნქტი მოხსენებული აქვს, თუმცა თვით ეკლესიაზე იგი არაფერს ამბობს: „მტკვარს მოერთვის, ცუნქის ჰევის შესართავის პირისპირ, აღმოსავლეთიდან ინწყობის ჰევი, გამომდინარე კოდიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად, ამ ჰევის მოერთვის გიორგიწმინდას სხვა ჰევი მცირე...“ ეტყობა, გიორგიწმინდა ხეობის შესაყარ ხეოთვისთან ყოფილა აგებული. ეკლესია ძალიან დაზარეულია. ეს არის დაბრახული ნაგებობა სამხრეთი ბჭითა და სტელა ქვაჯვრით, რომელიც ეკლესიის კომპოზიციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამჟამად იგი გადავარდნილია და იქვე, ფასადის წინ, რამდენიმე მეტრში, მთის ფერდზეა დაგორებული. კედლის დარჩენილი ნაწილებიც საკმაოდ მეტყველია და საკმარისია ნაგებობის სრული სახით წარმოსაჩვენად. სადა, დაუნაწევრებელ ფასადებზე, მკაცრი, სიზუსტე-სიწმინდით გამოჩენილი წყობის ნახატი – განსაკუთრებული, რაფინირებული ხელწერის მანიშნებელია. ერთადერთი აქცენტი აღმოსავლეთის ფასადზე მოხდენილი ნახატით შესრულებული წარბია, ისიც ზომიერი და მასშტაბურია, წყობის მკაცრ პორიზონტალურ დანაწევრებაში ჩაწერილი.

ეკლესია თავისი ზომიერი, ოდნავ მძიმე პროპორციებით, მყარ და მშვიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი წყობის ზაზგასმულ ზაზოვანებას ამძაფრებდა აღმოსავლეთი ფასადის გაგრძელებაზე მოცემული სტელის ვერტიკალი, რომელიც მსგავსად ეკლესიისა სადა და მკაცრად გეომეტრიულია (ნ. ჩუბინაშვილის დათარიღებით VI-VII სს-ისა).

განსხვავებული ხასიათისაა ეკლესიის ინტერიერი. აქ პროპორციები ბევრად უფრო მოხდენილია, სივრცე კომპაქტურადაა ჩაკეტილი. უხეშად დაბუშვებული ქვების რიგითი წყობის სადა მონაკვეთებს შემოსაზღვრავს თლილი, ცოტათი შევრილი, ზაზგასმულად კონსტრუქციული, მკვეთრად გეომეტრიული თაღნარი.

იმისდა მიუხედავად, რომ ეკლესია ძალიან არის დაზარეული, მისი სილუეტი, შემორჩენილი კედლების წყობის ხასიათი, მშენებლობის მაღალი ტექნიკა განსაკუთრებული ხიბლის მატერებელია.



„გურჯისტანის ვილაიეთის“ დავთარში სოფელი გიორგიწმინდა ახალქალაქის ლივაშია აღნიშნული, თმოგვის რაიონში. მაგრამ XVI საუკუნის ბოლოს იგი უკვე გაუკაცრიელებულია. გიორგიწმინდა საქართველოში და, კერძოდ სამხრეთ საქართველოში, რამდენიმეა, ამ სოფლებს სახელები მიღებული აქვთ ჩვენში ასე პოპულარული წმინდანის სახელზე აშენებული ეკლესიებისგან.

206. (ტაბ. 401) ღუმელის (ამჟ. ღუმელია) ნასოფლარი ნიალის ველის აღმოსავლეთ დაბოლოებაზეა, ქარზაშეთისწყლის (ძვ. ზონგირისწყალი) მარცხენა ნაპირზე, რომელიც მტკვარს მარცხნიდან მოერთვის. მდინარის მარცხენა ამაღლებულ კლდოვან ნაპირზე, უკაცრიელ, მომიშვლებულ, მონუმენტური სიღაღის შეგრძნების აღმძვრელ, მაგრამ ამავე დროს რბილი, პლასტიკური რელიეფის მქონე, ოქროსფერი ველებით და ზავერდოვანი მთის კალთებით შემოსაზღვრულ გარემოში, უულად დგას მოკრძალებული ზომისა და ფორმის დარბაზული ეკლესია, რომელიც ღმრთისმშობლის სახელობისად მოიხსენიება.


IX საუკუნის ეკლესია თავისი სადა, მონუმენტური ფორმებით, ცოტათი განიერი, დამჯდარი პროპორციებით, რაც სიღინჯეს, სიმყარეს სძენს მის კორპუსს, პასუხობს კიდევ ამ ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებულ მკაცრ პეიზაჟს, თუმცა მისი ფასადების სიჭრელე ამ ერთფეროვან გარემოცვაში მიზიდაველ ფერადოვან აქცენტად იკითხება. ეკლესიის ფასადები საშუალო ზომის, სხვადასხვა ფერის პირმოსწორებული ქვებისგან შემდგარ, ცოცხალ, მოზაიკის მსგავს სიბრტყეებს წარმოადგენს, რომელნიც

კუთხეების დიდი, თლილი ქვის „ჩარჩობითა“ შემოსაზღვრული.

ეკლესიის ინტერიერი სადა, ხალვათ დარბაზს წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთით ღრმა ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. მხუტავი განათება სიმყუდროვის შეგრძნებას ბადებს. სადა კედლების პორიზონტალური წყობა, რომელშიც თლილი ქვის პილასტრებიც იწერება და გრაფიკულად დატანილი გამოსახულებებით მორთული საკურთხეელის თაღის კაპიტელიც, გათამაშებულია მთელ ინტერიერში და აერთიანებს მას. საგულისხმოა, რომ წყობის ნახატს კონქში მიუყვება წითელი ფერის საღებავების ხაზები (ეს ე.წ. ანიკონური, ე.ი. „არასახვითი“ მხატვრობის ნიმუშია), რაც ამკვეთრებს წყობის ხასიათს, კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის გრაფიკულობას. სწორედ წყობის გრაფიკულობა, სიმრტყილობა არის ეკლესიის ლაიტმოტივი, თუმცა მიღვამაში გარკვეული სიმშრალეც ჩანს.



68-69. ღუბეილა. სამხრეთის ფასადი და ჭრილი სამხრეთით



70. ღუმელია. ჭრილი აღმოსავლეთით

ღუმელისას ნასოფლარი საკმაოდ მოზრდილია, წყლისპირზე წისქვილის ნანგრევით. აქვეა ზეთსახდელის ნაშთიც. ოსმალების ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით, 1595 წელს, სოფელი ღუმელია შედიოდა ნიალისყურის რაიონში, ახალქალაქის ლივანში. იქ 14 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთაც ტრადიციული მურწნეობის გარდა, კჰონიათ წისქვილი ორი თვალი და ზეთსახდელი, მართალია, მაშინაც გაპარტახებული. აქვე ყოფილა 5 თვალი წისქვილი, რომელიც სოფელ ლეპისის მცხოვრებთა მფლობელობაში იყო 6 თვით. ოსმალურ აღწერის „დაეთარში“ აღნიშნულია ასევე, რომ მამული ბერის იასონის ძის ზახუტასი, აწ ახალციხის ღუმელის (ფაშის საკუთარი რაზმის წევრი)—ოუსუფის მფლობელობაშია და სასამართლოს განაჩენის თანახმად იძლევა გამოსაღებს. სოფლის წლიური გადასახადი შეადგენდა 8000 ახჩას. 1722-1723 წლებში იგივე სოფელი ღუმელია ექვემდებარებოდა ვინმე სულეიმან აბდულლაპის ძეს და იხდიდა 8000 ახჩას.

207. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახ. 300 მ-ზე, ზევის მარჯვენა სანაპიროზე ქვაყრილში მშრალი წყობით ნაგები შენობებია. ეს კომპლექსი მიწის ქვეშ ნაგები სოფლის შთაბეჭდილებას ახდენს. აქ 60-მდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაგებობაა, სადაც შესვლა მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან დატანებული ჩასამკრომი ხერხულით შეიძლება. კედლები დიდი ზომის ლოდებითაა ნაგები და გადახურვაც ბრტყელი ფილებისაა. ზოგი სათავისის ფართი 5მX3მ-ია, სხვებისა ნაკლები. სათავისის დასავლეთის კედელი ყველგან მომრგვალებულია, ხოლო კედლების ზედა რიგები შიგნითაა შემოწეული, რაც ზევიდან დიდი ლოდით იკრება. ადგილობრივთა გადმოცემით, ეს მტრისაგან დასაცავი „სამალაევებია“...

208. (ტაბ. 402-405) ვანი დიდი ნასოფლარია ბუზმარეთის ზეგანზე. სწორედ აქ ამოდის წყაროდ და შემდეგ ზეგად იქცევა ტოლომისწყალი. აქ ახლა მეცხვარეთა საზაფხულო სადგომებია.

ვანის ეკლესია ნასოფლარის განაპირას, მომცრო ბორცვის კალთაზეა აღმართული. მიუხედავად დაზიანებისა, იოლია წარმოვისახოთ მისი ზოგადი სახეცა და მხატვრული ღირსებებიც — დარბაზი, აწ დანგრეული მინაშენის შიდა პირის გამოკლებით, მთლიანად გადამოსილი იყო ძალზე კარგად თლილი და ერთმანეთს ვირტუო-

ზულად მორგებული სუფთა, ღვინისფერი კვადრებით. ოსტატის მიერ ქვის თლის „გემოს“ – მისი სიფაქიზითა და თითქოს „სიფრიფანად“ განცდიდან დაწყებული, ვიდრე მთელ ბლოკად სახვამდე, კარგად აჩვენებს სამხრეთი ფასადის ჯვრები – ზემოთ, თითქოს „შემთხვევით“ ადგილას ამოჩილი, თხელი, ნატიფი და მეორე, ბალავრის ქვაზე „ხორკლიანად“ ნაკეთი – საფასადოსგან განსხვავებით თითქოს პრიმიტიული და სინგურით „ახასხასებული“. იგი თავის დროზე ბნელ მინაშენში წითელ ლაქად იჩნებოდა გამომსახველი. ეკლესიის კედლებმა მაშენებლების – ალბათ სოფლის უბრალო მაცხოვრებლების, ქვის შემოძწირველთა თუ ოსტატთა სახელებიც შემოგვიჩინა ხეს – ვინმე მარიამარი და ცხოვრება ქრისტეს შესთხოვენ შენდობას. მიუხედავად იმისა, რომ მინაშენის უხეშად თლილი ქვის ინტერიერი და ბალავრის ჯვრები, თავისი უბრალოებით აღამიანს „არქაულიც“ შეიძლება ეგონოს და ძველი, ახლად გამოყენებული ეკლესიის ნაწილიც, მაინც მთელი ნაგებობა ერთი დროისა ჩანს – ეს X საუკუნეა, ნატიფი ფორმებისა და თლილი პერანგის, ზანდაზან ტუნწი, მაგრამ უხადო შემკულობით დამშვენებული არქიტექტურა.

XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალური აღმინისტრაციული დანაწილებით, სოფელი ვანი ითვლებოდა ზერთვისის ლივის ბუზმარეთის რაიონში. 8 კომლი ქრისტიანი ქართველი მაცხოვრებელით. ისინი შემინდვრობასაც მისდევდნენ, მებოსტნეობასაც და მეცხოველეობასაც. ჰქონიათ ერთი თვალი წისქვილი 6 თვით. მათი გამოსაღები შეადგენდა 11000 ახჩას ყოველწლიურად. 1714 წელს სოფელი ვინმე მუსტაფის ექვემდებარებოდა და იხდიდა წლიურად 18 500 ახჩას. 1870 წელს იქ 14 კომლი ცხოვრობდა, 1872 წელს კი იგი თარაქაშებით იყო დასახლებული.

ვანი საქართველოში ფართოდ გაბრცელებული ტოპონიმი და ძველად აღნიშნავდა სადგომს, საცხოვრებელსაც.

209. ბუზმარეთის ნაეკლესიარი ძალზე დანგრეულია – მოზრდილი დარბაზული საყდრიდან დარჩენილი უმნიშვნელო ნანგრევი ცხადყოფს, რომ იგი ზორკლიანი ქვის სწორი რიგებით იყო შემოსილი, ინტერიერს ერთი წყვილი ერთსაფეხურა პილასტრი ყოფდა. იგი X საუკუნისა ჩანს.

ბუზმარეთი ამ მთიანი ზეგნის ცენტრი ყოფილა, რომლის სახელი ჯერ 3 სოფელს ეწოდა, შემდეგ კი გაერთილდა მთელ რაიონზე. ეს სახელი გაგებულია, როგორც „მაბული ბუზმარეთი“ (ე.ი. ბუზმარიანთ გვარის მამული, სოფელი, ქვეყანა), ნაწარმოები პირის სახელისაგან – ბუზმარი, რომლის ვინაობა უცნობია.

ოსმალთა ბატონობის დროს, 1595 წელს, ბუზმარეთის რაიონი ზერთვისის ლივაში ითვლებოდა. იქ არსებული 3 სოფ. ბუზმარეთიდან, ზემოში 13, ქვემოში 10, ხოლო შუა ბუზმარეთში 4 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მათი მეურნეობა მთური, ჯაეახეთის ტრადიციული დარგებით ხასიათდებოდა – შემინდვრობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, სელის ზეთის წარმოება. წისქვილი მხოლოდ ზემო ბუზმარეთს ჰქონია 1 თვალი 3 თვით. მათი წლიური გადასახადი შესაბამისად 10500, 6000 და 7000 ახჩას შეადგენდა.

1721-1722 წლებში ზერთვისის ლივაში მყოფი ბუზმარეთი ექვემდებარებოდა ვინმე აბდულლამ აბდულლაპის ძეს, 16000 ახჩა წლიური გამოსაღებით. 1722-1723 წლებში კი, ეს სოფელი უკვე აჰმედ აბდულლაპის ძეს ჰქონდა, 10500 ახჩით. ამ წლებშიც ბუზმარეთი მთელ რაიონს ერქვა, მაგრამ სოფელი ერთილა იყო.

210. (ტაბ. 406-411) ბუზმარეთის ველის სოფლები წინათ ასეთი უტყეო არ ყოფილა, როგორც ახლა. ამაზე მიუთითებს ტოპონიმი შუატყე. როგორც ჩანს, ამ სოფელთან შერჩენილი იყო ტყის კორომი, აქედან მოდის მისი სახელწოდება. საეცი-ფიკური ქართული ბეგრების უქონლობამ თურქულში, ეს ტოპონიმი გაახმოვანა,

როგორც „შუადღე“.

XVI საუკუნის ბოლოს შუატყე მოსახლეობისაგან დაცილილია. 1849 წელს ახლადმოშენებულ ამ სოფელში შეიდი კომლი სახლობდა.

ახლა აქ შესაქონლეთა ბინება მხოლოდ. ირგვლივ ფართო პანორამა იშლება, ხავერდოვანი ბორცვები რბილად გადადის ერთმანეთში. შესანიშნავი სანახაობაა, როდესაც ღრუბლები ამინდში მზე ალაგ-ალაგ გამოანათებს და მოძრავი ღრუბლების უსწორ-მასწორო ჩრდილები ეცემა გამშლილ ველს. შორს მოჩანს აბულისა და სამსარის მთები.

ჩრდილოეთის მინაშენიანი დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XI საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნება, ძალიან ფერადოვანია – ლეინისფერი, მოშწევანო, მოვარდისფრო და რუხი შეფერილობის კვადრებითაა ნაგები. მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, ამჟამად ჩანს მშენებლობის – კედლებისა და კონსტრუქციების ამოყვანის მაღალი ხარისხი. შუატყის ეკლესია იმ დროსაა აგებული, როდესაც დარბაზისა და მინაშენების სხვადასხვაგვარი ვარიაციების ინტერესი იკარგება. სამაგიეროდ მეტი ყურადღება ექცევა ფასადების გაფორმებას. შუატყის ეკლესიაში ეს თავისებურად არის გამოვლენილი. მაგალითად, დასავლეთიდან ორი შესასვლელია, მშენებელმა იცის, რომ ორივე ღობის ერთნაირი გაფორმება მოსაწყენი იქნება. გამოსავალს იმაში ხედავს, რომ დარბაზის შესასვლელი სწორკუთხა და შიგნიდან თაღოვანია, ხოლო მინაშენისა პირიქით: ჩაწყულ-ტიმპანინი თაღოვანი ღობი, რომელიც ჩვეულებრივ შენობის ინტერიერშია მოქცეული, აქ გარეთ იშვირება. ასეთი გადაწყვეტა ჯაფახური არქიტექტურის ხასიათს შეესაბამება. აქაური ეკლესიები შესასვლელების გაფორმებით დიდხანს რჩებიან კონსერვატიულნი. შუატყის ოსტატიც ძველი, ტრადიციული ფორმების გამოყენებით ცდილობს შეეხმანოს დროის ახალ მოთხოვნას – საქართველოს ცენტრალურ რაიონებში ხომ ამ დროს (X-XI სს. მიჯნა) მდიდრულად მორთული პორტალები ჩნდება. დროის კვალობაზე, თავსართ-რელიეფებითა და პროფილებითაა შემკული საკურთხეველის სარკმელიც, აფსიდის კონქის ძირიც.

211. (ტაბ. 412-415) ბუზმარეთის ველზე, მაღლა მთაში, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს მწყემსები ბინადებებიან, მდებარეობს IX საუკუნის გუნდის ეკლესია. ეს მიდამო სრულიად უკაცრიელია. ტოპონიმი „გუნდი“ საკმაოდ უცხოდ უღერს. ადგილობრივი მკვიდრის, ისტორიკოს ნუგზარ ზაზაძის ცნობით ამ ადგილს „გუნდს“ უწოდებენ. მისგანვე მოვისმინეთ ამ სახელწოდების ასხნა: სალოშეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია გამორჩეული ყოფილა სუფთა, გაკრიალებული ცით. ცის კაშკაშა სილურჯე-სილაყვარდე ჩვენს მიერაც იყო შეშრნული ამ მხარეში არაერთგზის მოგზაურობისას. ლეკენდის მიხედვით, იმ მთის წვერის თავზე, რომელზედაც გუნდის ეკლესიაა აგებული, მუდმივ გუნდად შეკრული ღრუბლები იყრის თავს. აქედან გამომდინარეობს ადგილის დასახელება – „გუნდი“. სანამ ჩვენთვის ეს ლეკენდა გახდებოდა ცნობილი, ამ მოვლენისათვის არ მიგვიტყვევია ყურადღება. თუმცა, გუნდზე მეორედ ასვლისას, მოკრიალებულ ცაზე, მართლაც მხოლოდ ამ მთის თავზე შეჩვეული თეთრი ღრუბლები დავინახეთ. თავდაპირველად შესაძლებელია მისი ქართული სახელი – კენტცი ყოფილიყო (მღრ. სახელწოდება ასპინძის რაიონში - წერაკენტცი). „გუნდი“ კი გათურქებული ფორმა უნდა იყოს.

გუნდის IX საუკუნის ბოლოს აგებული ეკლესია მთის წვერზე, პატარა ტბის პირას დგას. ტბა ამჟამად დამშრალა. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, ძველი ნამოსახლარის კვალია შემორჩენილი.


გუნდის ეკლესია დარბაზული ნეკეობაა ნართექსითა და მოძრგვალეული შვერილი აფსიდით. შეხედვისთანავე იგი ტოვებს ერთიანის, მძლავრის, ცოტა მოუქნელის შთაბეჭდილებას. ერთადერთი, რაც აცოცხლებს მის გარე იერს (სამკაული მხოლოდ

პანია ჯვარია კარის თავზე) ფერადოვნება. სხვადასხვა ფერის ქვებისაგან ასხმული კედლები, რუხი ფერის თლილი ქვის ჩარჩოში მოქცეულ ჭრელ მოზაიკას გვაგონებს. ფერწერულობა, ამ ეკლესიის ფასადთა ერთადერთი ხიბლია. ინტერიერში ტაძრის ერთიანი მასა დანაწევრებულია — ნათეიქსი სივრცობრივად სრულიად იზოლირებულია, დარბაზის სივრცე კი მძლავრი პილასტრების და საბრჯენი თაღის მეშვეობით ორ, არათანაბარ, მკვეთრად გამოჩენულ სივრცით მონაკვეთად აღიქმება — დასავლეთის ვიწრო, „ვესტიბიულად“ და აღმოსავლეთის უფრო დიდ, საკურთხეველთან გაერთიანებულ მძლავრ სივრცით ერთეულად.

ეკლესიის ინტერიერის მკვეთრი მოხაზულობის ფორმები, ხაზგასმული ტექტონიკურობა, „გამიშვლებული“ კონსტრუქციები, ცოტა დამჯდარი, მძიმე პროპორციები ერთიანად მონუმენტურობისა და სიძლიერის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან ერთად, ორ განსხვავებულ სივრცით მოცულობად დაყოფა ვიზუალურად ამცირებს ეკლესიის შიდა გაბარიტებს და მთლიანობაში, ეს მძლავრი ფორმები უფრო კამერულად გამოიყურება. ე.ი. ეკლესიის აღქმისას განსხვავებული, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი შეგრძნებები იბადება, რასაც ამძაფრებს სხვადასხვა ფორმის, სადა პროფილის მქონე, მაგრამ ცოტა მძიმე და უხეში კაპიტელების არსებობა, არათანაბარ მოცულობათა ურთიერთკავშირი და, რაც მთავარია, განსხვავება, კონტრასტი ექსტერიერის ერთიან მასებსა და ინტერიერის მკვეთრ დანაწევრებას შორის.

1595 წელს სოფ. გუნდი ითვლებოდა ბუზმარეთის რაიონში ზერთვისის ლივანში 8 კომლი ქართველი მცხოვრებით. მთის ამ პატარა სოფელში მარცვლელი მოყავდათ, სოფელთან არსებობდა სათესველი არჩათუბანი. გლეხებს ჰქონიათ ბოსტნებიც, მეცხოველეობასაც მისდევდნენ და ფუტკარიც ჰყოლიათ. მათი წლიური გადასახადი 9300 ახჩას შეადგენდა.

1718-1719 წწ. სოფ. გუნდი ისევ ზერთვისის ლივანში ითვლებოდა, ოღონდ უკვე ჩრდილის რაიონში. იგი ექვემდებარებოდა ვინმე ვეისი ჰუსეინის ძესა და მურთაზა ჰუსეინის ძეს. ორსავე შემთხვევაში მისი წლიური გადასახადი 1000 ახჩა იყო, რაც მიუთითებს სოფლის შემცირებაზე წინანდელ ვითარებასთან შედარებით.




71. შალოშეთი. აღმოსავლეთის ფასადი

212. (ტაბ. 416-419) შალოშეთი ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხევის პირას მდებარე ნასოფლარია. იგი ბუზმართის ველისკენ მიმავალ ტოლოშის და აღანბიის გავლის შემდეგ შემოხვდება. სოფლის სახელწოდების სწორი ფორმაა სალოშეთი, წარმოქმნილი „ლოშ“ ფუძისაგან: „ლოშ-ნა“ კი ნიშნავს „ლოკა“-ს (შხეცთა მიერ). სალოშეთი ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო, როდესაც ის სოფლად იქცა, სახელმა ალბათ უკვე დაჰკარგა მნიშვნელობა და ასიმილაციის წესით სალოშეთმა მოგვცა შალოშეთი. საინტერესოა, რომ თრიალეთშიც იყო სოფელი ლოშო.




1595 წელს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით, ხერთვისის ლივაში მყოფ სოფ. სალოშეთში ცხოვრობდა 10 კომლი ქართველი, რომელთაც მოჰყავდათ მარცკლეული, ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი და წლიურად იხდიდნენ გადასახადს 12265 ახჩის რაოდენობით.

1723-24 წლებში სოფელი სალოშეთი ზეაპეთის წესით ექვემდებარებოდა ვინმე მეჰმედ სულეიმანის ძეს. დღეს სოფლიდან მხოლოდ ნასახლარები და ეკლესია შემორჩა, რომელიც ვერ კიდევ მყარად დგას, მიუხედავად იმისა, რომ მისი კამარა და კონქის ნაწილი ჩაქცეულია. ეკლესია X საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული. იგი დარბაზული ტიპისაა, თანადროული გარშემოსავლელით სამხრეთიდან და დასავლეთიდან.



72-73. შალოშეთი. კრილი სამხრეთით და გეგმა


უხეშად გათლილი თანაბარი ქვებით ნაგები (თლილი ქვები კუთხეებსა და ღიობებს დაუყვება) ტაძრის მაშენებელმა, რომელიც არც სივრცის მხატვრული გადაწყვეტის გამო გაისარჯა მაინცა და მაინც და არც საკურთხევლისა და დასავლეთის ფასადთა გამოშახველობისათვის, საგანგებოდ სამხრეთის ფასადი გამოჰყო. აქ იყო მთავარი, ორთაღიანი შესასვლელი და ღიობის მომრგვალებას შემოყოლებული თაღების ორი რიგით მორთული სარკმელი. ამგვარ მორთულობას პარალელი არ ეძებნება — იგი არც ტრადიციული თავსართია და არც საპირე. კომპოზიცია დასრულებულია, მაგრამ სარკმლისათვის შეუსაბამო. საფიქრებელია, რომ ოსტატი მზა ნიმუშებით სარგებლობს. ასეთი გაფორმება შესასვლელისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა. მაშინ არ დაიკარგებოდა პატარა თაღების მწკრივი, რომელიც აქ საერთოდ არ აღიქმება. შესაძლოა, შალოშეთის ეკლესიის შთაგონების წყარო იქვე ახლოს მდებარე ალანძიის ეკლესიის შესასვლელი ყოფილიყო (ეკლესიაზე შემორჩენილი XV–XVI საუკუნეების ასომთავრული წარწერა: „მე ამბროსი აღვაშენე წმიდა ესე ეკუდერი დასამარხავად და სამკვიდრებლად ჩუენთა მიცვალებულთა“—ძველ შეკეთებაზე მიგვითითებს).



74-75. ალანძია. კრილი ჩრდილოეთით და გეგმა

213. (ტაბ. 420-422) აღანძიის VIII საუკუნის ეკლესია ჩვენში ერთ-ერთი ულამაზესთაგანია, თუმცა ძალზე უბრალო—ხორკლიანი ქვით ნაშენი, თლილი კონსტრუქციული ნაწილებით, არც თუ დიდი, მაგრამ ეფექტურად აღმართული და შთაბეჭდავი. შიდა სივრცე გაშლილია და გაერცობილი, მისი შემოშაზღვრელი კედლები კი ლოდების, თლილი ქვის ერთსაფეხურა პილასტრების და ხსნარის ურთიერთშეთანადებით, თითქოს ღრმა, ძლიერი, კვანძებიანი. ამიტომაც თვალისთვის მსატკრულად ლოგიკურიც კი ხდება ფასადზე სამხრეთი კარის სიღრმიდან ამოზიდული მძლავრი, რელიეფური ტიშპანი, ისეთი საზეიმო, რომ მთელი ეკლესია, თითქოს, მისი ხათრით იყოს აშენებული.

XVI საუკუნის ბოლოს სოფელი აღანძია ზერთვისის ლივაში ითვლებოდა. იქ მოსახლე 8 კომლი ქრისტიანი ქართველი მემინდერეობა-შესაქონლეობის გარდა, მისდევდა მეხილეობა-მევენახეობას, ჰყოლიათ ფუტკარი, ჰქონდათ წისქვილი 1 თვალი სრული წლით. მათი წლიური გადასახადი 5200 ახჩას შეადგენდა.



76. აღანძია. ჭრილი აღმოსავლეთით

214. (ტაბ. 423) დაღეში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელია, მის შენაკად დაღეშისწყლის მარჯვნივ განლაგებული. სოფლის ახალ ეკლესიაში მხედრულწარწერიანი ქვაა, რომელიც ასე იკითხება: „1890 წ. ეკლესია ესე სახელსა ზუდა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლის შობისა აღაგეს სოფელ დაღეშის ქართველებმა შემწეობითა და მეთაურობითა მღვდლისა სიმონ გურგენიძისა“. შესაძლოა ეს შენობა ძველ ნაეკლესიარზე ააგეს, რადგან გარს შემორტყმული გალავანი უფრო ხნიერი ჩანს. ეკლესიაში ფრაგმენტულად დაცული ზის ხატია შემონახული.

215. (ტაბ. 424-426) სოფლის ზევით, დაახ. 2 კმ-ზე მყოფ ნასოფლარს ძველი დადემი ეწოდება. ეს მთის ნასოფლარი ღივ ფერდობზეა გაშლილი და დარნების სიმრავლით გამოირჩევა, კარგად ეტყობა შესასვლელებიც. ნასოფლარში იპოვება განვითარებული ფეოდალიზმის ხანის კერამიკული ფრაგმენტები და შერჩენილია ძველი ეკლესიაც. იგი მოზრდილი დარბაზული ტაძარია, განიერი, დამჯდარი, თითქოს „სახლისებური“ პროპორციისა. დარბაზს სამი მხრიდან გარშემოსავლელი ერთყა, რომლისგანაც ჩრდილოეთისა (აფსიდიანი) და დასავლეთის ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესია ძველი ტაძრების (VIII-IX სს.) მიმსგავსებით, უთლელი რუხი თანაბარი ქვითაა ნაშენი, კონსტრუქციები კი მეტად გადაუთლიათ, მაგრამ ადრეული ნაგებობებისგან განსხვავებით აშკარაა მშენებლობის ნაკლები ოსტატობა – სხმული ყოფილა კამარა და კონქი (!), პილასტრების გარეშე ნაგები კედლები „თავის დასახლვევად“ ძალზე გასქელებულია, ღიობები სიმეტრიულად მოთავსებული, აფსიდის ნიშაც თითქოს „ბუხრისებური“-განიერი, აქვე სარკმელი კი რაფადაყირავებული და სწორკუთხა. ამ მოგვიანო ბუნებას აჩვენებს ფასადის კარნიზი-სქელი თარო, რომელიც კედელს მცირედ სცილდება. ასევე დასავლეთი კარის ბალაერის სამი პრიმიტიული, წრეში ჩასმული ჯვარი, ქვის გარშემო ხის ორნამენტებიდან ნასესხები სამკუთხედები და სხვა. ძველი დადემის XV საუკუნის ეს ეკლესია ერთ-ერთი უკანასკნელი ნიმუშია ჯავახეთის შუა საუკუნეთა ზურთომოდერებისა. უფრო ძველის შთაბეჭდილებას ტოვებს მისი გალავანი. მშრალი წყობით ნაგები, დიდრინალაგრიანი ბჭით ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეახუშტი ბატონიშვილი წერს: „კვალად მტკვარს მოერთვის – დადემის-ჰვევი, გამოძინარე ერუშეთის მთისა. დადემს არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი.“ ეს ცნობა შესაძლოა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ეგების აქაურ მონასტერს ეხმანება მიკროტოპონიმები – ხატიწყარო, სადაც თითქოს ხატს ასვენებდნენ, ჯვარფიჩხები და ამაღლების ნიში.

1595 წ. ოსმალური აღმინისტრაციული დაყოფით, სოფ. დადემი ხერთვისის ლივაში ითვლებოდა, სადაც 10 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. ისინი მისდევდნენ მემინდერობას, მესაქონლეობას, ჰქონდათ ბოსტნები და ხილის ბაღები, ჰყოლიათ ფუტკარი, მოყვდათ სელის თესლი. მათი წლიური გამოსაღები 10000 ახჩას შეადგენდა. 1725-26 წწ. იგივე სოფელი ვინმე აჰმედს ექვემდებარებოდა და იხდიდა წლიურად 10000 ახჩას.

1852 წ. ერთ საბუთში საუბარია ყირხქესალოვის საქმეზე, რომელსაც უკანონოდ დაუკავებია სოფ. დადემის მეორე ნაწილი.

1944 წ. ძველი დადემის მოსახლეობა აბევიტაში ჩასახლდა, მას შემდეგ, რაც იქური მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადასახლეს. დადემ სახელწოდება მეორდება ჯავახეთის ზემოთ უკვე აღწერილი სოფლის სახელშიც. ფიქრობენ, რომ ის ზანური წარმოშობის ტოპონიმი უნდა იყოს.

216. (ტაბ. 427-431) ამჟამად მეზობელი სოფლების ქუნცის, აბევიტასა და ბნელას მოსახლეობა ქუნცის ირგვლივა გაერთიანებული. ქუნცის ეკლესია გალავნითაა მოზღუდული. იგი ძალზე საგულისხმო ნაგებობაა, „გარდამავალ ხანაში“ (VIII-X სს) გაერცელებული რთული ტიპოლოგიის ჯავახური ტაძრების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. მთავარ სიერცესთან ჩრდილოეთის აფსიდიანი ვიწრო ნაგი ისეა ორი ასიმეტრიული თაღით დაკავშირებული, სამხრეთის კი ფართო თაღით გახსნილი, რომ ნაგებობა სამეკლესიან და სამნაეიან ტაძართა შენაზავს წარმოქმნის. XIX საუკუნეში ეკლესია გადააკეთეს-ამოქოლეს სამხრეთის თაღი, შელესეს და შეათეთრეს კედლები. ძალზე დახვეწილია დასავლეთი ფასადის მარცხენა კიდეში დასმული ორი ბოლნური ჯვარი, რაც სხვა ნიშნებთან ერთად ეკლესიას IX-X საუკუნეთა მიჯნით, ან X

საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. ეკლესიის გალავნის შესასვლელში ბალაერის ქვა სიმაღლეზე დაუყენებიათ, ასობთავრული წარწერა ძალით გადაუშლიათ, მისი ნაშთიდან რამდენიმე ასო-ნიშანი აზრს არ იძლევა.

217. (ტაბ. 432) სოფლის განაპირას ცალკე, ბაზაში ჩასმული ქვის სვეტი შესაძლოა ქუნიცის საზღვარს აღნიშნავდეს. აქვე დევს ჯერიანი ქვაც, სავარაუდოდ ადრე შუა საუკუნეებისა.

XVI საუკუნის ბოლოს, მტკვრის მარცხნივ მყოფი ეს სამი სოფელი, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით ხერთვისის ლივაში ითვლებოდა, სადაც ქართველი ქრისტიანები ცხოვრობდნენ – ქუნიცაში 8, ბნელაში 7, აბგვიტაში კი 15 კომლი. ამ უკანასკნელში ცხოვრობდა მღვდელი ნიკოლოზის ძე. აქაურთა მეურნეობა ტიპური იყო მტკვრის ხეობის ამ ნაწილისათვის: მემინდერობა, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, ხილი, ვენახი, სელის თესლი, ფუტკარი... ქუნიცაში მქონიათ წისქვილი, ერთი თვალი 6 თვით და იხდიდნენ წლიურ გამოსაღებს 20000 ახჩის ოდენობით (3 სოფლიდან უმეტესს). 1705-1706 წწ. სოფ. ქუნიცა ვინმე მუსტაფას ექვემდებარებოდა და იხდიდა წლიურად 15500 ახჩას.

1859 წ. ერთ საბუთში ქუნიცასთან აღნიშნულია მართმადიდებელთა ეკლესიის ნანგრევი და გამოქვაბულები.

218. (ტაბ. 433) ტოლოში, კაკლანარსა და დიდ ხეებში ჩაფლული, ქვით ამოყვანილი ღობეებითა და ტერასებით ხიბლიანი, მოზრდილი სოფელი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქვაბიხევის შესაყართან მდებარეობს. სოფლის ეკლესია წმ. თედორეს სახელობისაა, (დღეობა 25. III.) ძველ ნაეკლესიარზე XIX საუკუნეში აშენებულ ნაგებობას ირგვლივ XIX საუკუნის სასაფლაო და გალავანი აკრავს.

219. (ტაბ. 434-435) ტოლოშის გარბელებაზე სამხრეთით, ხევი სავსეა ხილის ბაღებით, სადაც ნასოფლარიცაა – უკანტოლოში. აქაურ ეკლესიის ნანგრევს წმ. მარინეს სახელობისად მოიხსენიებენ. იგი ორნაგანი (ან ორეკლესიიანი) ნაგებობა იყო დასავლეთის დერეფნით. მისგან შზოლოდ დასავლეთის დერეფანია კამარინად შემორჩენილი. ნაგები იყო უთლელი ქვით, კუთხეები მეტად თლილი ჩანს, კამარები სხმული. XIII-XIV საუკუნეების ეკლესია უფრო ძველის მიბაძვით აშენებული ჩანს. იქვე არსებული პროფილირებული მოზრდილი ქვა ბუხრისა უნდა იყოს.

220. ხევის აყოლებით ნასახლარებია და კლდეში გამოქვაბულები. ერთ მათგანში ეკლესიის ჩრდილო კედლის ნანგრევია შერჩენილი. მისი წყობა თანაბარი ლოდების რეგულარული მწყრივებისაგან შედგება. ორ პილასტრს შორის გასასვლელს გამოქვაბულში შევსავართ. ჩანს შელესვისა და მოხატვის კვალიც. აქვე გადის ბილიკი ბუზმარეთისაკენ.

221. იქ, სადაც გზა მეზობელ ქუნიცისხევში გადაუხვევს, გამოქვაბულთა გარემოცვაში დგას ადრეული ხანის ციხე, ზუღა ტერასაზე ზურგანი კოშკით. ქვედა ციხის გალავანი დაახ. 5 მ. სიმაღლისა შერჩენილა. კოშკი მისადგომი, ჩრდილოეთის მხრიდან მომრგვალებულია, მიუდგომელ სამხრეთ მხარეს კი, მისი სწორი კედელი 12 მეტრს აღწევს. აქედანვე შესასვლელი. ორსართულიანი კოშკის შიდა ფართობი დაახ. 5მ.X6მ.-ია. ის საშუალო ზომის, თანაბარი ლოდებით, პორიზონტალურ რიგებად კირზეა ნაგები. ეს ციხე უნდა ყოფილიყო ამ და შენაკადი ხეების ცენტრი, რეზიდენცია ტოლოშელი აზნაურისა, რომლის ერთი შთამომავალი – ისაკ ტოლოშელის ძე (შეცდომით წერია ტოლოშელის ძე) XI საუკუნის ქართულ წყაროში იხსენიება.

1595 წ. სოფ. ტოლოში ხერთვისის ლივაში ითვლებოდა და იქ 18 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთა შორის ოსმალურ წყაროში სამი მღვდელია მოხსენიებული. სოფელი მდიდარი ყოფილა მემინდერეობით, მესაქონლეობით,

მეფუტკრეობით, სელის თესლით, მეხილეობით. აქვე დასახლებულია 6 ვენახი, მათ შორის იორდანე ბერიისა და მურვან აზნაურის ნაქონი, რომლებიც ოსმალური წესის მიხედვით, მაჰმადიან მოხელეებს გადასცემოდათ. სოფელს ჰქონია წისქვილი ერთი თვალი ექვსი თვით და წლიური შემოსავლიდან იხდიდა 20000 ახჩას. 1730-1731 წწ. სოფ. ტოლოშს სამი ოსმალო მფლობელი ჰყავდა, ყოველი მათგანის შემოსავალი 9500 ახჩას შეადგენდა.

ახლა იქ 120 კომლამდე ქართველი სახლობს, რომელთა გვარებია – მელიქიძე, ხმალაძე, დავლაშერიძე, ბერიძე, ივანიძე, გვარამაძე, ბირჩაძე.

222-223 (ტაბ. 436-438) ნასოფლარი ორმოცი მტკერის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ნიჯგორიდან დაახ. 400 მ-ზე, სამანქანო გზის დასავლეთით. გზისპირა გორაკზე, ნალისებური მოყვანილობის ზურგანი, მოზრდილი კოშკი დგას. ბრტყელი მხარე მტკერისკენ, მომრგვალებული კი – გზისკენ იყურება, ე.ი. მეტი საფრთხე აქედან იყო მოსალოდნელი. აქეთკენე იმზირება ერთი, ვიწროდ დაყოლებული სარკმელი. კოშკი დიდი ლოდებით კირზეა ნაგები, კედლის სისქე 3 მ-ია. მის გვერდით ეკლესიის ნანგრევს წმ. მარინეს სახელობისად მიიჩნევენ. იგი ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია აფსიდა, სამხრეთი კედლის ნაწილი. ნაგები იყო უთლელი ქვით, კონსტრუქციული ნაწილების თლით. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან სარკმლის სათაურიანი ქვა დევს. ეკლესია VIII-IX საუკუნეებისა ჩანს. ეკლესიას გალავანიც ჰქონია. საერთოდ ამ ადგილს ორმოცის გარდა ხანსაც უწოდებენ. ხანი, ხანაგა კი, ქართულში ძველად თავშესაფარ სახლსაც ეწოდებოდა და ხშირად გზასთან იყო დაკავშირებული (შდრ. ასპინძა, ხანი, ხანისწყალი...). ამიტომაც ხერთვისისა და საროსკენ მიმავალ გზასაყარზე აგებული ეს კოშკი, სწორედ მათ მაკონტროლებელ პუნქტს უნდა წარმოადგენდეს. საროსკენ მიმავალ ამ გზაზეა ქვაბიკარის გამოქვაბულები და თვით საროს ციხეც, რომლის წარწერა XII საუკუნისაა. შესაძლოა ორმოცის კოშკიც ამ პერიოდს უკავშირდებოდეს. საინტერესოა, რომ ერთ გადმოცემაში შოთა რუსთაველის შესახებ, ნათქვამია თითქოს მას, ბოლოს უკისრია ხაზინადარობა ვარძიაში და დაქორწინებულა ორმოცის ბატონის ქალიშვილზე. ეს ციხე ვარძიის სიახლოვეს ყოფილა და მისი მებატონენი 40 ძმანი ყოფილან.



XVI საუკუნის ბოლოს, ორმოცი უკვე ნასოფლარია ხერთვისის ლივაში შემავალი. იქ მაშინ სოფ. საროს ვენახები იყო, ხოლო ნასოფლარი, იქ მოწეული მარცვლეულისათვის 2000 ახჩით იყო დაბეგრული.

ორმოცი ქვეა კიდევ ერთ სოფელს ქართლში, ტანას ხეობაში (გორის რ-ნი).

224. ნიჯგორი მოზრდილი ქართული სოფელია მტკერის მარჯვენა სანაპიროზე. აქაური მოსახლეობა საროდანაა ჩამოსული მას მერე, რაც აქედან მაჰმადიანი ქართველები გაასახლეს შუა აზიაში 1944 წ.

სოფელში, გურგენიძისადმი კუთვნილ ბაღში, წმ. მარინეს ეკლესიის ბუდეა გადარჩენილა. აქაცაა გვიანი პერიოდის საფლავები, რომელთა შორის გამოირჩევა მომალო ქვა ჯვრად გამოკვეთილი.

225. (ტაბ. 439-441) შუა სოფელში ძველი ეკლესიაა წმ. გიორგის სახელობისა. სამხრეთის შესასვლელთან სანთლებისაგან გაშვებული სტელა დგას, რომლის მხოლოდ ერთ მხარეს ამკობს მარტივი გამოსახულება, ხოლო მის ქვევით პალმეტი უნდა იყოს. უთლელი და თლილი (კონსტრუქციული ნაწილები) ქვით ნაგები ეკლესია უპილასტროა, განიერი და დამჯდარი პროპორციისა. მასალა, ნალისებური სატრიუმფო თალი, სხმული კამარა, აღმოსავლეთი სარკმლის ბრტყელი სათაური, ამ კარგად შემონახულ ეკლესიას ძველის მიმსგავსებით XIII-XIV საუკუნეებში ამენებულ ნიშნულად წარმოგვიდგენს. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა და გალავანი.



77. ნიჯგორი. წმ. გიორგის ეკლესია. გეგმა.

226. სოფლის აღმოსავლეთ განაპირას მოზრდილი, ორსართულიანი შენობა, აქა-იქ შერჩენილი არაბული წარწერებით.

1595 წ. სოფ. ნიჯგორი ხერთვისის ლიევაში შედიოდა, სადაც 35 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. მათ შორის დასახლებულა იაღლუზა მებაღე. აქ მეურნეობის ძირითადი დარგი მემინდერეობა იყო, მესაქონლეობისა და მეხილეობის გვერდით. ჰყოლიათ ფუტკარი და ამუშავებდნენ სელის თესვს. სოფელში 8 თვის განმავლობაში ბრუნავდა ერთი თვალი წისქვილი. აქ ყოფილა მამული ერთი ნაკვეთი და ბაღი ერთი ნაკვეთი, რომელიც მაშინ ვაზირ მუსტაფა-ფაშას მფლობელობაში ითვლებოდა. სოფელელთა წლიური გამოსაღები შეადგენდა 15000 ახჩას.

1859 წ. ნიჯგორი გაუკაცრიელებულა, მისი საძოვრები საროელებს ეჭირათ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ნიჯგორი საისრე დიდი კაპარქია, ხოლო მუნიციპორე და ნიჯორგალი – მისი მწე ადგილობრივ სახელწოდებად ხმარობენ ნიჯგორსა.

სოფელი ახლაც საღი და უხვი ხილითაა ცნობილი. აქ კენახსაც კი არ წამლავენ.

* * *

ნიჯგორიდან ვბრუნდით ვარძიაში. იგი ასრულებს მოგზაურობას, თუმცა დარწმუნებული ვართ გამომშვიდობება ვარძიასთან, და საერთოდ ჯავახეთთან, ძნელა. სულ მალე ჩნდება მისი კვლავ ხილვის სურვილი.

დასკვნა

ჯავახური ხუროთმოძღვრება იმ გამორჩეული თვისებების მატარებელია, რის საფუძველზე შესაძლებელია „ჯავახური ხუროთმოძღვრული სკოლის“ არსებობაზე ლაპარაკი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ეკლესიათა გარე იერი. მკაცრი, სადა, ქმედითი კედლის სიბრტყეები. ერთდროულად სისადავე და სიძლიერე, რაც უფრო აახლოებს მათ ჯავახურ ბუნებასთან.

საგულისხმოა, რომ ჯავახური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა კონტრასტი—სადა, მონუმენტურ გარე იერსა და უფრო მოძრავ და პლასტიკურ ინტერიერს შორის. შესწრაფული, აზიდული შიდა სივრცე ჩასმულია გარე კედლების მასივში. შინაგანი დინამიზმი გარე მასების სტატიკურობით იცვლება.

ჯავახეთის ხუროთმოძღვრება, როგორც ნაწილი ზოგადად ქართული ხუროთმოძღვრებისა, ცხადია, ექვემდებარება იმ განვითარების ხაზს, რომელიც ქართული ქრიტიანული ხუროთმოძღვრებისთვის არის მიღებული. იმ გარემოებამ, რომ ჯავახეთი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გზების გადაკვეთაზე იმყოფებოდა, განაპირობა ამ მხარის ხუროთმოძღვრების პროგრესული ხასიათი. ამასთან ერთად, ჯავახეთი მთის რეგიონია. ამიტომ არის, რომ მისი არქიტექტურა პროგრესულ ნიშნებთან ერთად მთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი თვისებების მატარებელიცაა (უგუმბათო ნაგებობების სიძრავლე, სარკმელთა და შესასვლელთა ბრტყელი გადახურვა, სისადავე და მონუმენტურობა).

აღსანიშნავია მარქაიზებელი ელემენტების გამოყენება ზოგად პროგრესულ ფონზე. ე.ი. ამ რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება ერთმანეთის გამოძირიცხავ, საპირისპირო მოვლენების თანაარსებობაში მდგომარეობს—არქაულობა და პროგრესულობა. ერთი შეხედვით ჯავახური ხუროთმოძღვრება არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ახლოს გაცნობისას შეიგრძნობა ახალი დროის მუხტი. თითოეული ჯავახური ეკლესია გამორჩეული შემოქმედებითი ძარღვით არის დამუხტული. იგი ამ ქვეყნის, მისი ბუნების განუყოფელი ნაწილია და მისი მხატვრული სახე დიდად არის დამოკიდებული ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულ მნიშვნელობაზე.

უძველეს მატერიალური კულტურის ძეგლებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ წინაფეოდალურ ხანაში ძირითადი ყურადღება ჯავახეთის ზეგანს ექცევა იმ დროიდან, როდესაც მეურნეობაში მესაქონლეობა წამყვანი ხდება. სხვადასხვა სიდიდის ჯგუფური და ცალკეული ყორღანები, მენაირები და ვეშაპები, ნამოსახლარი გორები და კარკნალები, მშრალი წყობით ნაგები ციხეები და გალაგნით გამაგრებული გორები—ამის მანიშნებელი ფაქტებია.

ინტენსიური, სარწყავი მიწათმოქმედების შემდგომმა აღმავლობამ ბიძგი მისცა ქვემო ჯავახეთის—მტკვრის ხეობის თანდათან დაწინაურებას. უნდა ვიფიქროთ, ეს პერიოდი ემთხვევა ჯავახეთში ქართლის საბოლოო შემოღწევას, თავისი განვითარებული ბარული მეურნეობით, სახელმწიფო ორგანიზაციით. ამერიიდან ცენტრი ქვემო ჯავახეთში ინაცვლებს და წუნდა ხდება ფარნავაზის მიერ დასმული ერისთავის რეზიდენცია.

განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისისათვის ჯავახეთის ცენტრი წუნდაში აღარ ოყო. ჩანს, მის სანაცვლოდ აშენდა ძლიერი ციხე თმოგვისა, რომელსაც თანდათან ქალაქიც გაუჩნდა. მაგრამ საქართველოს გაერთიანებამ, საგარეო—პოლიტიკური ვითარების შეცვლამ და მტკვარს მოყოლილი ძველი გზის სამხრეთით გადანაცვლებამ ყურადღების ცენტრში ისევ ზემო ჯავახეთი მოაქცია.

